ყოველკვირეული
# ალია

გიგლა ბარამიძე: „გიორგი კვირიკაშვილს თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ, ხუთი წელი სრულდება 2011 წლის 26 მაისიდან, ამიტომ კეთილი ინებეთ, გამოძებნეთ დრო და მოდით რუსთაველზე“ 11

N21/749/ 23-29 მაისი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან



მანანა ნაჭყებია: „ხელისუფლება ხვდება მაინც, რა შარში გაეხვია?!“ 12

სერგო რატიანი: „ჩვენ არ ვიბრძვით 10, 20, ან 30 ხმისთვის. ჩვენ ვიბრძვით გამარჯვებისთვის“ 9



21 მაისს ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შეხვდა, ზოგიერთი დეპუტატი გულგატეხილი გამოვიდა 19



„აფხაზები „ალიას“ ინტენსიურად კითხულობენ... იქ რომ ჩავედი, დოკუმენტად დამიდეს გაზეთი „ალია“ და გვერდით ედოთ რუსულად ნათარგმნი სტატია“ 6



## უნდა გადადგეს თავ...დაცვის თინა მინისტრი და სახელმწიფო უშიშროების შეფი გომელაური!!! 13



## მარაზმში ვცხოვრობთ



„ძალიან სასაცილოა, გიგა ბოკერიას დავალებით ვინც ჩვენ გვირტყამდა, ზუსტად იგივე ხალხი, ოღონდ უკვე ამ ხელისუფლების დავალებით, ურტყამს ბოკერიას“ 7



## „შოკირებული ვარ, გაცოფებული ვარ ვინმე კოღუაშვილის განცხადებით! კი არ უნდა წავიდეს, გაეთრეს დროზე „ქართული ოცნებიდან“!



მიხეილ სააკაშვილი „უგანათლებულესი“ პიროვნებაა, განო მერაბიშვილი — ცოლის მძევალი, ხოლო გიგი უგულავა უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას „სვაბოდაზე“, ვიდრე ციხეში... 21

## რას მალავს „დელტას“ ყოფილი შეფი?

რატომ დაუპირისპირდა სინამდვილეში თინა ხიდაშელი ძოძუაშვილს? 25

დავით ზურაბიშვილი: „რა ვიცი... სეტყვა რომ იყო კახეთში, ისიც ჩვენი ბრალია და რას გაიგებ, სეტყვის საქმეც შეიძლება შეკერონ“ 23



რატომ დაიწყო თბილისის ღამის კლუბებისა და ბარ-რესტორნების რეიდი?

რას უყვებიან „ალიას“ ექსკლუზიურად?! 17



## გუბაზ სანიკიძე: ბაგრატ რეგვენის შემდეგ გიორგი მარგველაშვილი ისტორიაში „გიორგი დამკვირვებლის“ სახელით შევა



„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პოლიტიკაში“ განაცხადა, რომ თუ „კაბელების საქმეს“ ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოჰყვა, სრული პასუხისმგებლობა ამაზე პრეზიდენტს ეკისრება. ასევე, როგორც მან განაცხადა, მისთვის გაუგებარია, რას ელოდება პრეზიდენტი და რატომ არ იწყალებს „კაბელების საქმის“ ბრალდებულებს. ამის გამო სანიკიძემ პრეზიდენტს „გიორგი დამკვირვებელი“ უწოდა.

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ არასამართლიანია პრეზიდენტის შენიშვნა იმაზე, რომ „ეროვნული ფორუმი“ დღეს ალაპარაკდა პრობლემებზე.

– რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ პრეზიდენტის ნათქვამს, რადგან მას მოკლე მეხსიერება აქვს... როცა ლაპარაკობს პრეზიდენტი ვეტოს დაძლევაზე... თუ ხმას ვაძლევდით, ეს პოლიტიკური ორგანიზაციაა და პრეზიდენტის საქმე არ არის, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. პრეზიდენტს გული თუ მოსდის ვეტოების დაძლევაზე და ჩვენ მონაწილეობას რატომ ვიღებდით, ეს ჩვენი საქმეა.

რაც შეეხება „კაბელების საქმეს“, რომ იძახის – დავაკვირდებიო, რას უნდა დააკვირდეს, მე არ ვიცი.

ახლა ისტორიაში ადამიანები სხვადასხვა სახელებით შედიან, ვიცით ისტორიაში გიორგი ბრწყინვალე, რიჩარდ ლომგული, ბაგრატ რეგვენი ვიცით, ასე თუ გააგრძელებს გიორგი მარგველაშვილი, ის ისტორიაში შევა როგორც „გიორგი დამკვირვებელი“. რას უკვირდება, ვერ გავიგე, თუ დესტაბილიზაცია მოხდება, ის პასუხს აგებს აუცილებლად, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ. (rupori.ge)

**● მარგველაშვილის დაცვას არ ვაპირებთ, ბუნებრივია! აი, გუბაზ სანიკიძის ლოგიკას კი სიამოვნებით გავყვებით — თუ ბაგრატ რეგვენის შემდეგ გიორგი მარგველაშვილი ისტორიაში „გიორგი დამკვირვებლის“ სახელს დაიმკვიდრებს, გუბაზ სანიკიძე „გუბაზ ვერგამდიდრებული“ გამოდის!**

## აჰა, კოღუაშვილმა რომ უაზრობები აბრახუნა, ეგეც ჟურნალისტების ბრალი ყოფილა!



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალი წევრის დავით კოღუაშვილის მეირ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება. კვაჭანტირაძე ამბობს, რომ დავით კოღუაშვილს დიდი პაუზა ჰქონდა პოლიტიკაში აღებული და არ გაითვალისწინა, რომ ჟურნალისტებთან მიმართებაში სიფრთხილე აუცილებელია.

– პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საკმაოდ მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა იმ ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელიც დავით კოღუაშვილმა მისცა ერთ-ერთ ოპოზიციურ გაზეთს. მე მგონი ისიც არ იცოდა, თუ ეს გაზეთი ოპოზიციური იყო. ჩემი დაკვირვებით, დავით კოღუაშვილს დიდი პაუზა ჰქონდა პოლიტიკაში აღებული და მე მგონი, არ გაითვალისწინა, რომ განსაკუთრებულად ჟურნალისტებთან მიმართებაში, სიფრთხილე აუცილებელია. ვიცნობ რა დათო კოღუაშვილს დიდი ხანია, მე ვფიქრობ, რომ კოღუაშვილი კიდევ შეძლებს დაამტკიცოს, რომ ის შთაბეჭდილება, რომელიც დარჩა იმ ინტერვიუდან, საზოგადოებას მასთან მიმართებაში აუცილებლად შეეცვლება. მას ტაიმ-აუტი ჰქონდა აღებული და ვფიქრობ, რომ მან დაუშვა შეცდომა და ამის გამოსწორების საშუალება მიეცემა, - განაცხადა კვაჭანტირაძემ. (პირველი რადიო)

**● პაუზა თუ ჰქონდა, თანაც ხანგრძლივი, ჟურნალისტებთან ურთიერთობა თუ არ იცის, ის თუ არ იცის, რა და როგორ თქვას, ქვეყანაზე და ხალხზე იზრუნებს ეგ? მაშ, მტყუნის?!**

## „ძალადობა ოპოზიციური ლიდერების მიმართ არის კრიმინალი“



კორცხელის ინციდენტს გიორგი ვაშაძე ეხმაურება და მომხდარის დროულად გამოძიებას ითხოვს. ვაშაძე საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატივითაც გამოდის.

– ძალადობა პოლიტიკაში ისევ გრძელდება! ოპოზიციური ლიდერების მიმართ ღია ძალადობა არის კრიმინალი და პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ხელისუფლებას. ის, რომ ამას ბედავენ დღისით და საჯაროდ და ის, რომ არ არის ადეკვატური რეაგირება ძალოვანი უწყებების მხრიდან — კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას და მმართველი გუნდის



პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მოახდინა დეკლარირება, რომ ის აპირებს ბრძოლას ღია ძალადობის გზით. აღვივებს რა ძალადობისა და შურისძიების მუხტს, ცდილობს გადაფაროს თავისი წარუმატებლობა. ძალადობის პოლიტიკა აგრძელებს ქართული პოლიტიკისათვის დამახასიათებელ საზოგადოების პოლარიზაციის, აგრესიისა და დესტრუქციის დამანგრეველ „ტრადიციას“. ხელმოცარული პოლიტიკური ძალები თვითდამკვიდრებას ცდილობენ ძალადობის გზით. კონფრონტაცია დამანგრეველია ჩვენი საზოგადოებისათვის! ქვეყნისთვის აუცილებელია ახალი პოლიტიკური პარადიგმა, ახალი პოლიტიკური მიდგომები და მექანიზმები, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე, მომავალსა და აღმშენებლობაზე, - ნათქვამია გიორგი ვაშაძის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

**● და ამ განცხადებას აკეთებს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი „კაშკაშა სახე“, რომელიც თავად იყო მკვლელობისა და აგრესიის მანქანის შემადგენელი ნაწილი.**

**და ლოგიკას რომ გავყვეთ, ისევ სად მივდივართ, იცით? დიახ - „ოცნების“ უმაქნისობასთან, რომელმაც რაც გასაკეთებელი იყო, თავის დროზე არ გააკეთა და მუშტებზე იყურება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძალაუფლება დააგემოვნა.**

## ევროკავშირის საბჭომ უვიზო მიმოსვლის სწრაფი შეჩერების მექანიზმი დაამტკიცა




ევროკავშირის შინაგანი საქმეების საბჭოს გადაწყვეტილებით, წინადადება უვიზო მიმოსვლის სწრაფი შეჩერების მექანიზმის შესახებ მიღებულია.

მექანიზმი უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ მესამე ქვეყანამ ვიზალიბერალიზაციით გათვალისწინებული პირობები დაარღვია.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, შეჩერების მოქმედების მანამდე არსებული 6 თვიანი ვადა 2 თვემდე შემცირდა, ასევე, გაიზარდა შეჩერების საფუძვლების არეალიც.

ახალი წესის მიხედვით, ევროკომისიას ასევე ეძლევა უფლება, შეაჩეროს უვიზო მიმოსვლა ქვეყანასთან, რომელიც არ შეასრულებს რეადმისიით ნაკისრ ვალდებულებებს.

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეწყვეტის საფუძვლად ასევე დასახელებულია უვიზო მიმოსვლით მოსარგებლე პირების მხრიდან 90 დღიანი რეჟიმის მასიური გადაცილება და მასიური არალეგალური დარჩენა შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის მქონე ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან.

როგორც ევროკავშირის საბჭოში განმარტავენ, ამჟამად არსებული რეგულაციით, სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი რთული პროცედურაა. ძველი მექანიზმით, უვიზო მიმოსვლის შეჩერების 6-დან 9 თვემდე დადგენილ პროცედურას ითვალისწინებდა, რაც ინიციატორი ქვეყნების აზრით, არაგონივრულად ხანგრძლივი პერიოდია. (ნიუპოსტი)

**● აბა, რა გეგონათ, ევროპა ფართოდ გაგვიხსნიდა კარებს და ბედნიერი გულში ჩაგვიხუტებდა — მობრძანდით, თქვენ შემოგევლეთ, დასახლდით, იცხოვრეთ, ოცნებები აისრულეთო? ნურას უკაცრავად!**

**სამწუხაროდ, ალბათ, ბევრისგან გექნებათ გაგონილი: უვიზო მიმისვლის შემდეგ მეშველება, თავს დავაღწევ საქართველოსო და ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება — მოქალაქეები ისევ გარბიან!**

## პრემიერი: დავით კოღუაშვილმა დაუფიქრებელი განცხადებების ყველანაირი რეკორდი ორიოდე დღეში მოხსნა




პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დავით კოღუაშვილს განცხადებების გაკეთებისას მეტი დაფიქრება მართებს.

– დავით კოღუაშვილი ჩემი ძველი მეგობარია და მას ვერ დავწამებ, რომ ის რაიმე დადებით სენტენციებს განიცდიდეს სააკაშვილის ხელისუფლოების მიმართ, თუმცა სამწუხაროა და უნდა ვთქვა, რომ მან ორიოდე დღეში დაუფიქრებელი განცხადებების ყველანაირი რეკორდი მოხსნა, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ადამიანს გავუფრთხილდეთ, იქნება ეს ყოფილი თუ ამჟამინდელი თანაგუნდელი.

– ვფიქრობ, ვისთან ერთადაც მოვიპოვეთ ეს გამარჯვება, არის ძალიან გასაფრთხილებელი. მე თვითონაც ძალიან ვუფრთხილდები, არ გავაკეთო ისეთი განცხადებები, რომ პიროვნულად რაიმე შეურაცხყოფა მივაყენო ჩვენს ყოფილ თუ ამჟამინდელ თანაგუნდელებს. ეს არის განახლების პროცესი, სადაც მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ადამიანს გავუფრთხილდეთ. ვფიქრობ, დავითის ეს განცხადება დაუფიქრებელი იყო. რაც შეეხება პოზიტიურ გრძნობებს, ვფიქრობ, ამაზე სრული კონსოლიდაციაა არა მხოლოდ ჩვენს გუნდში, არამედ საზოგადოებაშიც წინა ხელისუფლების შეფასებისას, - განაცხადა კვირიკაშვილმა. (pia.ge)

**● ახლა, თუ ძველი მეგობარია, ოჯახებით ახლობლობთ, „დაშლა-არმოშლის“ სადღეგრძელოებიც ბოლომდე გამოგიცლიათ, უნდა დარჩეს კოღუაშვილი „ქართულ ოცნებაში“, მაშ, როგორ?! იმაზე კი ნუ იღელვებთ, ბატონო პრემიერო, ხალხზე რა გავლენას ახდენს პოლიტიკოსების მსგავსი გამოხტომები! ნურც იმას მიიტანთ გულთან, რას ფიქრობს პოტენციური ამომრჩეველი მსგავს მარაზმზე! ერთი ეგ არის, არჩევნების შედეგებს რომ გაეცნობით, აი, მაშინ კი მოგიწევთ ნერვიულობა და თან მაგარი ნერვიულობა!!!**

facebook



ნათია ფანჯიკიძე:

როცა ქვეყანა არასწორ, გამრუდებულ ვიბრაციულ ველს ქმნის, სხვადასხვა ტრაგიკული რეალობა სიმბოლურად ფორმდება. რუსები კლავენ ჩვენივე ტერიტორიაზე 30 წლის კაცს, მშვიდობიან მოქალაქეს, სამი შვილის მამას, მთავრობა კი ციხეში სვამს საკუთარ ოფიცრებს, რომლებიც ქვეყნის მეტი სიძლიერისთვის დღეს და ღამეს ასწორებდნენ მუშაობაში.

ბრძენკაცი ამბობს "რად უნდა თავდაცვას მაგისტრალი", ან რად უნდა საქართველოს სამხედრო დაზვერვა, მეზობლის კუჭში გასვლას ხომ წარმატებით აკვირდებიან, - ასე ხედავენ საკუთარ თავებს და როლს, ქვეყანას რად უნდა საზღვრის დაცვა, რად უნდა ისრაელის ტიპის შეიარაღება და პროფესიული ჯარი, ჩვენ ხომ საწყლები ვართ, რომლებმაც ბალახზე მაღლა თავი არ უნდა ამოვყოთ.

მე ასე არ ვხედავ არც ჩემს თავს და არც ქვეყნის ბედს და როლს. მთები იმისთვის გვაჩუქა ღმერთმა, რომ სიმაღლე და ცასთან სიახლოვე გვეგრძნო არწივებივით. ჭიაყელებივით მიწაში საბოლოდ არ დავბადებულვართ. როლი რომ ვერ აღვიქვით, ამიტომ ვართ როგორც ვართ.

facebook



მეგი გოცირიძე:

ვიყავი პროკურატურსთან კაბელების საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებული სამხედროების მხარდასაჭერად !

მინდა ამ ბიჭების ოჯახის წევრებს მივმართო და ვუთხრა, რომ ნაძირალა ალასანია და მისი ასევე ნაძირალა ლიდერები ყველაფერს აკეთებენ, რომ სრულიად საზოგადოება არ იყოს სოლიდარული და არ მოხდეს კონსოლიდაცია ამ ბიჭების დასაცავად!

ვეთანხმები ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც აქამდე გამოითქვა და მე არ მჯეროდა იმასთან დაკავშირებით, რომ ალასანია სისხლ-ხორცეულად არის დაინტერესებული, რომ ეს ბიჭები ციხეში ისხდნენ , თავად კი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს სამხედროების დაპატიმრება!

# იმდენი იძახეს „ნაცებმა“ — ახალი სახეები გვეყოლებიან საარჩევნო სიაშიო, კი შეეცვალათ სახეები, ისე ურტყეს




მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

## რატომ არის ცუდი ის, რაც კორცხელში მოხდა

ერთი უცნაური თვისება მაქვს ბავშვობიდან გამოყოლილი – როცა ვხედავ, ვიღაც იჩაგრება, ვიღაცას ამცირებენ, ურტყამენ და ასისხლიანებენ, როგორი წარსულიც არ უნდა ჰქონდეს, როგორ „ლიჩნაია ნეპრიაზნსაც“ არ უნდა განვიცდიდე, მის მხარეზე გადავდივარ. არა, ღმერთმა დამიფაროს, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს აღმოვჩნდე და მით უმეტეს, მათი მხარდამჭერი გავხდე, მაგრამ მომხდარი საშინლად არ მომეწონა, როგორც ბევრს არ მოეწონება ის, რაც დავწერე.

ძალიან რომ არ გავანაწყენო მკითხველი, საუბარი იქით მიმყავს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წევრები გემოზე გაილახნენ, ძალიან ბევრი ქულა დაიწერა კორცხელის ცემა-ტყეპით და რა თქმა უნდა, ეს ცუდია!

კორცხელის ცემა-ტყეპა ცუდია კიდევ იმიტომ, რომ ამ ყველაფერში სპორტსმენების ხელი ურევია, ადამიანების, რომელთა წარმატებას დიდიცა და პატარაც ისე იზიარებს ხოლმე, თითქოს თავად იმარჯვებდეს ოლიმპიადაზე, მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატებზე. ახლა, ალბათ, ბევრისთვის ისინი ძალადობასთან უფრო ასოცირდებიან, ვიდრე ქვეყნის სახელის პოპულარიზაციასთან, გამარჯვებასთან... ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ წინა ხელისუფლებაც სწორედ სპორტსმენების ხელით აკეთებდა ბევრ ბინძურ საქმეს და ფაქტია, ახლაც სწორედ რაღაც მსგავსთან გვაქვს საქმე.

ისიც ცუდია, ძვირფასო მკითხველო, რომ „ნაცები“ ამ დაუნდობელ ცემა-ტყეპას მთელ მსოფლიოს მოსდებენ, იწუწუნებენ, ივიშვიშებენ და „ქართული ოცნების“ კურკლიც გახმეს, ქვეყნისთვის იქნება ეს უარყოფითი შედეგების მომტანი. აბა, გაიხსენეთ, ჩიორა თაქთაქიშვილს ერთი მოხვდა ცხვირში და რამდენიმე კვირა იწვა „ადიალაში“ გახვეული, – მოდით, მნახეთ, ბიჭებო, „ქოცპარტიამ“ რა მიყოო...

კორცხელში სახის ძვლის ახევა ცუდია კიდევ იმიტომ, რომ პოლიტიკოსების მითითებით, ფულის თუ რაღაც მამაძაღლური ინტერესების გამო ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ნებისმიერს, ვინც ხელში მოხვდებათ, ცხვირ-პირი გაუერთიანონ და დაუნდობლად ურტყან. კი, „ნაცები“ ძალიან ბევრ ცუდ რამეს იმსახურებენ, მაგრამ იმ ხალხს რომ ეცემა ბოკერია, მელია და გუნავა, ვინც საკუთარ თავზე იწვნია სააკაშვილისა და მთელი „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის რეპრესიები, კაციშვილი ხმას ვერ ამოიღებდა, მაგრამ, როცა ერთი კონკრეტული ჯგუფი ასრულებს „ვიღაცის“ დაკვეთას, საზიზღრობაა!

კორცხელში მომხდარი ამბავი ცუდია კიდევ იმიტომ, რომ, სავარაუდოდ, საჩვენებლად ვიღაც დაისჯება და დიდი ალბათობით, დაისჯება ის, ვისაც არც გარანტიები მიუღია ცემა-ტყეპის დამკვეთისგან და არც „ელიტა“ ახვევია გარშემო.

ცუდია ეს ყველაფერი იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვნახეთ, როგორ იყენებენ ნებისმიერ ამბავს სათავისოდ „ნაცმოძრაობა“ და „რუსთავი 2“ – ამ უკანასკნელმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ბოკერია-მელია-გუნავასთან ერთად ეკა ხერხეულიძეც გალახეს, რაც ტყუილია, რადგან ხერხეულიძეს კაციშვილი არ შეხებია. ხერხეულიძემ კი ათასჯერ გაიმეორა, რომ სცემდნენ არა მხოლოდ პოლიტიკოსებს, არამედ ქალებსა და ბავშვებს. კადრებში, რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი ჩანს.

## რატომ არის კარგი ის, რაც კორცხელში მოხდა

როცა ამდენ ადამიანს უხარია შენი უმოწყალოდ გალახვა, უნდა მიხვდე, რა ნაგავიც ხარ! ბუნებრივია, იმის ილუზია არავის აქვს, რომ „ნაცმოძრაობას“ უცბად სინდისის ქენჯნა შეაწუხებს, მაგრამ იქნებ დასავლეთში მაინც დარწმუნდნენ, ვის აზრსაც ასე დაჰფონინებს ყველა ხელისუფალი, რომ ვერ იტანს ამ ოხერ პარტიას ხალხი და რომ წერტილი უნდა დაესვას მათ არსებობას.

კორცხელის ამბავი კარგია იმიტომაც, რომ ის უამრავი ადამიანი, ვინც საკუთარ თავზე იწვნია რეჟიმის რეპრესიები, ცოტათი მაინც მოიფხანს გულს, რადგან უმაქნისმა „ოცნებამ“ 4 წლის მანძილზე დამნაშავეების დასასჯელად პრაქტიკულად, არაფერი გააკეთა.

კარგია კიდევ იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობას“ ზუსტად იმავე მეთოდებით ადინეს სისხლი, რომელსაც თავად იყენებდა ოპონენტებთან მიმართებაში.

კორცხელის ცემა-ტყეპა კარგია იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ ძალიან შეშინებული სახეები ნახა ხალხმა – მელიას დამფრთხალი ფიზიონომია, ბოკერიას ნოკდაუნი, გუნავას პანიკა, ირმა ნადირაშვილის აკანკალებული ხმა და ეკა ხერხეულიძის ისტერიკა.

ჰო, ხელისუფლებაში მათი ყოფნის დროს მოკლული, შეშინებული, გამწარებული და აკანკალებული ხალხის რაოდენობასთან ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ერთ დღესაც პასუხი მათაც მოეთხოვებათ.

კარგია ეს ამბავი იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით პოლიტიკოსების უუნარობაში, აფერისტობაში, უთავბოლობაში – „ნაცმოძრაობა“ უტიფრად გმობს იმას, რასაც თავადვე აკეთებდა, „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის შნო, აღიაროს, რომ ის, რაც მოხდა, მათი უმაქნისობის ბრალია, რადგან თავის დროზე რომ მიეცათ პასუხისგებაში დამნაშავეები, ახლა სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა.

facebook



ჩიორა თაქთაქიშვილი:

მუხლი 325. საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა

1. საქართველოს პრეზიდენტის, სხვა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

5. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ე) ჯგუფურად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

7. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან ცამეტ წლამდე.

მუხლი 162. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

1. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

დ) ჯგუფურად, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე.

მუხლი 53. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

31 . დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენ ტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



## მაკა კოდუა - სრული პასუხისმგებლობით შემიძლია, გითხრათ, რომ კორცხელში დაპირისპირება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო



„ქართული ოცნების“ ყველა წარმომადგენელი ყოველთვის წინააღმდეგია ყოველგვარი ძალადობის. რაც მოხდა, არის „ნაციონალური მოძრაობის“ ჩვეული ხერხი, რადგან მათ ზუსტად იციან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებს წააგებს, - განაცხადა მაკა კოდუამ. (ipress.ge)

– კორცხელის საარჩევნო უბანთან დაპირისპირება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო, - ამის შესახებ ზუგდიდში, კორცხელში მომხდარი დაპირისპირების თვითმხილველმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მაკა კოდუას ინფორმაციით, დაპირისპირება საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც იქ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნიკა მელია მივიდა.

– დილიდან ყველაფერი მშვიდად მიმდინარეობდა. ბატონი მელიას გამოჩენის შემდეგ მოხდა ეს ყველაფერი. ქალი ვარ და მთელი საქართველოს გასაგონად ვერ გავიმეორებ, რაც მან იკადრა. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ყველაფერი დაიწყო „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

**● სოციალურ ქსელში კორცხელის ცემა-ტყეპამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია, უმრავლესობა კი „ნაცების“ გალახვით კმაყოფილი იყო, რაც პრინციპში, გასაკვირი სულაც არ არის. არც ის გაუკვირდება არავის, თუ აღმოჩნდება, რომ პროვოკაცია „ნაცმოძრაობამ“ მოაწყო, მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვაგან იმალება — თავის დროზე რომ გაენძრია ერთი ადგილი „ქართულ ოცნებას“, დღეს მსგავს ამბებზე არც წერა და არ ლაპარაკი არ მოუწევდა არავის. ამ ინციდენტს კი „ნაციონალები“ რაღა თქმა უნდა, ისევ სათავისოდ გამოიყენებენ და მოჰყვებიან გაუთავებელ ქაქანს — გვცემეს, დაგვასისხლიანეს, დაგვლეწეს და ასე შემდეგ.**

**ყველანაირი საშუალება ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, დიდი ხნის წინ დაესვა წერტილი „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მაგრამ რა და როგორ მოხდა, გეცოდინებათ გადასარევად.**

## ჰააგის ყოფილი პროკურორი: რუსებისთვის ბრალის წაყენების შემთხვევაში, რთული იქნება მათი დაკავება



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურის ყოფილი კოორდინატორი აცხადებს, რომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით რუსებისთვის ბრალის წაყენების შემთხევაში, მათი დაკავება რთული იქნება. ალექს ვაიტინგის განცხადებით, მიუხედავად ამ სირთულისა, წარსულში მიღებული გამოცდილება იმედისმომცემია, რადგან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჰააგაში, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებას არც ერთი მათგანი არ ელოდა.

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვა, რომ არავის დადანაშაულება არ მოხდება, ვიდრე პროკურორი არ მიიჩნევს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულება ადასტურებს ამა თუ იმ პირის მონაწილეობას ომის დანაშაულებებსა ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულებებში. რუსებისთვის ბრალის წაყენების შემთხვევაში, რთული იქნება მათი დაკავება ან მათი ჰააგაში გადაცემა, თუ ისინი რუსეთში ცხოვრობენ, მაგრამ წარსულში მიღებული გამოცდილება კვლავ იმედს გვაძლევს. საბოლოოდ, ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჰააგაში მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი არ ელოდა დაკავებას. მაშასადამე, შემიძლია დავასკვნა, რომ საქართველოს გამოძიებაში ბევრი გამოწვევაა და ქართველებისთვის მნიშვნელოვანია, რეალისტურად განეწყონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაძლებლობებში. თუმცა, ვფიქრობ, არასწორი იქნება, ეს საქმე უიმედოდ განვიხილო - ამ სფეროში მართლმსაჯულებას გამარჯვების მიღწევა შეუძლია მაშინაც კი, როდესაც ამას არ ველოდებით, - აცხადებს ალექს ვაიტინგი. (pia.ge)

## „ნიკორას“ საწყობიდან მიკროავტობუსი და 30 ათასი ლარის პროდუქტი მოიპარეს

„ნიკორას“ საწყობიდან მიკროავტობუსი და 30 ათასი ლარის პროდუქტი მოიპარეს.

ცნობილი გახდა, რომ მიკროავტობუსში დაახლოებით, 30 ათასი ლარის ღირებულების პროდუქტი იყო.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება, ქურდობის ფაქტზე 177-ე მუხლით დაიწყო. (pia.ge)

## „დიდი ალბათობით, ეს პროვოკაცია იყო“ - გია ვოლსკი კორცხელის ინციდენტზე



ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში მომხდარ ინციდენტზე კომენტარი გააკეთა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ. – თვითონ ეს შეხლა-შემოხლა, ცემა, ჩხუბი არის ის, რაც ჩვენს იმიჯს აზიანებს და ვფიქრობ, საქართველოსთვის არ არის ეს კარგი უპირველეს ყოვლისა. მაგრამ არის ერთი თემა, რასაც ჩვენი მხარდამჭერები და მოქალაქეები მეუბნებიან, რომ იქ, ზუგდიდში, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის წაგება ფაქტობრივად რეალური გახდა. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით, ეს პროვოკაცია იყო. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეიძლება იყო კიდევაც პროვოკაცია, ცხელი სისხლი აქვთ ახალგაზრდებს, მაგრამ აბსოლუტურად შეუსაბამოა იმ პრინციპებთან, რასაც გიორგი კვირიკაშვილი, როგორც ჩვენი ლიდერი და ყველა ჩვენგანი კარნახობს ამ ქვეყანას. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ საზოგადოების წინაშე, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ საქართველო არის 21-ე საუკუნის განვითარებული ქვეყანა, სადაც არჩევნების გაყალბება, დაპირისპირება, ზეწოლა, სახლში შევარდნები, ოჯახის წევრების სამსახურიდან მოხსნა 2012 წელს ჩავაბარეთ წარსულს. ამაზე მეტყველებს უამრავი ანგარიში საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და ჩვენ არ უნდა დავაკნინოთ იმიჯი, რომ ვიღაცამ ვერ მოითმინა თუნდაც პროვოკაცია, - განაცხადა გია ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

**● და რა უნდოდათ მაგ „ცხელსისხლიან ახალგაზრდებს“, სპორტსმენებს საარჩევნო უბანზე, თქვე კაი ხალხო? მე ჩავიყვანე თუ ჩემმა მეზობელმა ჯაგამ, ჰა?! კი ითქვა, თავად „ნაცების“ ამბავიაო, მაგრამ ასე გამეტებით გაახევინეს თავ-პირი? არა, მაგათგან კი ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ასეც არ გაიმეტებდნენ საკუთარ ფიზიონომიას — ორი, ჰა და ჰა — სამი ჭიტლაყიც ეყოფოდათ ასაჯაჯღანებლად, მაგრამ ფაქტია, გაცილებით მეტი მოხვდათ და ახლა გინდ პროვოკაცია დაარქვით, გინდ — კოჰაბიტაციის დასასრული, მომხდარს საპარლამენტო არჩევნებამდე ძალიან ბევრჯერ ამოგადენენ ძმრად გაძუყნული „ნაცები“!**

## რომელი ქვეყნის მოქალაქეები იხდიან ყველაზე მაღალ გადასახადებს




ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალ საშემოსავლო გადასახადებს ბელგიის მოქალაქეები იხდიან.

შესაბამის მონაცემებს ორგანიზაციის ახალი ანგარიში „საშემოსავლო გადასახადი 2016“ შეიცავს.

დოკუმენტის თანახმად, საშუალო ხელფასის მქონე დაუოჯახებელი ბელგიელი ყოველწლიურად, საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსავლების 55 პროცენტზე მეტს იხდის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეიტინგში ბელგიის შემდეგ მეორე ადგილს ავსტრია იკავებს, სადაც საშემოსავლო გადასახადი თითქმის 50 პროცენტს შეადგენს. მესამე ადგილზეა გერმანია 49,4 პროცენტით.

ყველაზე დაბალ საშემოსავლო გადასახადს ჩილეს მოქალაქეები იხდიან, სადაც სახელფასო ბეგარა მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენს.

ანგარიშის თანახმად, ევროპაში საშემოსავლო გადასახადი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში აღნიშნული გადასახადი საშუალოდ 35,9 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი საშემოსავლო გადასახადის მქონე ქვეყნების ათეულში მხოლოდ ევროპული ქვეყნები მოხვდნენ, მათ შორის უნგრეთი (49%), იტალია (49%), საფრანგეთი (48,5%), ფინეთი (43,9%), ჩეხეთი (42,8%), შვედეთი (42,7%) და სლოვენია (42,6%). (bpn.ge)

**● აუხ, გულზე შემოეყრება ეს ამბავი ადამიანს — ხელისუფლების არაერთი მაიმუნობა-მამაძაღლობის გათვალისწინებით, ხვალ-ზეგ ადგებიან და იტყვიან — აგე, ევროპაში როგორი წეს-კანონებიაო და ისედაც ხომ სისხლს გვიშრობენ, უარესად გაგვწყვეტენ წელში!**

## „რუსთავი 2“: ბიძინა ივანიშვილმა შესაძლოა მარტვილის კანიონი იყიდოს



ბოტანიკური ბაღის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი შესაძლოა, მარტვილის კანიონით დაინტერესდეს.

ადგილობრივი ხელისუფლება უკვე მზად არის უნიკალური ტერიტორიის გასხვისებაზე ტენდერი გამოაცხადოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტეროტორია მოსახლეობის ნაწილის ერთადერთი შემოსავლის წყაროა, რამდენიმე თვეა კანიონი როგორც ტურისტებისთვის, ასევე, ადგილობრივებისთვის დაკეტილია.

მარტვილის რაიონის გამგებელი ყოფილ პრემიერს მარტვილის კანიონითა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ყიდვას სთხოვს. ალექსანდრე გრიგოლავა ამბობს, რომ კანიონის მიმდებარე ხეობაზე ტენდერი უნდა გამოცხადდეს.

ის, რომ ბიძინა ივანიშვილი კანიონის მიმდებარე ტერიტორიით უკვე დაინტერესდა, ამაზე მარტვილის რაიონის სოფლების მოსახლეობა საუბრობს. მათი ინფორმაციით, ხეობას რომელსაც რამდენიმე წლის წინ დაცული ტერიტორიის სტატუსი მიენიჭა, გასაყიდად ამზადებენ და მყიდველი სავარაუდოდო სწორედ ყოფილი პრემიერი იქნება.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა ტერიტორიის შესაძლო გასხვისებას აპროტესტებს, მათი შემოსავალია. წლების განმავლობაში მარტვილის კანიონის ახლომდებარე სოფლების მაცხოვრებლები თავს ტურისტების მომსახურებით ირჩენდნენ.

ტერიტორიის გაყიდვის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ და მარტვილის კანიონის დახურვას იქ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებით ხსნიან გარემოს დაცვის სამინისტროში.

უწყებაში ამბობენ, რომ მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის კანიონის საწყლოსნო მონაკვეთზე ტურისტული სერვისის მართვის უფლების პირდაპირი წესით გადაცემა იგეგმება. (daijesti.pia.ge)

## ყველა საქმე მოათავა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და აჰა, მოედნის სახელის შეცვლისთვისაც მოიცალა



თბილისის მერი ვარდების მოედნისთვის სახელის გადარქმევის მომხრეა. დავით ნარმანიას განმარტებით, საკითხის განხილვა საკრებულოს კომპეტენციაში შედის და გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს.

– საკითხის განხილვა თბილსიის საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება, დადგენილი წესით დედაქალაქის საკრებულო განიხილავს ამ საკითხს და მიიღებს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ჩემი პოზიცია არის ის, რომ მას სახელი უნდა გადაერქვას, - აღნიშნა ნარმანიამ. ცნობისთვის, თედო კობახიძის ინციატივით, თბილისის საკრებულოში შევიდა წინადადება, რომ ვარდების მოედანს სახელი გადაერქვას და მას ისევ რესპუბლიკის მოედანი ეწოდოს. (pia.ge)

## ჩინეთი აფრიკაში ძროხის ნაცვლად, ადამიანის ხორცს აგზავნის?!




ჩინეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს „ფეისბუკით“ გავრცელებულ ინფრმაციას იმის შესახებ, რომ ჩინეთი აფრიკის სუპერმარკეტებში ძროხის ნაცვლად ადამიანის ხორცს აგზავნის.

როგორც გამოცემა **Independent**-ი წერს, ჩინეთის ხელისუფლება იძულებული გახდა აფრიკულ პუბლიკაციას გამოხმაურებოდა, რადგან გამოქვეყნებულ ფოტოებსა და ინფორმაციას რამდენიმე საათში 26168 გაზიარება ჰქონდა.

სამხრეთ აფრიკული გამოცემები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და განაცხადეს, რომ ჩინეთის ჭარბი მოსახლეობის გამო, ხელისუფლება მათ დასასახლებლად და დასასაქმებლად ადგილებს ვერ შოულობს, ამიტომაც ადამიანების ხორცით ვაჭრობა გადაწყვიტეს.

აღნიშნულ თემაზე, ჩინეთის ელჩმა ზამბიაში იანგ იოუმინგმა ჩინურ მედიასთან ისაუბრა.

– ადგილობრივმა გაზეთებმა გაავრცელეს ჭორი იმის შესახებ, რომ ჩინეთი ადამიანის ხორცს იყენებს და მას აფრიკის ქვეყნებში აგზავნის. ეს არის სრული ცილისწამება, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის. აღნიშნული ქმედების მიმართ გამოვხატავთ აღშფოთებას და მკაცრ სასჯელსაც მოვითხოვთ, - განაცხადა დიპლომატმა. (ნიუპოსტი)

## მტკვარში მანქანით გადავარდნილ მღვდელ-მონაზონის ცეხდარი ნაპოვნია



სამაშველო სამსახურში ოფიციალურად ადასტურებენ ინფორმაციას, რომ მტკვარში გადავარდნილი ავტომანქანიდან სასულიერო პირის ცხედარი ამოიტანეს.

რამდენიმე დღიანი ძებნის შემდეგ, მაშველებმა მტკვარში გადავარდნილი ავტომანქანა იპოვეს, რომელსაც მღვდელ-მონაზონი ბასილი მართავდა.

17 მაისს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მშრალი ხიდის მიმდებარედ „ოპელის“ მარკის ავტომობილი მტკვარში გადავარდა. მაშველები მძღოლსა და ავტომობილს ამ დრომდე ეძებდნენ. (ნიუპოსტი)

## ბათუმის შემოგარენში ზიკას ვირუსის გადამტანი კოღო დაფიქსირდა




ზიკას ვირუსის პრევენციის მიზნით აჭარაში სადეზინფექციო ღონისძიებები მიმდინარეობს. ხდება ყველა შენობა-ნაგებობისა და სკვერის დეზინფექცია.

როგორც ჯანდაცვის ცენტრში განმარტავენ, ეს არა მხოლოდ ზიკას, არამედ დაავადებების გადამტანი მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებებია და პრევენციისთვის ყოველწლიურად ტარდება.

მათივე თქმით, ზიკას ვირუსის გადამტანი კოღო ბათუმის შემოგარენში დაფიქსირდა, სავარაუდოდ ის სარფიდან ტვირთს შემოჰყვა.

ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ მწერები დაინფიცირებულები არ არიან, დაავადების აღმოცენების საფრთხე არ არსებობს და შესაბამისად, არც პანიკის საფუძველია. (rustavi2.com)

## მეტეხის ხიდიდან შუახნის მამაკაცი მტკვარში სტრესის მოსახსნელად გადახტა



1969 წელს დაბადებული ალექსანდრე აკოფიანი მეტეხის ხიდიდან გადახტა. მისი ამოყვანა მაშველებმა ხიდიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ტივებთან შეძლეს.

მამაკაცს, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სასწრაფო დახმარებამ პირველადი დახმარება აღმოუჩინა. როგორც დაზარალებულმა განაცხადა, ის მტკვარში საბანაოდ და სტრესის მოსახსნელად გადახტა. (2030.news)

## გორის მუნიციპალიტეტში 4 წლის ბავშვი გაუჩინარდა



სოფელ ბობნევში მეორე დღეა 4 წლის ბავშვს ეძებენ. ,,ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, მცირეწლოვანი ბიჭი გუშინ დღის მეორე ნახევარში გაუჩინარდა. ბავშვის სამძებრო სამუშაოებში, სამართალდამცველები არიან ჩართულები.

მის კვალს ვერ მიაკვლიეს მშობლებმა და თანასოფლელებმა, ისინი ბავშვს ამ დრომდე ეძებენ.

მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველებმა, ბავშვის მშობლები და ნათესავები უკვე დაკითხეს. ბიჭი ბოლოს სახლის ეზოში ნახეს. (ნიუპოსტი)

# საქართველოს რკინიგზამ გრანდიოზულ მოვლენას უმასპინძლა

## ორსართულიანი მატარებლების შემოსვლის თარიღი ცნობილია!



თბილისმა სარკინიგზო ინდუსტრიაში მთავარ მოვლენას, საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლა. 10 წელზე მეტია, რაც საქართველოში ასეთი გრანდიოზული ღონისძიება არ ჩატარებულა. სასტუმრო „რედისონში“ 17 ქვეყნის რკინიგზის ადმინისტრაციების საბჭოს რიგით 64-ე სხდომა გაიმართა. საქართველოს რკინიგზამ უმასპინძლა, ბელორუსის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის, რუსეთის, ტაჯიკეთის, ირანის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ფინეთის, ესტონეთის, სულ, 180 წარმომადგენელს.

სხდომა ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ გახსნეს.

კახა კალაძემ ხაზი გაუსვა, სარკინიგზო კომუნიკაციებისა და გადაზიდვების მნიშვნელობას და განაცხადა: „სარკინიგზო კომუნიკაციები და გადაზიდვები – ეს არის პატარა თუ დიდი ხიდები ჩვენს ქვეყნებს შორის, ეს არის კავშირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სიამაყით გვსურს, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს რკინიგზას წამყვანი როლი უკავია ამ გეოინტეგრაციულ კომუნიკაციაში. ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ისტორიულად იყო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი. ჩვენს ქვეყანაზე გადიოდა და გადის სავაჭრო, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირების უმოკლესი და ეფექტური გზა“. ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ რკინიგზის თითოეულ თანამშრომელს, რომელთაც ამ მნიშვნელოვან საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ, მადლობა გადაუხადა.

საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა, მამუკა ბახტაძემ, საერთაშორისო ფორუმი სარკინიგზო ინდუსტრიაში მთავარ ღონისძიებად შეაფასა და განაცხადა: „საქართველოში ასეთი ღონისძიება 10 წელზე მეტია, არ ჩატარებულა. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი რკინიგზისთვის. განსახილველ საკითხებში შედის როგორც ტექნიკური, ასევე კომერციული ხასიათის პროექტები. გარდა ამისა, ჩვენ გუშინ მოვაწერეთ ხელი ახალ გამჭოლ ტარიფებს, რომელიც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს დამატებითი ტვირთების მოზიდვას“...

ცნობისთვის, გეტყვით, რომ საბჭო 1992 წელს შეიქმნა და წელიწადში ორჯერ იმართება. მისი მიზანია, შეიმუშაოს ტექნოლოგიური და ტექნიკური დოკუმენტები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საბჭოს წევრი ქვეყნების რკინიგზების ურთიერთთანამშრომლობას საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლაში. 64-ე სხდომაზე განხილეს – მატარებლების მოძრაობის გრაფიკის ნორმატივები; 2015 წელს სატვირთო კონტეინერების გადაწერის შედეგებისა და 2016 წელს სატვირთო ვაგონების გადაწერის პროცედურის მომზადება; რკინიგზის ადმინისტრაციებს შორის ანგარიშსწორების მდგომარეობა 2015 წელს და 2016 წლის პირველ კვარტალში.

საერთაშორისო ფორუმზე ცნობილი გახდა, რომ გერმანიის სარკინიგზო ოპერატორი **Deutsche Bahn** ჩინური ტვირთების გადაზიდვებისთვის საქართველოს დერეფანს გამოიყენებს და შესაბამისი ხელშეკრულება „საქართველოს რკინიგზასა“ და **Deutsche Bahn**-ს შორის ხვალ გაფორმდება.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს რკინიგზამ“, ყაზახურ მხარესთან შეთანხმებას მიაღწია და 1-ლი ივნისიდან ნავთობისა და ხორბლის შეღავათიან ფასად გადაზიდვა დაიწყება. „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე ელის, რომ ყაზახური წარმოშობის ტვირთების გადაზიდვა იმ დერეფანში, რომელიც საქართველოზე გაივლის, გაიზრდება. როგორც მამუკა ბახტაძე აცხადებს: „ტვირთების სახეობებზე ხელმოწერილი ხელშეკრულება ითვალისწინებს შეღავათიან ტარიფებს ყაზახური წარმოშობის მუქ ნავთობპროდუქტებზე და ყაზახურ ხორბალზე. მნიშვნელოვანი მოლოდინი გვაქვს, რომ წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებენ აღნიშნული ტვირთის გადაზიდვას როგორც ბათუმის, ისე ფოთის მიმართულებით“.

17 ქვეყნის რკინიგზის ადმინისტრაციების საბჭოს რიგით 64-ე სხდომაზე, ცნობილი გახდა, რომ ორსართულიანი მატარებლები, რასაც ასე მოუთმენლად ელოდება მოსახლეობა, საქართველოში 17 ივლისს შემოვა. ამის შესახებ საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა, მამუკა ბახტაძემ განაცხადა: „თქვენ იცით, რომ ზაფხულისთვის სიურპრიზი მოვუმზადეთ ჩვენს მგზავრებს. ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, მათ უფლება მოგვცეს ჩვენ, შევისყიდოთ 4 ერთეული ახალი ორსართულიანი მატარებელი, რომელიც ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ტექნოლოგიად ევროპაში. მატარებლების შემოსვლას ველოდებით 17 ივლისს და შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტის გავლის შემდეგ, ზაფხულშივე ის დადგება მომსახურებაზე თბილისი-ბათუმის მიმართულებით“.

„საქართველოს რკინიგზა“, კიდევ ბევრი, ინოვაციური პროექტის განხორციელებასა და მოსახლეობისთვის საინტერესო სიურპრიზს გეგმავს, რასაც ჩვენ გზადაგზა გაგაცნობთ.

*ანი გიორგობიანი*

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**შემზარავი ფაქტი მოხდა 19 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ოთხმა შეიარაღებულმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა გალის მკვიდრი გიგა ოთხოზორია. როგორც ირკვევა, მკვლელი რაშიდ კანჯი-ოღლი, რომელმაც მეექვსე საკონტროლო გასროლა განახორციელა, არის თურქი წარმოშობის აფხაზი.**

**ექსპერტი კავკასიის საკითხში მამუკა არეშიძე ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე „ალიას" კითხვებს პასუხობს:**

**— ბატონო მამუკა, გახდება თუ არა ეს სასტიკი მკვლელობა რუსეთთან დაპირისპირების საბაბი?**

– დაპირისპირების გამყოფ ხაზზე, კონფლიქტის ზონაში ასეთი უბედურებები ხშირად ხდება. გიგა ოთხოზორიას მკვლელობა კი განსაკუთრებული ცინიზმით არის შესრულებული, ეს არის გულის გამხეთქავი საზოგადოებისთვის, თუ საკითხს ცივი გონებით მიუდგები და თუ პოლიტიკური პარტიები ამ თემით ქულების ჩაწერას არ დაიწყებენ, მაშინ მიხვდებით, რომ, სამწუხაროდ, ყველა კონფლიქტის ზონაში ასეთი უბედურებები ხდება. ავიღოთ ყარაბახის კონფლიქტი, იქ საშუალოდ დღეში ერთი ადამიანი იჭრება, კვირაში კი ერთი ადამიანი იღუპება. ასეთივე ვითარებაა კოსოვოში, ოსეთისა და ინგუშეთის დაპირისპირების ზონაში. სხვათა შორის, რუსმა სამშვიდობოებმა აფხაზეთის სოფლები რამდენჯერმე დააწიოკეს, არასრულწლოვან გოგონებს აუპატიურებდნენ, რის გამოც შური იძიეს და რუსი ჯარისკაცები მოკლეს. სადაც ჯარი დგას, როგორც წესი, ასეთი უბედურებები ხდება დაპირისპირება მომხდარა ეთნიკურ ნიადაგზე და ირკვეოდა, რომ იქითა მხარეს ეთნიკური ოსები იყვნენ რუსეთის ჯარის შემადგენლობაში. ასე რომ, ვერ გაიგებ რეალურად სად მსახურობენ ისინი. დავუშვათ, ოთხოზორიას მკვლელები მსახურობდნენ აფხაზეთის სასაზღვრო ქვედანაყოფში. სამწუხაროდ, ასეთი რამ წლებია, ხდება კონფლიქტის გამყოფ ზოლზე. ამ მკვლელობის პარალელურად ხუთი კაცი გაიტაცეს რუსმა მესაზღვრეებმა. ეს არის კონფლიქტის ზონაში ცხოვრების სამწუხარო წესი.

**— მკვლელობა მოხდა ე.წ. საზღვრიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით, როგორ და სად უნდა იდგეს საგუშაგოები, მკაცრად არის განსაზღვრული. მაგრამ აქ მთავარია ის, რამდენად მკაცრად აკონტროლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საზღვარს, რომ ვერავინ გაბედოს მსგავსი ვანდალიზმის ჩადენა.**

– ამ პერიმეტრს უნდა აკონტროლებდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტინგენტი. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები შემთხვევის ადგილზე რომ იმყოფებოდნენ, ეს ჩემთვის ნათელია. იმდენად სწრაფად მოხდა დამნაშავეების დადგენა. ისინი, ალბათ, სამოქალაქო ფორმაში იყვნენ გადაცმულები. მათი მეშვეობით მოხდა მკვლელების ვინაობის დადგენა და მოწმეების ჩვენების მოპოვება. იმავე საღამოს ვიცოდით, ვინ იყო მკვლელი და მისი თანამზრახველი. ჩვენ რომ ისრაელი ვიყოთ და მოსადი გვყავდეს, ისევე გვქონდეს ხელ-ფეხი გახსნილი დასავლეთისგან, როგორც ისრაელის სპეცსამსახურებს, მაშინ მერწმუნეთ, ოთხოზორიას მკვლელი, ადრე თუ გვიან, მკვდარი იქნებოდა. მე არ ვიცი, ხოლმე, მაგრამ ეს კიდევ სხვა შემთხვევაა. ჩვენ კონკრეტული ინფორმაცია არ გვაქვს ამ მკვლელობის შესახებ, ისინი აფხაზეთის სასაზღვრო რაზმში იყვნენ, თუ რუსეთის შეიარაღებულ რაზმში.

**— ოფიციალური ინფორმაციით, მკვლელები ე.წ. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები და აფხაზეთის მკვიდრი არიან. მათი სახელები ცნობილია, კერძოდ, მკვლელის — რაშიდ კანჯი-ოღლის თანამზრახველები იყვნენ ბესიკ კურტ-ოღლი, არკადი კვეკვესკირი და ალიას ცვეივა.**

– დიახ, ეს ადამიანები არიან აფხაზეთის მკვიდრნი, მაგრამ ჩვენ გვქონია შემთხვევები, იგივე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ჩვენს სპეცსამსახურებს რა გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, ეს არის დეტალები, რაზეც გაზეთის ფურცლებიდან საუბარი არ შეიძლება. არაერთი ადამიანი, რომელსაც ქართველების მკვლელობაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, დღეს ცოცხალი აღარ არის. როგორ ხდებოდა მათი ლიკვიდაცია, ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან რომ იცოდეთ, აფხაზები „ალიას" ინტენსიურად კითხულობენ, 2011 წელს ჩემი ნათქვამი დამახვედრეს აფხაზებმა თურქმესხებთან დაკავშირებით და რომ ჩავედი, დოკუმენტად დამიდეს გაზეთი „ალია" და გვერდით ედოთ რუსულად ნათარგმნი სტატია. მაგრამ ზედაპირულად რის თქმაც შემიძლია, არის ის, რომ პირობითი საზღვარი კონტროლდება.

**— ბატონო მამუკა, შესაძლოა, პარტიზანების ინსტიტუტმა დრო მოჭამა, მაგრამ ფიქრობთ თუ არა, რომ საჭიროა ქართულმა მხარემ მოქალაქეების დაცვის მიზნით მსგავსი ორგანიზაცია შექმნას და პრევენცია განხორციელდეს?**

– პარტიზანები იმ ფორმით, როგორი ფორმითაც ადრე არსებობდა, არ უნდა იყოს, მაგრამ მათ ვილაცის აუცილებლად უნდა ეშინოდეთ. იმიტომ კი არა, რომ მუდმივი კონფრონტაციის პირობებში იყვნენ პირობით საზღვარზე, არამედ მათ რაღაცის რიდი უნდა ჰქონდეთ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით უნდა შეიქმნას ძალისა და დიპლომატიური მოლაპარაკების კონსოლიდირებული ფაქტორი. ახლა რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეს არ არის პოლიტიკოსის ენა, მაგრამ, რადგან მე ექსპერტი ვარ და თან აღშფოთებული შექმნილი სიტუაციით, შემიძლია, ასე ვისაუბრო. არსებობს მექანიზმები, რომლითაც შეიძლება მდგომარეობის შეცვლა, მაგალითად, კარგია, რომ აღდგა გალის მოლაპარაკებები, იქაც შეიძლება ამ საკითხის დასმა, ალბათ, ქართული მხარე მიაწვდის აფხაზურ მხარეს ვიდეომასალას და მოითხოვს მკვლელის დასჯას, თუმცა დარწმუნებული ვარ, მკვლელი იქ უკვე აღარ არის და იგი ანრი დუხინის სახელით იმალება სადღაც რუსეთის ტერიტორიაზე. თუმცა დარწმუნებული ვარ, მისი პოვნა, ადრე თუ გვიან, შეიძლება... ახლა გეტყვით კულუარულ ამბავს, რას ფიქრობს აფხაზური ელიტა, ისინი დაინტერესებული არიან მკვლელის დაკავებით და პირად საუბრებში ამას არც მალავენ, ჯანსაღად მოაზროვნე აფხაზები თვლიან, რომ მათ თავი მოეჭრათ, რადგან საზღვარზე ბანდიტები დგანან, არიან რადიკალები, ვინც ამბობენ, რომ რაც მოხდა, ეს კარგია, ქართველები ჭკუას ისწავლიანო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, აფხაზებიც არიან ამ ფაქტით შეწუხებულები.

**ექსპერტი**



# „პარტიზანები იმ ფორმით, როგორი ფორმითაც ადრე არსებობდა, არ უნდა იყოს, მაგრამ მათ ვილაცის აუცილებლად უნდა ეშინოდეთ"

## „ჩვენ რომ ისრაელი ვიყოთ და მოსადი გვყავდეს, ოთხოზორიას მკვლელი მკვდარი იქნებოდა..."

**„აფხაზები „ალიას" ინტენსიურად კითხულობენ... იქ რომ ჩავედი, დოკუმენტად დამიდეს გაზეთი „ალია" და გვერდით ედოთ რუსულად ნათარგმნი სტატია"**




**„ახლა გეტყვით კულუარულ ამბავს, რას ფიქრობს აფხაზური ელიტა, ისინი დაინტერესებული არიან მკვლელის დაკავებით და პირად საუბრებში ამას არც მალავენ, ჯანსაღად მოაზროვნე აფხაზები თვლიან, რომ მათ თავი მოეჭრათ, რადგან საზღვარზე ბანდიტები დგანან, არიან რადიკალები, ვინც ამბობენ, რომ რაც მოხდა, ეს კარგია, ქართველები ჭკუას ისწავლიანო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, აფხაზებიც არიან ამ ფაქტით შეწუხებულები"**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



**ხათუნა ხოფერია :**

რამდენიმე შეკითხვა მაქვს:

1. კოეცხელის 53-ე უბანის კომისიაში არის თუ არა ნაციონალური მოძრაობის კვოტით კომისიის წევრი?
2. ყავს თუ არა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს წარმომადგენელი ამავე უბანზე?
3. რა დარღვევა მოხდა 53-ე უბანზე?( გარე დაპირისპირებამდე)
4. ყავს თუ არა ნაციონალურ მოძრაობას კომისიის წევრი საოლქო საარჩევნო კომისიაში?
5. დაფიქსირდა თუ არა საოლქო კომისიაში 53-ე უბნიდან ისეთი დარღვევა, რომელიც უბანზე არჩევნების ჩაშლის შაშიშროებას ეხებოდა?(გარე დაპირისპირებამდე)
6. რა სტატუსიტ იყვნენ მისული ბოკერია, წუკლარა, ხერხეულიძე, მინაშვილი, დამენია, გუნავა და ა. შ. 53-ე უბანთან?
7. რა უნდოდათ, რას აკეთებდნენ ცნობილი სახეები საარჩევნო უბნის გარეპერიმეტრზე?




**ირმა ნადირაშვილი:**

მსგავსი განუკითხაობა არასდროს მინახავს. არ იყო პოლიცია. თბილისიდან ჩამოყვანილი მოჭიდავეები და რაგბისტები რკინის დუბინკებით და კასტეტბით შეიარაღებულები უსწორდებოდნენ ადამიანებს. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ კორცხელში არჩევნებს ნაციონალური მოძრაიბა იგებს.

**ანი კიკნაძე** ირმა, არ გრცხვენია? ჩვენი საამაყო სპორტსმენები რომ გასვარე ასე დაუფიქრებლად და უნამუსოდ?

გიორგი ღულუნიშვილი -მსგავსი არასდროს უნახავს ))

**ქართული რაგბი** - რომელი მორაგბე გცემდათ ?)) კაჭარავა ყოფილა და მიქაუტაძეო ხომ? ?)» საიდან მოგაქვთ ამდენი ტყული ? ტულონიდან სპეცრეისი ყოფილა

**დოდონა კიზირია**

.... საქართველოს მოქალაქეს კლავენ საქართველოს ტერიტორიაზე, თანაც იმ ნაწილში, რომელიც ჯერ (!!!) არ არის ოკუპირებული რუსეთის მიერ და ქვეყნის პრეზიდენტი "სტრატეგიული თმენის" პოლიტიკას ირჩევს. ასეთი მონური, ბრიყვული, დამამცირებელი არაფერი გამიგია იმის შემდეგ, რაც ბორია ივანაშვილმა მოსახლეობას მოუწოდა ყაჩაღობას, მკვლელობას და ქურდობას "გაგებით მოეკიდეთო."



**გიორგი ბარამიძე:**

ვისაც დღევანდელი ძალადობის ფაქტზე ინფორმაცია გაინტერესებთ, წაიკითხეთ გივის ეს პოსტი. გაგრძელება და სხვა დეტალებიც იქნება შემდეგში.

შსს-მ თითქოს გამოძიება დაიწყო. აგერაა კონკრეტული ფაქტები და სახელი და გვარები, მაგრამ ოლიგარქის მონები არაფერს გააკეთებენ.

8 ოქტომბერს ხალხი მიხედავს მაგათ ყველას ერთად!






**გიორგი ონიანი:**

მინდა გამოვეხმაურო კორცხელში მომხდარ დღევანდელ ფაქტს და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო,ეს არ არის დასუსტებული ხელისუფლება, ეს არის დასრულებული ხელისუფლება.

Facebook ამბები




ცოტნე გამსახურდია:

დღეს დილას სამეგრელოში სრულიად ამაზრზენი, სამარცხვინო ფაქტი მოხდა! ალბათ მხოლოდ გონებასუსტი ან უსინდისო თუ იკადრებს, რომ ნაცმოძრაობისა და გიგა ბოკერიასადმი სიმპატიაში დამადანაშაულოს... მაგრამ მსგავსი მოვლენები ბოკერიას, სააკაშვილს, მათი იდეოლოგიური მამის - შევარდნაძის ეპოქაში აბრუნებს ქვეყანას და სიცოცხლეს უხანგრძლივებს მათ მეთოდებს.

მაგალითად, მახსოვს, როცა 1993 წელს ოციოდე წლის გიგა ბოკერია წიხლებით შედგა ასაკოვან, ავადმყოფ ქალბატონს, ცხონებულ ვალერია ნავადვორსკაიას უნივერსიტეტის ბაღში მხედრიონელებთან ერთად, რადგან მან ზვიად გამსახურდიასადმი მხარდაჭერის გამოხატვა გაბედა. ასეა, როდესაც არ არის არგუმენტები, მის ადგილს ძალმომრეობა იკავებს. მოსახლეობას შეუძლია დარწმუნებულიიყოს მასში, რომ ის, ვინც მსგავსი მეთოდებით ცდილობს გამარჯვებას ოპონენტებზე, ხალხს კარგს არაფერს უქადის! მერამდენედ უნდა ვნახოთ მოძალადე, უარგუმენტო ძალა ხელისუფლებაში, განხილვისა და პოლემიკისათვის დაკეტილი სივრცე? სივრცე, სადაც მართალია ის, ვისაც ძალა აქვს, ვინც ხელისუფლებაშია, ვინც როგორც უნდა ისე ჭრის და კერავს ამ უბედურ, შაგრენის ტყავივით დალეულ ქვეანას, ითვისებს, ანადგურებს მის რესურსებს და საარსებო არეალს!?

უმკაცრესად უნდა დაისაჯონ ამ ინციდენტის შემსრულებლები და ორგანიზატორები, ისინი,ვინც დღეს კვლავ აყალიბებს ზონდერჯგუფებს და ვინც იქ სპორტსმენების მობილიზაცია მოახდინა! არ მითხრათ ახლა, თავისით მივიდნენო. თუ ასე ერჩით გული და ძალა, იქედან ოციოდე კილომეტრში ქართველების მკვლელ ოკუპანტებს გაცენ პასუხი, თუ ბიჭები არიან! მაგრამ არა, ისინი არიან უბრალოდ მონები, ზონდერები, გლადიატორები, ისეთივე - როგორებმაც ამ რამოდენიმე წლის წინ ქვები დაუშინეს იმავ კალაძეს, რაც წესით უნდა ახსოვდეს ქართულ ოცნებას...

ასეა თუ ისე, დღეს ბოკერიამ გაიმარჯვა... მისი ქმედებების სტილი ცოცხალია, ზეობს, და კიდევ არაერთი წლის განმავლობაში უპერსპექტივო ჯუნგლად ყოფნას უქადის ქართულ პოლიტიკას.

# მარაზმში ვცხოვრობთ

**„ძალიან სასაცილოა, გიგა ბოკერიას დავალებით ვინც ჩვენ გვირტყამდა, ზუსტად იგივე ხალხი, ოღონდ უკვე ამ ხელისუფლების დავალებით, ურტყამს ბოკერიას“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ექსპერტი



**გენერალური რეპეტიცია გავლილია, შუალედურმა არჩევნებმა ფრონტის ხაზი გახსნა, კორცხელში დაძაბულობა და ხელჩართული ომი იმის მანიშნებელია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება გადამწყვეტი შეტევა, სადაც დანდობა არ იქნება.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები გიგა ბოკერია, ნიკა მელია და თენგიზ გუნავა ქართველმა სპორტსმენებმა უმოწყალოდ სცემეს და მათი მობილიზება მოახდინა კახი კალაძემ, — ასეთია „ნაცმოძრაობის“ ვერდიქტი. კახი კალაძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავდა მობილიზებული ზონდერჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გიგა ბოკერია და მათი პროვოკაციის მთავარი ადრესატი იყო დიპლომატიური კორპუსი, რომელსაც უნდა შეჰქმნოდა არჩევნების არასათანადო გარემოში ჩატარების მცდარი განცდა.**

**შექმნილ ვითარებაზე ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი „ალიასთან“ საუბარში აცხადებს:**

– მიუხედავად იმისა, რომ „ნაცების“ მიმართ გაღიზიანება ბუნებრივია, ვფიქრობ, ერთი და იგივე ხალხი ურტყამდა ხელისუფლების დავალებით ოპოზიციას და ახლა იგივე ხალხი ურტყამს ახალი ხელისუფლების დავალებით „ნაცმოძრაობას“. ჩვენ მივიღეთ სიტუაცია, როდესაც სისტემამ გაიმარჯვა სახელმწიფოზე. როდესაც სასამართლოში დავსვით მურუსიძე, პროკურატურასა და პოლიციაში დავტოვეთ იგივე მენტალიტეტის ადამიანები, რაც მიშას ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი, როცა ზონდერები ახალმა ხელისუფლებამ მინდობილობით გადმოიბარა წინა ხელისუფლებისგან, მარტივი კითხვა უჩნდება ამ დროს ადამიანს, – კი მაგრამ, რა შევცვალეთ ამ ქვეყანაში, თუკი წინა ხელისუფლების დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი „ოცნების“ ხელისუფლებამ წარმატებით გადმოიბარა. აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, ფაქტობრივად, ამ ორ ხელისუფლებას შორის პრინციპული განსხვავება არ არის და „ოცნების“ ხელისუფლებას ისეთივე შედეგი ექნება, როგორი შედეგიც დაუდგა „ნაცმოძრაობას“. ხალხმა მათ უთხრა უარი და თუკი ასე გააგრძელებს „ქართული ოცნება“, ხალხი მასაც უარს ეტყვის. ისე კი, ძალიან სასაცილოა, გიგა ბოკერიას დავალებით ვინც ჩვენ გვირტყამდა, ზუსტად იგივე ხალხი, ოღონდ ამ ხელისუფლების დავალებით, ურტყამს ბოკერიას. მარაზმში ვცხოვრობთ.

**— და რა იქნება დიდ არჩევნებზე?**

– დიდ არჩევნებზე იქნება ომი, შუალედური არჩევნები რომც წააგოს, რა პრობლემაა ხელისუფლებისთვის. ხომ შეიძლება, გეყოს იმდენი ჭკუა, რომ შექმნა დემოკრატიის განცდა და ჩაატარო მშვიდად შუალედური არჩევნები და როცა საომარია, მაშინ იომო.

**— კორცხელში ომი რად უღირს ამ ხელისუფლებას, ეს ვერ გავიგე. ვინც არჩევნებს აგებს, პროვოკაციასაც ის იწყებს. თქვენი აზრით, ეს ვის ინტერესში შედიოდა?**

– კადრებში ჩანს, რომ „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრებს კუნთმაგარი ბიჭები ურტყამენ, არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაციაზე „ნაციონალები“ წავიდნენ, ისინი ამის პროფესიონალები არიან, მაგრამ შენ არ უნდა წამოეგო. კუნთმაგარი ბიჭები რომ გყავს თბილისიდან ჩაყვანილი, მარტივი კითხვაა, რა უნდოდათ მოჭიდავეებს იქ? თუ ასე უხარისხოდ და იდიოტურად ჩატარდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, შეიძლება არჩევნების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ დადგეს.

**— „ქართული ოცნებისთვის“ დრამატული კვირა იყო... პოლიტსაბჭოს ახალმა წევრმა დავით კოღუაშვილმა შოკისმომგვრელი განცხადებები აკეთა, დატუქსა „ოცნება“, მოეფერა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ისურვა, რომ ისეთი ნიჭიერი სახელმწიფო მოხელეების, როგორებიც იყვნენ გიგი და ვანო, ადგილი არ არის ციხეში, რადგან ჯერ კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიათ ქვეყნისთვის. რა თქმა უნდა, ეს ანეკდოტს ჰგავს, მაგრამ კოღუაშვილმა ეს განცხადება, როგორც ჩანს, საღ გონებაზე გააკეთა.**

– მე ვფიქრობ, რომ კოღუაშვილი მოქმედებდა „ახალი ცოცხის“ პრინციპით, ის უცბად აღმოჩნდა პარტიის სათავეში, სადაც მანამდე არ ყოფილა. ამან შეუქმნა ყალბი განცდა, თითქოს მას უკავია ოქროს გასაღები და ვალდებულია, სერიოზულად გადახედოს პარტიის საქმიანობას. საერთოდ, საზოგადოებამ ვერ გაიგო, პოლიტსაბჭოში იმ ცხრა ახალი ადამიანის მოყვანა რას ნიშნავდა... კოღუაშვილი კი შეეცადა, ეჩვენებინა, რომ ის არის საკმაოდ აქტიური, იმოქმედა ახალი ცოცხის პრინციპით და ვერ გაითვალისწინა, რომ საქართველოში ცოცხი ეგზოტიკური მიზნებისთვის გამოიყენება ხოლმე. ასეც მოხდა, საბოლოო ჯამში, მისი გზავნილები უცხო აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“ როგორც ერთი მიმართულებით, როცა ერთმანეთში აურია პარტია და კოალიცია, დატუქსა ყველა, დაარიგა მათ ჭკუა, ასევე მეორე მიმართულებით, მან გააკეთა ძალიან უცნაური გზავნილები გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილზე, ილაპარაკა მათ ნიჭიერებაზე, რაც ღიმილის მომგვრელი იყო. ვანო, როცა ძლევამოსილი გახლდათ, მაშინაც კი საკუთარ გუნდში არ აღიქმებოდა ნიჭიერ პიროვნებად. კოღუაშვილის შემდეგ უცნაური განცხადებები გააკეთა პოლიტსაბჭოს ახალმა წევრმა მდინარაძემ, გაგვიბრაზდა და მოკლედ გვითხრა, ამ თემაზე საუბარი შეწყვიტეთ და ხმა აღარ ამოიღოთო. რაც მათ სჭირთ, ეს არის პოლიტიკური სიბეცის მაჩვენებელი. მე შემაწუხა არა მისი განცხადებების შინაარსმა, რაც თავისთავად არასერიზული იყო, არამედ კოღუაშვილის არაადეკვატურობამ, უადგილობამ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ერთადერთი ადამიანი იყო ამ ქვეყანაში კოღუაშვილი, ვინც არ იცოდა, რომ კოალიცია დაშლილია. როცა თოფაძე დატუქსა, როგორც კოალიციის წევრი, და არ იცოდა, რომ თოფაძე კოალიციიდან გასული იყო.



**„დაზარალდა გიორგი კვირიკაშვილი... როგორც პარტიის თავმჯდომარეს, ჯერ კიდევ არ აქვს ფეხი მოკიდებული და ჩვენ ვნახეთ, რომ საკუთარი გადაწყვეტილების უკან წაღება მოუხდა. ბუნებრივია, ამან ძალიან სერიოზული დარტყმა მიაყენა მის პერსპექტივას, როგორც ლიდერის“**



**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილთან პოლიტსაბჭოს ახალი სახეები შეთანხმებული არ იყო და კვირიკაშვილმა დამოუკიდებლად მიიღო ეს გადაწყვეტილება? ან კვირიკაშვილმა კოღუაშვილის „გაბარიტები“ არ იცოდა?. სამწუხაროდ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო პრემიერი და მან ბოდიში მოიხადა, კოღუაშვილმა თავისი განცხადებით ორ დღეში რეკორდი მოხსნაო.**

– ეს იყო შემთხვევა, როცა კარტბლანში მისცა სრული მოქმედებებისთვის, რომ ბალანსი გაეჩინა პარტიაში და ახალი სახეები მიეყვანა. კვირიკაშვილს სრული თავისუფლება ჰქონდა და არ საჭიროებდა ამ საკითხის შეთ-

გაგრძელება მერვე გვ.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



ზურაბ ჭიაბერაშვილი:

3 წლის წინათ, 2013 წლის 21 მაისს, როდესაც ვანო და მე დაგვაპატიმრეს, ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ივანიშვილის მმართველობას - დაფუძნებულს ტყუილზე, ზიზღზე, სიძულვილსა და ყველაფრის ნგრევაზე - აუცილებლად დავასრულებდით.

ეს დრო მოდის. მოდის დროს მუხლჩაუხრელი შრომის, ქვეყნის შენებისა და ათასობით ადამიანის სიღარიბიდან გამოყვანის.

ეს პერიოდი 8 ოქტომბრიდან დაიწყება. დღეს პატიმრობაში მყოფი ვანო, ბაჩო, გიგი და სხვა ჩვენი თანამებრძოლები თავისუფლები იქნებიან.

წინ, გამარჯვებისკენ!

მეშვიდე გვერდიდან

ანხმებას ივანიშვილთან. მე ვფიქრობ, პრემიერი ზერელედ მიუდგა ამ საკითხს. თუ შენ რეალურად გინდა პარტიაში გახდე მიზიდულობის ცენტრი, მეტი დაფიქრება გმართებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ კვირიკაშვილმა საკუთარ სამეგობროში მოძებნა ხალხი და მექანიკურად ჩაყარა პოლიტსაბჭოში. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა კვირიკაშვილს პარტიის შიგნით ქვედა დონეებზე მოეძებნა ადამიანები და ისინი წამოეწია. წარმოიდგინეთ, ათასობით მოტივირებული ადამიანია, ვნახეთ, რომ საკუთარი გადაწყვეტილების უკან წაღება მოუხდა. ბუნებრივია, ძალიან სერიოზული დარტყმა მიაყენა მის პერსპექტივას, როგორც ლიდერის. შექმნა ილუზია, რომ კომფორტულია მასთან მუშაობა. იმდენად მოსწონდა თავისი თავი ბოლო დროს გიორგი კვირიკაშვილს, ნარცისიზმის მსხვერპლი გახდა, ძალიან გაერთო ფასადის ფორმირებაში და შინაარსში ველარ ჩავიდა, რამაც, საბოლოო ჯამში, წარმოშვა კოლუაშვილი და კოლუაშვილი არ არის შემთხვევითი ფაქტორი, მაგრამ იმდენად არასწორად ვითარდებოდა ტექნოლოგიურად პროცესები, დილემის წინაშე დგას, ამ ეტაპზე პრეზიდენტმა ისინი რომ შეიწყალოს, ეს იქნება სასამართლოს სრული დისკრედიტაციისთვის ხელშეწყობა. ხელაღებით რომ შეიწყალოს პრეზიდენტმა ისინი ისე, რომ არც დაელოდოს სასამართლოს ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილებას, ეს მძიმე შედეგებს მოიტანს.

**— თქვენი აზრით, ხელისუფლებამ ალასანია სამართლიანობისთვის მებრძოლ ლიდერად რატომ აქცია?**

– არ ვიცი, ფაქტი ერთია, პოლიტიკურად სარგებლობს ირაკლი ალასანია და ზიანდება ხელისუფლება. ეს არის ამ ხელისუფლების მაზოხისტური ბუნების გამოვ-



**ექსპერტი**

გამოვლინება მისი მხრიდან. ეს არის მისი პრობლემა და არა, ჩემი. მისი მხრიდან იყო რეაქცია ჩემს განცხადებაზე, როცა ვთქვი, რომ პარტიას უნდა ჰქონდეს ან ელექტორალური მხარდაჭერა, ან პრინციპების ერთგული უნდა იყოს. პარტია, რომელსაც არც ელექტორალური მხარდაჭერა აქვს და სამწუხაროდ, პრინციპებსაც უღალატეს, ასეთ პარტიას არანაირი პერსპექტივა არ აქვს. მან მე მომიხსენია წურბელად და თუ ჩვენ წურბელაზე ვსაუბრობთ ფიგურ-





**„მარტივი კითხვა უჩნდება ამ დროს ადამიანს, — კი მაგრამ, რა შევცვალეთ ამ ქვეყანაში, თუკი წინა ხელისუფლების დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი „ოცნების“ ხელისუფლებამ წარმატებით გადმოიბარა“**

რომელსაც უნდა პარტიული წინსვლა და ისინი ახლა რა ჭკუაზე უნდა დადგნენ, როდესაც ახლად არჩეულ არაღიარებულ ლიდერს ასვამ თავზე და მისგან ისმენენ ასეთ არაადეკვატურ განცხადებებს, თან მაშინ, როცა მასზე ნაკლები განათლება არ გაქვს. ეს იწვევს შიდაპარტიულ დაძაბულობას და კვირიკაშვილის მიმართაც ხდება გაუცხოება. ნაცვლად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრს, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ჰქონოდა მცდელობა, კონსოლიდირება მოეხდინა და პარტიის შიგნიდან წამოეწია ხალხი, მიეცა სტიმული მათთვის, მან არჩევანი გააკეთა საკუთარ მეგობრებზე, რომელთაც „ოცნებასთან“ არავითარი კვეთა არ ჰქონიათ.

**— თქვენი აზრით, დარჩება თუ არა კოლუაშვილი „ქართულ ოცნებაში“ ამ სკანდალური განცხადებების შემდეგ? სხვათა შორის, მას უმრავლესობის ლიდერად ამზადებდნენ.**

– ეს ჩემი საქმე არ არის, ვერ გეტყვით, კოლუაშვილი სად იქნება, ამ ადამიანმა გამოავლინა, რომ ვერც ინტელექტუალურად და ვერც სხვა მხრივ, პირობებს ვერ აკმაყოფილებს და ეს იყო მისი პატარა გაელვება, რაც მარცხით დასრულდა. მთავარი პრობლემა, რაც ძალიან მაწუხებს, არის ის, რომ დაზარალდა გიორგი კვირიკაშვილი. როგორც პარტიის თავმჯდომარეს, ჯერ კიდევ არა აქვს მოკიდებული ფეხი და ჩვენ რომ არ იქნებოდა კოლუაშვილი, მაგრამ იქნებოდა მდინარაძე, ან ფრუიძე იტყოდა რაღაც სკანდალურს. მოკლედ, კოლუაშვილი გახდა სიმბოლო იმ პრობლემებისა, რა პრობლემებიც წარმოეშვა კვირიკაშვილს ამ გზაზე, როგორც არაპროფესიონალ პოლიტიკოსს.

**— „ქართული ოცნება“ რატომ უმალავს მოსახლეობას საარჩევნო სიას?**

– მე ვფიქრობ, რომ დღემდე ვერ მოაბეს თავი სიის ფორმირებას, როგორ ჩანს, გადაწყვეტილების მიმღები ცენტრის ფორმირებას, ამ პროცესში ვიღაცა აპელირებს ბიძინა ივანიშვილზე, ვიღაც – კვირიკაშვილზე, არ არის ჩამოყალიბებული სისტემა, ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სიასთან დაკავშირებით. ვეჭვობ, განა სია იმიტომ არ არსებობს, რომ არ უნდათ, გააკეთონ, უბრალოდ, ვერ აკეთებენ, რადგან ყველას თავისი ვერსია აქვს და არც ის იციან, საბოლოო სიას ვინ დაწერს. რაც იწვევს პრობლემებს.

**— როგორ ფიქრობთ, აპირებს პრეზიდენტი ე.წ. კაბელების საქმის მონაწილე პირების შეწყალებას და თუ გადაწყვეტილი აქვს შეიწყალოს, რატომ აჭიანურებს პროცესს?**

– პრეზიდენტი ძალიან რთული ლინება, რაც არაერთხელ გვინახავს. სადისტური ხელისუფლების შემდეგ ჩვენ მივიღეთ მაზოხისტური ხელისუფლება. მიშამ, როცა იარაღი ხელში ეჭირა, ზუსტად იცოდა ვისთვის ესროლა და რა შედეგს მიიღებდა. „ოცნების“ ხელისუფლებამ მიშას ეს იარაღი წაართვა, მაგრამ მოსაკლავად სხვას ვერ იმეტებს და საკუთარ თავს აყენებს ჭრილობებს. ერთი სიტყვით, ამ ხელისუფლებას ძლიერი ხელის ჩვენება უნდა, მაგრამ იმდენად უხარისხოდ აკეთებს, რომ ბუმერანგივით უკან უბრუნდება. ასე რომ, „კაბელების საქმე“ პირველ რიგში ხელისუფლებას აზიანებს და არა ალასანიას.

**— კოალიციის სუბიექტები „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ შეიკრნენ, მაგრამ გაგდებულები ისინი დარჩნენ, მათ შორის „ოცნების“ წევრმა თამაზ მეჭიაურმაც დატოვა პარტია, რომელმაც „რესპუბლიკელებს“ ფრონტის ხაზი გაუხსნა, ხოლო თავად „რესპუბლიკელები“ ინარჩუნებენ ხელისუფლებას. არც თქვენ აკლებდით კრიტიკას და ლევან ბერძენიშვილმა უშვერი სიტყვებით გაგლანძღათ და წურბელა გიწოდათ. რას უპასუხებდით მას?**

– რა უნდა ვუპასუხო ლევან ბერძენიშვილს?! ეს იყო ისტერიკის ალური თვალსაზრისით, ზუსტად „რესპუბლიკური პარტიაა“ კლასიკური გაგებით წურბელა ქართულ პოლიტიკაში, რომელიც სხვაზე მიტმასნილი გადის ფონს და იღებს სარგებელს. ეს პარტია მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში წურბელას როლს თამაშობს, მათგან განსხვავებით სარგებელი არ მიმიღია, კი ბატონო, ვიყავი პროცესებში, მაგრამ ყველა სარგებელზე ვთქვი უარი და თუ ვინმემ ისარგებლა და წურბელის როლი ითამაშა, ეს არის „რესპუბლიკური პარტია“. „ჩემი შენ გითხარი“-ს პრინციპით რომ ადამიანი ლაპარაკობს, იმაზე არ გავბრაზდები. მით უმეტეს, „რესპუბლიკურ პარტიაში“ ლევან ბერძენიშვილი არ არის ყველაზე უარესი შემთხვევა, ძალიან სასაცილო იყო, ჩემკენ რომ გამოიშვირეს ხელი და თქვეს, რომ მე მოვახდინე პრეზიდენტზე გავლენა და ამიტომ გააკრიტიკა პრეზიდენტმა „რესპუბლიკური პარტია“, როცა თქვა, რომ მეჭიაურსა და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის განსხვავებას ვერ ხედავს, რადგან ორივე პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაციას ახდენდა. როცა პრეზიდენტმა ეს განცხადება გააკეთა, ისე დაემთხვა, რომ პრეზიდენტთან კონტაქტი ერთი თვის მანძილზე არ მქონდა. კონტაქტიც რომ მქონოდა, მასზე გავლენას ნამდვილად ვერ მოვახდენდი.





ნუგზარ წიკლაური (22 მაისი):

ეკა, აკო და მე სტუმრად ვიყავით განმუხურში მეგობართან და მაგარ მებრძოლთან, რომელსაც ბევრი მოძალადისთვის უნანებია ქართველების ჩაგვრა გალში.

ღვინო დაგვახვედრა აფხაზეთში მოწეული ყურძნით დაწურული, - სხვა არც გვაქვსო ჩვენს ოჯახში.

ჰოდა, ეს ქვეყანა არის დაუმარცხებელი, ყველაზე მაგარი და ეს ქვეყანა მომკლავს მე!

საქართველოს გაუმარჯოს!

ვერ გაგვტეხავენ!



დემურ გიორხელიძე:

ლარის კურსი დაეცაო და...

ამ ცოტა ხნის წინ ტარიფებს მიასკდა ჯამაათი, -

უნდა გავზარდოთ, თუარადა... დაიქცა ვიღაცის ჯიბეებიო!

თქვე კაი ხალხო,

ხომ მყარდება ლარი [ისე გაუმყარდა თავი არაერთს!],

ჰოდა,

მიასკდით ახლა და შეამცირეთ ტარიფები!

არა?!

ვერ "იკადრებთ" ამას?! ჰა,ჰა,ჰა!

ვავა ჯორჯია, ვავა!

ვივა ოლიგარქია, ვივა!

თეიმურაზ ნაკაშიძე: - პირიქით, უნდა მოუმატონ! ვინაიდან ხალხი ნაკლებად მოიხმარს ელექტრობას, იმის მეტი ნაწილი მიდის საექსპორტოდ დოლარებზე, და მერე ამ დოლარებიდან ნაკლებ ლარს რომ იღებენ, რავარია!?



ნიკოლოზ მჟავანაძე:

„ზიკას " ვირუსი საქართველოშია.

კოლოა თუ კოლუაშვილმა ხელისუფლებაც და საქართველოს მოსახლეობის ნაწილი უკვე დააინფიცირა..



ნინო ჯღარკავა:

ცოტა იმედი მომეცა!!! ბიძინა გამოჩნდა, როგორც კულუარულად მაცნობეს კარგადაც მიუჯირყვნია ზოგიერთი, ეს კოლო საიდან მოვიდაოო?კოლოს უმრავლესობის ლიდერად მოაზრება ძირშივე მოისპო, ბოდიშებიც კარგად იხადეს ამის გამო! ბიძინა ივანიშვილი შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, რომ ხელი არ ჩამაქნევინე ოცნებაზე!



ინგა გრიგოლია სამაგრელოში მომხდარ ცემა-ტყეპაზე :

არ აქვს დღევანდელ ამბავს არანაირი გამართლება და ნუ ცდილობთ გამართლებას...დიდი არჩევნების რეპეტიციამ ,ყველას სამწუხაროდ,სამარცხვინოდ ჩაიარა....ვერ გაამართლებთ დღევანდელ დღეს იმით,მიშას დროს რაც ხდებოდა...რომ ხდებოდა ,იმიტომაც აღარაა დღეს ხელისუფლებაში ,,ნაციონალური მოძრაობა,,....რა ვქნა,ჩაგეყენებინათ ეგ კუნთმაგარი ბიჭები გასაპროტესტებლად იქ,სადაც გუშინ ახალგაზრდა ქართველი კაცი მოგვიკლეს;(((( ...ძალიან ცუდი იყო დღევანდელი დღე...ძალიან.

# ჩვენ არ ვიბრძვით 10, 20, ან 30 ხმისთვის. ჩვენ ვიბრძვით გამარჯვებისთვის

**სერგო რატიანი: „ყველა მოძალადე იდენტიფიცირებულია სახელებითა და გვარებით! ამ ძალადობაზე პასუხისმგებლობას კალაძე და მთელი მთავრობა ვერ აიცილებს“**

**„უსაფრთხოების სამსახური გადაიქცა ჩვენი მოქალაქეებისთვის საფრთხის მომტან სამსახურად და არა სამსახურად, რომელიც იცავს ჩვენს მოქალაქეებს“**











მაკა დეკანოსიძე

551 99-18-19


2012 წელს დასრულებული სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის რეაბილიტაციას თავად ხელისუფლება რომ უწყობს ხელს, ეს კარგახანია ნათელია. წარსულდავიწყებული და მკვდრეთით აღმდგარი „ნაციონალური მოძრაობა“ კი თავად ხელისუფლების ძალადობრივ პოლიტიკაზე საუბრობს და მისი დასრულებით იმუქრება. ზაფხულში რომ პოლიტიკური ტემპერატურა კიდევ უფრო აიწევს, ამაში უკვე ეჭვი აღარავის ეპარება. სოფელ კორცხელში, შუალედური არჩევნების დასაკვირვებლად ჩასული და ნაცემი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა. იყო თუ არა პროვოკაცია საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან წინასწარ დაგეგმილი, რამდენი გაილახება კიდევ არჩევნებამდე და რატომ იქცევა დღეს ხელისუფლება იგივე მეთოდებით, როგორსაც თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავდა? „ალია“ „ნაციონალური მოძრაობის“ აღმასრულებელ მდივანს **სერგო რატიანს** ესაუბრა:

**— ბატონო, სერგო საარჩევნო ცემა-ტყეპა, როგორც ჩანს, გახსნილად გამოცხადდა, ხელისუფლება პროვოკაციაში გადანაშაულებთ, თქვენი გუნდი კი ვიცე-პრემიერ კალაძეს ადებს ხელს და ნაცლიდერების მიმართ ძალადობაში მის ზონდერებს ადანაშაულებს?**

– ყოველგვარი გადამეტების გარეშე მინდა გითხრათ, რომ კახი კალაძის განცხადება იყო, განცხადება კაცისა, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა სინდისი. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც სამეგრელოში ჰყავდა ჩაყვანილი კალაძეს, ისინი არიან იდენტიფიცირებულნი, სახელებითა და გვარებით. ამ ძალადობაზე პასუხისმგებლობას კალაძე და მთელი მთავრობა ვერ აიცილებს. თან ეს არ იყო ერთჯერადი, შემთხვევითი შეხვედრა. დღიდან მოსვლისა ამ მეთოდით იბრძვიან, სიტუაციას მართავენ სწორედ კრიმინალური დაჯგუფებების მიერ. 60 შემთხვევა იყო ერთი წლის მანძილზე, როდესაც თავს დაესხნენ ჩვენს ოფისებს. არც ერთი შემთხვევა არ არის გამოძიებული. გარდა ამ მეთოდისა, ამ ცემა-ტყეპისა, მათ სხვა რესურსი აღარ დარჩათ. მაგრამ ოქტომბერში ჩვენ დავასრულებთ „ოცნებას“.

**— გასაგებია... გიგა ოთხოზორიას მკვლელობაზე უნდა გკითხოთ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხურჩაში დატრიალებული ტრაგედია შეაფასა, როგორც არსებული ხელისუფლების სუსტი პოლიტიკის შედეგი ოკუპანტის მიმართ, რატომ ფიქრობთ ამას, უფრო ხისტი პოლიტიკა რომ გვქონოდა, ტრაგედიას ავიცილებდით?**

– მეც, რასაკვირველია, იგივე პოზიციაზე ვარ, ეს არის სრულიად არაადეკვატური პოლიტიკა, ფაქტობრივად, ადამიანები არიან დაუცველები და უსაფრთხოების საკითხი ჩვენს ქვეყანაში არის ძალიან დაბალ დონეზე. რეალურად უსაფრთხოების სამსახური გადაიქცა ჩვენი მოქალაქეებისთვის საფრთხის მომტან სამსახურად და არა სამსახურად, რომელიც იცავს ჩვენს მოქალაქეებს. სწორედ ის ფაქტი, რომ ასე უტიფრად და დემონსტრაციულად შეეძლოთ, დაეხვრიტათ ადამიანი ჩვენს ტერიტორიაზე, არის ამ პოლიტიკის შედეგი. ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებელია, მოწვეული იქნას უშიშროების საბჭო.

**— გარდა უსაფრთხოებისა, პრობლემები დღითი დღე მატულობს სასამართლო სისტემაში. 9-წლიანი სასამართლოს პოლიტიკური ტყვეობის შემდეგ, სურათი ჯერაც სავალალოა, რაც თვალსაჩინო კიდევ ერთხელ გახადა „კაბელების საქმემ“. თქვენ ირაკლი ალასანიას გუნდის აქციაზე მიხვედით და მხარდაჭერა გამოუცხადეთ დაპატიმრებულებს. ეს უბრალო სოლიდარობა იყო თუ პოლიტიკური კონტექსტი და როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ხვდება ხელისუფლება, რომ მისთვისვე იქნება წამგებიანი წინასაარჩევნოდ სამართლებრივი საქმეების პოლიტიკურად გადაწყვეტა?**

– როდესაც არსებობს ხელისუფლება, რომელიც ზრუნავს თავის რეპუტაციაზე და არჩევნების წინ მას აინტერესებს საკუთარი რეპუტაცია, მაშინ აბსურდულია ასეთი ნაბიჯების გადადგმა. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს ასეთი ხელისუფალი. მათ იციან, რომ, ფაქტობრივად, წაგებული აქვთ არჩევნები, ამიტომ დგამენ მსგავს ნაბიჯებს, დემონსტრაციულად დასჯის პოლიტიკას ატარებენ სხვადასხვა მიმართულებით. „კაბელების საქმე“, იგივე „რუსთავი 2“-თან მიმართებაში ამის დასტურია. ნორმალური პოზიცია არის ის, რაც თქვენ თქვით, რომ იზრუნოს რეპუტაციაზე, მაგრამ რეპუტაცია უკვე აღარ აქვთ, მათ აინტერესებთ დაქვემდებარება, დაშინება და ა.შ. მე აქციაზე მივედი ამ უდანაშაულო ხალხის მხარდასაჭერად და პარტიულობა აქ არაა გადამწყვეტი.

**— გასაგებია, მაგრამ რეპრესიასა და დაშინებას პოლიტიკური სარგებელი უნდა მოჰქონდეს და თქვენი პარტიის გამოცდილებიდანაც გეცოდინებათ, რომ ეს წამგებიანია საბოლოო ჯამში. ვერ ხვდება ამას ივანიშვილი და მისი გუნდი?**

– რეპრესიას პოლიტიკური სარგებელი არასოდეს მოაქვს. რეპრესიას აქვს მიზანი, ვიღაცა დააშინოს ან დაიქვემდებაროს. პოლიტიკური სარგებელი რომ არ არის, ეს ჩვენზე კარგად თავად იციან. უბრალოდ, ჰგონიათ, რომ ამით შეუძლიათ, ვიღაცა შეაჩერონ, ან აჩვენონ, რომ ის ბევრ რამეზეა წამსვლელი. ივანიშვილი საზოგადოებას ამ ნაბიჯებით გვეუბნება, რომ ის არის რეპრესიების გზაზე და უკან არ დაიხევს.

**— მაგრამ მოგეხსენებათ, ასეთი ქცევა უკურეაქციასა და პროტესტს იწვევს ქართველებში, აქციებიც უკვე დაანონსებულია, რომელიც მომავალში შესაძლოა, კიდევ უფრო ფართო ოპოზიციურ პროტესტში გადაიზარდოს, აწყობთ არჩევნების ჩატარება პროტესტის თუ რევოლუციური განწყობის ფონზე?**

– მათ, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ სხვა გზა, უბრალოდ, არ დარჩენიათ და ამან შეიძლება რამე შეცვალოს. რასაკვირველია, ეს არის მცდარი გზა. მაგრამ მათ ეს აირჩიეს, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სადაც არიან პოლიტპატიმრები, ეს სიტუაცია უნდა შევცვალოთ და ჩვენ ამას შევცვლით. ახლა არ დაუწყია დაჭერები ბიძინა ივანიშვილს, ივანიშვილი ძალადობის პოლიტიკას აჩვენებდა მთელი 4 წლის განმავლობაში. „კაბელების საქმე“ არის ერთ-ერთი საქმე. არაფერს განსხვავებულს არ აკეთებს, უბრალოდ, თუ აქამდე, როგორც ოპონენტებს, ჩვენ გვიპირისპირდებოდა, იგივე მეთოდებით დაუპირისპირდა სხვა ოპონენტსაც. კიდევ ერთი რამეცაა ალასანიასთან მიმართებაში, როგორც კრიმინალურ მენტალობას შეეფერება და როგორც წესი, რუსეთში თავის ყოფილ პარტნიორებს გაცილებით ვნებით უსწორდებიან ხოლმე, ასეა ივანიშვილიც. მაფიოზურ კლანებში თავის პარტნიორებს განსხვავებულად მკაცრად უპირისპირდებიან და სჯიან.

ცემა-ტყეპა

**— „ნაციონალური მოძრაობის“ სიის წარდგენამდე საკმაოდ ხმაურიანი პროცესები განვითარდა თქვენს გუნდში, როგორც ჩვენთან საუბარში მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, სიის ათეულში მოქმედი პარლამენტარებიდან მხოლოდ დავით ბაქრაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოულოდნელად მეათე პოზიციაზე თქვენც აღმოჩნდით, რა შეიცვალა ერთ კვირაში?**

– ჩვენ პოლიტსაბჭოზე, სიებთან დაკავშირებით, დავამტკიცეთ რამდენიმე პრინციპი, მათ შორის ერთ-ერთი პრინციპი იყო განახლების პრინციპი. რაც გულისხმობდა იმას, რომ მოწინავე ადგილებს დავუთმობდით ახალ ფიგურებს, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფიგურები უნდა ყოფილიყვნენ ცნობადები, წარმატებულები. როდესაც დავადგინეთ ამ მიმართულებით პრინციპები, ვთქვით, რომ პირველი ნომერი იქნება დავით ბაქრაძე და შემდეგ სადაც შეჩერდებოდა ახალი სახეების შემოყვანა პარტიაში, იქიდან გაგრძელდებოდა დღევანდელი მოქმედი ლიდერების ჩასმა სიაში. სწორედ ასეა ახლაც დაკომპლექტებული. უბრალოდ, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ კიდევ ყოფილიყო ახალი სახე. მე ვაგრძელებდი ათეულიდან, იმის საფუძველზე, რომ ვარ აღმასრულებელი მდივანი პარტიის და აქედან გრძელდებოდა მოქმედი პოლიტიკოსების სია. მაგრამ შეჩერდა ასე, 9-ზე და მე-10 ნომერი მერგო მე. რომ ყოფილიყო ვინმე კიდევ ახალი სახე, ვიქნებოდი უფრო ზემოთ, ეს არ არის არანაირი პრობლემა.

**— სააკაშვილს რაც შეეხება, გარდა ვაშაძის განცხადებებისა, კულუარებიდან დიდი ხანია გამოდის ხმები, რომ მისი ჩახსნა პარტიიდან შეუქცევადი პროცესია და მას თქვენ მთავარ ლიდერად აღარ განიხილავთ...**

– აბსურდია. ისევე როგორც ვაშაძის მხრიდან იმის მტკიცება, რომ კარჩაკეტილი პოლიტიკა გვაქვს. ამდენი ახალი სახე რომელ პარტიას ჰყავს სხვას, მე არ ვიცი. ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ განახლებაზე, შეცდომების გამოსწორებაზე და პარტიის მოქმედი ლიდერების მხრიდან ახალი სახეებისთვის გზის დათმობა ნიშნავს, გზავნილია იმისა, რომ ჩვენ არ ვიბრძვით 10, 20, ან 30 ხმისთვის. ჩვენ ვიბრძვით გამარჯვებისთვის.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



**რომან გოცირიძე:**

ფული და ავტორიტეტი

თუ ფული გაქვს, შენი ხიბლი იზრდება. პოლიტიკოსის ავტორიტეტი უდრის მის რეალურ ავტორიტეტს, გამრავლებულს ფულის მასაზე

A=ა•M ან პირიქით, თუ გვინდა ადამიანის (პოლიტიკოსის) რეალური ხიბლი გავიგოთ, მას უნდა ჩამოვაცილოთ ფული, ანუ უნდა მოვახდინოთ მისი განხიბვლა.

ამ ფორმულით შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მაგალითად, რა მოხდებოდა, რომ გედი ფოფხაძეს ან მანანა კობახიძეს ჰქონოდა 7 მილიარდი!

წარმოიდგინეთ?!:)

ან ვისაც 7 მილიარდი აქვს, იმას რომ ჰქონდეს იმდენი კაპიტალი, რამდენიც აქვს მაგალითად, ვინმე დეპუტატ გიგა ბუკიას?!

ამ და ზოგიერთ სხვა დეპუტატზე წარმოდგენა ამიმაღლდა. უფულოდაც რაღაცას ქაჩავენ.

ამა თუ იმ პიროვნების პერსონალური მოხსენიება დამოკიდებულია მათი ტიპაჟის კოლორიტულობაზე და ჩემდამი გამოთქმულ უსამართლო კრიტიკაზე.

ეს სამომავლოდ სხვებისთვისაც.

ისე, გედის რას ვერჩოდი?!:(



**ნიკა რურუა (პაატა ზაქარიშვილის განცხადებაზე):**

ზაქარეიშვილი მარტო იდიოტი არაა. დიდი ვარაუდით, ის რუსებზეც მუშაობს და როდესმე ეს აუცილებლად გამოვლინდება.

მისი უტიფარი და ლაჩრული ბოლო განცხადება კი კიდევ ერთხელ მარწმუნებს იმაში, რომ გათავხედებული ოკუპანტის მიერ გიგა ოთხოზორიას საჩვენებელი მკვლელობა დღევანდელი ხელისუფლების კოლაბორაციონისტული, "რუსეთთან ურთიერთობის დათბობის", პოლიტიკის პირდაპირი შედეგია.

**ცოტნე გამსახურდია:**

**დღეს კიდევ ერთხელ მრცხვენია, რომ ქართველი ვარ... წარმომიდგენია, რას იზამდენ ასეთ დროს ებრაელები: ახლა უკვე ჰაერში იქნებოდა არამხოლოდ მკვლელი, მისი ოჯახი, სახლი, კარი და ყველაფერი, რაც მის სახელს უკავშირდება. ჩვენთან ისიც ვერ გაბედეს, რომ ფულადი ჯილდო დაენიშნათ მკვლელის გასანადგურებლად!**

**საერთაშორისო ორგანიზაციები "ჩავაყენეთ საქმის კურსში", დეედა, რაღა ეშველებათ აფხაზებს!**

**სამაგიეროდ, პომპეზურად აღვნიშნავთ დამოუკიდებლობის დღეს, და განა ერთს, ორსა!**



ყოველკვირეული ალია

**» გაცოფებული**

# „შოკირებული ვარ, გაცოფებული ვარ ვინმე კოლუაშვილის განცხადებით! კი არ უნდა წავიდეს, გაეთრეს დროზე „ქართული ოცნებიდან“!

## „მუდამ ვიქნები ბიძინა ივანიშვილის გვერდით და არ გავჩუმდები არასოდეს, ვერ მომხიბლავს სხვა რამე უფრო ბრჭყვიალა მომავალი“



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**„შოკირებული ვარ, გაცოფებული ვარ ვინმე კოლუაშვილის განცხადებით! კი არ უნდა წავიდეს, გაეთრეს დროზე „ქართული ოცნებიდან“! ყველა ჭრილობა, სისხლის, სიკვდილის, რაც ერთან ერთად გამოვიარე, განმიახლდა. ასეთი ადამიანები ერისკაცის შექმნილ იდეაში და მით უმეტეს, მის სახლოვეს ვერ იქნებიან. სიმწირის ცრემლები მახრჩობს, დავით კოლუაშვილო“!!!**

**ეს სიტყვები საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ლუკა კურტანიძეს ეკუთვნის და ალბათ, გულწრფელია, რადგან, თუ 2011 წლის 26 მაისის პერიპეტიებს კარგად გავიხსენებთ, მას ჭრილობა მართლაც უნდა განახლებოდა (იმ ღამეს ცნობილ მოჭიდავეს რა გაუკეთეს სააკაშვილ-მერაბიშვილის ზონდერებმა, ეს მთელმა საქართველომ იცის):**

**— ლუკა, გასაგებია, რომ კოლუაშვილის საქციელმა აღგაშფოთა, მაგრამ ვისი ბრალია ეს ყველაფერი? ვინ მოიყვანა კოლუაშვილები და სხვები მმართველ გუნდში? იქნებ ისევ საკუთარ გუნდსა და საკუთარ თავზე უნდა გაბრაზდე?**

– არა, ასე ძალიან მუქ ფერებში ნუ დავხატავთ სიტუაციას.

**— ახლა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ კოლუაშვილის „გაპრავებას“ ნუ დაიწყებ!**

– არა, მე ისევ ისე ვარ გაცოფებული და არავის „გაპრავებას“ არ ვაპირებ, უბრალოდ, ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. როგორც ვატყობ, ასეთი რაღაცები ახალი პროცესის თანამდევია... შესაძლებელია, ადამიანმა, რომელიც დიდ ბრძოლაში ებმება, დაუშვას შეცდომები და ამით პოლიტიკური გუნდი დააზიანოს. სწორედ ამიტომაც არიან გუნდში უკვე გამოწრთობილი ადამიანები, რომ ასეთი რამ არ დაუშვან. დიახ, კოლუაშვილის პოზიცია პირადად ჩემთვის მიუღებელი იქნება ყოველთვის. მე ციხეში არავის ყოფნა არ მიხარია და არავის უბედურებაზე სიხარულს არ გამოვხატავ, მაგრამ რაც მოხდა, რაც საქართველოს თავს დაატყდა, ამის გამო დამნაშავეებმა საკადრისი პასუხი აუცილებლად უნდა მიიღონ. მომავალში არავის არ უნდა გაუჩნდეს თუნდაც ცდუნება, რომ მთელმა ქვეყანამ ასეთი ტკივილი განიცადოს. ამიტომ არიან ეს ადამიანები ციხეში და არა იმიტომ, რომ მე ეს მიხარია და ასე მინდა. პირიქით, მათი დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე ის სასჯელი, რაც მიიღეს. რაც შეეხება ახალი კადრების შემოყვანას „ქართულ ოცნებაში“, ვეთანხმები ერთ მოსაზრებას – როდესაც ახალი ტალღა მოდის, შეიძლება იქ კოლუაშვილის მსგავსი ადამიანებიც მოხვდნენ. ამ ადამიანს რომ არ სწამდეს და სჯეროდეს, ასეთ განცხადებებს არ გააკეთებდა. ეს ძალიან სახიფათოა, რადგან ამ დროს მხოლოდ ლუკა კურტანიძე არ ცოფდება, ასჯერ უფრო მეტი ტკივილი განიცადა ხალხმა – ასეთები ჩვენ 100 ათასობით გვყავანან, 300 ათასზე მეტი მხოლოდ პრობაციონერი გვყავდა. აღარაფერს ვამბობ კერძო საკუთრების წართმევასა და ახალგაზრდების დახვრეტაზე! პრობლემა მერაბიშვილისა და უგულავას გამოშვება კი არა, სულ სხვა რამეა, მათგან დაზარალებული ხალხი ჭკუიდან გადავა და შეიქმნება სიტუაცია, რა დროსაც ყველაფერი მოსულა. როგორ, ამდენი უბედურება ჩაიდინე და ახლა ხახვივით უნდა შეგრჩეს ყველაფერი? მაშინ სხვებიც იტყვიან, ამ ქვეყანაში არავინ ისჯება და მოდით, დრო გამოვიყენოთო! მე პირადად ვერ დავუშვებ, რომ „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“ იყოს! ხალხმა ხმა მისცა ბიძინა ივანიშვილს და ამ ადამიანმა წარმოუდგენელი რეჟიმი გაისტუმრა უსისხლოდ ქართველ ერთან ერთად. იმ იდეალებს, რითაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ვერავის გავათელვინებ და თავსაც ვერავის გავაბითურებინებ. ათასობით ადამიანი ვერ მალავს აღშფოთებას, ბევრ ადამიანს გაეხსნა ჭრილობა, ამასთან შედარებით ჩემი ტკივილი უკვე არაფერია. ასე ჩვენ საზოგადოებას წავიყვანთ ანარქიისკენ, თუ დაუსჯელობის სინდრომი გავრცელდა, მერე ვეღარაფერი შეაჩერებს!

**— სანამ ამ ადამიანს მოიყვანდნენ პარტიაში, თქვენ გაიცანით? საერთოდ, ვინ არის, რას წარმოადგენს, იცით?**

– მე არა, მაგრამ სხვები იცნობენ... როდესაც თავს თვლი პრემიერისა და სხვა ადამიანების მეგობრად, ამ მეგობრობის წინაშე უნდა გქონდეს პასუხისმგებლობა. ვინც მას რეკომენდაცია გაუწია, ის ჩააყენა გამაოგნებელ მდგომარეობაში. მე მგონი, კვირიკაშვილთან მეგობრობის გამო უფრო მეტი დაფიქრება სჭირდებოდა კოლუაშვილს. ჩემი აზრით, როცა ზოგიერთს ძალაუფლება ეძლევა, მაშინ ამჟღავნებს ნეგატივს, მაშინ ამჟღავნებს სისუსტეებს. მე ვფიქრობ, კოლუაშვილმა დაუშვა მიუტევებელი შეცდომა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, მუდამ ვიქნები ბიძინა ივანიშვილის გვერდით და არ გავჩუმდები არასოდეს, ვერ მომხიბლავს სხვა რამე უფრო ბრჭყვიალა მომავალი. ყველამ ერის ტკივილი გაითავისოს და ისე ილაპარაკოს. ევროპაზე რომ ლოცულობენ, კარგად გადახედონ იგივე ევროპას და კარგი გადმოიღონ. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ხეს რაც არ უნდა ბევრი მინერალი დაუყარო, მას მაინც თავისი დრო აქვს.

**— ბიძინა ივანიშვილს ეს ყველაფერი უთხარი?**

– ივანიშვილი დიდსულოვანი ადამიანია... მე არ ვიცი, სად იყო კოლუაშვილი, ახლა მოვიდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და არც კი აქვს გააზრებული, რა ხდება და რა ხდებოდა. ივანიშვილს ამ ყველაფერთან დაკავშირებით არ აქვს ნეიტრალური პოზიცია და არც უნდა ჰქონდეს. რაც არ არის მოსაწონი, ვერ მოიწონებს. თავისი პოზიცია ღიად დააფიქსირა გიორგი კვირიკაშვილმაც და იგივე აზრზეა ივანიშვილი. ახლა კოლუაშვილს დედის გინებას ვერ დაუწყებენ, მეტი რა უნდა თქვან? ჩვენ ბიძინა ივანიშვილთან შევიკრიბეთ და უმრავლესობასაც იგივე განწყობა აქვს.

**— საარჩევნო სიასთან დაკავშირებით ისაუბრეთ? როგორც ვიცი, ლაგოდეხში მიდიხარ მაჟორიტარად.**

– ჯერ ეგ არ არის გადაწყვეტილი... ვინ როგორ იმუშავა, ვინ რა გააკეთა და ვინ რა პოზიციაზე იქნება უკეთესი, ამაზე იქნება ლაპარაკი და ყველაფერი გადაწყდება გუნდურად. ვნახოთ, ამ დღეებში ბევრი რამ გაირკვევა.





**ლუკა კურტანიძე: „ეს ძალიან სახიფათოა, რადგან ამ დროს მხოლოდ ლუკა კურტანიძე არ ცოფდება... ხალხი ჭკუიდან გადავა და შეიქმნება სიტუაცია, რა დროსაც ყველაფერი მოსულა!“**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**facebook**



**ლევან მამალაძე:**

შუალედური არჩევნების შედეგად, ხიდაშელ-უსუფაშვილის და სააკაშვილისეული არჩევნების გაყალბების გეგმას გამოვავლენთ!

შუალედურ არჩევნებში „სახლხო ხელისუფლება“ იმისთვის მონაწილეობს, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ არსებული საარჩევნო სისტემა, საარჩევნო პროცესის ორგანიზატორები და მონაწილე სუბიექტები! ამისთვის ჩვენ ყველა პროცედურა გავიარეთ, არჩევნებში მონაწილეობისთვსი მივიღეთ? 24 და რამდენიმე საარჩევნო ოლქში წარვადგინეთ გამოცდილი კანდიდატები. „სტარტეგიული დაგეგმარების ცენტრი“ მრავალ ქვეყანას დახმარებია არჩევნების ჩატარებაში და დიდი გამოცდილება გვაქვს არჩევნების მანიპულირების აღკვეთისა და მონიტორინგის განხორციელებაში. მიუხედავად მოჩვენებითი დაპირისპირებისა ხიდშელ- უსუფაშვილი, საკაშვილის ნარჩენები და მმართველი გუნდის ნაწილი, არჩევნების გაყალბებისთვის და ამომრჩეველთა ხმების მითვისებისთვის აქტიურად თანამშრომლობენ. შუალედური არჩევნების შედეგად ჩვენ შევისწავლით მათ მოქმედებას და გამოვავლენთ გაყალბების პრინციპებს! ჩვენ გეგმაზომიერად ვმუშაობთ და ყველაფერს გავაკეტებთ იმისატვის რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისას , ჩაუშალოთ მათ გაყალბების გეგმა და არ მივცემთ საშუალებას ქართული საზოგადოების მოტყუების გზით მიწერონ 400 ათასზე მეტი გადამალული „მკვდარი სულების“ არ არსებული ხმები!

დაზუსტებით შეგვიზლია ვთქვათ, რომ ამომრჩეველთა 70 % მარ არ უჭერს მოძალადე სააკაშვილის ჯგუფს და მატყუარა ხელისუფლებას. ჩვენ დაწყებული გვაქვს კონსოლიდაციის პროცესი და მალე ყველა დაინახავს მოსახლეობის უმრავლეოსბის ინტერესების გამომხატველ მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებს.

„სტარტეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი,

„სახელხო ხელისუფლების“ ლიდერი

ლევან მამალაძე

**facebook**



**თამაზ ბიჭინაშვილი**

ნაცებო და რესპუბლიკელებო! ელგებეტე დაგლუპავთ თქვენ, თუ უკვე დალუპულები არა ხართ!))))))))))))))))))))))))

ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი ანთიმოზი(ივერიელი)

**facebook**

**გია გაბრიჭიძე:**

რას ერჩით ამ კოლუაშვილს? ადამიანს პარტიის პოლიტსაბჭოში რომ ეძახი, ჯერ უნდა აუხსნა რომელი პარტიაა. სახელი უნდა უთხრა, უნდა უთხრა ვინაა უფროსი და ბოლო-ბოლო იმ ქვეყნის უკანასკნელი წლების ისტორია მაინც უნდა მოუყვე, რომელი ქვეყნის პარლამენტის წევრიც უნდა გახდეს!

გააკეთა ვინმემ? - ცხადია არა!

ჰო, კიდევ ერთი: ასეთი კოლუაშვილები კიდევ ბევრნი იქნებიან და "ოცნების" ჟურნალისტებთან სასაუბრო ბროშურა მაინც გააკეთეთ.



● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

# ფაქტი

# გიგლა ბარამიძე: „გიორგი კვირიკაშვილს თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ, ხუთი წელი სრულდება 2011 წლის 26 მაისიდან, ამიტომ კეთილი ინებეთ, გამოძებნეთ დრო და მოდით რუსთაველზე“

## „თქვენ ვალდებული ხართ, მობრძანდეთ და დაელაპარაკოთ იმ ადამიანებს და თუ ხელკავს გამოსდებთ თქვენს უახლოეს მეგობარს დათო კოლუაშვილს, ისიც მოვიდეს და ჩახედოს ამ ადამიანებს თვალებში“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**გაერთიანებული დემოკრატების პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე „ალიასთან“ ინტერვიუში გასული კვირის სკანდალებს ეხმაურება. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ, რომ დაძაბულობის ხარისხი მატულობს, პოლიტიკოსები არაადეკვატურები ხდებიან, ზუგდიდში მომხდარი ფაქტი კი მიანიშნებს, რომ არჩევნები ჩატარდება ცემა-ტყეპისა და ანგარიშსწორების ფონზე. ზუგდიდში ნაცემია „ნაცმოძრაობის“ რამდენიმე წევრი, მათ შორის ნიკანორ მელია, გიგა ბოკერია, თენგიზ გუნავა და როგორც თვითმხილველი აცხადებს, კორცხელის საარჩევნო უბანთან დაპირისპირება „ნაცმოძრაობამ“ დაიწყო, თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებაც მობილიზებული იყო, რადგან „ნაციონალების“ მხრიდან არის ბრალდება, რომ იქ ჩაყვანილი ჰყავდათ სპორტსმენები, რომლებმაც თავ-პირი გაუერთიანეს მელიას, ბოკერიასა და გუნავას. რა თქმა უნდა, ძალადობა დასაგმობია, მაგრამ, როდესაც ცხრა წლის მანძილზე ეს პოლიტიკურ მანტიას ამოფარებული ადამიანები ავტომატის ლულას პირში გვჩრიდნენ, თავ-პირს გვისისხლიანებდნენ და სულს გვხდიდნენ, რასაც სათანადო პასუხი არ გაეცა, დღეს უკვე მათი მხრიდან მორალის კითხვა სამარცხვინოა. ბუმერანგის პრინციპი ამუშავდა, „ნაციონალებმა“ რაც დათესეს, იმას იმკიან.**

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს გიგლა ბარამიძე:**





**— პოლიტსაბჭოს ახალმა წევრმა „ქართულ ოცნებას“ სამარე გაუთხარა, დავით კოლუაშვილის განცხადებებმა უფრო მეტად შელახა „ოცნების“ რეიტინგი, ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება გვაგუებს აზრს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების განთავისუფლების შესახებ?**

– მთავარი კოლუაშვილის ბჟუტური კი არ არის, მთავარია „ქართული ოცნების“ წევრების საოცარი „ფენომენი“, რაც მათ პერიოდულად ახასიათებთ. რომელი რომის პაპები ესენი მყავნან, დაჭერილ „ნაციონალებზე“ ინდულგენციის დარიგებას რომ აპირებენ, ვინ აძლევს მათ ამის უფლებას?!. მერაბიშვილის რომელ ნიჭზე საუბრობენ ესენი, იმ ნიჭზე, სააკაშვილთან ერთად რომ სისტემური დანაშაული შექმნა?.. იმ ნიჭზე, რომლითაც ჯალათობის ინსტიტუტი ჩამოაყალიბა. მკვლელობების, ქონების ჩამორთმევის, უდანაშაულო ადამიანების დაჭერის, ფარული კადრების გადაღების, მწვალებლების, ხალხზე მოძალადეების, მიწების გაყიდვის, იარაღის გაყიდვის, ამ ნიჭზე საუბრობს კოლუაშვილი?!. აქედან გამომდინარე, მათ უნდა ვუთხრათ, – ჩამოყალიბდით, ვინ ხართ და რანი ხართ, მე პირადად მივმართავ პრემიერ-მინისტრს, როგორც მოქალაქე და არა, პოლიტიკოსი, – თქვენ იმ გუნდის წარმომადგენელი და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი ბრძანდებით, რომლის მოყვანაშიც დიდი წვლილი მიუძღვით იმ ადამიანებს, 2011 წლის 26 მაისს თავი რომ გაწირეს. სააკაშვილის სისხლიანმა ხელისუფლებამ რუსთაველზე მათი სისხლის რუები დააყენა, მაგრამ ამ ადამიანებმა თავისუფლებისთვის ყველაფერი გაიღეს... რომ არ ყოფილიყო 26 მაისი, ვერ შედგებოდა 2012 წლის 1-ლი ოქტომბერი და თქვენ საერთოდ ვერ მოხვდებით ხელისუფლებაში. გიორგი კვირიკაშვილს თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ, ხუთი წელი სრულდება 2011 წლის 26 მაისიდან, ამიტომ კეთილი ინებეთ, გამოძებნეთ დრო და მოდით რუსთაველზე და შეხვდით იმ ადამიანებს, რომელთა თავდადებით დაიწყო „ნაცმოძრაობის“ მკვლელების რეჟიმის რღვევა. თქვენ ვალდებული ხართ, მობრძანდეთ და დაელაპარაკოთ იმ ადამიანებს და თუ ხელკავს გამოსდებთ თქვენს უახლოეს მეგობარს დათო კოლუაშვილს, ისიც მოვიდეს და ჩახედოს ამ ადამიანებს თვალებში. მერე მოუთხროს საზოგადოებას, როგორი ნიჭიერნი არიან მერაბიშვილი და მისი დამქაშები, მესხელების სახით.

**— ყველანაირი მონაცემით დგინდება, რომ ეს იქნება სისხლიანი არჩევნები და როგორც იტყვიან, დედა-შვილს ხელში არ აიყვანს, ისეთი ამბები იქნება. დაპირისპირება არის მრავალწახნაგოვანი, ვხედავთ, „ნაციონალების“ მიმართ დიდი აგრესიაა, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები ერთმანეთის მტრებად იქცნენ, არასაპარლამენტო ოპოზიციის აგრესიაც არანაკლებია, ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ითხოვენ და წართმეული არჩევნების დათმობას არ აპირებენ, მაშ ასე, როგორია თქვენი პროგნოზი?**

– კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ხდება ის, რასაც ყოველთვის ვამბობდით, მათ ერთმანეთი თავიდანვე სძულდათ, სიტუაციის მიხედვით ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ ჯერ თანამდებობაზე ყოფილიყვნენ და შემდეგ გაქცეულიყვნენ. არჩევნებამდე დარჩა ოთხი თვე, ყველამ უკვე გაიგო, რა უნდა „რესპუბლიკურ პარტიას“, ისინი მაქსიმალურად ახანგრძლივებენ ხელისუფლებაში ყოფნის ვადებს. უფრო და უფრო გაძლიერდება დაპირისპირება, არის საკითხები, რაც ხელისუფლების წინაშე უნდა დააყენო და პასუხი მოითხოვო, როგორც ოპოზიციონერმა, მაგრამ სად არის ხელისუფლება?.. ჩამოშლილია, ყველაფერს განსაზღვრავს ერთი ადამიანი, ეს გახლავთ ბიძინა ივანიშვილი, მას შესციცინებენ თვალებში, რასაც იტყვის, ყველა იმას აკეთებს. სახელმწიფო ინსტიტუტები კი არ ამუშაობს. ცდილობენ, რამენაირად გაწელონ დრო, არ ითვალისწინებენ ვენეციის კომისიის დასკვნებს, როგორმე საარჩევნო სისტემა არ შეცვალონ რომ რამენაირად მოახერხონ ძველი საარჩევნო სისტემით ხელისუფლებაში მოსვლა. მათ აბსოლუტურად არაფერი ადარდებთ, ხელისუფლების შენარჩუნების გარდა. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ შევცვალოთ ხელისუფლება. თქვენ მეკითხებით, როგორი იქნება არჩევნები. არჩევნები იქნება რთული.

ჩვენ ვნახეთ, რაც მოხდა შუალედურ არჩევნებზე, ეს არის გენერალური რეპეტიცია, უსასტიკესად გაუსწორდნენ ერთმანეთს „ნაციონალები“ და „ოცნება“ და კორცხელის საარჩევნო უბანთან დაპირისპირება და ცემა-ტყეპა უკვე იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს არჩევნები იქნება დრამატული, ხალხმა რა დააშავა, თორემ... ძალიან ცუდია, რომ ასეთ სიბინძურეში სპორტსმენები მონაწილეობენ, მაგრამ ერთმა ძალამ მეორეს ასწავლა, როგორ უნდა გაუერთიანოს თავ-ყბა მოწინააღმდეგეს, რაც საპარლამენტო არჩევნებზე ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული.

---

## Facebook ამბები



**მერაბ შათირიშვილი:**

დავით კოლუაშვილებს რომ გაეკეთებინათ უგუნური განცხადება და „ორ დღეში რეკორდი მოეხსნათ“ (პემიერის შეფასებით, თურმე, მეგობრები ყოფილან) ამისთვის ვიბრძოდით გამუდმებით და დღესაც ბრძოლაში ვართ?.. (არა მარტო სააკაშვილის წინააღმდეგ, არამედ - ზოგადად უსამართლობის) და ასეთებმა უნდა ახეიროს ჩემს ხალხს და ჩემს ქვეყანას?.. ესაა ახალი სისხლი და ახალი სახე?.. ასეთი სახისთვის აიგნორებთ „ძველ“ სახეებს?.. ამერიკული განათლება გგონიათ პატრიოტიზმი და ცივილიზაციის ბურჟობა?.. მაცოდინა ერთი, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს, ვინ აწვდის კოლუაშვილისნაირებზე ზეალმატებულ რეკომენდაციას და მერე არანაირ პასუხისმგებლობას კისრულობს - არ სცხვენია?.. როდემდე ამდენი უგუნურება?.. დღეს ავჭალაში „ქართული ოცნების“ ადგილობრივი არჩევნების კამპანიის ერთ-ერთ შეხვედრას დავესწარი, ვაფასებ და მეგობრად ვთვლი დეპუტატობის ახალ კანდიდატს და, გაოგნებულები მესაუბრებოდნენ „ოცნების“ აქტივისტები, ეს რა თავის მომჭრელი განცხადება გააკეთა „ახალმა სახემო“...

ახალაიები, უგულავა, მერაბიშვილი, სააკაშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი და სხვანი, (ბოროტმომქმედთა ბანდა) სახელმწიფო დამნაშავეები არიან, სათანადოდ არ შეფასდა მათი უსამართლო ნამოქმედარი, ხალხში სწორედ ამიტომაა უსამართლობის განცდა, საყვედურები ისმის „ქართული ოცნების“ მიმართ და, კიდევ ცეცხლზე ნავთს ასხამთ. თქვე ოჯახაშენებულებო?..

როდემდე უნდა იჭრიდეთ თავს და როდემდე უნდა ანიავებდეთ იმ ბრძოლის მონაპოვარს, რაშიც სიცოცხლისა და სისხლის ნაწილი ჩავდეთ?..



**მიხეილ ჯიბუტი:**

რაო ბატონო უმადურებავ...... ახლა აღმოჩნდა ოცნება არაკომპეტენტური და შოკურ მდგომარეობაში.........??? ( მაცოფებს უმადური .. უტიფარი ტიპები ) ხო აბა რა .... თქვენს მხრებზე იდგა მთელი კოალიცია.... კოალიცია კი არა მთელი საქართველო.....!!!! საქართველო რა მოსატანია .. მსოფლიო და გალაქტიკა...... !!! პ.ს. რომ შეგხვდებით უნდა გაგლანძხოთ..... აი ამდენი ხალხის წინაშე ვამბობ... ისე უნდა გაგლანძღოთ რომ მტკვარმა ვერ გაგრეცხოთ.............. !!!



**გერონტი აშორდია:**

მმართველმა გუნდმა ივანიშვილს ბოდიში მოუხადაო და ჩვენ, რომლებმაც ეს ხელისუფლება მოვიყვანეთ, უფლება მოგვცეს, ჩვენი ოჯახის მოკლულ წევრებს საფლავის ქვაზე "მივართვათ", კოლუაშვილმა, ბიძინამ, ეკამ, კახიმ, ზვიადიმ, დავითმა და სხვებმა იმდენი წაიღეს სახლებში, რომ თქვენი სიკვდილი ღირდაო.



**ხათუნა ხოფერია**

"ქართულ ოცნებას" !!!!

ზუგდიდში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ნუ დაიწყებთ ბოდიშებს, დემოკრატობანას, დაგმობებს და ამგვარ ტაკლი-ტუკლებს!!!!

ეს იყო ხალხის რეაქცია და ეს იყო ის, რაც დამისახურეს ნაციონალებმა სამეგრელოსგან !!!! ვინც დასასჯელია, დაისაჯოს!!!! დანარჩენს ჩვენ მივხედავთ!!! თუ ჯარიმაა, ფულს შევაგროვებთ!!! თუ ზედმეტი მოგივათ, ვიბრძოლებთ ჩვენი დამოკიდებულების გამომხატველი ადამიანების უფლებებისთვის!!!!!!!!!!!!



**გიორგი ბარამიძე:**

ივანიშვილის მონა, ნაძირალა, არაკაცები დაცემულ ხალხს როგორ ურტყამენ და ეს დაბეჩავებული პოლიცია კი, უმწეოდ და დაბნეულად, სამარცხვინოთ ვერაფერს აკეთებს. ამ უმსგავსობას ბოლოს 8 ოქტომბერს ხალხი მოუღებს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„ალია“ დაინტერესდა, რას ფიქრობენ „ახალი მემარჯვენეები“ მათ ყოფილ წევრზე, გასკანდალებულ დავით კოღუაშვილზე? „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ მათი პარტიიდან წასულებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს... თუმცა კოღუაშვილის პოლიტიკურ განცხადებებს პასუხობს:**

– როგორც ჩანს, გარკვეული დრო სჭირდება დავით კოღუაშვილს, რომ ფორმაში ჩადგეს, მას პაუზა ჰქონდა აღებული. მოგეხსენებათ, პოლიტიკა არ პატიობს ასეთ ხანგრძლივ შუალედებს. დარწმუნებული ვარ დავით კოღუაშვილი თავის რეალურ სახეს დაანახვებს „ქართულ ოცნებას“. მან დაიმსახურა შენიშვნა პრემიერ-მინისტრისგან და ვთვლი, რომ ის სავსებით ობიექტური იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, მოდით,

**მაგრამ ხალხი შოკშია, როცა კოღუაშვილმა თქვა, რომ მერაბიშვილი და უგულავა არიან ნიჭიერები და მათი გარეთ ყოფნა ქვეყანას მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე ციხეში ჯდომა. ეს ნიშნავს იმას, რომ კოღუაშვილი ქართველი ხალხის წამების, სისხლის, გვამების ხარჯზე მოდის ხელისუფლებაში და ტვინს გვირეცხავს, რომ უდანაშაულოები იყვნენ და თურმე ჩვენ ვართ დამნაშავე, რომ ამ ნიჭიერ ხალხს ბოდიშს არ ვუხდით და ციხეში ვამყოფებთ. ეს არის ცინიზმის პიკი. უკაცრავად და, ეს კაცი ამ ქვეყანაში არ ცხოვრობდა, ნუთუ მის ახლობელს, ერთხელ მაინც, „ნაციონალების“ დუბინკა უსამართლოდ არ მოხვედრია?**

– მუშაობდა საჯარო სამსახურში და არ იყო პოლიტიკურ პროცესებში ჩართული. რაც შეეხება კითხვას, როგორ შეეხო მას „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი, სამწუხაროდ, არ ვიცი, რადგან ამ ხნის მანძილზე მასთან ურთიერთობა არ მქონია. რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ მან დაუფიქრებელი განცხადება გააკეთა. თუ ვინმე მიპოლიტიკური ოპონირებისთვის. ე.წ. კაბელების საქმეში ბრმაც კი დაინახავს ხელისუფლების კვალს. ხვდებიან მაინც, რა შარში გაეხვია ხელისუფლება, როცა ასეთი ნაბიჯი გადადგეს? მე მაქვს ერთადერთი აზრი, რომ საქმე გვაქვს პირად ანგარიშსწორებასთან, ირაკლი ალასანიას მიმართ, რასაც, ალბათ, გარკვეული საფუძველი აქვს. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდა ალასანიასა და ივანიშვილს შორის, რა ეწყინა ამ ადამიანისგან, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ეს არის ირაკლი ალასანიასადმი ანგარიშსწორება. რაც შეეხება „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ გამართულ აქციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ შეერთებას, ეს „ნაციონალების“ საქმეა, მივლენ თუ არა ამ აქციაზე. ზოგადად, ყველას ვურჩევ, კონკრეტულად „ქართულ ოცნებას“ – ნუ დაემსგავსებით „ნაცმოძრაობას“, ზუსტად ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ ისინი.

### ვინ ვისთან

**ვის მოიაზრებთ პარტნიორ პარტიებად?**

– „ახალმა მემარჯვენეებმა“ განვაცხადეთ, რომ აუცილებლად კოალიციურ ფორმატში გავალთ, რადგან ჩვენ გვაქვს იმდენად მყიფე სიტუაცია, რომ შესაძლოა 2016 წელს მივიღოთ პრორუსულად განწყობილი ძალები პარლამენტში. ასეთ დროს არ მგონია, ღირდეს მარტო გასვლა არჩევნებზე, ამიტომ ყველა დასავლურ ძალას მოვუწოდებთ, ვინც ჩვენთან თავსებადია და ბუნებრივია, „ნაცმოძრაობა“ თავსებადი ვერ იქნება „ახალ მემარჯვენეებთან“, დანარჩენ პროდასავლურ ძალებთან პრობლემა არ გვაქვს და მოვუწოდებთ ერთად გავიდეთ არჩევნებზე, მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს დასავლური კურსი გახდეს შეუქცევადი და საქართველოს პარლამენტში რუსებმა დასაყრდენი ვერ მოძებნონ, „ახალი მემარჯვენეების“ სავარაუდო პოლიტიკური პარტნიორები რაც დრო გადის, მცირდება ამ ქვეყანაში... პოლიტიკურ პარტნიორებად მოვიაზრებთ „თავისუფალ დემოკრატებს“, დასავლური ღირებულების პარტია იქნება პაატა ბურჭულაძის პარტია, რომელსაც პარტნიორად მოვიაზრებთ, ჯერჯერობით ამ პარტიებთან კონსულტაციები არ გვქონია, მას შემდეგ, რაც გაირკვევა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, დავიწყებთ კონსულტაციებს.

**— აპირებთ, რომ „რესპუბლიკური პარტიაც“ მიიღოთ კოალიციაში?**

– არა მგონია, ჯერ თვითონ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ.

**— ამბობთ, რომ „ნაცმოძრაობა“ თქვენთან თავსებადი არ არის, თუმცა პაატა ბურჭულაძის პარტიასთან თანამშრომლობს, რომელსაც კლიშედ „ნაცმოძრაობის“ სახელი მოჰყვება. ამას წინათ მიხეილ მაჭავარიანმა პაატა ბურჭულაძესთან პოლიტიკური თანამშრომლობა და გაერთიანება არც გამორიცხა.**

– მიხეილ მაჭავარიანის ნათქვამი სხვანაირად გავიგე, ისინი ითანამშრომლებენ პროდასავლურ ძალებთან და ეს გასაკვირი არ არის, ვფიქრობ, მათმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა გააბუქეს, რომ პაატა ბურჭულაძე და „ნაცმოძრაობა“ ერთმანეთთან ითანამშრომლებენ.

## მანანა ნაჭყებია: „ხელისუფლება ხვდება მაინც, რა შარში გაეხვია?!“

**„უწყინარ განცხადებებს რომ გადააყოლეს კოღუაშვილი, დაახლოებით ანალოგიური განცხადებები აქვს გაკეთებული ბიძინა ივანიშვილსაც“**

**„არ ვიცი, რა მოხდა ალასანიასა და ივანიშვილს შორის, რა ეწყინა ამ ადამიანისგან, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ეს არის ირაკლი ალასანიასადმი ანგარიშსწორება“**






**გულზე ხელი დაიდოს „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა მომხრეებმა, კრიტიკის ნიაღვარი რომ გამოუშვეს კოღუაშვილის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც მურუსიძე დანიშნა „ქართულმა ოცნებამ“ და სათავეში ჩაუყენა ქართულ სასამართლოს და ამ იდეის ავტორი იყო ბიძინა ივანიშვილი, მაინტერესებს, რატომ არ იყო ასეთი კრიტიკის ნიაღვარი მათი მხრიდან, მაშინ რატომ არ ჩაითვალა, რომ ეს იყო „ოცნების“ მხრიდან მომაკვდინებელი შეცდომა?**

სრულიად უწყინარ განცხადებებს რომ გადააყოლეს კოღუაშვილი, დაახლოებით ანალოგიური განცხადებები აქვს გაკეთებული ბიძინა ივანიშვილსაც, თავის დროზე, როცა ის ხაზს უსვამდა ვანო მერაბიშვილის სიჭკვიანეს. ჩვენ გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის განცხადება ადეიშვილზე, მან თქვა, რომ ადეიშვილი ნიჭიერი კაცია, უბრალოდ, ის ბოროტ სისტემაში აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლიდან შვიდი წელი გულმხურვალე და მხარდამჭერი იყო ბიძინა ივანიშვილი. ქართულ ხასიათში გაჩნდა, რომ დაბალ ღობეს ერევიან და მთელ ბოღმას მის მიმართ ანთხევენ. ამით არც დათო კოღუაშვილს დააკლდება ბევრი რამ და არც „ახალ მემარჯვენეებს“, მიუხედავად იმისა, რომ ის დღეს „ახალ მემარჯვენეებში“ აღარ არის.

**— თქვენ კი ამბობთ, რომ კოღუაშვილმა უწყინარი განცხადება გააკეთა,** იჩნევს, რომ კოღუაშვილი და „ახალი მემარჯვენეები“ თავის დროზე არ ეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლებაში მოსვლას, ძალიან ვთხოვ, ნახონ მაშინდელი ჩვენი განცხადებები და ისაუბრონ ფაქტებით. მაშინაც ვამბობდით, რომ დაუშვებელი იყო ერთი ადამიანის ხელში ძალაუფლება, აღმოჩნდა, მართლები ვიყავით და იგივეს ვაცხადებთ. დაუშვებელი ძალაუფლების ცენტრი იყოს ერთი ადამიანის ხელში, ვიყავი „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ მოწყობილ აქციაზე, ე.წ. „კაბელების საქმეზე“ და იქ ვნახე ბევრი ისეთი პოლიტიკოსი, რომლებიც 2012 წელს გვიკიჟინებდნენ და გვაკრიტიკებდნენ „ახალ მემარჯვენეებს“ ჩვენი პოზიციის გამო და დღეს მათ სხვა პოზიცია აქვთ.

**— ხელისუფლებამ ალასანია სამართლიანობისთვის მებრძოლად აქცია. ე.წ. კაბელების საქმის აქციაზე მათთან ერთად იყვნენ „ნაციონალებიც“. ხომ არ გეჩვენებათ, რომ „ნაციონალების“ მხრიდან სამართლიანობისთვის ბრძოლა დაცინვაა?**

– „თავისუფალი დემოკრატების“ აქციაზე მივედი როგორც თავისუფალი მოქალაქე, რომელიც არ შეეგუება ამ ქვეყანაში მართლმსაჯულების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის. ასეთ არაერთ აქციაზე ვარ ნამყოფი და არ მეგონა, რომ ახლაც მომიწევდა უსამართლობის გაპროტესტება. ყოველთვის გავაპროტესტებ იმას, რომ მართლმსაჯულებას ხელისუფლება იყენებს

**— „ქართული ოცნების“ განახლებულ პოლიტსაბჭოს შემადგენლობაზე რას ფიქრობთ, ხართ თუ არა კმაყოფილი პრემიერ-მინისტრით, რომელიც თქვენი პარტიის დამფუძნებელია?**

– მე ვთვლი, რომ სწორი ნაბიჯი იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან არჩევნებზე დამოუკიდებლად გასვლა, მათ ძალიან კარგად დაინახეს, რომ კოალიციურ რეჟიმში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში შედეგს ვერ დადებდნენ. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განახლებას, ბევრი ისეთი ადამიანი მოვიდა, ვისთანაც გვიმუშავია, მაგალითად, ზვიად გონაძე. ზოგიერთი მათგანი ჩვენი პარტიის ყოფილი წევრია,

**გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ ეს არ არის ის განახლება, რისი მოლოდინიც ხალხს ჰქონდა. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ამ ოთხი წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ მთელ ქვეყანაში არამოდური გახადა პოლიტიკა. ძალიან ბევრ ადამიანს საათობით ვესაუბრები და მინდა ყველა პოლიტიკურ ძალას ვუთხრა, ნურავინ იფიქრებს, რომელიმე თქვენგანი მოსწონს ამ ხალხს, მასიურად ნეგატიური დამოკიდებულებაა პოლიტიკოსების მიმართ, ხალხი ყველას მიმართ გულაცრუებულია, პოლიტიკა არაპოპულარული გახადეს პოლიტიკოსებმა და ღმერთმა ნუ ქნას, ეს დიდხანს გაგრძელდეს.**

**— ვისთან ერთად აპირებთ „ახალი მემარჯვენეები“ კოალიციურ ფორმატში გასვლას საპარლამენტო არჩევნებზე და**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**facebook**



**დემურ გიორხელიძე:**

ე.ი. საქართველოს ეროვნული ვალუტა - "ლ ა რ ი" -

მყარდება კოსმოსური სიჩქარით და ამას რაიმე ეკონომიკური საფუძველი უდევს, არა?!

ობიექტური მიზეზი აქვს?!

და ეს ნორმალურია?!

და ამ პროცესში ვინმეს პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა დევს?!

და ეს ბანდიტიზმი კარგია ეკონომიკისთვის და მოსახლეობისთვის, ხომ?!

შ ე ვ ა რ ც ხ ვ ი ნ ე [ძალიან დელიკატური სიტყვა გამოვიყენე.

გაცილებით უპრიანი იყო მაგარი მამაპაპური სიტყვა გამომეყენებინა, აი, ფონეტიკურად ტყემლის ასოციაციას რომ იწვევს!.. მით უფრო, ახლა ტყემლის "სეზონია"], მაგრამ იმერული აღზრდა არ მაძლევს ამის უფლებას! მე-6 თაობაში იმერელს, ვერ გამიგებდნენ წინაპრები!]

თ ქ ვ ე ნ ი [ვინც ამ პროცესში არის ჩარეული, ცხადია]:

[ა] განათლება და ცოდნა,

[ბ] პროფესიონალიზმი,

[გ] პასუხისმგებლობა,

[დ] სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება,

[ე] ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა,

[გ] ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება...

ცოტა მაინც ფეხზე რომ იდგეს ეს ე.წ. "სახელმწიფო",

ამ კრიმინალს, სულ ცოტა, ორი ინსტიტუტი უკვე გამოიძიებდა:

[ა] პროკურატურა, თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

[ბ] საქართველოს პარლამენტი,

რადგან ეს თაღლითობა და უნამუსო ძარცვაა...

რაც მოხდება - წინასწარ გეტყვით...

წლევანდელ წელს საქართველოს ეკონომიკა, -

მიზერული ეკონომიკა, - უ მ ნ ი შ ვ ე ლ ო ზრდით დაასრულებს...

ახლანდელი "ეკონომიკური ბუმი" ყველას დაავიწყდება,

ლარი ისევ დაუვლის როგორც ჩვევია და ახლა... ამ დავლაზე გააკეთებენ ფულს თაღლითები, რომლებსაც ხელისუფლება აძლევს ამის უფლებას...

სხვა მიზეზების ძებნა - მხოლოდ სერვის-"ექსპერტებს"

და გონებადაძრულ ადეპტებს შეუძლია...

რაც არ არსებობს, არ შეიძლება იმის მიზეზად მოტანა!

**facebook**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

თამარ ქალდანი, თამარ ჩუგოშვილი, თამარ ხიდაშელი, თინათინ ხიდაშელი, თამარ კორძაია, უჩა ნანუაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ირაკლი ალასანია, ძმები ბერძენიშვილები, რესპები, თავისუფალი დემოკრატები. ამდენი შეცდომის შემდეგ თითქოს ჭკუა უნდა ესწავლათ მაგრამ არა. შეცდომების ათვლა იწყება დავით კოღუაშვილით და მთავრდება........



Facebook ამბები



ნიკოლოზ მჟავანაძე:

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ არჩევნების მოგების დიდი შანსი გააჩნია, მას არჩევნებზე ძალიან გაუჭირდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი, რომელიც პროქართულად აზროვნებდა და ხალხის სიმპათიებით სარგებლობდა, პარტიიდან იქნა გარიყული. თამაზ მეჭიაურმა უკვე ოფიციალურად გააკეთა განცხადება წასვლის შესახებ. მას კიდევ რამდენიმე დეპუტატი მიჰყვება. ჩემთვის მათი ვინაობა ცნობილია, მაგრამ არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ვინმე, დაველოდოთ, თავად გააკეთებენ ამ განცხადებას. ეს ადამიანები მხოლოდ იმიტომ გარიყეს, რომ განსხვავებული პოზიცია აქვთ.

მსოფლიოში ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დემოკრატიულ ქვეყანას, სადაც ხელისუფლებაში ყველას ერთი აზრი აქვს. ამერიკის მაგალითების მოყვანა ძალიან უყვართ საქართველოში და ბევრ რამეშიც ბაძავენ ამერიკელებს. რამდენიმე კვირის წინ კონგრესმენმა რასელმა განაცხადა, ივანიშვილს ანგარიშები უნდა გავუყინოთო. ამის გამო აშშ-მ ლამის ოფიციალური ბოდიში მოიხადა - ეს ჩვენი პოზიცია არ არისო. იგივე ხდება ხოლმე მაკეინის განცხადებების დროს. ამის მიუხედავად, ამ ადამიანებისთვის შენიშვნა არავის მიუცია, გუნდიდან გარიყვაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. გამიჭირდება იმის თქმა, ამ გადაწყვეტილებით „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი ვისი გულის მოგებას აპირებს. სამაგიეროდ, კარგად ვხედავ, როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე,

ის ხალხი გაირიყა, ვინც ეროვნულად აზროვნებდა და ამით ხალხის სიმპათიას იმსახურებდა. მოსახლეობას ისიც ახსოვს, როგორი თავგამოდებით იბრძოდნენ ეს ადამიანები რეჟიმის წინააღმდეგ. ახლა ეს ხალხი მოულოდნელად საარჩევნო სიის მიღმა აღმოჩნდა. ამ დროს სიაში იმ ხალხის ჩასმას აპირებენ, რომლებსაც იმ 9 წლის მანძილზე ერთხელაც არ გაუკრიტიკებიათ ნაციონალები. ეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ბევრ კითხვას უჩენს და ისინი ამ პარტიას არჩევნებში ხმას აღარ მისცემენ.

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



სრულიად საქართველო შეძრა 19 მაისს ხურჩაში, საოკუპაციო ხაზთან მომხდარმა მკვლელობამ: საქართველოს მოქალაქე, 30 წლის გიგა ოთხოზორია, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ე.წ. მესაზღვრემ, წარმოშობით აფხაზმა რაშიდ კანჯი-ოღლიმ, დღისით-მზისით არაერთი ადამიანის თვალწინ დახვრიტა! გავრცელებული ცნობით, ეს სულაძაღლებული რაშიდი რუს მესაზღვრეებთან ერთად იმყოფებოდა, შესაბამისად, ქართული და უცხოური მედიასაშუალებები მას რუს ე.წ. მესაზღვრედ მოიხსენიებს. ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანი შეძრა იმ საშინელმა ვიდეოკადრებმა, რომელიც ტრაგედიიდან მალევე გავრცელდა – საზღვართან დამონტაჟებულმა ვიდეოკამერამ ეს ცივსისხლიანი მკვლელობა დააფიქსირა ... 

ხალხმრავლობა, მე მარტო ავდგები და გავალ პროტესტის ნიშნად, მაგრამ, თუ ვინმეს გაქვთ სურვილი, შემომიერთდეთ, გელოდებით-მეთქი და იქვე ხაზი გავუსვი, – პოლიტიკოსები არ დავინახო მოთრეული, ეს სამოქალაქო პროტესტია-მეთქი...

საღამოს 8 საათზე, როგორც ეს დავგეგმე, სრულიად მარტო წავედი თავისუფლებაზე. რაც იმ მცირე დროში მოვიფიქრე, ეს იყო: რამდენიმე თაბახის ფურცელზე სამიზნე ნიშანი ამოვბეჭდე, წარწერით „სტოპ რაშა“, რომელიც ადგილზე მისულს მკერდზე უნდა მიმეკრო, სიმბოლურად ხელები ამეწია და ასე ვმდგარიყავი იმის ნიშნად, რომ ქვეყანაში უიარაღო ხალხს გვიხვრეტენ და რომ რუსული აგრესია უნდა შეჩერდეს! ძალიან გამიხარდა იმის დანახვა, რომ პარლამენტის წინ ათამდე ადამიანი მოვიდა სპეციალურად ამ აქციაზე, თავიდან ბოლომდე გაიზიარა ჩემი იქ მისვლის პათოსი და

ყებიდან ხუთიოდე წუთში პატრულის ორი ეკიპაჟი მოვიდა, თავაზიანად გამოგვკითხა, ვინ ვიყავით, რას ვაპირებდით და ინფორმაციის მიღების შემდეგ, აქციის ბოლომდე ჩვენგან ათიოდე მეტრში იდგნენ, სიტუაციის გასაკონტროლებლად.

და მაინც, იყო თუ არა ხურჩაში მომხდარი ტრაგედია პროვოკაცია? – იმედია, ამას გამოძიება დაადგენს, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ჩვენი თანამოქალაქე ხალხის თვალწინ ასე დაგვიხვრიტეს, ვერსად გავექცევით! არახალია იმის თქმა, რომ რუსი ე.წ. მესაზღვრეები, რეალურად, „ბეზპრედელები“ არიან და როცა მოუნდებათ, მაშინ იტაცებენ ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობას, განთავისუფლების სანაცვლოდ უწესებენ ჯარიმას და ერთ-ორს ყბაშიც მიადებენ ხოლმე, „ჭკუის სასწავლებლად“... ვინაა ჩვენი პატრონი? ვინ გვიცავს? მავანი იტყვის – დასავლეთიო, ეუთოო, ისაო, ესაო... კი, მაგარი

ვინ უნდა დაგვიცვას?!

ერთჯერადი ცხვირსახოცით თვალებზე, საცრემლე ჯირკვლების დიდი ძალისხმევის შედეგად მომდგარი ორიოდე კურცხალი მოიწმინდოს და ისეთი განცხადება გააკეთოს რუსეთის წინააღმდეგ, დამთავრებული არ ჰქონდეს და რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა რომელიმე ჩვენი სოფელი პირისაგან მიწისა აღგავოს... ამ 21-ე საუკუნის თამარ მეფეს ასე ესმის ხალხის დაცვა და უყარე კაკალი! ნატო-ს სამხედრო წვრთნებსაც ხომ დიდი იმედით შეჰყურებს, აქაოდა, ჩვენი ჯარისკაცები ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მომზადდებიან და თუ საჭირო გახდება, საკუთარ ცოდნას პრაქტიკაში გამოიყენებენო... ამასობაში კი, როდესაც აღნიშნული წვრთნების შესახებ „ძია ვანიაში“ გაიგეს, მაშინვე დაიწყეს ტლინკების ყრა, – თუ ასე გაა-

# უნდა გადადგეს თავ...დაცვის თინა მინისტრი და სახელმწიფო უშიშროების შეფი გომელაური!!!




**თქვენ თუ არ გაქვთ ხალხის დაცვის შნო, თავად ხალხს მიეცით ამის საშუალება!**

სისხლიანი მკვლელობა დააფიქსირა და ყველამ ვნახეთ, როგორ არაადამიანურად დაგვიხვრიტეს სრულიად უდანაშაულო, უიარაღო, ერთი რიგითი ქართველი მამაკაცი იმის გამო, რომ მას შელაპარაკება მოუვიდა ე.წ. რუს მესაზღვრეებთან... დიახ, დაგვიხვრიტეს, რადგან გავრცელებული ცნობით, კანჯი-ოღლიმ ოთხოზორიას 6-ჯერ ესროლა (შემდეგში გავრცელდა ინფორმაცია იმაზეც, რომ სულ ოთხმა ადამიანმა ესროლა, მათ შორის რაშიდმა), რომელზეც შეიძლება ითქვას, ქართველებს საკუთარი ძალებით ძებნა აქვთ გამოცხადებული და ყველას მოუწოდებენ, თუკი ვინმე სადმე წააწყდება იმ არაკაცს, ადგილზე გაუსწორდეს!

აი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა უკვე თავად გადადის თავდაცვის რეჟიმზე, თავად იწყებს რაშიდისთანა მკვლელებისა და არაკაცების ძებნას და თავად აპირებს, დაიცვას საკუთარი სიცოცხლე და ღირსება! სად არის ამ დროს სახელმწიფო? რას აკეთებს?

თავისთავად, მეც გამიჩნდა პროტესტის გრძნობა ამ საშინელებაზე და 21 მაისს, სრულიად სპონტანურად გადავწყვიტე თავისუფლების მოედანზე, პარლამენტის წინ გასვლა, რომ უხმოდ, სიმბოლურად გამომეხატა ჩემი პროტესტი... ეს სურვილი საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე დავწერე, – არ მაინტერესებს

გვერდით დამიდგა, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი... ათამდე ხელებაწეული და მკერდზე პლაკატებმიკრული ადამიანი ნახევარი საათის განმავლობაში ვიდექით თავისუფლებაზე, ამგვარად ვაფიქსირებდით ჩვენს პროტესტს და ხმაამოუღებლად ვამბობდით მთავარ სათქმელს: შეჩერდეს რუსული აგრესია და შეწყვიტეთ უიარაღო ხალხის ხოცვა! უამრავი ადამიანი (მათ შორის, ტურისტი) ჩერდებოდა, ფოტოებს გვიღებდნენ, გვეძახდნენ, – თქვენ გვერდით ვართ, გაიხარეთო... ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ტურისტი ბიჭი პირდაპირ მოვიდა ჩვენთან და გვთხოვა, თუ შეიძლება, თქვენ გვერდით დავდგებიო... რა თქმა უნდა, მას ამის საშუალება მივეცით და ამ ადამიანმა ჩვენთან ერთად, რამდენიმე წუთის განმავლობაში, დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ ის რუსეთს შეჩერებისკენ მოუწოდებს... შემდეგ კი გულითადი სიტყვებითა და მხარდაჭერის ტექსტებით დაგვემშვიდობა... იყო ისეთი ქართველი(!) ქალბატონიც, რომელიც ყავით ხელში მოგვიახლოვდა, გვთხოვა, ამიხსენით, რას აპროტესტებთ, მე ტელევიზორს არ ვუყურებო და ინტერესით „შემოგვასვეცკა“ თავისი წამწამებდაკრული თვალები. როცა ბიჭებმა ყველაფერი აუხსნეს, თავის ქნევით წავიდა... მეტი არაა ჩემი მტერი, იმან რამე გაიგო და მით უმეტეს, გულთან ახლოს მიიტანა... აქციის დაწ-

„დაცვაა“, როდესაც დასავლეთი „აღშფოთდება“, კიდევ უფრო მაგარია, თუკი კონკრეტულ ინციდენტს „დაგმობს“, მერე ამ „აღშფოთებადაგმობაში“ კარგა გვარიან ხელფასებს აიღებენ და საქართველოს მოქალაქეები, განსაკუთრებით კი, საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები, ისევ პირისპირ რჩებიან ოკუპანტის წინაშე ცარიელი ხელებით. ჩვენი ხელისუფლება კი ისე „ზრუნავს“ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე, რომ მაგალითად, ხურჩაში საერთოდ არავითარი ქართული წარმომადგენლობა, ან თუნდაც სამადლოდ პოლიციის ერთი „პიკაპიც“ კი არ მდგარა, რომ საზღვარზე სიტუაცია ეკონტროლებინა და მომხდარი საშინელება თავიდან აგვეცილებინა... როგორია, გადმოირბინა ვიღაც დამთხვეულმა ნაბიჭვარმა ჩვენს საზღვარზე, ისე დაახალა ექვსი ტყვია ადამიანს, ხელიც არ აუკანკალდა, მერე გადაირბინა ისევ „იქით“ და ალბათ, ღამეც მშვიდად ეძინა...

და ამ დროს ჩვენი თავდაცვის (თავ-დაცვის!!!) მინისტრი, ქართველი ჟანა დ'არკი, თამარ მეფის რეინკარნაცია, მისი აღმატებულება თინათინ ხიდაშელი, ნება-ნება გამოაცხობს განცხადებებს, ეს რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავს, ეს რა გაგვიბედეს, უუუტუტუტუტუ! მერე არაა გამორიცხული, ჩვენ რომ ხელფასს ვუხდით, იმ ფულით ნაყიდი

კეთებთ, ჩვენ სამხედრო წვრთნებს კავკასიაში დავიწყებთ, რადგან ეგ თქვენი ნაბიჯი აგრესორის მხარდაჭერააო. ამას დავუმატოთ ქალბატონი თავდაცვის მინისტრის რუსეთის მისამართით გაკეთებული ხისტი განცხადებები, რაც მისი „რესპუბლიკური“ ჭკუით, საკუთარი მოსახლეობის დაცვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია... „დიდ დათვს“ რომ ასე „ნაგლად“ უჩხიკინებ ერთ ფუმფულა ადგილში, ერთხელაც იქნება, ამოასხამს, დაიღმუვლებს და ზუსტად იმ შობელძაღლ „რაშიდ კანჯი-ოღლის“ ჩაგიტარებს საქართველოს ტერიტორიის იმ დარჩენილ 80 პროცენტში – გადმოვა, გადაგივლის, შეგჭამს და დაბრუნდება უკან გამძღარი, ძალიანაც არ შეაშინოს ახლა „დათვი“ დასავლელმა „მელიებმა“ სანქციების დაწესებით... გაზის ერთი „შურუპის“ გადაკეტვა და ევროპის ადგილზე „მოსმა“ ერთი იქნება. რა, არ უქნია რუსეთს აქამდე ასე, თუ? უქნია და გონების დიდი დაძაბვა არ სჭირდება იმის გახსენებას, რა პანიკური შეტევა დაემართათ ჩვენს ევროპარტნიორებს... ამერიკა ჩვენ გამო რუსეთს დაეტაკება? ვისაც ამის გჯერათ, გამოდით, უნდა დაგთვალოთ! ამერიკული მხარდაჭერა როგორი იყო გახსოვთ, თუ შეგახსენოთ? გემით წყალი და პამპერსები რომ შე-

გაგრძელება მეთოთხმეტე გვ.

Facebook ამბები

ნანუკა ჟორჟოლიანი

გადმოვიდნენ, ბიჭი მოგვიკლეს, საკონტროლო გასროლით და გადავიდნენ და რა? დავგმეთ ეს ამბავი და მეტი ვერაფერი?! სახლში რომ შემოგივარდნენ, მინისტრებს, მოადგილეებს, შვილები საკონტროლო გასროლით დაგიხოცონ და წავიდნენ იგივეს იტყოდით?! რატომ არ ვართ აღშფოთებულები ? ამბავი მრგვალ ბაღთან რომ არ მოხდა?! არაფერია ჩასვრილ ხელისუფლებაზე ცუდი სანახავი!



მეცამეტე გვერდიდან

მოგვიგზავნა გაგანია აგვისტოს ომის დროს, „პერედაჩზე" – წყალი, ალბათ, იმიტომ, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაგვყოლოდა სული და პამპერსი. რატომ? – მიხვდით, ალბათ, თავადაც...

სად მიდის ხალხის ფული? – ჩინოვნიკების საზღვარგარეთულ ვოიაჟებში, დაცვებში, საკუთარი შვილების ძვირად ღირებულ სასწავლებლებში სწავლების დაფინანსებაში, პრემიებში, დანამატებში, ფეშენებელური „ბაითების" აშენებაში და ასე შემდეგ. რატომ მიდის ეს ფული ამ ყველაფერში? – იმიტომ! ასე სურთ „ზემოთ" და თურმე რახან ესენი მოვათრიეთ ხელისუფლებაში, მაშინ ვალდებულები ვართ, ვუყუროთ ამათ მამაძაღლობებს და წუწუნი არ უნდა დავიწყოთ! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი კი გვეუბნება, რომ კარგად ვართ, მაგრამ აბა, ჩემს მეზობელ რამაზას ჰკითხეთ, კარგად თუ არის? ისეთ სართულებიანს მიაყოლებს ამ კითხვას, ყურს რომ არ გაეგონება... ასევე, გვეუბნება ჩვენი თავდაცვის მინისტრი, ქართული პოლიტიკის საოცრება, ქალბატონი თინათინი, რომ გვიცავს, რომ ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა ოკუპანტის ხაზიდან რომელიმე ცუდ ხასიათზე მყოფი ე.წ. მესაზღვრე არ გადმოეთრეს და არ დაგვცხრილოს მხოლოდ იმის გამო, რომ, მაგალითად, ჩვენი თმის ვარცხნილობა არ მოეწონა; ან „გამარჯობა" დედის ტრ...კის გინებად ჩათვალოს და ისე ააგდოს ჰაერში უიარაღო, მაგრამ თავდაცვის მინისტრის მიერ „დაცული" ადამიანი, ორმოცამდე ძირს ვერ ჩამოვარდეს... რა, ჩინურ მაღაზიაში ნაყიდ კედს ესვრი აგრესორს, თუ პროდუქტებით დატვირთული ჩანთების სახელურით მიახრჩობ, სანამ თვითონ გამოგიყვანს წირვას?! ვერაფერსაც ვერ უზამ, ამიტომ უნდა დადგე და „მამაო ჩვენოს" თქმა მაინც მოასწრო, სანამ ღობეზე მიგაკლავენ ცოფიანი ძაღლივით... სამაგიეროდ, გარდაცვალების მერე შეიძლება იმ შენი საკუთარი ფულით ნაყიდი მედლით დაგაჯილდოონ, რომელსაც ხელისუფლებას უხდი; ამავე ფულით „აიღოს სახელმწიფომ საკუთარ თავზე დაკრძალვის ხარჯები" და ეს შენი წლობით შეტანილი თანხა გადასცენ შენსავე ოჯახს, კომპენსაციისთვის... გინდა თუ არა შენ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი „კომპენსირებული" მოდგომა, ამას არავინ გეკითხება! ან ვინმეს როგორ წამოსცდება, ჩვენ ვერ დავიცავით საკუთარი მოქალაქეს სიცოცხლეო? მით უმეტეს, ქალბატონი თინათინ „მცველი" იტყვის ამას? ამის წარმოდგენა საპირველაპრილო ხუმრობების კონტექსტშიც კი ვერ ჯდება... ეგ იმას ვერ ხვდება, რომ მინისტრი ჯარის წინაშე როცა დგახარ, ვარდისფერი პიჯაკი და „ბალეტკები" არ უნდა გეცვას და არაა გამორიცხული, „მაკაროვი" იტალიური სპაგეტის ნაირსახეობა ჰგონია...

გომელაურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც ხომ საოცრად მაგარი გვყავს... სუს-ის უფროსის მოადგილე ლევან იზორიამ განაცხადა, მომხდარს რეაგირების გარეშე არ დავტოვებთო. რომელ რეაგირებაზეა საუბარი? საქართველოს მოქალაქე, სადისტი და უხსენებელი მეგის ქარდავას ადგილსამყოფელი ვერ დაგიდგენიათ წესიერად (მის ჩამოთრევაზე აღარაფერს ვამბობ) და უცხო ქვეყნის მოქალაქის დამჭერები ხართ თქვენ? ძლინკიანი სააკაშვილი და მისი რეჟიმი ვერ „მოჭიმეთ" დასავლეთის შიშით, აქაოდა, პოლიტიკურ დევნაში ჩაგვეთვლებაო და ხალხს შემოგვტენეთ, თურმე, ჩვენ გვდომებია „ნაციონალებთან" კოჰაბიტაცია და რომელ სამართალს აღადგენთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში? რამის შნო თუ გაქვთ, ვიღაცა აფხაზი წარმომავლობის ე.წ. მესაზღვრე ვერ უნდა გვიკლავდეს თვალწინ სრულიად უდანაშაულო, უიარაღო მშვიდობიან მოსახლეს! რატომ არ იდგა ქართული შესაბამისი სტრუქტურის თუნდაც ორი წარმომადგენელი ხურჩის საზღვართან და რატომ არ იცავდა მოსახლეობას? საოკუპაციო ხაზია, თუ იბიცას პლაჟი, რომ საჭიროდ არ თვლით, ასეთ მნიშვნელოვან პუნქტებთან ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლობის ყოფნას? ვის იმედად ტოვებთ ათასობით ადამიანს? როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობის შესაძლებლობებზე ძალიან სპეციფიკური წარმოდგენა გაქვთ და თითოეული მათგანი „რემბო" გგონიათ, რომელსაც შეუძლია, მინიმუმ, სამი შეიარაღებული აგრესორი ისე დაიფრინოს, როგორც ამას კინოგმირი აკეთებს ხოლმე ფილმში და შეტაკებიდან უნაკაწროდ გამოვიდეს... საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ბებოები კი კარატეში შავი ქამრის მფლობელი, ან გადაცმული სნაიპერები გგონიათ, რომელთაც ყავარჯენში დასაკეცი „ვინტოვკა" აქვთ ჩამალული და თუკი ვინმე მათზე შეიარაღებულ თავდასხმას ეცდება, წამის მეასედებში გაშლიან და მტერს სიკვდილის ბუზს დაასვამენ შუბლზე... რა ხდება, მოსახლეობას მხოლოდ „ზეპირად" და ასეთი ფანტასმაგორიული წარმოდგენებით იცავთ?!

თქვენ თუ არ გაქვთ ხალხის დაცვის შნო, თავად ხალხს მიეცით ამის საშუალება! „ალია" ხშირად წერდა ხოლმე, რომ ხელისუფლებამ შემოიღოს კანონი, რომელიც ყველა ნორმალურ, არანასამართლევ პირს იარაღის ტარების უფლებას მისცემს, რათა მან თავად დაიცვას საკუთარი სიცოცხლე საფრთხისგან, თავად შეძლოს, გაუსწორდეს ოჯახში შემხტარ მკვლელებს მანამ, სანამ ისინი ამ ოჯახს ამოუწყვეტენ! იარაღის ყიდვა დღეს სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ რა ჯანდაბად მინდა, თუ მისი ტარების უფლება არ მექნება და სახლში, სეიფში, დაშლილ მდგომარეობაში უნდა მედოს? ეს იმას ჰგავს, მამაკაცმა საოცნებო მანქანა იყიდოს და კი არ იაროს, გარაჟში დააყენოს. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ღამეა, მთელ ოჯახს მშვიდად სძინავს. ამ დროს სახლში იჭრებიან მძარცველები და გეუბნებიან, – ან ფული გამოუშვი, ან ყველას სათითაოდ გაგიხვრეტთ შუბლსო. ამ დროს შენ დგები და ეხვეწები, – შენი ჭირიმე, ორიოდე წუთი მაცადე, ახლა ავდგები, ოფიციალურად ნაყიდ და დაშლილ მდგომარეობაში შენახულ იარაღს ავაწყობ, შენ მანამდე არ მოიწყინო, ის ტანსაცმლის კარადა ამოატრიალე, გაერთე, მანამდე მე იარაღს მწყობრში მოვიყვან და მერე თავიდან დამემუქრეო... როგორია? ან კიდევ ეს სიტუაცია წარმოიდგინეთ: ცხოვრობთ საოკუპაციო ხაზთან მყოფ სოფელში. დილას გამოხვედით ბოსტანში კიტრის მოსაკრეფად, ან საქონლის მინდორში გასარეკად, ამ დროს ოკუპანტი მოგიახლოვდათ და ნაზად დაგიყვირათ, – რას დაბოდიალობ აქ? ვინ ხარ? ხაზის გადმოკვეთას აპირებდი, არააა? ახლა ნახავ, რას გიზამ! – და მოგიშვერს რუსული წარმოების ავტომატს. ამ დროს შენ ეუბნები: „სლუში, ნიკოლოზ", შენ აქ დამელოდე, მე სახლში შევალ, იმ იარაღს ავაწყობ, რომელიც დაშლილ მდგომარეობაში მაქვს მარანში დამალული, მერე მოვალ და ვილაპარაკოთო... ხომ მიგასხმევინა ტვინი იქვე?

ხელისუფლება, კეთილი ინებე და თუ თავად არ გქვს საოკუპაციო ხაზთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობის დაცვის ტრ...კი, ოფიციალურად გაფორმებული იარაღი დაურიგე იმისთვის, რომ მათ საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლის დაცვა თავად შეძლონ! კოდორი რომ აუღებელი ციხესიმაგრე იყო, დაგავიწყდათ? და რატომ იყო ასე, გახსოვთ? იმიტომ, რომ კოდორში ყველა ოჯახს ჰქონდა იარაღი და აბა, ერთი ვინმეს ზედმეტად დაერღვია მათი სიმყუდროვე! რუსული მხარეც კი ერიდებოდა ზედმეტ პრუტუნს კოდორის ტერიტორიაზე, რადგან ძალიან კარგად იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის შეიარაღების ამბავი. რომელი ე.წ. რუსი მესაზღვრე გაბედავდა გიგა ოთხოზორიასავით რომელიმე მუხბეს დახვრეტას? ხომ გამოუხტებოდნენ სვანები და ისეთ დღეში ჩააგდებდნენ, მარტო პირადობის მოწმობით თუ იცნობდა პატრონი? მაგრამ რად გინდა, მიხეილ სააკაშვილმა იმდენი ქნა, სანამ კოდორის სამოქალაქო რაზმები არ დაშალა და ამით, ფაქტობრივად, რუსეთს გადაულოცა გეოგრაფიულად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ტერიტორია... არავინ ამბობს, კოდორში ყველაფერი სუფთად იყოო, მაგრამ რეალობა ისაა, რომ ის ხალხი საკუთარი ცხოვრების წესით საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას არ უშლიდა ხელს და ისე იცავდა საკუთარ ოჯახებსა და საცხოვრებელ ადგილს, როგორც შეეძლო. წაბრძანდით, ბატონო, და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ გლეხ ხალხს იარაღი დაურიგეთ (ნასამართლობის გადამოწმების გათვალისწინებით), აღწერეთ ყველაფერი და მიეცით თავდაცვის საშუალება, რომ რომელიმე მათგანი ვიღაც „ოლლებმა" თხასავით არ გააგორონ ერთ მშვენიერ დღეს! თუ ამდენს ვერ „ქაჩავთ", მაშინ ხალხს იარაღის ტარების უფლება მაინც მიეცით და ამ შემთხვევაში მხოლოდ საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე არ მაქვს საუბარი – აქ უკვე სრულიად საქართველოს ვგულისხმობ. ვერ გავიგე, რამე ინოვაციურს ვამბობ? ბოდიში მოიხადეთ! ამერიკის კონსტიტუციაში პირდაპირ არის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ყველა ნორმალურ ადამიანს აქვს იარაღის ტარების უფლება! თუ ყველაფერში ვბაძავთ ამ ამერიკა-ევროპას, ამაშიც რომ მივემგვანოთ, არ შეიძლება? ამხელა ამერიკა თუ აკონტროლებს ყველაფერს ასეთ საპასუხისმგებლო საკითხში, სამ მილიონნახევრიან საქართველოს რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ ეს ვერ მოვახერხოთ? ალბათ, ვიღაცები გამოხტებიან და გააპროტესტებენ, როგორ შეიძლება მაგის გაკეთება, თბილისი მეხიკოდ გადაიქცევა რამდენიმე დღეშიო... აქაც მაქვს არგუმენტი: როდესაც იარაღი ოფიციალურად გაქვს გაფორმებული, ჰარი-ჰარალოზე არ ესვრი სხვას, რადგან ბალისტიკური ექსპერტიზით ყველაფერი რამდენიმე წუთში დადგინდება, გამოძიება პირდაპირ მოგადგება, მოგკიდებს ქეჩოში ხელს და ათეული წლით ჩაგაყუდებს „ვირის აბანოში". საკუთარი ეზოდან გაქცევასაც ვერ მოასწრებ, იმდენად მალე დადგინდება ჭეშმარიტება და იარაღის პატრონი. თინათინ „მცველის" იმედად ნუ დაგვტოვებთ, თორემ ღმერთმა ნათელში ამყოფოს და, გიგა ოთხოზორიას ამბავი უკანასკნელი არ იქნება, გული მიგრძნობს... ან ფულს რაში გვახარჯვინებს, ან ზემოდან რას დაგვყურებს – უმადურები ხართ, ვერ ამჩნევთ ჩემს ღვაწლსა და თქვენზე ზრუნვასო... გამოსავლის ორი ვარიანტია – ან დაკისრებული ფუნქცია უნდა შეასრულონ, რასაც თავი ვერ გაართვეს, ანდაც ხიდაშელმა და გომელაურმა სასწრაფოდ პოსტები უნდა დატოვონ! თუ ასე არ მოხდა, ამისთვის არსებობს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი... თუმცა, პარლამენტი არა, ისა... მასხრების „კაკაფონია" უფროა, ვიდრე ხალხის რჩეულთა ერთობა!







**გიორგი კანდელაკი**

რუსმა ოკუპანტმა საქართველოს არაოკუპირებულ (ხაზს ვუსვამ, არაოკუპირებულ) ტერიტორიაზე მოკლა საქართველოს მოქალაქე. ამის ერთ-ერთი მიზეზი, გარდა იმისა რომ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა უბრალოდ დაუწვა ოკუპანტს, არის ის რომ ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს განლაგებული სპეცრაზმები ივანიშვილის მთავრობამ უბრალოდ დაშალა (მაგალითად კარალეთის სპეცრაზმი). ეს სპეცრაზმები ასრულებდნენ მნიშვნელოვან შემაკავებელ, პრევენციულ როლს.

ამიტომ, 30 წლის გიგა ოთხოზორიას მკვლელობაზე პირველ რიგში პასუხისმგებელია ივანიშვილის ჩასვრილი მთავრობა. კვირიკაშვილი კი - რომელიც ამ ყველაფრის გაპრავებას ცდილობს - არის ჩასვრილი პრემიერ-მინისტრი რომელიც ინაწილებს ზემოთხსენებული სპეცრაზმების დაშლის პასუხისმგებლობას. ამათი დარჩენა შეუთავსებელია საქართველოს სუვერენიტეტთან და დამოუკიდებლობასთან.

**კობა სუბელიანი**

მე შენსკენ და შენ ეშმაკებისკენო - ქოცებზეა ნათქვამი



**დავით ლორთქიფანიძე**

ჩვენო (ოცნების) მხარდამჭერებო, მეგობრებო მინდა ჩემი სახელით ბოდიში მოგიხადოთ პოლიტსააბჭოს ახალი წევრის?! დავით კოღუაშვილის შლეგი განცხადების გამო. გამაოგნებელი და შეურაცხმყოფელია ყველა ღირსეული მამულიშვილისათვის. მან ამაზე განმარტებები უნდა გააკეთოს და აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მე ამ საკითხს ვაყენებ და ველოდები მოქმედებებს... §პ.ს. გუშინ ძალიან დამწყდა გული,დიდი მამულიშვილის, გურამ შარაძის მკვლელობის ადგილზე რომ ვერ მოვახერხე მისვლა,ვანში გახლდით და ვაჟა კორძაძეს სიცოცხლის ხალისი დავუბრუნეთ, გადავეცით ამპუტირებული ფეხის თანამედროვე პროტეზი. ალბათ ეს თუ გამამართლებს და ამით „თავს დავიმშვიდებ"...

**შალვა წიკლაური:** - ბოდიში არ შველის, ეგ კოღუაშვილი აღარ უნდა იყოს ოცნების პოლიტსაბჭოში!

Facebook ამბები

**რაულ ჩილაჩავა:**

თუ საქართველო მართლა სახელმწიფოა, მან უნდა შექმნას ებრაული "მოსადის" მსგავსი ეფექტური საიდუმლო სამსახური, რომელიც დედამიწის ნებისმიერ წერტილში მოძებნის და სამაგიეროს მიუზღავს ჩვენს ყველა მოსისხლესა და შეურაცხმყოფელს. თორემ ისე რა გამოდის: ჩვენი სპეცსამსახურები მხოლოდ ქართველებზე ნადირობენ, თანაც მარტო საქართველოში და თანაც ხელისუფალთა პირად მტრებზე. ასეთი უშიშროება ვის რად უნდა!



MERAB



მერაბ შათირიშვილი:

მთელი პასუხისმგებლობით მოგმართავთ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ძველ შემადგენლობას, ბიძინა ივანიშვილს, პრემიერ-მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილსა და პოლიტმდივანს კახი კალაძეს: ჯერ დიდი და დაუფიქრებელი შეცდომა იყო ასე ნაუცბათევად, პარტიის ყრილობაზე იმის გაჟღერება და საზოგადოების იმ მოულოდნელი ფაქტის წინაშე დაყენება, რომ ილუზიონური მოულოდნელობით პარტია განაახლეთ და ე. წ. „ახალი სისხლი“ მიიღეთ, ეს იყო პოლიტიკურად გაუმართლებელიც და გაუგონარიც, ასე არ ხდება, „ქართული ოცნება“ არაა მხოლოდ ჩაკეტილი და თავისი თავის უფალი პარტია, ის საზოგადოების ნაწილია, საზოგადოების ინტერესებზე აპელირებულია და საზოგადოების წინაშე, პოლისაბჭოში მიღებული ახალი სახეები, ადრევე უნდა ყოფილიყვნენ წარდგენილნი, საზოგადოებას მათი პოლიტიკური გემოვნება და ქართულ ღირებულებებთან დამოკიდებული მათი პრინციპების შესახებ ადრევე უნდა სცოდნოდა - მათი გონიერება და პოლიტიკური სიმწიფე შეესწავლა და გაესინჯა - დაეგემოვნებინა თუნდაც - ყრილობის ჩატარება არ ნიშნავს, ფართო საზოგადოებისგან მოწყვეტას და დახურულ სივრცეში რაიმე ღონისძიების თვითნებურად განხორციელებას, არ ნიშნავს საზოგადოებისგან მოწყვეტას, იქ, ყრილობაზე, საზოგადოების აზრი და თავად საზოგადოება უნდა იგულისხმებოდეს, თქვენ ეს არ გააკეთეთ და დიდი შეცდომა დაუშვით, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს პრინციპით იხელმძღვანელეთ, ჩვენ ასე გვსურს და პარტიის აქტივი უმრავლესობით გვიდასტურებს ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებასო, ასეთი გადაწყვეტილება ქვეცნობიერად ქართველ ამომრჩეველთან, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული და, ასეთი დაჩქარებული, უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების შედეგს თვალნათლივ იმკით, ვერ ხედავთ, როგორ დაუფიქრებელ და თითქოსდა ზედემოკრატიულ განცხადებებს აკეთებს, თითქოსდა ზეპროდასავლური ახალი სახეები, რომლებიც პოლიტსაბჭოში ჭენებ-ჭენებით დაამტკიცეთ?..

გულწრფელი და კეთილი განზრახვით მოგიწოდებთ ზემოთ დასახელებულ პირებს, დროზე გადახედეთ „ქართული ოცნების“ ყრილობაზე მიღებული ე. წ. ახალი სახეების დამტკიცების საკითხს, ვიდრე უარესს უხერხულობასა და პოლიტიკურ სიბეცეს წაწყდომიხართ მათი მხრიდან....

მე, ჩემი მითქვამს, დანარჩენი თქვენ იცით, ისედაც, ამქვეყანაში, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის... თუმცა სად მიდის, საკითხავი, აი, ეს არის - უფსკრულში?..



დათო გოგიშვილი:

ვინც კარგად მიცნობთ პირადად ძაან კარგად იცით, რომ „ქართული ოცნების„ მიმართ დიდი ფანატური მიჯნურობით არ გამოვირჩევი და მეტიც, რაც არ მომწონს ხმამაღლა ვამბობ და ვაკრიტიკებ ზრდილობიანად და კორექტულად „ქართული ოცნების„ ყველა ნაციონალურ და მიშისტურ გამოვლინებას, სიკეთეს რასაც აკეთებენ იმასაც არ ვუკარგავ. იცით რა მაინტერესებს? აწ განსვენებული გიგა ოთხოზორიას ტრაგედიით სპეკულირება რა ახალი სტილი და მენეჯმენტია წინასაარჩევნო??? დღეს თუკი ვინმეს მორალურ-სამართლებრივი მდგომარეობა არის უმძიმესი, ესაა ხელისუფლება უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ მათდამი პასუხისმგებლობის დაკისრების ხარისხი მაღალია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ან ეს რა მენეჯმენტია ვერ ვხდები სააკაშვილის დროს არ მოხდებოდაო მსგავსიო, თქვე ოჯახაშენებულებო 168 ქართული სოფელი ჩაბარდა მოწინაალმდეგეს, განადგურდა ქვეყანა ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო??? მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვერაფერი ნუგეშია, მაინც მბჟუტავი სხივია, რომ აფხაზებმა ფაქტზე საქმე აღძრეს და აღიარეს ხმამაღლა, რომ დანაშაული მოხდა, რაც ადრე არ ხდებოდა. მკვლელზე სამართლებრივი შურისძიება ერის ღირსების საქმეა. კიდე ერთს გეტყვით და დავამთავრებ: რუსებთან კონსტრუქციული და პარტნიორული კონტაქტების გარეშე რაშიდ კანჯი ოღლიზე გასვლა და მისი მოხელთების პერსპექტივა არის ნულის ტოლი!!! ეს გაითვალისწინეთ კარგად. აფხაზეთში ახლა არ არის 1998 წელი, როცა ვითარებას სადღაც თითქმის მაჭარკის ხიდამდე და აგუძერამდე ქართველი პარტიზანები აკონტროლებდნენ. მთელი ენგურის სანაპირო განმუხურიდან გალის ზედა ზონამდე შახმატურადაა დანაღმული მთელ პერიმეტრზე მდინარის გასწვრივ, ისე, რომ ჩიტი ვერ შეფრინდება, სოფელ ნაბაკევში ფუნქციონირებს უზარმაზარი სამხედრო „გარადოკი„ რუსების და ვითარება ექვემდებარება ტოტალურ კონტროლს. რქებით წასვლას, ყოველთვის ჯობია კონსტრუქციული დიალოგი, თორემ მერწმუნეთ ცხონებული გიგა ოთხოზორია იქნება დასაწყისი, უარესები მოხდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ მკვლელზე გასვლის ერთადერთი სწორი გზაა რუსულ სარდლობასთან კონტაქტების დამყარება და დარწმუნება მათი იმაში, რომ ეს ნაძირალა უნდა გაწირონ და უნდა გადმოგვცენ. ეს არის ძალიან ტრაგიკული თემა და ამ თემით სპეკულირება და პოლიტიკური ქულების ჩაწერა ყველაზე დიდ უზნეობად მიმაჩნია.

ნინა ბარამიძე: -ესეთ განცხადებას საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ აკეთებდნენ გვეშველებოდა!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განახლებულ შემადგენლობაში დავით კოღუაშვილმა რეკორდი მოხსნა და „ქართული ოცნების“ ისედაც დაცემული რეიტინგი რამდენიმე წამში ფეხქვეშ გათელა. დავით კოღუაშვილი მოიაზრებოდა „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ლიდერად, ის პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მეგობარია, თავის დროზე ერთად დააფუძნეს პარტია „ახალი მემარჯვენეები“, თუმცა, როცა მიხეილ სააკაშვილის მთავრობა მოვიდა

## ახლა მიშას დროა და „ახალ მემარჯვენეებში“ ჩემი ადგილი აღარ არისო

**ჰოდა, სადომაზოხიზმში მყოფი „ქართული ოცნება“ თუკი ასეთ ადამიანებზე აკეთებს გათვლას მომავალში, ის დროა, ხარაკირი საკუთარი ხელით ჩაიტაროს**




ხელისუფლებაში, კოღუაშვილმა გადაწყვიტა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით დამდგარიყო. როგორც კულუარებში, ისე მისი ყოფილი თანამებრძოლები გვიყვებიან, ეს არის ტიპური მედროვე. პარტიიდან კულუარებში წასვლის მოტივად დაუსახელებია: ახლა მიშას დროა და „ახალ მემარჯვენეებში“ ჩემი ადგილი აღარ არისო. ამ კაცზე ბევრი უკვე ანეკდოტს ჰყვება, – საქართველოში, „ზიკას“ ვირუსი გავრცელდა, სახელად „კოღუაშვილი“, მიუხედავად იმისა, რომ ამ პიროვნებას ახასიათებენ როგორც ზეგანათლებულს, ხშირად ისეც ხდება, რომ „ზეგანათლებულებს“ ემართებათ გონებასისუსტე და მისი გამონათქვამების შედევრებს შეგახსენებთ, რაც თვალსაჩინოს გახდის, რომ კოღუაშვილი ან კრიტიკულ ასაკშია, ჰორმონების ნაკლებობას განიცდის, ან ეს ადამიანი დაბოლილია და ისეთს ეწევა, რაც „სიყვარულის ბუშტს“ უხეთქავს, ველარ ასხვავებს მტერს მოყვარისგან, დამნაშავეს – პატიოსნისგან. მოკლედ, ამ კაცმა თქვა, რომ გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი უნიჭიერესი ხალხია და მათი ციხეში ყოფნა დანაშაულია, გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტანენ ქვეყანას გარეთ ყოფნით და ოჯახებში უნდა დავაბრუნოთო. ამით კოღუაშვილმა ერთია, რომ თავდაყირა დააყენა ქვეყნის სასამართლოს სისტემის ობიექტურობა, რაშიც ეჭვი ჩვენც გვეპარება, მაგრამ რაც მთავარია, ფაქტობრივად, მან დაამტკიცა, რომ „ოცნებას“ ჰყავს პოლიტპატიმრები, მაგრამ რა ვუყოთ იმ დანაშაულთა ნუსხას, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ჰქონდა ადგილი. რა პასუხს გასცემს კოღუაშვილი გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძისა და უამრავი უდანაშაულოდ მოკლული ადამიანის ოჯახს, რომელთაც მერაბიშვილის უწყება ხოცავდა. საინტერესოა, რა ინტერპრეტაციას მისცემს კოღუაშვილი მერაბიშვილის ცნობილ ფრაზას – „ორი კაცის ორი გვამი მჭირდება“. ალბათ, იტყვის, რომ ეს ნიჭიერი კაცის ნიჭიერი გამონათქვამია. ან როგორ ახსნის გიგი უგულავას თავქარიან მერობას, როცა ბიუჯეტის ფულით დაფრინავდა ლას-ვეგასში, მის აწ უკვე ყოფილ ცოლს ბიუჯეტის ფულით უკეთებდა პლასტიკურ ოპერაციებს, ან სტრიპტიზ-ბარში დახარჯულ ბიუჯეტის ათასობით ლარს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში, რაშიც უგულავას ადანაშაულებენ. რა პასუხს გასცემს იმ კონკრეტულ ადამიანებს, ვინც გიგი უგულავას ადანაშაულებს ქონების უკანონო ჩამორთმევაში. როგორ ახსნის იმ ფაქტს, რომ ეს ე.წ. „ნიჭიერი“

[illegible]

ქალაქის მერი, იყო აგვისტოს ომში. რა უნდოდა მას გორში?!. დავით კოღუაშვილი ქილერის გამომეტყველებით და ნაჯახივით აპობს „ქართულ ოცნებას“ და ჯერ არმოსული აკრიტიკებს კოალიციის ყოფილ სუბიექტებს და თანაც, ამ ადამიანმა არც კი იცის, რომ გოგი თოფაძე კოალიციიდან გავიდა რამდენიმე დღის წინ და როცა ამბობს, რომ სიაში ველარ ხედავს მის ადგილს, ამ „ზეინტელექტუალობით“ გადამწვარმა ადამიანმა მინიმუმ ის უნდა იცოდეს, რომ გოგი თოფაძე „ქართული ოცნების სიაში ვერ მოხვდება იმიტომ, რომ „მრეწველთა პარტიის“ ლიდერია და გარდა ამისა, კოალიციიდან გასულია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თურმე ვერ ხედავს მეჭიაურის ადგილს „ქართული ოცნების“ სიაში, მინიმუმ ის მაინც უნდა სცოდნოდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრს, რომ თამაზ მეჭიაური კოალიციის დატოვებას მისი განცხადების მომენტში აპირებდა და რაც გასულ კვირას დაადასტურა. როგორც ჩანს, კოღუაშვილს პარტიის სახელები აერია. ალბათ, ფიქრობდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით საუბრობდა, რადგან განაცხადა, რომ გული სწყდება იმის გამო, რაც „ნაციონალებს“ დაემართათ, რადგან იქ ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს. ამ განცხადებაზე თვით „ნაციონალებმა“ იმდენი იცინეს, რომ კოღუაშვილს „გამოსირების“ დიაგნოზი დაუსვეს. ჰოდა, სადომაზოხიზმში მყოფი „ქართული ოცნება“ თუკი ასეთ ადამიანებზე აკეთებს გათვლას მომავალში, ის დროა, ხარაკირი საკუთარი ხელით ჩაიტაროს.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



ვაჟა ნოზაძე: ბიძინამ რომ აფხაზეთი იყიდოს ნაცები მაინც აღშფოთდებიან!!! .....მერე იტყვიან რუსებს ომს მოვუგებდით და ისე დავიბრუნებდით და ბიძინასგან ველარ დავიბრუნებთო! ......ისე ეშინიათ ბიძინასი რომ მეტყველება აქვთ წართმეული! ....სულ ერთი და იმავეს იმეორებენ.....სიტყვები; ოლიგარქი, გაზპრომი, უნიათო, უუნარო, არაფორმალური მმართველი, პუტინის მონა! ......P.S. ისე არ ტეხავს "უუნარო" რომ დედისპრ""ს დაგახურავს თავზე?!!

ნანა სულავა
599 07-01-89



„თავისუფალი დემოკრატები“ ეძებენ სამართალს, მათ 21 მაისს მთავარი პროკურატურის წინ მასშტაბური აქცია გამართეს. სააკაშვილის რეჟიმის დროს, როცა ასეულ-ათასობით ადამიანს ყრიდნენ ციხეში, ამის გამო მაშინ მთავარი პროკურატურის წინ ალასანიას პარტიას აქცია არ მოუწყვია, ან გაებედათ, თუ კარგი ბიჭები და გოგოები იყვნენ!.. „დემოკრატები“ ხუთი ადამიანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ითხოვდნენ. წინა კვირას, „ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა შარტავამ პრეზიდენტს მიმართა მათი შეწყალების საკითხზე. დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები და ალასანიას პარტიის

ხუთი უკანონოდ დასჯილი ადამიანის უფლებების დასაცავად კი არა, ერთი ადამიანის უფლებების დასაცავად უნდა დადგეს ხალხი ფეხზე, მაგრამ მე, ამ წერილის ავტორი, ჟურნალისტი, 2007 წლიდან ვეძებ სამართალს, ჩემთან ერთად რეჟიმისგან გამეტებული ქალების მთელი არმიაა. აქციის მონაწილეთა შორის ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი ციცო საბაშვილი შევიცანი, სიმართლე გითხრათ, მისი იქ ყოფნა გამიკვირდა და გავესაუბრე:

– „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ ტელევიზიით მოქალაქეებს მოუწოდა, სამართლიანობის აღდგენისთვის ვინც იბრძვით, შემოგვიერთდითო და მეც მოვედი აქციაზე. 14 წელია, სამართალს ვეძებ, „იმედის“ ჟურნალისტს ვთხოვე ინტერვიუს ჩაწერა და მითხრა, აქ სხვა იონობით თანხა გამოართვა, არჩევნები გაყიდა და როლანდ ახალაიასთან ზუგდიდში არჩევნები შეგნებულად წააგო. ვერ დავდგები იმ პოლიტიკოსის გვერდით, რომელიც თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ამერიკის მთავრობას შეჰპირდა საქართველოში სირიის ოპოზიციის შეიარაღებული დაჯგუფების წევრებისთვის, ფაქტობრივად, ტერორისტებისთვის საწვრთნელი ბაზის გახსნას... ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის ღალატზე. ეს იყო სისხლის სამართლის დანაშაული და მას პასუხი უნდა ეგო, თუმცა პროკურატურა დღეს პოლიტიკური ანგარიშსწორების ბინძურ იარაღად რომ რჩება, ეს ფაქტია. არაერთხელ აღგვინიშნავს საბოტაჟისა და პროკურატურის არაკომპეტენტურობის შესახებ. თუ

### ვის ვუყურებთ?!

ნი უახლოესი სისხლით ნათესავი ქალბატონი, უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი იხდიდა სასჯელს, მან ციხეში 8 წელი გაატარა. ვინ უფრო ცოდვილია – „კაბელების საქმეზე“ დაპატიმრებული ხუთი ადამიანი თუ ის ქალბატონი, ამის განსჯა უფლისთვის მიგვინდვია, ყოველ შემთხვევაში, ამ ქალს 4 მილიონზე არ ედავებოდა პროკურატურა. ახლა გეკითხებით, რატომ მაშინ არ მოაწყვეთ აქცია ადეიშვილის პროკურატურის წინ?!. მაგრამ თქვენ მაშინ ამისთვის არ გეცალათ, მიშას დასდევდით... აბა, კარგად გაიხსენეთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც „მატროსოვის“ ციხეში თქვენს ნათესავს არასამთავრობო ორგანიზაციის

# ბატონო ირაკლი, კარგად გაიხსენეთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა „მატროსოვის“ ციხეში თქვენს ნათესავს კაცი შეუგზავნეთ და სთხოვეთ, მისი სახელით ხმების მოგროვება სააკაშვილის სასარგებლოდ!

**„მე იმ პოლიტიკური ძალის გვერდით არ დავდგები, რომელმაც ბიძინას მილიონობით თანხა გამოართვა, არჩევნები გაყიდა და როლანდ ახალაიასთან ზუგდიდში არჩევნები შეგნებულად წააგო“**



**სააკაშვილის მმართველობის დროს რომ აწამებდნენ, მაშინ ჩუმად იყავით, ერთ-ერთი მათგანი მეც გახლდით. დამითმეთ ახლა ტრიბუნა, უკანონოდ დაპატიმრებულ ხუთ ადამიანს კი არა, 300 ათასამდე უფლებაშელახულ ადამიანს მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო. ირაკლი ალასანიამ უთხრა, — ახლა არ შეიძლება, მერე ჩემთან მოდი და დაგეხმარებიო.**



წარმომადგენლები ილია მეორეს ესტუმრნენ, სავარაუდოდ, ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულთა თაობაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ მსაჯვრდადებულებს უმნიშვნელო გადაცდომაც კი არ აქვთ. ბატონებო, უდანაშაულო ადამიანების შეწყალებას რატომ ითხოვთ, შეწყალება დანაშაულის აღიარების გარეშე არ ხდება... რაც შეეხება აქციას, ის საკმაოდ ორგანიზებული იყო, ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყო ჩამოყვანილი, რომლებიც, ვფიქრობ, სამართლიანობის აღდგენის მოტივით ჩამოიტყუეს აქციაზე, ისე, როგორი მოტყუებითაც „პატრიოტთა ალიანსმა“ 2015 წლის იანვარს მიიყვანა ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით აქციაზე და წმინდა ვიწროპარტიული ინტერესების გარდა, არაფერი გაუკეთებია...

უნდა გენახათ, აქციაზე რა სიამაყით მოდიოდნენ მწარე „ნაციონალები“ – რატიანები, დარჩიაშვილები, მათი ახალი სახე ხოშტარია და სხვები. ერთი სიტყვით, ერთი იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები აქციაზე პროკურატურის წინ გაერთიანდნენ.

თემები არ შუქდება, კონკრეტულად ამ თემას ვახმოვანებთო. რა გამოდის, „დემოკრატებმა“ ხალხი ასე მოიტყუეს?!. მე აღარ ვუერთდები აქციას.

ჩემი მეორე რესპონდენტი იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი სვეტლანა მაისურაძე ალასანიას მიეჭრა და ასეთი რამ უთხრა, – სააკაშვილის მმართველობის დროს რომ აწამებდნენ, მაშინ ჩუმად იყავით, ერთ-ერთი მათგანი მეც გახლდით. დამითმეთ ახლა ტრიბუნა, უკანონოდ დაპატიმრებულ ხუთ ადამიანს კი არა, 300 ათასამდე უფლებაშელახულ ადამიანს მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო. ირაკლი ალასანიამ უთხრა, – ახლა არ შეიძლება, მერე ჩემთან მოდი და დაგეხმარებიო.

აქციაზე ვერ შევნიშნე სააკაშვილის კიდევ ერთ-ერთი მსხვერპლი, სამართლის პროფესორი დავით ზირაქიშვილი. მას ტელეფონით დავუკავშირდი და ვკითხე მიზეზი, რატომ არ იმყოფებოდა აქციაზე. ზირაქიშვილმა მიპასუხა, – მე იმ პოლიტიკური ძალის გვერდით არ დავდგები, რომელმაც ბიძინას მილ-

სინამდვილეში, კაბელების საქმესთან დაკავშირებით მსჯავრდადებულ ხუთ პიროვნებას რეალურად არა აქვს დანაშაული ჩადენილი, მაშინ დღევანდელი აქცია კიდევ ერთხელ მიუთითებს მთავარი პროკურატურის არაკომპეტენტურობაზეო.

ბატონ ალასანიასა და მისი პარტიის წევრებს, ყველა იმ პოლიტიკოსს, ვინც იმ დღეს 21 მაისის აქციაზე მივიდა, მე პირადად, რა თქმა უნდა, გავემიჯნები. მთელი ქართველი საზოგადოება ათეული წლებია, უყურებს იქ მისული პოლიტიკოსების სულიერ მარცხს, ამიტომ ჩვენნაირები თქვენ გვერდით დგომით ვერ აღვადგენთ სამართლიანობას. დღეს აქ მოსულ პოლიტიკოსებს შეგეძლოთ, ასევე, გაერთიანებულიყავით და სააკაშვილის დამანგრეველი პოლიტიკა შეგეჩერებინათ თავისი მონა პროკურორ-მოსამართლეებით, რომლებმაც ამდენი უბედურება მოუტანა ქართველ ერს... და თუ რატომ არ გენდობით, მინდა ერთი ისტორია შეგახსენოთ, – ბატონო ირაკლი, მატროსოვის ციხეში თქვე-

წარმომადგენელი შეუგზავნეთ და თანამშრომლობა სთხოვეთ, რომ მისი სახელით ხმებს მოაგროვებდით სააკაშვილის სასარგებლოდ და ამ ბინძური გარიგების სანაცვლოდ გაათავისუფლებდით ციხიდან. ის ამ გარიგებას არ დასთანხმდა. მერე ემოციურად ჰყვებოდა, რა მაკადრა საკუთარმა ნათესავმა, ირაკლი ალასანიამო. მაშინ ასეთი შეგროვილი ხმებით ბევრი გავიდა ციხიდან. ამის შემდეგ როგორ უნდა დაგვარწმუნოთ თქვენ, ამის გამკეთებელმა ადამიანმა, რომ კეთილ საქმეს ემსახურებით, ვინ უნდა ირწმუნოს თქვენი?!.

აქციაზე ბევრი ხალხი მოიყვანეთ და ცდილობთ, ქართველები მასად აქციოთ. თქვენ სააკაშვილისთვის ციხეებში ხმებს აგროვებდით და გარეთ რას იზამთ, კაცმა არ იცის!.. იმ ციხეებში, სადაც ქართველებს ადგილზე კლავდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ, ახლა კი „თავისუფალი დემოკრატების“ სახელით გამოდიხართ და ხალხს ატყუებთ. ხალხი თქვენ არ გამოგყვებათ!.. მე, როგორც ჟურნალისტი და ერთი რიგითი მოქალაქე, თქვენნაირ ძალას ყოველთვის გავემიჯნები...

**Facebook ამბები**



**ხათუნა ხოფერია** 17 მაისს, მას შემდეგ რაც დავით კოლუაშვილი „ოცნების“ პოლიტსაბჭოს სიაში მოხვდა წერდა:

ყველაზე წესიერი, განათლებული, ერთგული და კარგი ადამიანი!!!!

საუკუნეა არ მინახავს, მაგრამ არ მგონია შეცვლილიყო. მართლა საუკეთესო გადაწყვეტილებაა!!!!!!!!!

19 მაისს კი ამას წერს:

თვალი ეცა!!!!!!!........ 17-ში ეს დავწერე და 19-ში თვალსა და ხელს შუა გაფუჭდა კაცი... მერაბიშვილს უნდა ვაპატიოთო.... უგულავასაცო.... არა, შემწყნარებლობა გამიგია, მაგრამ ასეთი?..... ანალოგიური ლოგიკას და კაცობას მოწყვეტილი პატიების ფაქტი ერთი ვიცი მე....

ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?

რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“

- „მაპატივა შეცოდება,

როგორც ძმამ და მეგობარმა!..

(ა. წერეთელი)

**თემურ ბასილია** – მეც ძალიან გამიკვირდა ... არ გამოვრიცხავ რომ გაუჩალიჩეს, თუმცა ეს არ არის excuse ...




**ინგა გრიგოლია**

აუუუუუ,რაც მე ლარის შემხედვარე ვხარობ დღითიდღე)))))))))))))))) ხელი მქონდა სამუდამოდ ჩაქნეული, აღარაფერი ეშველებათქო და დილაობით კურსს რომ ვნახულობ, სიხარულის ყიჟინა აღმომხდება ხოლმე

**ეკატერინე ბახტაძე** –

ლარო გამყარდი! გამყარდი!
გამყარდი! იწყე კლებაო ასე
დაცემულს რომ გიმზერთ,
არ გვიბრუნდება ენაო.
შენ შემოგყურებთ ყველანი,
ახლა გვჭირდება შველაო
და კიდევ უკან თუ წახვალ
რა გვეშველება "ნენაო?!"
იხარე ჩვენო ვალუტავ!
გამყარდი! იწყე კლებაო!!
და ახლა, როგორც არასდროს,
გგულშემატკივრობთ ყველაო



**ლაშა ჩხარტიშვილი** (20 მაისი): დღეს, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახვრეტილი გია კრიალაშვილის მკვლელობიდან ზუსტად 7 წელი შესრულდა ! მისი მკვლელები კი კვლავ დაუსჯელნი არიან, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, როგორც კრიალაშვილთან ერთად დახვრეტილი და სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი კობა ოთანაძე ასახლებს, დღეს სუს-ის სპეცრაზმის ხელმძღვანელის თანამდებობასაც კი იკავებს ! საუბარია ვინმე ზვიად ხარაზიშვილზე, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გასულ წელს ამ უმნიშვნელოვანეს პოზიციაზე დაწინაურდა!

**facebook**

**ეკა ბესელია** (19 მაისი)



დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის სხდომაზე ყოფნის დროს მივიღე რამდენიმე შეტყობინება და მითხრეს მენახა ინტერპრესნიუსის ინფორმაცია ფოთის პოლიციის უფროსის თაობაზე... გადაუმოწმებელი, გაუგებარ წყაროზე დაყრდნობით, უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევით დადებული ინფორმაცია... ამას მოყვა ნაციონალების ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენლის, დისკრედიტირებული ცხვიტარიას კომენტარი... ამ წყაროზე დაყრდნობით გაიმეორეს ტელევიზიებმა ეს ინფორმაცია. ხმაშეწყობილი, ერთი ტექსტი მაგრამ არა კონკრეტული ფაქტი, არა წყარო, არა ამბავი რა მოხდა, ვისთან მოხდა, მხოლოდ ამაზრზენი ბრალდება! ეს რა სტანდარტია? როდესაც საქმე ეხება პოლიციის უფროსს, არსებობს შსს -ოს პრესსამსახური და მარტივად შეიძლება დაკავშირება და ინფორმაციის მიღება. შეიძლება ასეთ უსერიოზულეს ბრალდებას აცხადებდე საჯაროდ და წყაროდ ნაციონალ ყველასთვის ნაცნობ ცხვიტარიას იყენებდე??? მედიას მინდა მივმართო, ვინც დღეს ამ თემაზე ერთ ხმაში საუბრობდა: რომელი ეთიკური სტანდარტი დაიცავით დღეს? ინტერპრესნიუს მინდა ვკითხო: დღეს სათაურად ჩემი სახელი რომ გამოგაქვთ და ჩემი ფოტო გიდევთ ამ ბრალდებაზე ეს რომელი სტანდარტის დაცვით ხდება? სულ ცოტა ხნის წინ იმდენად მძიმე შეცდომა დაუშვა ინტერპრესნიუსმა და ისეთი მძიმე რეაქცია მოყვა მის ქმედებას, რომ მეგონა ცოტა მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდით სამომავლოდ... მესმის სურვილი, გინდათ პირველებმა დადოთ ამბავი, მაგრამ ამ პირველობის სურვილს ინფორმაციის გავრცელების სტანდარტი უნდა ახლდეს მუდამ , სხვაგვარად ისევე ხშირად მოგვიწევს შეგახსენოთ რომ შეცდომით გიდევთ მასალა, ან კომენტარი ან .. მოკლედ, მინდოდა ჩემი გულწრფელი წუხილი გამომეთქვა: დაიცავით უდანაშაულობის პრეზუმცია, დაიცავით ინფორმაციის გავრცელებისა და მიწოდების ეთიკური სტანდარტი და ვიდრე გარკვეულა რასთან და ვის პროვოკაციასთან თუ უკანონობასთან გვაქვს საქმე, თავად ნუ ჩადიხართ უსამართლობას!

**ფოთელები** – ქალბატონო ეკა იქნებ ცოტა მაინც მიგექციათ ყურადღება ფოთისთვის და ფოთელებისთვის,იმათთვის ვისი წყალობითაც ასე აიწყვეთ ცხოვრება და დასეირნობთ უცხოეთში..... ნუთუ ან ვერ ხედავთ და არ გესმით,ან არ ხედავთ და არ გესმით???!!!!! მთელა ფოთმა იცის რომ ფოთის დამნაშავე და უკანონო მერი კაკულია თქვენი სახელით აგროებს ხარკს ფოთელი ბიზნესმენებისგან და ამბობს მე აქედან კაპიკს არ ვიღებ,ყვეაფერი ბესელიას მიაქვსო???!!!))) ყველა უკმაყოფილო ადამიანს ეუბნება მე რა ვქნა ბესელია და ხელისუფლება არ იდგას გვერდითო!!! ამიტომაც ვერაფელს ვერ ვაკეთებ თქვენთვის და ფოთისთვისო!!!! თუ ამას ვერ ხედავთ და არ გესმით ეს თქვენი პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხის მაჩვენებელია,ხოლო თუ არ ხედავთ და არ გესმით,იმიტომ რომ არ გინდათ დაინახოთ და გაიგოთ,მაშინ კაკულია ალბათ მართალს ამბობს და თქვენც მასთან ერთად დამნაშავე ხართ ყველაფერში!!!! თორემ ამდენ კაკულიას დანაშაულზე და სიბიძურეზე არ დახუჭავდით თვალს!!!!! ასე რომ თუ ღმერთი გწამთ დაჩაგრულის როლს ნუ ირგებთ !!! ფიცი გვწამს და ბოლო გაკვირვებსო!!!!!)))))......

**მაკა დეკანოსიძე**
551 99-18-19



# რატომ დაიწყო თბილისის ღამის კლუბებისა და ბარ-რესტორნების რეიდი?

## რას უყვებიან „ალიას" ექსკლუზიურად?!

„ალიასთვის" ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, რომ ფინანსურმა პოლიციამ და შემოსავლების სამსახურმა თბილისში ღამის კლუბებსა და ბარ-რესტორნებში ე.წ. რეიდი დაიწყეს. რა ფორმითა და მოთხოვნებით შედიან გასართობ დაწესებულებებში სახელმწიფო უწყებები, დეტალების გარკვევას „ალია" შეეცადა. როგორც აღმოჩნდა, ფინანსური პოლიციის ძირითადი სამიზნე პირველ ეტაპზე თურქულ-ირანული ღამის კლუბები არიან. უმეტესწილად, ვარდების მოედნის მიწისქვეშა ე.წ. საეჭვო დაწესებულებები, ასევე, მარჯანიშვილსა თუ აღმაშენებელზე უხვად განლაგებული არაქართული გასართობი დაწესებულებები. მიუხედავად იმისა, რომ პრესითა თუ ტელევიზიით მსგავს საეჭვო დაწესებულებებზე ათეულობით რეპორტაჟი გაკეთდა (ბევრ ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, თუმცა არსებული ინფორმაცია დაადასტურა. მისი თქმით, კლუბებში ჯერ საშემოსავლო სამსახური შევიდა, შემდეგ კი ფინანსური პოლიცია, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მოლარეებსა და ბუღალტრებთან ერთად ამოწმებს დაწესებულებების დოკუმენტაციას, ყოველი დღის ნავაჭრსა და ჩეკებს. ასევე, პროდუქციის შესყიდვის ზედნადებებსა თუ ყოველდღიურ ხარჯებს. როგორც ჩვენთან საუბარში ეს ადამიანი ამბობს, ფინანსური პოლიციის შემოსვლამდე დაწესებულებებმა გაფრთხილება ერთი დღით ადრე მიიღეს. მისივე ინფორმაციით, ე.წ. რეიდები საეჭვოდ დაბალი ნავაჭრის დაფიქსირების გამო ხდება, ვინაიდან ფინანსური პოლიცია ვარაუდობს, რომ ბარები შემოსავალს მალავენ. მანამდე კი, სანამ ელბაქიძის მიმდებარე კლუბებში შევიდოდა პოლიცია, როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რეიდები მარჯანიშვილის ქუჩაზეც განხორციელდა, სა-

### ჯმორიელური მორიელი

რა თქმა უნდა, კლუბებისა და ბარების ფინანსურ შემოწმებაში უჩვეულო, ერთი შეხედვით, არაფერი იქნებოდა და ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ პროცედურად ჩავთვლიდით, რომ არა ძალიან საგულისხმო ინფორმაცია, რომელიც სანდო წყაროსგან მივიღეთ. როგორც ირკვევა, ვითომ გეგმური შემოწმება მხოლოდ საბაბია და უმეტეს შემთხვევაში, დარღვევების დაფარვის და თუნდაც ბიუჯეტში ჯარიმების გადახდის სანაცვლოდ გარიგება ხდება, დავალება კი საკმაოდ მაღალი ეშელონებიდან მოდის. მიზეზი? არჩევნები, გენაცვალე, არჩევნები, ფული გვჭირდება, ფულიიი, – ასეთ პასუხს იძლევიან რეიდების ნებართვის გამცემები. მერე რა, რომ ეს ხდება არასრულწლოვანი ბავშვების ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის ხარჯზე და სულაც არ აინტერესებთ, ეს ე.წ. კაფეები რეალურად საროსკიპოებად







მათგანზე „ალია" ექსკლუზიურად წერდა, რასაც მკითხველის მხრიდან დიდი რეზონანსიც მოჰყვა), სადაც არასრულწლოვნების ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის მაგალითები უხვად იყო წარმოდგენილი, დღემდე ამ კუთხით, შესაბამისი უწყებების მხრიდან საფუძვლიანი გამოძიება არ ჩატარებულა და არავინ დასჯილა. სამაგიეროდ, აღნიშნული ობიექტების საეჭვოდ დაბალი წლიური ბრუნვით, საშემოსავლო სამსახური და ფინანსური სამსახური დაინტერესდა. წყარო გვეუბნება, რომ „ბინძური ფულით" აქამდე კმაყოფილი სახელმწიფო მოხელეები ამჯერად რეიდებითა თუ ფულის შეწერვით აპირებენ მსგავს დაწესებულებებთან თანამშრომლობას და მუშაობის სანაცვლოდ ბარტერს სთავაზობენ. ვარდების მოედნის „მიწისქვეშეთში" არსებული კლუბების დიდი ნაწილი დღის საათებში დახურული დაგვხვდა... როგორც წესი, თურქულ-ირანულ დაწესებულებებში ქართველებს ასე ხელაღებით ისედაც არ უშვებენ, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვენ შევძელით საქმეში ჩახედული ადამიანის ჩაწერა, რომელმაც დაც ერთ-ერთი ღამის კლუბი 26 000 ლარით დააჯარიმეს. მისივე ინფორმაციით, გარდა თურქული კლუბებისა, საშემოსავლო სამსახური უკვე „პეროვზე" არსებულ ბარებსა და პაბებშიც შევიდა. ფარული რესპონდენტის მონაყოლი, ახვლედიანის ქუჩაზეც (ყოფილი პეროვსკაია) გადავამოწმეთ. რამდენიმე პაბმა შემოსავლების სამსახურის დაწესებულებაში შესვლა უარყო, ერთ-ერთ ბარში გვითხრეს, რომ უკვე აქვთ ინფორმაცია რეიდების შესახებ და ათი დღის განმავლობაში მათ მისვლას ელიან. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან შემოწმება „პეროვზე", მხოლოდ პაბ „დუბლინში" დაგვიდასტურეს, როგორც „ალიასთან" საუბარში „დუბლინის" მენეჯერმა აღნიშნა, შემოსავლების სამსახური ძირითადად პროდუქციას ამოწმებს, რა რაოდენობისაა მიღებული და გაყიდული, დასკვნას კი უახლოეს დღეებში ელიან.

რომ არის ქცეული და ბავშვებს რყვნიან და შუა ქალაქში სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან... სამაგიეროდ, თურმე გადასახადებს მალავენ და ეს გაცილებით მნიშვნელოვანია! აქედან ხომ დიდი ფული კეთდება და ჯარიმებით ამ გაგანია წინასაარჩევნოდ ბიუჯეტი ივსება. მერე რა, რომ ეს ყველაფერი მორალურად მაღალი პრინციპების ლოზუნგებით მოსული ხელისუფლების მე-4 წლისთავზე ხდება. თუ რამეა, არგუმენტები კი აქვთ ოხრად – ან „ჩანერგილებს" დააბრალებენ უპრობლემოდ, ან ყოფილი ხელისუფლების საბოტაჟიაო, იტყვიან... სკამზე მეოცნებე კაცი რას აღარ მოიფიქრებს.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

**facebook**



**ემზარ ჯგერენაია**

მაისის თვეში ეროვნულმა ბანკმა 100 მილიონი დოლარი შეისყიდა. მიუხედავად ამისა კურსი დოლართან2.16 ი დაფიქსირდა. რომ არა ეროვნულის ჩარევა ლარის კირსი 1.8 დონეზე დაფიქსირდებოდა და დაუბრუნდებოდა იმ ნიშნულს საიდანაც დაიწყო წინა წელს მოძრაობა

პარალელურად ამ ასი მილნის სტერილიზაციის შედეგად გამოყრილი ლარები ხარბად აითვისა ფინასთა სამინისტრომ რომელმაც მარტო ბოლო დღეებში მოხდინა 65 მილნი ლარის ვალდებულებბეის ემიტირება

რა მოხდა?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



თავდაცვის სამინისტროს „კაბელების საქმეზე" ბრალდებული თანამშრომლები — ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, არჩილ ალავიძე, გიორგი ლობჟანიძე და გიზო ღლონტი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ბესიკ ბუგიანიშვილმა დამნაშავედ ცნო და ხუთივე ბრალდებულს 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. „კაბელების საქმესთან" დაკავშირებით იმთავითვე გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს იყო პოლიტიკური დაჭერები, რომ ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიაზე შური იძია და ეს საქმე იმისთვის სჭირდებოდა, რომ ალასანიაზე გასულიყო და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ციხეში ჩაესვა. ეს ვარაუდი ჯერჯერობით არ გამართლდა, მაგრამ სისხლის სამართლის ამ საქმეს სამართლიანად შერჩა პოლიტიკური ელფერი. შეგახსენებთ, რომ მთავარმა პროკურატურამ თავიდან საქმის მასალები არ გაასაჯაროვა, ერთხანს მათზე წვდომა ბრალდებულთა ადვოკატებსაც შეუზღუდა იმ მოტივით, რომ საქმე თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებულ შესყიდვებს ეხებოდა და საქმის მასალებსაც გრიფი „საიდუმლო" ედო. თუმცა, ამ გასაიდუმლოებული მასალების დეტალები, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების" იმჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძისთვის ცნობილი აღმოჩნდა. ივანიშვილმა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე" ძალიან დეტალურად ისაუბრა ამ საქმის შესახებ, საგანელიძემ კი კომენტარი გააკეთა და აშკარა გახდა, მათ ისეთი დეტალები იცოდნენ საქმის მასალებიდან, რომლებიც, წესით და კანონით, არ უნდა სცოდნოდათ. მოკლედ, კანონი დაირღვა და გრიფით „საიდუმლო" მასალების შესახებ ისეთმა ხალხმა გაიგო, რომელთაც მათი გაცნობა ეზღუდებოდათ. ცხადია, ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვი, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ივანიშვილის პირადი პატიმრები იყვნენ და საქმე შურისძიებასთან გვქონდა. წესით, ბიძინა ივანიშვილისა და დავით საგანელიძის განცხადებების შემდეგ გამოძიება უნდა დაწყებულიყო, ორივე უნდა დაეკითხათ, საიდან იცოდნენ „საიდუმლო" გრიფით დაცული მასალების უმნიშვნელოვანესი დეტალები, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნულმა და მისმა მორჩილმა მთავარმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილმა ეს ვერ გაბედა.

# ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნულმა და მისმა მორჩილმა მთავარმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილმა ეს ვერ გაბედა

## რა „იაღლიში" გაეპარა პროკურატურას „კაბელების საქმეში"?

**ამ საქმეს დაცვის მხარე თავზე რომ დაამხობს პროკურატურას და ხუხულასავით დაშლის, ეს თითქმის გარდაუვალია**





„კაბელების საქმეზე" ბრალდებულებს 16 მაისს გამოუტანა განაჩენი მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა. 3 დღის შემდეგ კი, მთავარმა პროკურატურამ საქმის მასალების ნაწილი გაასაჯაროვა. პროკურატურა აცხადებს, რომ მასალები სხვადასხვა მიზეზით გაასაჯაროვა, მათ შორის იმ მიზეზით, „რათა პასუხი გაეცეს საქმეში მონაწილე ადვოკატებისა და საქმის პოლიტიზებით დაინტერესებული პირების უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ განცხადებებს, რომელთა მიზანია საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანა"... მოკლედ, პროკურატურის მიერ ამ მასალების ნაწილის გასაჯაროების ერთი მიზეზი ის არის, რომ პოლიტიკურ სპეკულაციას მოეღოს ბოლო, ანუ მასალები გასაჯაროვდა პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის სპეკულირების დასასრულებლად. საქმე „საიდუმლო" გრიფის მქონე მასალებს ეხება და მათ პროკურატურა ასაჯაროებს პოლიტიკური სპეკულაციების დასასრულებლად. ახლა, ამაზე დიდ სისულელეს მთავარი პროკურატურა კარგა ხანს აღარ განაცხადებს. ამით, ფაქტობრივად, თავადვე ამბობს და აღიარებს, რომ პოლიტიკური მოტივის გამო, „საიდუმლო" მასალები გავასაჯაროეთო. მკითხველს შევახსენებ, რომ საქმის მასალები მთავარმა პროკურატურამ საქმის ადვოკატებს 1 თვეზე მეტხანს არც გააცნო და არც გადასცა სწორედ იმ მიზეზით, რომ ისინი სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას შეიცავდა და ამ პერიოდში შიშველი ხელებით იცავდნენ ბრალდებულებს მათი ადვოკატები. მხოლოდ საზოგადოების აქტიურობის, პოლიტიკური ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის პროტესტისა და მარგველაშვილის განცხადების შემდეგ გადასცეს ადვოკატებს მასალები. სახეზეა საქმის მიმართ აშკარად ორმაგი მიდგომა. საქმის მასალების გასაჯაროება არ შეიძლება, რადგან ისინი სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავენ, მაგრამ იმავე მასალების გასაჯაროება შესაძლებელი გახდა, პოლიტიკური ინტერესების გამო. მე არ ვიცი, ვინ დაწერა ეს განცხადება მთავარ პროკურატურაში, მაგრამ აშკარაა, დიდი გონების პატრონი არ უნდა იყოს. ამის შემდეგ პროკურატურას კიდევ უფრო გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ „კაბელების საქმეს" პოლიტიკური მოტივი არ უდევს საფუძვლად.

თუ „კაბელების საქმე" პოლიტიკურია, შესაბამისად, მასში ძნელი მოსაძებნნი არ უნდა იყოს პროკურატურის უსუსური ბრალდებები, საქმე „შეკერილი" უნდა იყოს და ხარვეზებით სავსე. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს 7-7 წელი იმიტომ მოუსაჯეს, რომ მათ 4 მილიონ ლარზე მეტი თანხა არამიზნობრივად გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ბრალდებულთა ადვოკატი ლევან სამუშია აცხადებს, რომ არც ერთ ბრალდებულს არ მიუღია სარგებელი იმ საქმიდან, რაზეც მათ ამხელა სასჯელი მოუსაჯეს. ამას პროკურატურაც ეთანხმება და ცხადია, მოსამართლე ბუგიანიშვილიც. შეგახსენებთ, რომ ეს საქმე ეხებოდა თავდაცვის სამინისტროში ჩატარებულ ტენდერს, რომლის შედეგადაც, კომპანია „სილქნეტმა" გაიმარჯვა, სამინისტრომ მას 6 720 877 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა და ეს თანხაც გადაურიცხა. „სილქნეტს" თავდაცვის სამინისტროსთვის ამ ფასად ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი უნდა გაეყვანა, უნდა შეეძინა გარკვეული აპარატურა და მათი მონტაჟი განეხორციელებინა. შემდეგ კი, თვეში 1000 ლარად, სამინისტროსთვის მომსახურება უნდა გაეწია.

**პროკურატურა ამტკიცებს, რომ ბრალდებულებმა გაფლანგეს 4 110 872 ლარი — ამ სამუშაოების გაწევა სამინისტროსთვის სხვა კომპანიას 2 618 005 ლარად შეეძლო. კი, ბატონო, დავიჯეროთ, რომ ეს ასეა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს რა ინტერესი ჰქონდათ, ტენდერში „სილქნეტს" რომ გაამარჯვებინეს, თუ ამ ჩაწყობილი ტენდერიდან მატერიალური სარგებელი არ მოუღიათ? როგორ, 4 მილიონ ლარზე მეტი აჩუქეს „სილქნეტს" არაფრის გამო და თავი 7-7 წლით ციხეში გამოიმწყვდიეს? თანაც, არ დაგვავიწყდეს, ჩვენ ვსაუბრობთ წინასწარ განზრახულ დანაშაულზე, რომელიც სამინისტროს გამოცდილმა, განათლებულმა ადამიანებმა ჩაიდინეს და მათ წინასწარ იცოდნენ, კანონს რომ არღვევდნენ და ამისთვის დაისჯებოდნენ.**

ასეთ საქმეზე რომ წახვიდე, მაშინ რაღაც განსაკუთრებული მიზანი უნდა გქონდეს, რაც, თავისთავად, დანაშაულის მოტივია. პროკურატურა კი აცხადებს, რომ მართალია, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა ტენდერში უკანონოდ გაამარჯვებინეს „სილქნეტს", 4 მილიონ ლარზე მეტი თანხა უკანონოდ, ფაქტობრივად, აჩუქეს ამ კომპანიას, აქედან სარგებელი არც ერთ მათგანს, არც ერთი თეთრი არ მოუღია, მაგრამ ამ დანაშაულს სხვა მოტივაცია ჰქონდაო. ადვოკატი ლევან სამუშია აცხადებს, რომ საქმის მასალებში წერია, ბრალდებულებს თურმე ეს დანაშაული ჩაუდენიათ, „შემდგომში „სილქნეტის" თანამშრომელთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით". გამოდის, 4 მილიონზე მეტი ღირს „სილქნეტის" თანამშრომელთა კეთილგანწყობის მოპოვება. ეს ხომ აბსურდია, მაგრამ ჯერ სად ხართ. კარგი, დავუჯეროთ პროკურატურას, რომ ეს ასეა. კი

### თეთრი ძაფით ნაკერი

მაგრამ, პროკურატურას გამოძიება არ უნდა ჩაეტარებინა, „სილქნეტის" კონკრეტულად რომელი თანამშრომლების კეთილგანწყობის მოპოვება სურდა ამ ხალხს, შემდეგში ეს კეთილგანწყობა რაში უნდა გამოეყენებინათ და აქედან რა სარგებელი უნდა მიეღოთ? არა, პროკურატურას ამ კუთხით ხელი არ გაუნძრევია, „სილქნეტის" არც ერთი თანამშრომელი არ დაკითხულა, როგორც ამას ლევან სამუშია აცხადებს. ეს ყურით მოთრეული „შემდგომში „სილქნეტის" თანამშრომელთა კეთილგანწყობის მოპოვება" საფუძვლად უდევს იმ 4 მილიონის ვითომ გაფლანგვას და დანაშაულის მოტივია. თქვენი არ ვიცი და ასეთი აბსურდული მოტივი დანაშაულისა, კარგა ხანია, არ გამიგია. თუ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები წინასწარ არაფერში გაურიგდნენ „სილქნეტის" თანამშრომლებს და ამას არც პროკურატურა უარყოფს, მაშინ ბრალდებულ ხუთეულს რა გარანტია ჰქონდა, რომ 4 მილიონს თუ აჩუქებდნენ „სილქნეტს", შემდგომში მათ თანამშრომელთა კეთილგანწყობას აუცილებლად მოიპოვებდნენ? კიდევ უარესი. ნუგზარ კაიშაურმა, დავით წიფურიამ, არჩილ ალავიძემ, გიორგი ლობჟანიძემ და გიზო ღლონტმა „სილქნეტს" ისე მოაგებინეს მათ მიერვე ვითომ გაყალბებული ტენდერი, შემდეგ ისე გაუფორმეს 6 მილიონ ნახევარზე მეტი ლარის ღირებულების კონტრაქტი, ისე აჩუქეს 4 მილიონ ლარზე მეტი, რომ „სილქნეტის" არც ერთმა წარმომადგენელმა ამის შესახებ არაფერი იცოდა... არა, მე ირაკლი ალასანიას იმ გუნდის წევრებზე, რომლებიც დღეს დაჭერილები არიან, უფრო მაღალი წარმოდგენისა ვარ, ასეთ აბსურდს, თქმა არ უნდა, არ ჩაიდენდნენ იმ განზრახვით, რასაც მათ პროკურატურა აბრალებს. 4 მილიონ ლარს შეგნებულად, წინასწარგანზრახულად, ჯგუფურად არ „მოტახევდნენ" ბიუჯეტიდან რაღაც ეფემერული, სამომავლოდ კეთილგანწყობის მოპოვების გამო.

არ ვიცი, ეს ბიძინა ივანიშვილის შურისძიება იყო თუ არა ირაკლი ალასანიას მიმართ, მაგრამ ამ საქმეს დაცვის მხარე თავზე რომ დაამხობს პროკურატურას და ხუხულასავით დაშლის, ეს თითქმის გარდაუვალია. უარეს შემთხვევაში, ამ საქმეს საერთაშორისო სასამართლოში მოიგებენ ბრალდებულთა ადვოკატები. ძალიან დიდი შანსია, ირაკლი შოთაძის მთავარი პროკურორის პოსტი ამ საქმეს გადაჰყვეს.





**მერაბ მეტრეველი**

ვახ, საქართველო მართლა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ადამიანს მარტო იმისთვის ლანძღავენ, რომ პოლიტიკაში წავიდა. მაცალეთ, იქნებ რას ვაკეთებ? ან ის მაინც მაცალეთ, დავაშავო რამე.

იმედი ბიწაძე – ნაციონალების მაჩალკა რომ ხარ თქვი სახალხოდ ახვარო ჭურნალუსტო

მერაბ მეტრეველი – თმნის ვალდებულება არ მზღუდავდეს, გაჩვენებდი ვინ არის ახვარი ჩვენს შორის! ნაციოანლების მაჩალკა ვინცაა მალე ვნახავთ!

იმედი ბიწაძე – რა უნდა მაჩვენო შენ კუდისქიცინა ჟურნალისტო. შენ კი გქონდა ნილაბი მაგრამ ახლა მოგეხსნა მიშას მოტრფიალე ბურჭულაძესთან შეგორებით..



**ნიკოლოზ მჟავანაძე**

ნატოს გამო კი ნუ წვავთ ადამიანებს კოცონზე, არამედ ნაცისტებს რომ მისტირიან იმ პერსონებს გაემიჯნეთ



**ირინა სარიშვილი:**

პაატა ზაქარეიშვილის განცხადება:

"საშინელი მკვლელობა მოხდა, მაგრამ ქვეყანაში არ არის მძიმე მდგომარეობა"...

„ეს ერთჯერადი მკვლელობაა და არა სისტემური, როგორც ეს ნაციონალური მოძრაობის დროს ხდებოდა''....

არ არის ეხლა ეს ტვინით და ენით ბლუ ღირსი რო ერთჯერადად ღორივით დააკვლევინო ოკუპანტებს?!!!!!

ამისიც და ყველასი ვინც ასეთებს ხმას მიცემს, სათითაოდ და ყველასი ერთად დდშ!!!!!!!!!!!

და ზემოდან იმათიც ვინც ეხლა ზრდილობისკენ მომიწოდებს!!!



**არჩილ გამზარდია:**

საოცარ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ერთ-ერთ ადამიანს მიშამ წაართვა ქონება, მიშას დროს ჩასვეს ციხეში და მოდის და ახლა თავისუფალი, უსაფრთხოდ მყოფი და ა.შ. ივანიშვილის კართან შიმშილობს მისდამი პრეტენზიებით. ამას ჰქვია უზნეობა.

გიორგი ბიჭინაშვილი – რახან მიშამ ჩასვა, ივანიშვილი უნდა უყვარდეს?

არჩილ გამზარდია – სიყვარული რა შუაშია, შიმშილობაზე ვამბობ.




**თ ა მ ა ზ ჭ ი ლ ა ძ ე**

დღეს მე მეჭიაური ვარ! – შე დალოცვილო, შე კეთილშობილო და დედაბედნიერო! სახალხო დამცველი მხოლოდ იმათთვის ხარ,ვინც ამოდენა ერისთვის მიუღებელია და ,,ვირს რომ პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში რომ ატენიდნენ,, ასე რომ გვატენი მაგ ზნეობრივად გადაგვარებულებს! ვინ,ხარ? ქართველი არ ხარ? თუ ქრისტიანულად არ მოგნათლეს, ნანუაშვილის გვარს ხომ ატარებ, ხომ ხარ ნანუაშვილი გვარად? ქართველი ხომ ხარ? კი ბატონო დაიცავი პიდარასტები და თუ გინდა იმათ ,,კამანდაში,, ჩაეწრე ,მაგრამ საზოგადოებრივმა დამცველმა მხოლოდ უკანალის მიმცემემბი უნდა დაიცვასო,რომელ კანონში წერია, წამაკითხე ერთი, თუ კაცი ხარ! საზოგადოებრივი დამცველი კაცი, ჩვენს უფლებებს რატომ არ იცავ, სარწმუნოებას რომ გვიბილწავენ და ძალადობენ რელიგიურ გრძნობებზე პიდარასტები და ლესბოსელები? რატომ? გეკითხები! ჩვენ,ქრისტიანები და სექსუალურად არაგადაგვარებულები, როდის მიუვარდით ,,ბუნაგში,, მძუნაობის დროს, გეკითხები და მიპასუხე! ისევ თვითონ გამოდიან,საჯაროდ გვაღიზიანებენ, ხა თავს და ხან ტ""კს მოგვიშვერენ, იქნებ ჭიტლაყიან, კოპი დაიმსახურონ,რომ მერე დასავლეთი შეძრან ბოზური კივილით, გვჩაგრავენ სექსულურ უმცირესობასო! ვინ ვის ჩაგრავს ეგეც გასარკვევია და პროკურატურის საქმეა ამ ამბის შესწავლა - გამოძიება! აგერ მუსლიმებმა არავის აპატიეს მუჰამედის შეურაცხყოფა! ჩვენ რა, იმათზე ცუდი ბიჭები და გოგოები ვართ თუ ,,განტევების ვაცი,, გვნახეს საქართველოში! კარგად დაიმახსოვრე ,,ომბუტსმენო,,! არ გაგივა ვირეშმაკობა,არ გავახარებთ საქართველოში იმათ ვინც ჩვენ თავმოყვარეობას და რელიგიურ გრძნობებს აუგად და ცუდად შეეხება! დღეს მე მეჭიაური ვარ! და ყველა გეის მეც პიდარასტს ვუწოდებ,წადი და მიჩივლე სადაც გინდა!



**ნ ა ნ უ კ ა ჟ ო რ ჟ ო ლ ი ა ნ ი**

დავით კოლუაშვილის განცხადებაზე:

იმიტომ არა რომ გიგი ჩემი მეგობარია. იმიტომ, რომ ქართული ოცნების წევრმა ამის თქმა გაბედა და ეს მაგარია. ასე იცვლება პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში. სხვა ფრაგმენტებიც ვნახე ინტერვიუდან და ქართულ ოცნებას, როგორც იქნა ღირებული კადრი შეუმატებია, წარმატებები დავით კოლუაშვილს:)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფელეტონები

# თუ ეს ორი საკითხი არ გადაიჭრა, თუ კონკრეტული გეგმა არ დაიდო, ბიძინა კი არა, მამა ღმერთიც ველარ უშველის ვერავის!

**21 მაისს ბიძინა ივანიშვილი პარტია ,,ქართული ოცნების" დეპუტატებს შეხვდა, შეხვედრიდან ზოგიერთი დეპუტატი გულგატეხილი გამოვიდა, ბიძინა ივანიშვილისგან ამ ეტაპზე უფრო მეტს ელოდნენ**

21 მაისს ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართული ოცნების" დეპუტატებს შეხვდა, სადაც განიხილეს საკითხები, როგორ უნდა შენარჩუნდეს უმრავლესობაში ძმობა, ერთობა, სოლიდარობა. როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან" საუბარში, ბიძინა ივანიშვილმა გიორგი კვირიკაშვილს მოსთხოვა პასუხი „ოცნების" ე.წ. ახალი სახის, დავით კოლუაშვილის განცხადებების გამო. შეგახსენებთ, რომ კოლუაშვილი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ამტკიცებს, სააკაშვილი „უგანათლებულესი" პიროვნებაა, ხოლო ვანო მერაბიშვილი ცოლის მძევალი, დაანგრია მათი რეიტინგი:

**„ბიძინა ივანიშვილმა პირდაპირ ჰკითხა კვირიკაშვილს, ვინ არის ეს კოლუაშვილი, რეებს ლაპარაკობს და საერთოდ, საიდან მოიყვანეო? კვირიკაშვილმა ათასი ბოდიში მოიხადა და პატიება სთხოვა ივანიშვილს, ჩემი ძმაკაცია, მეგობარია, ასე არ ფიქრობს, ლოიალურად არ არის განწყობილი „ნაციონალების" მიმართ, მაგრამ ახლა რა დაემართა, არ ვიციო. ბიძინამ თქვა, ეგ ადამიანი უმრავლესობის ლიდერი ვერ იქნება მომავალ პარლამენტში, ეგ თემა დაიხურა, კარგი იქნება, თუ სიას ამ რამდენიმე დღეში წარმომიდგენთო".**

მეორე თემა ამ შეხვედრაზე გახლდათ თამაზ მეჭიაურის გადაწყვეტილება პარტიიდან წასვლის თაობაზე:

**„ამ წუთიდან აღარ ვარ პარტიის წევრი, ფრაქციაში ვრჩები, ასევე, ვრჩები კომიტეტშიც. პარლამენტში ვადის ამოწურვამდე მხარს დავუჭერ ფრაქციის იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მათ პრინციპულად მიაჩნიათ, გარდა იმ საკითხებისა, ავუკრძალავდი, როგორც თავად მიაჩნდა სწორად, ისე მოიქცაო, ნატოს ამბავში ნამდვილად არ ვეთანხმებიო".**

კიდევ რა საკითხები განიხილა ბიძინა ივანიშვილმა თავის საპარლამენტო გუნდთან ერთად და რა გეგმები აქვს უახლოეს მომავალში? ომარ ნიშნიანიძის თქმით, ივანიშვილს დაგეგმილი აქვს ინდივიდუალური შეხვედრები ცალკეულ ჯგუფებთან და დეპუტატებთან:

**„საარჩევნო სიაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ამ ეტაპზე, ზოგადად. ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ამ დღეებში, პრემიერთან და ფრაქციის თავმჯდომარესთან ერთად ამ საქმეში მეც ჩავერთვებიო. ამ შეხვედრაზე არაფერი უთქვამს, ვინ დარჩება, ვინ წავა და ასე შემდეგ. რაც შეეხება კოლუაშვილს, გიდასტურებთ, რომ ივანიშვილის მხრიდან იყო შენიშვნები და პრემიერ-მინისტრმა მოიხადა ბოდიში. ვადასტურებ იმასაც, რომ ბატონ ბიძინას ნამდვილად აქვს უარყოფითი დამოკიდებულება კოლუაშვილისთვის ძალიან მძიმე დარტყმა იყო".**

შეხვედრიდან ზოგიერთი დეპუტატი გულგატეხილი გამოვიდა, ბიძინა ივანიშვილისგან ამ ეტაპზე უფრო მეტს ელოდნენ. ეგონათ, ბოლოს და ბოლოს, გაირკვეოდა, ვინ იქნებოდა საარჩევნო სიაში და ვინ – არა. რაკი ასე არ მოხდა, ისევ გრძელდება გაურკვევლობა. თუმცა მან ყველა გაამხნევა, ნუ გეშინიათ, ჩვენ ამ არჩევნებს დამაჯერებლად მოვიგებთო... ბიძინა ივანიშვილის პათოსი ძალიან ჰგავს 2012 წლის პათოსს, მაშინაც ბევრს ჰქონდა ყურები ჩამოყრილი, „ქართული ოცნება" უმრავლესობით ვერ მოვა ხელისუფლებაში, „ნაციონალები" ამას არ დაუშვებენო, მხოლოდ ივანიშვილი იმეორებდა ერთსა და იმავეს: „ჩვენ გავიმარჯვებთ, აი, ნახავთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ და ყველაფერი კარგად იქნება"! „ოცნებამ" კი გაიმარჯვა, მაგრამ კარგად რა არის რო? ძალიან ბევრი დაკარგა საქართველოს მოსახლეობამ და ძალიან ბევრი რამ ვერ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ". სამართლიანობის აღდგენა და სოციალური პირობების გაუმჯობესება – თუ ეს ორი საკითხი არ გადაიჭრა, თუ კონკრეტული გეგმა არ დაიდო, ბიძინა კი არა, მამა ღმერთიც ველარ უშველის ვერავის!





გიგი უგულავა კი მალე გამოვა ციხიდანო. ამ „არაადეკვატურობამ" ვნებათაღელვა გამოიწვია როგორც „ქართულ ოცნებაში", ასევე ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში. მაგალითად, ლუკა კურტანიძე უკვე ხმამაღლა აცხადებს, კოლუაშვილი როგორც მოათრიეს, ისე უნდა წაათრიონო. მოკლედ, „ოცნების" დეპუტატებმა ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირ დააყენეს საკითხი, რომ დაუყოვნებლივ დატოვოს პარტია დავით კოლუაშვილმა, რომელმაც არჩევნების წინ ლამის მთლიანად

**რომელიც განხეთქილების მიზეზი გახდა".**

ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი, ომარ ნიშნიანიძე „ალიასთან" საუბარში ამბობს, რომ ივანიშვილმა თამაზ მეჭიაურს დარჩენაც კი სთხოვა, მას ნამდვილად არ სიამოვნებს ამ ადამიანის წასვლა, მაგრამ პატივს სცემს მის გადაწყვეტილებას:

**„ბატონმა ბიძინამ თქვა, აზრთა სხვადასხვაობა ჩვეულებრივი ამბავია და სულაც არ არის აუცილებელი, ამის გამო ადამიანი ჩვენგან წავიდეს, თამაზი კარგი კაცია, პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებასო. სხვათა შორის, ისიც აღნიშნა, ბევრს ჰგონია, თამაზი ჩემს ნათქვამს ახმოვანებდა, მაგრამ ასე არ არის, მე რამდენიმეჯერ ვთხოვე, თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერც ვილის მიმართ. კარგი იქნებოდა, კვირიკაშვილს ისიც მოეყვანა შეხვედრაზე და იქვე გაეკეთებინა განმარტებები, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა ივანიშვილი ვერ იტყოდა, გინდათ თუ არა, ეს ადამიანი პარტიიდან გარიცხეთო, ამას არ იკადრებდა. კვირიკაშვილს უთხრა, ეგ საკითხი თქვენ მოაგვარეთო. რაც შეეხება კოლუაშვილის მომავალ თანამდებობას, ანუ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერობას, ეს უკვე გამოირიცხა. თუ რიგით წევრად დარჩა, მისთვის ეგეც დიდი მიღწევა იქნება, ამ ადამიანმა ჩვენ პარტია ლამის თავზე დაგვამხო. ახლა უკანა კარიდან თუ გააპარებენ, ეგ იქნება ყველაზე კარგი გადაწყვეტილება და მე მგონი, ასეთი პირიც უჩანს. მოკლედ, კოლუაშვილი ვინც მოიყვანა, ისევ იმან უნდა წაიყვანოს, ივანიშვილი მას მხარს არ უჭერს. ეს ყველა ჩვენ-**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**თამარ ივერი** ოპერის თეატრში მოსამართლეთა ქეიფზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება:

ხვალ ნოტარიუსთა პალატა იქირავებს, ზეგ სავაჭრო პალატა,მაზეგ ვინმე ოლიგარქი გადაიხდის ქორწილს, შემდგომ გარდაცვლილი საქმოსნის ქელეხიც გაიმართება თავის შილა ფლავების ჩამოტარებით.....კარგი ბიზნეს წყარო და რესტონების კონკურენტდარბაზი შეემატა თბილისის ცენტრს!! არც ვიცი რა კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს ამ ფაქტს, რომლის პრეცედენტი თეატრს არც ერთი ხლმძღვანელობის დროს არ ჰქონია. ხელოვნების ტაძარი მწვანე კუპიურებზე ქირავდება და მალე იქ სიმღერა ოცნება და პატივი კი არა.... რესტორანში სიმღერის ტოლფასი გახდება!!!!!



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# მიმიფურთხებია ასეთი სახალხო დამცველისთვის!

## უჩა ნანუაშვილი უნდა მოშორდეს ამ პოსტს!

## ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის 83%-ს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს სახალხო დამცველი არ გვყავს!





**ჩემი, როგორც მართლმადიდებლის, უფლება მრავალგზის დაირღვა, მაგრამ ჩემს დასაცავად თითი არ გაატოკეთ, სიტყვა არ დაასველეთ. რა ვქნა, ბატონო უჩა, თქვენი ყურადღება რომ მივიპყრო? როგორც ვატყობ, ან სქესი უნდა შევიცვალო, ან, რელიგია!**




17 მაისს „ლგბტ“ საზოგადოების წევრებმა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე იზეიმეს და ქუჩაში გამოეფინნენ. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, არც ალლუმები გაუმართავთ რუსთაველისა თუ ჭავჭავაძის პროსპექტებზე და არც სხვა ქუჩის ღონისძიებები. ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ შარშანწინ, კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ზუსტად 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის დღედ გამოაცხადა. შესაბამისად, იმ დროს, როცა ესენი ჰომოფობიასა და ტრანსფობიას მედგრად და შეუპოვრად ებრძოდნენ, ოჯახის სიწმინდის დამცველები რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ და შემდეგ სამების ტაძრისკენ გაემართნენ. საბოლოოდ, ორივე მხარე დაიშალა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. „ლგბტ“ თემის წევრებს არავინ დაპირისპირებია, მათთვის ბუზიც არავის აუფრენია და ეს სასულიერო პირების დამსახურებაა, რომელთაც არაერთგზის მოუწოდეს მოსახლეობას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მკაცრად გმობს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებს, მათი, ანუ ანტიჰომოფობების, აქციის მონაწილეებს არ დაპირისპირებოდნენ, საქმე ძალადობამდე არ მიეყვანათ. აი, სწორედ ეს დაპირისპირება, ცემა-ტყეპა, თავ-პირის ნგრევა აძლევდათ ხელს „ლგტბ“-ს აქციის წარმომადგენლებს, მათ ორგანიზატორებს, რომ მერე ტელევიზიებთან თავიანთი ჩალურჯებული თვალებით „ემარიაჟათ“, ემტკიცებინათ, რომ ეს ყველაფერი საპატრიარქოს და უშუალოდ, პატრიარქის მართულია და ხალხმა სწორედ სასულიერო პირების დაკვეთით სცემა, რომ ხელისუფლება ვერ იცავს მათ...

თუმცა, რამდენიმე ტვინგაცხელებულმა მაინც ვერ მოისვენა და საპატრიარქოსთან მინიაქცია გამართა. რამდენიმე იდიოტური პლაკატი გამოიტანეს და გვიმტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება საპატრიარქოაო. ვერ მოუნელებიათ ქართული ეკლესიისა და პატრიარქის ზემაღალი რეიტინგი. შემდეგ ამ ჯიშდაუდგენელმა არსებებმა საპატრიარქოს კედლები, უზოდიშოდ ვიტყვი, პედერასტების ფერებში შეღებეს, იმ პედერასტების, რომელთაც ეს სახელწოდება ალიზიანებთ და „ლგბტ“ საზოგადოება დაირქვეს. ამ არაადამიანებიდან 10 პირი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავეს, მაგრამ მათი სასამართლო პროცესი გადაიდო. თუმცა, იმდენი პატრონმფარველი ჰყავთ, მცირეოდენი ჯარიმით დააღწევენ თავს.

საპატრიარქოს კედლების პედერასტების მიერ და მათ ფერებში მოხატვამ ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი უკიდურესად აღაშფოთა. ცხადია, ეს ფაქტი მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად მიიღეს. ყველა ერთხმად და კატეგორიულად ითხოვდა სახალხო დამცველისგან, რომ ფაქტი დაეგმო და შესაბამისი ღონისძიებებიც გაეტარებინა. თქვენც არ მომიკვდეთ, უჩა ნანუაშვილს კრინტი არ დაუძრავს ამის შესახებ, ერთი სიტყვაც არ დასცდენია. სამაგიეროდ, იგივე უჩა ნანუაშვილმა მოითხოვა, დაუყოვნებლივ გაგვეცით პასუხი, რატომ არღვევთ უმცირესობების უფლებებსო!!!

უჩა ნანუაშვილი მხოლოდ უმცირესობების უფლების დამცველია და არა საქართველოს სახალხო დამცველი. საკმარისია, რელიგიური, სექსუალური და სხვა უმცირესობების უფლებები დაირღვეს, ეგრევე გამოხტება, დაგმობს კიდეც და თავის ანგარიშებშიც ასახავს დეტალურად ყველა ფაქტს. აი, ჩვენ, ამ ქვეყნის უმრავლესობას, მართლმადიდებლებს ზედ რომ გადაგვიარონ, ეს კაცი ერთ სიტყვას არ შეგვაწევს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს მართლმადიდებელი მოქალაქეების გრძნობები შეურაცხყვეს და სახალხო დამცველს რეაქცია არ ჰქონია. ჩემი, როგორც მართლმადიდებლის, უფლება მრავალგზის დაირღვა, მაგრამ ჩემს დასაცავად თითი არ გაატოკეთ, სიტყვა არ დაასველეთ. რა ვქნა, ბატონო უჩა, თქვენი ყურადღება რომ მივიპყრო? როგორც ვატყობ, ან სქესი უნდა შევიცვალო, ან რელიგია, ან სხვა მხრივ უნდა ჩავეწერო რომელიმე სახის უმცირესობაში, რომ ჩემი უფლებები დაიცვათ და ჩემი სახალხო დამცველიც იყო. მე არც ერთს გავაკეთებ, არც მეორეს და არც დანარჩენს, დავრჩები თქვენგან უგულებელყოფილი უმრავლესობის წევრად და მეცოდინება, რომ მე სახალხო დამცველი არ მყავს. ჩემი და სხვა მართლმადიდებელი ქრისტიანების უფლებებს არ იცავს ის სახალხო დამცველი, რომელიც

### მოუშორეთ!!!

ჩემი და სულ მცირე, ასეულ ათასობით სხვა მართლმადიდებელი ქრისტიანის მიერ გადახდილი გადასახადებიდან, ყოველთვიურად, ხელფასის სახით 5650 ლარს იღებს, უარს არ ამბობს პრემიებზე, „ჰიუნდაის“ მარკის მოძველებული ავტომობილი არ იკმარა და 105 000 ლარად 2016 წელს გამოშვებული ერცედეს-ბენზ 250 4მატიკ-ი იყიდა. ყოველთვიურად, დაახლოებით, 10 000 ლარს ხარჯავს სატელეფონო საუბრებში, ჩვენი ხარჯით დადის მივლინებებში საზღვარგარეთ თუ საქართველოს მასშტაბით, ვუფინანსებთ სხვა ხარჯებს, რომ კომფორტულად იმუშაოს და ჩვენი უფლებები დაიცვას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადების ლომის წილი მოდის სახალხო დამცველის აპარატის შენახვაში. ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხომ ამ ქვეყნის მოსახლეობის 83%-ს შევადგენთ? ლოგიკურად, ასეა. რა გამოდის? ჩვენი გადასახადებიდან ფულს იმიტომ ვიხდით, რომ უჩა ნანუაშვილმა ჩვენი უფლებების დამრღვევები დაიცვას და ჩვენს დარღვეულ უფლებებსა და შეურაცხყოფილ რელიგიურ გრძნობებზე ხმა არ ამოიღოს? დიახ, ასეა, ამ კაცს მხოლოდ იმიტომ ვინახავთ ამ ქვეყნის უმრავლესობა, რომ დაგვცინოს, გაგვაბითუროს და შეურაცხყოფილთ კიდევ უფრო მეტი შეურაცხყოფა მოგვაყენოს. მიმიფურთხებია ასეთი სახალხო დამცველისთვის! ის ჩემი სახალხო დამცველი არ არის, მაგრამ, საუბედუროდ, ჰქვია.

ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის 83%-ს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს სახალხო დამცველი არ გვყავს, უჩა ნანუაშვილი მხოლოდ მოსახლეობის დარჩენილი 17%-ის უფლებების დამცველია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას არ ჰყავს სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი უნდა მოშორდეს ამ პოსტს და სახალხო დამცველად პარლამენტმა ისეთი ადამიანი უნდა აირჩიოს, რომელიც თანაბრად დაიცავს რელიგიური და სხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებს.

სხვა და უკეთესი გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook



**შალვა რამიშვილი (20 მაისი)**

თითქმის ორი თვე გავიდა რაც თათია სამხარაძემ ბრალი დამდო მასზე განხორციელებულ „სექსუალურ ძალადობა- შევიწროვებაში''. ამ ბრალდებაში მას მხარი დაუჭირეს ფემინისტური ორგანიზაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. მათი მხრიდან ისმოდა მუქარები, რომ ყველა ღონეს მიმართავდნენ და ჩემს მიერ სხვა შევიწროვებულებსაც წარმოადგენდნენ. ნინია კაკაბაძე ციხეში გასტუმრებასაც დამპირდა. მოკლედ ყოველივე დაემსგავსა აბობოქრებული ქალების ჯვაროსნულ ლაშქრობას. მათ მოტივაციაზე ქვემოთ ვისაუბრებ. ჯერ კი ''ჯვაროსნებს'' მივმართავ.

ჩემს მიერ ''შევიწროვებულო'' სამხარაძევ და მის ბედზე მოვიშვიშე ფემინისტებო. სადაა ეს დედარღნიანი სარჩელი? აქამდე ხომ უნდა შეგეტანათ საქალაქო სასამართლოში?! ჩანაწერის ავთენტურობაც დაგიდასტურეს, იურისტებიც გყავთ, ''მსხვერპლიც'' სახეზეა...რა ''მოძალადის'' რეალური დასჯა არ გინდათ?!

ალბათ ასეცაა, რადგან არც ჩანაწერიდან, არც მთლიანად ამ პროვოკაციის სხვა გარემოებებიდან არ იკვეთება არამცთუ ძალადობა - თქვენ წარმოიდგინეთ ეს ყბადაღებული ''შევიწროვებაც'' კი. უბრალოდ ფემინისტურ არასამთავრობოებს სჭირდებოდათ ''შევიწროვებულის'' ქეისი. ანუ უფროსის მიერ გამოვლენილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ამბავი. ეს ხომ ენჯეობის საქმიანობას ახალ ''სტიმულს'' შესძენდა. ჰოდა შეიკერა ეს ''საქმეც''. მაგრამ იმდენად თეთრი ძაფებით შეიკერა, რომ არანაირი, ხაზს ვუსვავ, არანაირი სასამართლო პერსპექტივა მას არა აქვს! თუ ეს ასე არაა მაშინ სადაა სარჩელი? რატომ არ დაწერეს 2 თვის განმავლობაში? ჩანაწერის ავთენტურობის დადასტურებას ელოდებოდნენ? პარალელურად ვერ დაწერდნენ თუ რა?!

რას ვაპირებ! ველოდები სამხარაძის სარჩელს (მე მგონი ამაოდ), ასევე სულ მალე ველოდები ჩემს მიერ ინიცირებული სისხლის სამართლის გამძიების დასრულებას (საკმაოდ ინტენსიურიად მიმდინარეობს სხვა თა შორის)) და ზოგადად ვაპირებ ვიმოქმედო სამართლებრივად და ყველა ვამხილო ჩემს წინაამდეგ განხორციელებულ პროვოკაციაში. ამასთან, ეს ყველა არის, როგორც ყველაფერზე წამსვლელი გოგონა - ასევე მსხვილი ბიზნესმენი, რომელიც პოლიტიკაში მოსვლაზე ოცნებობს.

**ბაია პატარაია** - რა სულსწრაფი ხარ, შალვა ყველაფერი იქნება. არ ინერვიულო. დისკრიმინაციის საქმეზე სარჩელის შეტანა 3 თვეშია შესაძლებელო, ჰოდა 3 თვეს არ გადავაცილებთ შენ რომ გგონია, რომ სხვა პროცესები არ გვაქვს და მარტო ამ ქეისზე ვმუშაობთ, არც მასეა საქმე.

პ.ს. რაც შეეხება გამოძიებას, სულ რაღაც 1 თვეა დაიწყო და ეგენი ეგრე სწრაფ-სწრაფად არ მუშაობენ. თუმცა თათია უკვე გამოკითხეს, სხვა საგამოძიებო მოქმედებებიც აქვთ ჩასატარებელი.

facebook

**ნინო ჯღარკავა**



აიი ვანოზე და გიგიზე შეყვარებულ კოღუაშვილს ოცნების სიის პირველ ათეულში რომ ვიხილავთ, მერე დათვალეთ აქტივისტები კარგად! ჩვენ ჩვენი გამარჯვება ასე არ დაგითმოთ კოღუაშვილებს და მის მეგობრებს, მანამ არ გეტკინოთ არაფერი! ჩვენც მოვახერხებთ კარვების დადგმას სოლოლაკის აღმართზე!

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

Facebook ამბები



მალხაზ თოფურია:

კანონმდებელი ნუგზარი აცმაცუნების 50 კაციან სიაშიც ვერ მოხვდა((( ალბათ მაჟორიტარად დამიყენებენ საბურთალოზე ჩემი გულის გახარება უნდათ))



სანდრო ბრეგაძე

დაზუსტებული ინფორმაციით იმ ნაძირლებისთვის რომლებმაც საპატრიარქოს შენობა შეურაცხყვეს ერთგვარი ულტიმატუმი ქონდათ დაყენებული თავისი უცხოელი პატრონებისგან---17 მაისს ან აღლუმი ჩაატარეთ ან პროვოკაცია მოაწყვეთ ან თავი გაალახინეთ, თორემ ამიერიდან ერთ თეთრსაც ვერ მიიღებთო!!!!!!! აუცილებელია ამ ვანდალების მიმართ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა და ისინი დაპატიმრებული უნდა იქნენ!!!!!!!! არანაირი ჯარიმა და ადმინისტრაციული სასჯელი!!!! ისინი როგორც პროვოკატორები, ვანდალები, არეულობის ინსპირატორები და ტერორისტები ისე უნდა გასამართლდნენ!!!!!!

ამირან ზაქარიაძე - სანდრო, წიწილების განადგურება ვერაფერი გამოსავალია, გამოიჩეკებიან სხვა წიწილები და იგივეს იზამს!! კრუხი უნდა დავაპანჩუროდ!!!



ნინო ჯღარკავა დავით კოლუაშვილზე:

ვანო მერაბიშვილი, რომ ნიჭიერია, უგულავა, რომ გამოსაშვებია და მალე უნდა გამოვიდეს თურმე ციხიდან, მიშა, რომ მაგარი და განათლებულია, ამას რომ ამბობს და მე, რომ ხმაა უნდა მივცე რა გვარია ის კაცი?

ლევან ლომიძე

„ქართული ოცნების" კარგად დავიწყებული „ახალი სახე" – დათო კოლუაშვილი გონზე არაა. მას ჯერ არც კი გაუცნობიერებია, რა თანამდებობაზე მოსვეს ყოვლად დაუმსახურებლად და უკვე დაიწყო ანტიხალხური ბოდიალი ევროპულ მოტივებზე:

**„სააკაშვილი უგანათლებულესი პიროვნებაა, არაჩვეულებრივი ენერგიის, ამოუშრეტავი რესურსის. შეეძლო, ბევრი სიკეთე გაეკეთებინა ქვეყნისთვის. ბევრი რამ მოხდა მის დროს თვისობრივად გარდამტეხი, რასაც ვემხრობი — პატრულის რეფორმა, ქვედა დონეებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, საჯარო მოხელეებისადმი პატივისცემის განცდა, სხვადასხვა მოტივაციები. არ შეიძლება, ეს არ დაინახოს ადამიანმა. ეს რომ არ გაკეთებულიყო, ჩვენ გვექნებოდა ყველაფერი გასაკეთებელი და ამისთვის მადლობა მას. მაგრამ მან დაუშვა ტრაგიკული შეცდომა, ქვეყანა ჩართო განწირულ ომში და თუ ეს ვერ გათვალა, არ ყოფილა კარგი სტრატეგი. მერაბიშვილიც ძალიან ნიჭიერი ადამიანია. უბრალოდ, ის გახდა იმ გარემოებების მძევალი, რაც მას დაატეხა მისმა მეუღლემ. ვგულისხმობ გირგვლიანის საქმეს. დიდი შეცდომა დაუშვა მერაბიშვილმა, როგორც მინისტრმა, რომ არ გაემიჯნა ამ თემას და არ აღასრულა ის, რაც მასზე იყო დამოკიდებული. როგორც მინიმუმ, უნდა გადამდგარიყო. დღეს ის თავისუფლებას შეინარჩუნებდა, დარწმუნებული ვარ. ბრალდების ეს მხარეები შეიძლება გადაისინჯოს... მე გული მწყდება თითოეულ მათგანზე, რომ თავიანთი საქმეების გამო დევნილები გახდნენ. გიგი უგულავას საქმეში კითხვები გააჩინა ბრალდების იმ მხარემ, რითაც იქნა ის მსჯავრდადებული. არსებობს ევროსასამართლო და სხვა ინსტანციები. ალბათ, ეს საქმე გადაისინჯება და დარწმუნებული ვარ, ჩვენი სასამართლო შესაბამის რეაგირებას მოახდენს. მე არ მგონია, რომ უგულავამ კიდევ დიდხანს დაყოს ციხეში. მას შეუძლია, გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანოს ქვეყანას გარეთ, ვიდრე საკანში".**

ესე იგი, მიხეილ სააკაშვილი „უგანათლებულესი" პიროვნებაა, ვანო მერაბიშვილი – ცოლის მძევალი, ხოლო გიგი უგულავა უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას „სვაბოდაზე", ვიდრე ციხეშიო. თქვენ ან ბრიყვი ხართ, ან კიდევ კარგად მომზადებული დემაგოგი. მე უფრო მეორე მგონიხართ, რომელმაც ვადაზე ადრე გაამჟღავნეთ „ქართული ოცნების" გეგმა. სხვათა შორის, ასეთი ფილოსოფიური წიაღსვლები თავის დროზე ბიძინა ივანიშვილისგანაც გვსმენია, ბოლოს კი ზურაბ ადეიშვილზე ჰქონდა „ჩახვეული", ნიჭიერი ადამიანია, ჩემს ხელში მშვენიერი მინისტრი იქნებოდაო. ვანო მერაბიშვილსაც მიმართა რამდენიმეჯერ, ნიჭიერი კაცი ხარო... დავითს თურმე გული სწყდება თითოეულ მათგანზე... კი, მაგრამ რატომ არ გწყდებათ გული იგივე გირგვლიანზე, მის დედაზე, გაუპატიურებულ ოჯახებზე, გაპარტახებულ ბიზნესმენებზე თუ ქუჩაში ჩახოცილ ახალგაზრდებზე? ამბობენ, ძალიან ისიამოვნეს „ნაცებმა" კოლუაშვილის მიეთ-მოეთითო... თუმცა მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ, ბაჩო ახალაია რომ არ ახსენაო. მოგვიანებით კოლუაშვილმა თავი იმართლა:

**„ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი თემა იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი თუ დათო კოლუაშვილი, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, ყველას საკითხი განიხილება სამართლებრივ ჭრილში. რაც შეეხება გიგი უგულავას თემას, ადამიანი რაზეც არ უნდა იყოს ბრალდებული, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ევროკონვენციით აღიარებული ვალდებულებები და მივისწრაფვით სწორედ ამ მიმართულებით. საქართველოში არ გვჭირდება, პოლიტპატიმრები. პოლიტპატიმრების დრო და ეპოქა დამთავრდა 2012 წელს. ამიტომ ჩვენ ვერ დავუბრუნდებით იმ წარსულის ეპოქას. ჩვენ ძალმომრეობაზე ვთქვით უარი. არანაირი სენტიმენტი არ გამაჩნია ამ ადამიანების მიმართ და მინდა სპეკულაციები დასრულდეს".**

იცით, ქართველი ხალხი რას ამბობს? გავარტყით ევროკონვენციებსაც, ევროსასამართლოსაც და „ქართულ ოცნებასაცო", ამ პარტიას იმიტომ მივეცით ხმა, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა, ეს ყველაფერი იურიდიულად განემტკიცებინა და დამნაშავეები დაესაჯაო. მოხდა პირიქით, ოთხი წელიწადი იყო იურიდიული კაზუსების ეპოქა, ვიღაცები ჩასვეს ციხეში მყიფე და აცდენილი ბრალდებებით, ახლა კი იწყება მათი გამოხსნის პერიოდი. არა, მე ის მიკვირს, ელემენტარული ეშმაკობაც რომ არ გაგაჩნიათ, მოგეცადათ, არჩევნებს ჩაევლო და მერე დაგეწყოთ ბოდვა.

ბოლო დროს ისეთ რაღაცებს ვისმენ, უკვე მეშინია... აშკარად ფსიქიკურ აშლილობა-გადაგვარებასთან გვაქვს საქმე. მას შემდეგ, რაც კახელში აგიყვანა, ჯიბეში 3 მილიონი დოლარი ჩაგიდო, სამეგრელოში გაგიშვა და როლანდ ახალაიასთან არჩევნებიც კი წააგე. მაშინ ივანიშვილმა იგრძნო, რომ საქმე ვერ იყო კარგად და შემოგთავაზა, ხალხს მოგახმარებო. იუარე, ქოში უკულმა ყარე, რას ჰქვია, ვერ მოვიგებო? იცოდი, რომ ვერ მოიგებდი, მაგრამ მაინც ვა-ბანკზე წახვედი – ფულის გაყოფა არ გინდოდა, ვერ გაიმეტე. ერთი პერიოდი კახა მიქაიას იმედი გქონდა, მასთან ჩახვედი და უთხარი: კახა, ხალხში გასვლა მიჭირს, მომეხმარეო. ცოტა ხანს მოგეხმარა, ცოტა ხანს გდია შეხვედრების დროს, მაგრამ მერე მობეზრდა და გამოგიცხადა, – შენი პარტიის წევრი არ ვარ, შემეშვიო. დამარცხებული დაბრუნდი თბილისში, ბიძინამ დაგსვა, დაგელაპარაკა, ჯერ ფულზე გამოგკითხა, შენ თავი იმართლე, დიდი ხარჯი მქონდაო. ვითომ დაგიჯერა. მერე გითხრა, ანალიზი გააკეთე და ამიხსენი, სამეგრელოში რა მოხდაო, მანამდე კი წადი, თავდაცვის მინისტრად იმუშავეო. როცა მინისტრი გახდი, ანალიზიც დაიკიდე და ფულის ამბავიც. შემდეგ რაც მოხდა, ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, აღარ გავაგრძელებ. ან რა ხალხი უნდა გამოიყვანო, ვის მოუწოდებ, როცა ყველას ახსოვს, რაც თქვი 2009 წლის აპრილში. მაშინ ხარისხიანი ქართველები გარეთ არ გამოსულან და რაღა ახლა გამოვლენ?!

თუ გინდათ, რომ სოფელი ბედნიერი იყოს, ერთი გიჟი აუცილებლად უნდა ჰყავდეს. ამ მხრივ „ნაცმოძრაობა" სრულ ბედნიერებაშია, რადგან ასეთი მრავლად ჰყავს. მაგალითად, საარჩევნო სიაში ახლად ჩასმული სალომე სამადაშვილი ასეთ რამეს ამბობს:

**„ერთადერთი პოლიტიკური გუნდი, რომელსაც შეუძლია, რომ შეცდომები გამოასწოროს, ეს არის განახლებული „ნაციონალური მოძრაობა". სხვა პოლიტიკურ ძალას ამის ინტელექტუალური პოტენციალი, გამოცდილება და შესაბამისი პოლიტიკური ხედვა არ აქვს".**

ესე იგი, ქალბატონი სალომე გვეუბნება, „ნაცმოძრაობამ" შეცდომები კი დაუშვა, მაგრამ მისი გამოსწორება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიაო. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, ესენი ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდნენ, ხალხს ტრაკში ცოცხები გაუკეთონ და მერე ფაქიზად გამოუღონ. ეს იქნება შეცდომის გამოსწორება, ამას სხვა ვერავინ გააკეთებს, მხოლოდ სააკაშვილის ბანდას აქვს საამისო ინტელექტუალური პოტენციალი, გამოცდილება და პოლიტიკური ხედვა. კი, ხედვა აუცილებელია, ასე ოსტატურად სხვის ტრაკში ვერავინ შეიხედავს, ვერავინ გადაიღებს, ვერავინ ჩაწერს და ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანას დედას ასე ოსტატურად ვერავინ მოუტ...ნავს!!!

პაატა ბურჭულაძეც გვაოცებს ყოველდღიურად, ოღონდ ხალხი მიიმხროს და უკვე ყველაფერს კადრულობს, ლამის სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად წარმოაჩინოს საკუთარი თავი:

**„ისეთი დარტყმა მივიღე სააკაშვილისგან, რაც არავის მიუღია. ერის მოღალატედ გამომაცხადეს, როდესაც მოსკოვში ჩავედი და ბავშვების დასახმარებლად გამართულ კონცერტში მონაწილეობა მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ მომთხოვეს, არ წავსულიყავი, მე მაინც წავედი, ეს არ იყო პროტესტი"?**

ისე, მართლა მაგარი დარტყმა მიგიღიათ, ასეთი რამ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. როდესაც კონცერტზე არ გიშვებენ, ეს „დუბინკაზე" მწარეა, სიკვდილზე უარესია, ქუჩაში ჩაცხრილვასთან ახლოსაც ვერ მოვა, რა გაუპატიურება, რომელი ქონების წართმევა? ჰოდა, აი, ამიტომაც დაგიფასებთ ამ ტკივილს ოქტომბერში ქართველი ერი და მოგცემთ პირველ-მეორე ხმას, ბანი თქვენია.

# თქვენ ან ბრიყვი ხართ, ან კიდევ კარგად მომზადებული დემაგოგი!!!

**მიხეილ სააკაშვილი „უგანათლებულესი" პიროვნებაა, ვანო მერაბიშვილი — ცოლის მძევალი, ხოლო გიგი უგულავა უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას „სვაბოდაზე", ვიდრე ციხეში...**





Facebook ამბები

სანდრო ბრეგაძე დავით კოლუაშვილის სკანდალურ შეფასებებს ეხმაურება:

მიშა უგანათლებულესი პატრიოტი ყოფილა, მერაბიშვილი უნიჭიერესი,უგულავა უპატიოსნესი. ოპელი ვერ გევიგე??? ისე მივიხედმოვიხედე და ამ ტექსტის ავტორები სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ აქციებში ვერ დაგინახეთ.თქვენ ალაოდ ხომ არ ხართ??? კოჰაბიტაციას და ქორწინებას განახებთ თქვენ თქვე ფარისევლებო. ომი გინდათ? მიიღებთ მიშას ნასედკებო. პოლოტსაბჭო კი არა მამაზეციერი ვერ გიშველით. ძირს მიშას ჩანერგილი მანქურთები.



# როგორ აპირებს „ოცნება“ არჩევნების გაყალბებას!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

როგორც ჩანს, მავანთა სინდის-ნამუსი ძაღლის კუდივით არასოდეს გასწორდება. საარჩევნო დოკუმენტი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, გაყალბებულია 2016 წელს და ბუნებრივია, მიზნად ისახავს მომავალი საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას. კარგად დააკვირდით: მოქალაქე თამარ ჯუღელი 2008 წლიდან ჩაწერილია ზესტაფონში, კოსტავას ქ. №50-ში (ეს გახლავთ კერძო სახლი). მას 2015 წლის 23 სექტემბერს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრიდან დასჭირდა დოკუმენტის აღება, აიღო კიდეც და არ ყოფილა არავითარი პრობლემა, ანუ საკუთარ სახლში ჩაწერილი იყო მხოლოდ თვითონ. იგივე განმეორდა 2016 წლის მაისის დასაწყისში, მას ისევ დასჭირდა დოკუმენტი ახლა ცესკოდან, მაგრამ ამჯერად უკვე იხილა ქაოსი – საკუთარ სახლში ჩაწერილი დახვდა 13 უცნობი ადამიანი: ვეფხვაძე თეონა, თაბუნიძე თეონა, თიკანაშვილი რუსუდანი, მერკვილაძე ანზორი, მერკვილაძე დავითი, მერკვილაძე მერი, მერკვილაძე მიხეილი, მერკვილაძე ჟუჟუნა, მერკვილაძე ჯონი, ფხალაძე ირინე, ფხალაძე ნინო, წიქარიშვილი ნანა, ჯუღელი თამარი, ჯუღელი შორენა.

როგორც ხედავთ, ამ 12 ადამიანის გარდა, სიაში არის 2 ჯუღელი – თამარი და მისი და, შორენა, რომელთაც დანარჩენების შესახებ არასოდეს არაფერი სმენიათ:

„მთელი ცხოვრება იურიდიული მისამართი მქონდა: ზესტაფონი, მერაბ კოსტავას №50, მაგრამ დამხვდა ასეთი ამბავი. ვინ არის ეს ხალხი, აზრზე არა ვარ... წესით, ამ სახლში მე და ჩემი და უნდა ვიყოთ მხოლოდ ჩაწერილი. ეს ცესკოს ბრალი არ არის, მაგას იუსტიციის სახლი აწვდის, მისი პრეროგატივაა. „ნაცების“ დროს ასე იყო ბევრგან, მაგალითად, ისანში ერთ ბინაში 80 კაცი ჩაწერეს. უბედურება ისაა, რომ ვხედავ, ეს მეთოდი ისევ მოქმედებს, ზესტაფონში მერაბ კოსტავას ქუჩაზე კორპუსი საერთოდ არ დგას, სულ კერძო სახლებია. ახლა ზესტაფონის საჯარო რეესტრი მიმტკიცებს, შენ მე-3 კორპუსში ცხოვრობო. გამოდის, პირველი და მეორე კორპუსებიც არსებობს, რაც სიყალბეა. ზესტაფონის საჯარო რეესტრი ვერაფერს გვეუბნება, ყველა დუმს. შენ წარმოგიდგენია, რამხელა ვერაგობასთან გვაქვს საქმე? აქამდე დარეგისტრირებული ვიყავი ნორმალურად, პრობლემა არ მქონია, ეხლა უცებ ამომაყირავეს და კორპუსში დამარეგისტრირეს“.

ჩვენ არაერთხელ „აგვახიეს“ მილიონები იმ მიზეზით, რომ

### ა. ფუჭკი!

საარჩევნო სიებს გაასწორებდნენ. ჩვენ არაერთხელ დაგვპირდნენ, რომ, რასაც „ნაციონალები“ აკეთებდნენ, ის აღარასოდეს განმეორდებოდა. როგორც ჩანს, ამჯერად გაყალბების ეპიცენტრმა თბილისიდან რეგიონებში გადაინაცვლა, იქ სიტუაცია უფრო მოფარებულშია და გადამოწმებაც რთულია. რომც გადაამოწმო და დარღვევები აღმოაჩინო, საჯარო რეესტრი გეუბნება, მაწონი შავიაო, ანუ შენ კერძო სახლში კი არა, კორპუსში ცხოვრობ 12 ნათესავთან ერთადო. მართალია, ამ ნათესავებს არ იცნობ, მაგრამ მაგას აღარ აქვს მნიშვნელობა, ისინი არჩევნების პერიოდში შენი სულიერი დები და ძმები არიან. ჩაივლის არჩევნები და ყველაფერი გასწორდება, აბა, ამდენი ხალხის კომუნალურ გადასახადებს შენ ხომ არ დაგაწერენ? ეს უკვე უნამუსობა იქნება, თანაც ძალიან იყვირებს და შეიძლება ყველაფერი გამოაშკარავდეს...



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| [photo] | ჯუღელი | თამარი | 06.09.1983 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 |

ამ მისამართზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვეფხვაძე | თეონა | 14.07.1980 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| თაბუნიძე | თეონა | 22.04.1994 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| თიკანაშვილი | რუსუდანი | 10.11.1970 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| მერკვილაძე | ანზორი | 11.07.1981 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| მერკვილაძე | დავითი | 07.06.1958 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| მერკვილაძე | მერი | 24.12.1960 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| მერკვილაძე | მიხეილ | 15.08.1996 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| მერკვილაძე | ჟუჟუნა | 07.03.1937 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| მერკვილაძე | ჯონი | 23.01.1989 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| ფხალაძე | ირინე | 17.04.1982 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| ფხალაძე | ნინო | 28.02.1988 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| წიქარიშვილი | ნანა | 10.07.1941 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| ჯუღელი | თამარი | 06.09.1983 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |
| ჯუღელი | შორენა | 02.01.1978 | 51.02 | საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, კორპუსი 3, ლიტერი 1, ბინა 10 | |

© საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია








**ლევან თაქთაქიშვილი:**

რაც თავი მახსოვს, სულ რაღაც მქონდა საოცნებო, ყველაზე ძველი ოცნება, რაც მახსოვს, ძალიან სასაცილო იყო, ვოცნებობდი, რომ ლათინური ამერიკა და აშშ საბჭოთა გამხდარიყო, კუბის მაგალითზე, ამავე პერიოდის ოცნება იყო, რომ ველოსიპედი მქონოდა, მამა არ ეთანხმებოდა ამ აზრს, სკოლიოზი გაგიჩნდებაო, როცა ბოლოს და ბოლოს გადაწყდა ყიდვა და მეორე დღეს შუადღისას უნდა წავსულიყავით მაღაზია "სტარტში" დესნა-2 -ის საყიდლად(75 მანეთი გამოყო ბებიაჩემმა ), ვერ მოვითმინე, დილას ეზოში ჩავედი, ველოსიპედი ვთხოვე მეზობელს და მაინცდამაინც იმ დღეს დავეჯახე კედელს - ერთმა იდიოტმა ჯოხი ისროლა და სპიცებში გაეყარა ჩემს გაქანებულ ნათხოვარ ველოსიპედს, მე კი ჰაერში სალტო გავაკეთე და კედელზე ავეწეპე, გადატყავებული მუხლები და ნიკაპი რომ ნახა მამამ, იმ ფულით ტანსაცმელი მიყიდეს და ოცნება ოცნებად დარჩა. მანქანის ტარება მისი რეცხვიდან უნდა დაიწყოო და იმდენი მარეცხინა მამაჩემმა მანქანა, რომ ყიდვაზე დღემდე აღარ მიოცნებია, მერე არტეკში წასვლა იყო ჩემი ოცნება, სულ ხუთები უნდა გყოლოდა წლის ბოლოს, მაგრამ როცა ჩემი კლასელი სამებით დახუნძლული გაუშვეს ყირიმში, მივხვდი, რომ მარტო ნიშნები არაფერს ნიშნავდა, საჭმელ-სასმელი ოცნებად არასოდეს მქონია, არც ფული და ტალონები, რომელიც სკოლაში ე.წ. ლისტებად მქონდა, ხო, მართლა, ფიზკულტურის გაკვეთილზე თოკზე ვერ ავდიოდი და ეს მანაღვლებდა, კლასელებთან საჯაროდ დამარცხების სირცხვილის გამო უარს ვამბობდი თოკზე ასვლის ცდაზეც კი, მაგრამ ამაზე არ ვოცნებობდი, ვიცოდი, რომ თოკზე ისეთებიც ადიოდნენ, რომელთა შესაძლებლობები ჩემზე ნაკლები იყო, აი სირბილში და ხტომაში კი, იცოცხლე, ყველაფერი ხუთიანზე იყო. მერე წიგნებით მოვიწამლე, მარკებსაც ვაგროვებდი, სკოლაში პირველი სიყვარულიც მეწვია , ამაშიც უცნაური ვიყავი - ჩემი მასწავლებელი მიყვარდა... მე-3 კლასში. მახსოვს, რომ ერთხელ ტუალეტში შემავალი დავინახე და გამიკვირდა, მეგონა რომ ის ტუალეტში არ უნდა შესულიყო. 1988 წლამდე საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ის მადარდებდა, რომ 360 000 ქართველი დაიღუპა სამამულო ომში და ფერეიდნიდან ქართველების დაბრუნებაზე ვოცნებობდი, ერეკლე მეფეს ვაკრიტიკებდი, რომ ქართლ-კახეთის იმერეთთან გაერთიანებაზე არ დათანხმდა, ტაო-კლარჯეთის მონასტრების ბედზე ვდარდობდი, თურმე სადა ბანაობ, რას ვიფიქრებდი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი თაობაც ღიმილის ბიჭების ბედს გაიზიარებდა, ზოგს აფხაზეთში, ზოგს სამაჩაბლოში, ზოგს უბნის გარჩევების დროს გაუჩერდებოდა სოფლის საათი, ზოგს კი ნემსი მოუსწრაფავდა სიცოცხლეს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა – ეს უკვე 25 წელია მღრღნის, ისე, რომ ზოგჯერ უნებურად ჩვენს მეზობელ ქვეყანას შევაგინებ ხოლმე, ან ერთს და ან მეორეს, ეს ხდება დილაობით, სანამ სული ჩამიდგება ხოლმე, არ ვიცი, რატომ ხდება ეს, მაგრამ ერთსაც ვხვდები, რომ ამ პრობლემაზე არანაკლები პრობლემა არსებობს, ის , რომ დრო გადის და უფრო ზერელე ვხვდებით, ყველაფერს ვეჩვევით, იმასაც, რომ საქართველო თვალსა და ხელს შუა ისე დაგვიპატარავდა, როგორც ბავშვობაში მამალოები პატარავდებოდა ჩვენი ლოკვისაგან, არადა არ იფიქროთ, რომ ებრაელებისთვის ისრაელის დაბრუნების მსგავსი ჩვენ შეგვემთხვას, როგორც ჩანს, შთამომავლობა ვერ ინარჩუნებს ქართველობას მის ფარგლებს გარეთ, მაქსიმუმ 3 თაობა თუ ქართველობს, დავკარგეთ ტაო, კლარჯეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო( ეს სახელიც შეცდომით ქვია, სამაჩაბლო ამ ტერიტორიის მხოლოდ ნაწილია) აქაც არიფები ვართ, მაგრამ ჩავიხედოთ გულში, თქვენ არ დააკარგინეთ რაღაც საქართველოს? რამდენი ხე მოჭერით, რამდენი აბორტი გადაწყვიტეთ, რამდენი რამ დაიკიდეთ, რამდენ ვინმეს შეუშალეთ ხელი მხოლოდ იმიტომ რომ განეწყეთ მასზე სუბიექტურად, რამდენი დაგეზარათ, რამდენი რამ გადაყარეთ ან ვერ მოუარეთ, აქაც ჩვენი მეზობელი გვებრძოდა? აქაც საზიზღარი პუტინის ძალაა? ბოლოს და ბოლოს, რამდენი ქართული სიტყვა წავბილწეთ, რამდენჯერ პოლიტიკური სუბიექტურობის მონა გავხდით, რამდენჯერ პოლიტიკური სიკეკლუცის გამო ციციკორეები გავროზგეთ და ელიოზივით ნატვრისთვალის ძიებაში საქართველო დავასახიჩრეთ. ოცნებას კაცი არ მოუკლავს , ეხლაც ვოცნებობ, ალიხეო, მალიხეო, სალიხეო, მაგრამ ახლანდელ ოცნებას არ გეტყვით, მაპატიეთ, თუ ამისრულდა, პირველი თქვენ გაიგებთ.... პირადული არ გეგონოთ, ყველას გაგვიხარდება...



**სანდრო ბრეგაძე**

რატომ მოიცილეს მიშას ჩანერგილებმა ღარიბაშვილი??? როგორც მთავრობის ყოფილი წევრი სრული პასიხისმგებლობით ვაცხადებ-იმიტომ რომ მიშას არ თვლიდა უნიჭიერესად, იმიტომ რომ უგულავა არ მიაჩნდა პოლიტპატიმრად,იმიტომ რომ მერაბიშვილის გამოშვებას არ აპორებდა, იმოტომ რომ პიდარასტებს ვერ იტანდა და იმიტომ რომ ქართველი არის, მემარჯვენე კი არა ნაცები ხართ. ხვალიდან ყველაფერს ავხდი ფარდას.

**ჯონდი ბაღათურია**

ამ ტიპის, სიმძიმისა და სიბინძურის ღალატი სულ რამდენიმე შეიძლება რომ გავიხსენო რაც ხელისუფლებებს ჩაუდენიათ...

იუვენალური იუსტიცია ეს ის კანონმდებლობაა, რომელიც ეხება არასრულწლოვნებს და რომელიც რეალურად არის სახელმწიფოს ჩარევა ოჯახში, ბავშვთა უფლებების დაცვის მომიზეზებით... თუ ამ დღეებში რედაქციაზე ვერ შევთანხმდით ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს და გამოვიდნენ ქუჩაში... ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ...





**ანი ნადარეიშვილი** 18 მაისს ინგა გრიგოლიას „ფეისბუქის“ გვერდზე წერილს უქვეყნებს:

ინგა გრიგოლია დღეს თქვენს გადაცემაში სანდრო ბრეგაძემ რომელიც არაერთხელაა შემჩნეული ჭორაობაში (ამის დამადასტურებელი პირადი მიმოწერა მაქვს შენახული) განაცხადა რომ თურმე ბაჩო ახალაია "მთვრალი" შედიოდა ციხეში და ცემდა პატიმრებს. სიტყვა "მთვრალი" იყო მიზანმიმართულად გამოყენებული მაშინ, როდესაც ჭორებს ავრცელებდნენ კანონიერი ქურდების დავალებით მათივე დაფინანსებული ჯიბის ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ ნანა კაკაბაძეები და დანი და ძმანი მისნი. ამ ჭორების გავრცელებას ქონდა ერთადერთი მთავარი მიზანი - ბაჩო ახალაიას ჩამოშორება პენიტენციალური სისტემიდან და მათი ქურდული "პალაჟენიის" აღდგენა ციხეებში. ამ ჭორების გავრცელება კი დაიწყეს მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ხერხი სცადეს - შესთავაზეს 300 ათასი დოლარი ყოველ თვე და ბაჩო არ უნდა გაკარებოდა ციხეს, დაემუქრნენ სიკვდილით არაერთხელ, მოუწყვეს თანამშრომლების გაფიცვები, ბუნტები და ა.შ. მაგრამ ვერ მოიშორეს... 26 წლის ბაჩო იდგა მედგრად და თავის და თავისი ოჯახის სიცოცხლის ფასად ბოლომდე იბრძოდა ამ საშინელი და დაუნდობელი ინსტიტუტის "ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ!

არც ერთ იმ "ცრუ" მოწმესაც კი, ბედუკაძის თამადობით, რომლებიც სასამართლო პროცესებზე მოყავდა სუს-ის უფროსს დიმიტრი დარბაისელს პირადად, არ უთქვამთ რომ ბაჩო ახალაია როდესმე მთვრალი შესულა ციხეში (პირიქით, თვითონ მკაცრად აკონტროლებდა რომ რომელიმე თანამშრომელი ოდნავ ნასვამი არ გაკარებოდა ციხის პერიმეტრს).

სანდრო ბრეგაძე, მოგმართავთ თქვენ! დაანებეთ თავი ჭორაობას! კმარა!!! ამოვიდა ყელში თქვენი უაზრო ტლიკინი, და თუ რამე იცით პროკურატურას მიმართეთ, დიდი ზარ-ზეიმით და წითელი ხალიჩებით დაგხვდებიან, თქვენნაირებს სანთლით ეძებენ უკვე 4 წელია.

და კიდევ, სანდრო გიყურებდით დღეს ინგასთან და გული მერეოდა თქვენზე, როდესაც ძაან მართლმადიდებელს თამაშობდით, სიწმინდეებზე საუბრობდით, ოჯახის სიწმინდეზე მათ შორის და ამავე დროს ჭორაობდით და ჩემს სიწმინდეს - ჩემს ოჯახს შეურაცხყოფდით.

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

# დავით ზურაბიშვილი: „რა ვიცი... სეტყვა რომ იყო კახეთში, ისიც ჩვენი ბრალია და რას გაიგებ, სეტყვის საქმეც შეიძლება შეკერონ“



„გაუგებარი სიტუაციაა, თავდაცვის მაშინდელ მინისტრ ალასანიასა და პრემიერ ღარიბაშვილს პასუხს არავინ სთხოვს, არც დაუკითხავთ და სთხოვენ იმ ადამიანებს, რომელთა გამგებლობაში ეს საკითხი არ იყო“



საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხურჩაში, ოკუპანტების მიერ ჩადენილი მკვლელობა იყო თუ არა კავშირში ხელისუფლების ლოიალურ პოლიტიკასთან რუსეთის მიმართ და რატომ ითხრის „ოცნება“ წინასაარჩევნოდ სხვადასხვა ალოგიკური გადაწყვეტილებებით საფლავს, ამაზე „ალია“ რესპუბლიკელ **დავით ზურაბიშვილს** ესაუბრა:

— **ბატონო დავით, პირველ რიგში, ხურჩაში მომხდარ მკვლელობაზე მინდა გკითხოთ, გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, ოკუპანტების მხრიდან გამოვლენილი ეს სისასტიკე შეაფასა, როგორც რუსეთის მიმართ ივანიშვილისა და მისი გუნდის ლიბერალური პოლიტიკის შედეგი, რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს შეფასება?**

– ძალიან ტრაგიკული შემთხვევა მოხდა, ნამდვილად აღმაშფოთებელია რუსეთისა და სეპარატისტების მხრიდან ასეთი ქმედებები. საკადრისი პასუხია საჭირო და სწრაფი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან.

— **კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?**

– ეს რომ დავაბრალოთ სახელმწიფოს პოლიტიკას ოკუპანტის მიმართ, იქნება ელემენტარულად უსამართლობა. რადგან მსგავსი ფაქტები ხდებოდა წინა ხელისუფლების დროსაც, იმის წინა ხელისუფლების დროსაც და ა.შ. ეს არის ის ტრაგიკული ვითარება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ჩვენი ტერიტორიები არის ოკუპირებული და სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებს აქვს ხოლმე ადგილი. ბუნებრივია, საჭიროა უმკაცრესი რეაგირება, მაგრამ ეს რომ პირდაპირ შედეგად გამოვიყვანო „ქართული ოცნების“ პოლიტიკის, რაოდენ კრიტიკულადაც არ უნდა ვიყო ხელისუფლების მიმართ განწყობილი, უსამართლობა იქნება, მკვლელობა ამას დავუკავშირო.

— **თუმცა გავრცელდა დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ მკვლელი აწნუხელიძის წამების გამო იხდიდა სასჯელს და სწორედ „ოცნებამ“ გაათავისუფლა, ამის შესახებ ხომ არ იცით რამე?**

– არა, არა, სისულელეა, ტყუილია.

— **„კაბელების საქმეზე“ გადავიდეთ, ბიძინა ივანიშვილის ინტერესი ამ პროცესში თავიდანვე გამოიკვეთა, თუმცა იმდენად სუსტია პროკურატურის არგუმენტები და განაჩენი, ცხადია, რომ სამართლებრივ გამჭვირვალე პროცესთან საქმე არ გვაქვს... საინტერესოა, ივანიშვილი და მის მიერ „დასმული“ ხელისუფლება ვერ ხედავს რისკს, რომ წინასაარჩევნოდ მსგავსი გადაწყვეტილებები „ოცნების“ რეიტინგს კიდევ უფრო დაბლა დასწევს? ან ეს ალასანიას ხომ არ მოუმატებს პოლიტიკურ დივიდენდებს?**

– ეჭვი არ მეპარება, არავის არ აწყობს ეს. ისევე როგორც, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს პოლიტიკური მოტივაციაა. უბრალოდ, არის ხალხი, რომელმაც არ იცის, რა აწყობთ, ეს არის პრობლემა. ჰგონიათ, რომ აწყობთ და გამოადგებათ, მაგრამ ძალიან ცუდია, პირველ რიგში, მათთვის და ქვეყნისთვისაც, რა თქმა უნდა. უპირველეს ყოვლისა, ეს განაჩენი არის უსამართლობა, იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რაც იყო ნათქვამი და საქმის მასშტაბიდან გამომდინარე, ყველამ გავიგეთ უკვე დეტალები. 7-7 წელი სასჯელი გაუგონარია. უბრალოდ, წარმოუდგენელია, რაზეა ლაპარაკი. მე საერთოდ არ მესმის, რაზეა აქ დავა. დავა არის, რომ გაფორმდა სრულიად კანონის დაცვით სახელმწიფო ტენდერი და ამის გამო არიან ადამიანები დაჭერილები. მეტი არაფერი არ ხდება მანდ. თან სხვას არავის არ სთხოვენ პასუხს. იმ ფირმას, რომელმაც სარგებელი მიიღო, პასუხს არ სთხოვენ, არც პასუხისმგებელ პირებს. თავდაცვის მაშინდელ მინისტრ ალასანიას და პრემიერ ღარიბაშვილს პასუხს არავინ სთხოვს, არც დაუკითხავთ და სთხოვენ იმ ადამიანებს, რომელთა გამგებლობაში ეს საკითხი არ იყო. საერთოდ, რაზეა საუბარი და პოლიტიკური მოტივაციის გარდა, რა უნდა ამოვიკითხო აქ, მართლა არ ვიცი. პოლიტიკურად ხელისუფლებისთვის წამგებიანია, რა თქმა უნდა და მომგებიანი არის თუ არა, ალასანიასთვის და სხვა პარტიებისთვის ასე საკითხი მგონია, რომ არ უნდა დავსვათ. თუმცა პოლიტიკურად ამით მოიგებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ოპოზიცია. მაგრამ უდანაშაულო ადამიანების დასჯით პოლიტიკური უპირატესობა დარწმუნებული ვარ, არავის არ უღირს. ყველას ურჩევნია, ეს ადამიანები თავისუფლები იყვნენ.

— **საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებაშიც, კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით „რესპუბლიკელების“ პოზიციაც სხვა ოპოზიციური პარტიების ანალოგიურია, თუ ეს კანონიც გაიტანა საბოლოოდ უმრავლესობამ, ესეც არ დააზარალებს ქვეყნის იმიჯს და თავად „ოცნებას“, აქაც გაუთვითცნობიერებასთან გვაქვს საქმე თუ შეგნებულად კეთდება?**

– უკვე გითხარით, რომ ჩვენს ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, საკმაოდ მაღალ პოსტებზე არიან ადამიანები, გადაწყვეტილების მიმღებები, რომლებმაც არ იციან, რა არის მათთვის კარგი და რა ცუდი, პოლიტიკურ კონტექსტში. ამას ვამბობ დაუფარავად. უბრალოდ, არ ესმით ელემენტარული თამაშის წესები. გამრავლების ტაბულის დონეზე არ ესმით პოლიტიკური ანა-ბანა. ასეთ დროს ყოველთვის ასე ხდება, უვიცი და უმეცარი ადამიანები, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ პოლიტიკური თამაშის წესებზე და ქვეყნის მართვაზე, უშვებენ ძალიან მძიმე შეცდომებს, პირველ რიგში, თავიანთი თავის საწინააღმდეგოდ.

— **ყველაზე დიდი გავლენა პროცესებზე ივანიშვილს აქვს, ამას თავადაც არ უარყოფენ ბოლომდე ხელისუფლებაში, ნუთუ ასეთი უმეცარი და უვიცია, რომ მავნებლობას უკეთებს საკუთარ გუნდს? თუ მას არ უსმენენ?**

– მე ნამდვილად არ მჯერა და ვერ ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერზე წარმოდგენა არ აქვს, არაფრის საქმის კურსში არ არის და საერთოდ ვერ ერკვევა, რა და როგორაა. თუ შეგნებულად ხდება ის, რაც ხდება, ძალიან ცუდი.

— **როგორც ვხედავთ, პროცესები ყოველმხრივ ალოგიკურად ვითარდება ქვეყანაში, როგორც „ოცნების“ ოპონენტები ამბობენ, სახეზე გვაქვს აშკარა პოლიტიკური მოტივით ოპონენტების შევიწროება, ანარქია სხვადასხვა სფეროში, რომელიც ემსახურება ერთი კაცის ახირებას, არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო მეტად ხომ არ უნდა ველოდეთ პოლიტიკური რეპრესიის ახალ ტალღას? მათ შორის თქვენი გუნდის მიმართაც, რადგან უკვე „ოცნების“ კონკურენტები ხართ?**

– რა ვიცი... სეტყვა რომ იყო კახეთში, ისიც ჩვენი ბრალია და რას გაიგებ, სეტყვის საქმეც შეიძლება შეკერონ. მაგრამ მინდა, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებაში მიხვდნენ, რა არის მათთვის წამგებიანი და რა არის კარგი. რადგან ეს ჯიბრიანობა და ათასი სისულელე დაუშვებელია და აღმაშფოთებელი და მათვე მოუტანს ზიანს. იმედია, იმ ხუთ ადამიანსაც გაათავისუფლებენ და ფატალურ შეცდომებსაც ნაკლებად დაუშვებენ, რათა ნორმალურ რეჟიმში ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



**ლადო სადღობელაშვილი**

ქართული ოცნების ახალმა ანუ კარგად დავიწყებულმა ძველმა, პრემიერ კვირიკაშვილის ინიციატივით წარდგენილმა წევრმა ბნ-მა კოღუაშვილმა სულში და გულში ჩააფურთხა საქართველოს და მათ ვინც ვისი სიცოცხლეც შეეწირა სააკაშვილი-მერაბიშვილის რეჟიმს!!!

ბნ კოღუაშვილო თქვენ დღეს იურა ვაზაგაშვილის და ირინა ენუქიძეს (თავგანწირული მშობლების) სული შეურაცხეთ!!!

მ რ ც ხ ვ ე ნ ი ხ ა რ თ !

გიორგი როსტომაშვილი – ნაცები გამოიყვანა სიტუაციის მსხვერპლად და ზოგადად უდანაშაულოდ.. ფაქტიურად ყველა ამომრჩეველს აუწყა რომ სამართლიანობის აღდგენა აღარ იქნებაო... ისედაც მართლები არიან ნაცები და მათთან პრეტენზიები გამორიცხულიაო.... აღმოჩენაა ეს კოღუაშვილი.... ხიშტი მინუს ორასი...

# პაატა ზაქარეიშვილი: „ეს არის საშინელი მკვლელობა... მაგრამ ქვეყანაში მდგომარეობა მძიმე არ არის... ჩვენდა საუბედუროდ, მოხდა გამონაკლისი მკვლელობა“

**ამ სულელური განცხადების ავტორის ხელფასი 52-ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს, მისი სამინისტროს შენახვა კი 5 მილიონზე მეტი დაგვიჯდა!!!**

შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი გასაუქმებელია, რადგან ეს არის უფუნქციო უწყება!!!!





ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



## ვისი ჭკუის მინისტრი?!

ხურჩაში 31 წლის გიგა ოთხოზორიას ჩაცხრილვის გამო, მთელი საქართველო აღშფოთებულია, ხალხის დიდი ნაწილი უკვე იმ ჭკუაზეა, ლამის იარაღი აისხას და აფხაზებსა და რუს ოკუპანტებს ომი გამოუცხადოს. ამგვარ კრიტიკულ ვითარებაში, ცხადია, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ხელისუფლებას, მის თითოეულ სტრუქტურას, მის ხელმძღვანელებს, რომლებიც გარკვეულწილად პასუხისმგებელნი არიან ამ მკვლელობაზე. მათ თითოეულ განცხადებას, სიტყვას ასეთ ვითარებაში სხვა ფასი აქვს, სხვა დატვირთვას იძენს.

ერთი მათგანი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილია. ამ სამინისტროს უშუალო ფუნქცია კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვაა. ამ საშინელი მკვლელობიდან მეორე დღეს კი პაატა ზაქარეიშვილი გამოვიდა და აი, ეს სისულელე განაცხადა:

**„სამწუხაროდ, ეს ჩვენი ხელისუფლების პერიოდში პირველი ასეთი მსხვერპლია, რაც, ეჭვქვეშ აყენებს იმ სამშვიდობო პოლიტიკას, რაც ამდენ ხანს ხორციელდებოდა. თუმცა ჩვენ სამშვიდობო პოლიტიკას არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევთ, მაგრამ მკაცრად და მკაფიოდ მოვითხოვთ, რომ დაისაჯოს ის ადამიანი, მკვლელი, რომელიც იდენტიფიცირებულია. კარგად ჩანს, რომ ეს იყო ცინიკური, ამაზრზენი ფორმით განხორციელებული მკვლელობა. არასდროს ყოფილა, რომ სამშვიდობო პროცესში ასეთი უტიფარი, ცინიკური მკვლელობა განხორციელებულიყო... ეს არის საშინელი მკვლელობა. სისხლის სამართლის უდიდესი დანაშაული, მაგრამ ქვეყანაში მდგომარეობა მძიმე არ არის. ჩვენდა საუბედუროდ, მოხდა გამონაკლისი მკვლელობა, ეს არ არის სისტემური ხასიათის. რაც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, ის არ მეორდება. ეს არის ერთჯერადი და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს იყოს ერთადერთი“...**

გესმით, თურმე დღევანდელი ხელისუფლების დროს რომ ეს პირველი ასეთი მკვლელობაა და მას სისტემური დანაშაული არ აქვს, ეს მიღწევად უნდა ჩავუთვალოთ ამ ხელისუფლებას და პირადად, ზაქარეიშვილს. „ნაცმოძრაობის“ დროს ასეთები და უარესები რომ ხდებოდა, ხალხმა იმიტომაც აახვევინა მიშა სააკაშვილსა და მის ბანდას, ისე გაიხადეს საქმე, საქართველოში ველარ ჩამოდიან ზოგიერთები. შე დალოცვილო, ხალხმა „ნაცმოძრაობა“ მოიშორა, შენ მოგიყვანა ხელისუფლებაში და აღარ დაიღალეთ იმის ძახილით, ჩვენ მათზე უკეთესები ვართ და რაც მათ დროოდ ხდებოდა, ჩვენ დროს არ ხდებაო? შეიძლება 31 წლის კაცის სიკვდილი პოლიტიკურ სპეკულაციად აქციოთ და ხალხის თვალში ქულები ჩაიწეროთ? აღარ მოგბეზრდათ ამდენი უზნეობა? 31 წლის სრულიად უდანაშაულო კაცი ვიღაც ნაძირალა აფხაზმა მოკლა და ის უბედურება არ გვეყოფა, ხეირიანს ვერაფერს რომ ვერ აკეთებ, ისეთი რამე მაინც თქვი, რომ მის ოჯახსა და ახლობლებს, ამ მკვლელობით აღშფოთებულ მოსახლეობას, გულზე მალამოდ დაედოს, თქვი რა, რომ ამ დანაშაულს ქართული სახელმწიფო არ შეარჩენს სეპარატისტ მკვლელს, თქვი, რომ ყველაფერს გააკეთებ, რომ მკვლელ რაშიდ კანჯი-ოღლუს ჩამოათრევთ თბილისში და უმკაცრესად დასჯით, ქართველის სისხლსა და სიცოცხლეს არავის შეარჩენთ, თვით დიდ რუსეთსაც კი არ შეეპუებით, რომ ეს გააკეთოთ. ისე მოიქეცით, ისეთი განცხადებები გააკეთეთ, თავმოყვარე სახელმწიფოს რომ შეჰფერის.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პაატა ზაქარეიშვილმა ასეთი აბსურდული განცხადება გააკეთა, უარესიც მახსოვს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, არის თუ არა პუტინი მტერი, უპასუხა, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მტერი! – აი, სახელმწიფო მინისტრის აზროვნების შედევრი!

მოდით, ხურჩაში მომხდარ ტრაგედიას დავუბრუნდეთ. ფაქტია, პაატა ზაქარეიშვილი ამ ფაქტს არაადეკვატურად გამოეხმაურა. მინისტრის განცხადებამ ხალხი ძალიან აღაშფოთა და მის გადადგომასაც ბევრი მოითხოვს, თუმცა, ეს საქმეს ვერ უშველის. მინისტრი კი არ უნდა გადადგეს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი უნდა გაუქმდეს. რისთვის ვინახავთ ამ სამინისტროს? რუს მესაზღვრეებს როცა და როგორც მოეხასიათებათ, ისე ღობავენ შიდა ქართლში კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე ტერიტორიებს და ითვისებენ, ასეულობით მოსახლე აყარეს იქიდან, ხალხს სახლ-კარი, ბაღ-ვენახი და საძოვრები წაართვეს და ამ მშვიდობიან დროს ლტოლვილს ლტოლვილი ემატება. აფხაზეთსა და იმავე შიდა ქართლში სისტემური ხასიათი აქვს ქართველთა გამოსასყიდის მიზნით გატაცებას, ხან რუსები იტაცებენ, ხან – აფხაზები და ხანაც – ოსები. პაატა ზაქარეიშვილმა რომელიმე ასეთი ფაქტი აღკვეთა? ერთხელ მაინც განახორციელა მისმა სამინისტრომ პრევენციული ღონისძიება და რუს მესაზღვრეებს საზღვრის გადმოწევა გადააფიქრებინა? ან უკვე გადმოწეული საზღვრიდან, მისმა სამინისტრომ, ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან ერთად, 1 გოჯი მიწა დაიბრუნა უკან? ცხადია, არა. მხოლოდ პოსტფაქტუმ, შეწუხებული სახით აკეთებს განცხადებებს პაატა ზაქარეიშვილი და ძალიან ხშირად არაადეკვატურია. ამ სულელური განცხადებების კეთებაში კი თვეში, ხელფასის სახით, მინისტრი 7 875 ლარს იღებს, რაც საარსებო მინიმუმს, 150 ლარს, 52-ჯერ აღემატება! 2013 წელს, ზაქარეიშვილმა, ხელფასის გარდა, პრემიებისა და სახელფასო დანამატის სახით, 50 885 ლარი აიღო. რა გააკეთა ისეთი, რომ ერთ წელში, ხელფასს ზემოთ ამხელა ფული აიღო? ცხადია, არაფერი. ჩვენი მინისტრების უმრავლესობა ხომ არაფრის კეთებაში იღებს პრემიებსა და სახელმწიფო დანამატებს?!

2013 წელს პაატა ზაქარეიშვილის არაფრის მაქნის უწყებას 1 მილიონ 300 ლარი ჰქონდა დაფინანსება, 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით კი, ყოველწლიურად, 1 მილიონ 350 ათასი ლარი. 4 წელიწადში, ამ უწყების შენახვა, ჩვენ, გადასახადების გადამხდელებს, 5 მილიონ 350 ათასი ლარი დაგვიჯდა. ეს არის წყალში გადაყრილი ფული და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი გასაუქმებელია, რადგან ეს არის უფუნქციო უწყება, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია. თუ აუცილებელია, რაღაც ფორმით მისი ფუნქციები საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეითავსოს და ამით ბიუჯეტიც დაიზოგება და ერთი უსაქმური მინისტრით ნაკლებიც გვეყოლება.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



**რომან გოცირიძე**

ნიშნავს თუ არა პოლიტიკაში დაბრუნება ტენდენციურობას შეფასებებში? პროფესიულ კომპრომისს? არა! პროფესიული მორალი ამის უფლებას არ მოგცემს, უბრალოდ იცვლება აქცენტები და ინტონაცია. მაგალითად, თუ მანამდე ამბობდი, რომ მთავრობის პოლიტიკა არის ცუდი და გამომეტყველება გაქვს ნეიტრალური, მერე ამბობ, რომ არის ცუუუუდი და ცოტათი(ან ბევრად) დამანჭავ სახეს:)

ესაა და ეს.



**გიორგი გუგავა**

ლეიბორისტული პარტია მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ონლაინ-სესხების მესვეურთა მხრიდან მოქალაქეებზე განხორციელებულ მუქარაზე, შანტაჟზე და ძალადობრივ ქმედებებზე დაიწყოს გამოძიება და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირები.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას განცხადებით, ხელისუფლების ხელშეწყობით, ონლაინ-სესხების მესვეურები არა მხოლოდ თაღლითური სქემების მეშვეობით, როგორიცაა უპრეცედენტოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ჯარიმები და საურავები უმოწყალოდ ძარცვავენ ასი-ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს, ასევე, ახორციელებენ კლიენტებზე მუქარას, შანტაჟს და ძალადობას, რასაც თვითმკვლელობამდე მიჰყავს ადამიანები. მსგავს უკანონო ქმედებებს ახორციელებს ონლაინ-სესხების ე.წ. ფინანსური კოლექტორები (აღმასრულებლები)".

ლეიბორისტული პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი აუდიო-ჩანაწერი.

თუ სამართალდამცავი ორგანოები ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით, არ მოახდენენ სამართლებრივ რეაგირებას, ეს იქნება კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ "სამევახშეო კანტორების" უკან დგას თავად ხელისუფლება.

8 ოქტომბრის შემდეგ ლეიბორისტული პარტია აღკვეთს ონლაინ-სესხებისა და მათი მფარველების მძარცველურ საქმიანობას ქვეყანაში.

**ნიკა გვარამია**

უმრავლესობის შემადგენლობაში და, შესაბამისად, ხელისუფლებაში მყოფი ორი ფრაქცია (რესპუბლიკელები და ეროვნული ფორუმი) ოფიციალურად აცხადებს, რომ პოლიტიკური პატიმრები გვყავს (კაბელების საქმეზე) და სასამართლო - პოლიტიკურად მოტივირებული.

ასეთი არაფერი გამიგია. ბიძინა ივანიშვილის განაჩენსაც კოალიცია ქართული ოცნება წაიკითხავს, ნეტავ?



facebook



ირინა სარიშვილი (20 მაისი)

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური გმობს საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპანტის მიერ საქართველოს მოქალაქის მკვლელობას...

გმობს და მორჩა!

ეს ამბავი არჩევნებთან უფრო ახლო პერიოდში რომ მომხდარიყო, დაგმობას ალბათ წყევლაც დაემატებოდა ხელისუფლების და მათი ჯიბის და ჯიბიდან თავამოყოფილი ოპოზიციის მხრიდან...

არსებობს უამრავი საშუალება რომ ეს შემზარავი დანაშაული საერთაშორისო დონეზე მაქსიმალურად იქნას გატანილი და შეფასებული...

ჯამში ასეთ საშუალებებს საინფორმაციო ომი ჰქვია და მტერთან საინფორმაციო ომის მოგებას სრულებითაც არ ჭირდება რაოდენობრივი უპირატესობა...

მოგებული საინფორმაციო ომი ერთადერთი საშუალებაა პერსპექტივაში მაინც პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის ნებისმიერი გზით!

საინფორმაციო ომს რაოდენობა კი არა, პოლიტიკური ნება და ამ პოლიტიკური ნების მატარებელი პატრიოტი ხელისუფლება ჭირდება!

ძალიან ძნელია ამის გაგება იმ ქვეყანაში, სადაც ერთმანეთი უფრო გვძულს, ვიდრე ჩვენი საერთო მტერი;

სადაც ხელისუფლება ძალ—ღონეს არ იშურებს და ყველა დონეზე, რაზეც ხელი მიუწვდება, სპეციალური დელეგაციების გაგზავნის ჩათვლით, საერთაშორისო ომს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს უცხადებს, სამარცხვინო, თავისმომჭრელ ომს, რომლის შედეგადაც საქართველო საერთაშორისო სამყაროსგან სრული იზოლაციისკენ მიექანება!

ხოლო მაშინ კი, როცა მავთულხლართები ლამის სახლის კართან გადმოგვიტანონ, მაშინ, როცა ქართველ ვაჟკაცებს დღისით მზისით ოკუპანტები გვიკლავენ, საქართველოს უშიშროების სამსახური გმობს ამ ფაქტს და დაგმობის ასლს გაეროში აგზავნის...

ამ ხელისუფლების დღეები დათვლილია...

facebook



ლადო სადღობელაშვილი:

ნაცების ოცნება ასრულდა!

1 - გაუშვეს ღარიბაშვილი

2- ხელისუფლების მაღალ ეშელონში პრაქტიკულად მოვიდა ნაცი

3- სადცაა შეიწყალებენ მერაბიშვილსა და უგულავას

4- გაფორმდა კაპიტაცია

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61



# რას მალავს „დელტას“ ყოფილი შეფი?

## რატომ დაუპირისპირდა სინამდვილეში თინა ხიდაშელი ძოძუაშვილს?







თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის დამსახურებით წელს კახეთი ღვთის ანაბარა რჩება – ბაღბოსტნებსა და ვენახებს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებით ველარ დაიცავენ. რატომ თინა ხიდაშელის დამსახურებით? იმიტომ, რომ, როგორც კულუარებში ამბობენ, რაც მინისტრი გახდა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექს „დელტას“ ცუდად დაადგა თვალი და ირაკლი ღარიბაშვილზე დაბოღმილმა გლეხ- მიმდინარეობს და საბოლოოდ მისი განადგურებაა გადაწყვეტილი. ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დელტას“ დირექტორი, უჩა ძოძუაშვილი თინა ხიდაშელმა თანამდებობიდან გაუშვა. თავიდან ბატონმა უჩამ ეს ფაქტი არ დაადასტურა და ვერც დაადასტურებდა, რადგან ერთი კვირის მოხსნილი იყო ისე, რომ თვითონაც არ იცოდა. ძოძუაშვილის გადაყენება თითქოს კახეთში მოსულ სეტყვას უკავშირდებოდა, რამდენიმე რაიონი მართლაც დაისეტყვა, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ მინისტრს უფრო სერიოზული პრეტენზიები ჰქონია და

ებიც კი გაწირაო. „დელტა“ კი ის ორგანიზაციაა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს დაკვეთებზე მუშაობს და ფაქტობრივად, ღარიბაშვილმა შექმნა ხელახლა – მან 2015 წელს 15 მილიონამდე ლარი გამოუყო ბიუჯეტიდან და კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებიც დაამონტაჟებინა. შარშან, ასე თუ ისე, „დელტამ“ იმუშავა. მართალია, სეტყვა ყველგან ვერ აგვაცილა, მაგრამ იყო შედეგიც – რეგიონი მნიშვნელოვნად არ დაზარალებულა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საავიაციო ტრასა სწორედ კახეთზე გადის და „მესეტყვეები“ ხშირად ჩერდებოდნენ, რათა სამგზავრო თვითმფრინავები არ ჩამოეგდოთ, მათ ვერ გავამტყუნებთ. სხვათა შორის, ჩვენ ამის თაობაზე „ალიაში“ ვწერდით და ოფიციალურ წრეებში საჰაერო ტრასის შეცვლაზეც იყო საუბარი, მაგრამ ახლა სიტუაცია უკვე ისეა გამწვავებული, ტრასა კი არა, შეიძლება თინა ხიდაშელმა ეს ორგანიზაცია საერთოდ გააუქმოს.

რა უნდა თავდაცვის მინისტრს, რა პრეტენზიები აქვს ოფიციალურად? ის ითხოვს, კომპლექს „დელტაში“ დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭო. ბუნებრივია, ამ საბჭოს უნდა უხელმძღვანელოს მისმა ბიძაშვილმა, ან მამიდაშვილმა. მინისტრის უკმაყოფილების მიზეზი, კომპანიის საქმიანობის გარდა, ის დაფინანსებაა, რომელსაც საწარმო სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს (წელიწადში 40 მილიონი ლარი). ასევე, უკმაყოფილოა იმ სამხედრო ტექნიკითაც, რომელსაც „დელტა“ აწარმოებს. ხიდაშელი ლაპარაკობს სამხედრო მანქანა „დიდგორზე“, რომლის გაყიდვაც ქვეყნის გარეთაც შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაიშალა.

სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის იდეას იზიარებენ მმართველ გუნდშიც. თუმცა საწარმოს საქმიანობაზე მინისტრის პოზიციას არ ეთანხმებიან. ზოგი უკვე ღიად აცხადებს, რომ სამხედრო მრეწველობის დისკრედიტაცია მიზანმიმართულად „დელტას“ დირექტორთან დაპირისპირებულიც ყოფილა. თავად დირექტორმა განაცხადა, მე თინა ხიდაშელს არ ვეჩხუბებიო. მართალია, ეს არ ეჩხუბება, მაგრამ სამაგიეროდ, თინა მინისტრს ველარ აკავებენ და „დელტაში“ გენერალური ინსპექციაც შეუშვა. ამ ფაქტს გამოეხმაურა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი:

„როგორც ჩანს, ეს ქალბატონი მინისტრის გადაწყვეტილებაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ყველაფერი, რამდენიმე დღის წინ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის არაეფექტურ მუშაობას უკავშირდება. ნაწილობრივ, ჩემთვის ინფორმაცია ცნობილია, მაგრამ არ მინდა, ცალმხრივ ინფორმაციას დავეყრდნო“.

რატომ ცალმხრივ ინფორმაციას, სესიაშვილს ხომ შეუძლია, მინისტრსაც დაურეკოს და საკითხში გაერკვეს? საქმე ის არის, რომ ხიდაშელს არ დაურეკავს, რადგან მის შემცვლელად მოიაზრება, დღეს თუ ხვალ, ირაკლი თავდაცვის მინისტრი გახდება. მისი თქმით, „დელტამ“ თავდაცვის სამინისტროს არაერთხელ მიმართა იმ თანხასთან დაკავშირებით, რაც რაკეტების შესაძენად იყო საჭირო. ძოძუაშვილი აცხადებს, რომ ხიდაშელს მასთან კომუნიკაცია არ ჰქონდა. ამ დროს იგივე ხიდაშელი თვლის, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების განცხადებებზე კომენტარები არ უნდა გააკეთოს. ქალი, რომელიც „ფეისბუკში“ ყველა „გამვლელს“ პასუხობს და პოლემიკაშიც ერთვება, საჭიროდ არ თვლის, მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარები აკეთოს. ეს უკვე საინტერესო დეტალია. მინისტრის თქმით, თითქოს მოთხოვნილი თანხა „დელტას“ 17 თებერვალს ჩაერიცხა, ტყუილია. ძოძუაშვილი ამტკიცებს, რომ თანხის მოთხოვნის შესახებ შეტყობინება თავდაცვის სამინისტროდან ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნა 18 თებერვალს, ხოლო ჩარიცხვა „დელტაში“ მოხდა 19 თებერვალს, ოღონდ არასრულად. მეორე ჩარიცხვა მოხდა 10 მარტს:

„დღეს მე არ ვსაუბრობ მიზეზებზე, თუ რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება. არ ვსაუბრობ იმაზე, რა დოკუმენტაცია გვაქვს, რათა დავამტკიცოთ ჩვენი, „დელტას“ უდანაშაულობა. დღეს ვსაუბრობ იმაზე, რომ „დელტაში“ მიმდინარეობს დიდი რაოდენობით სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტები, რომელთა გაგრძელება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის“.

რას მალავს ძოძუაშვილი და რატომ არ საუბრობს მთავარ მიზეზზე? როგორც „ალიას“ კულუარულად უხსნიან, თანხა უნდა გადარიცხულიყო 5 თვით ადრე, რათა „დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტების დამზადება მოესწრო. თუ ფული გადაირიცხა მარტში, რაკეტები მზად იქნება სადღაც ივლისაგვისტოში. გამოდის, თადარიგი უნდა დაეჭირათ 2015 წლის ოქტომბერში მაინც. აი, სწორედ აქ „იჭედება“ თავდაცვის მინისტრი, ძოძუაშვილს, ალბათ, ხელთ აქვს სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ამიტომაც არის დიდ გულზე. იგივე წყაროს თქმით, თინა ხიდაშელმა ძოძუაშვილს განთავისუფლების შემდეგ, სავარაუდოდ, გაჩუმების სანაცვლოდ თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციის უფროსის თანამდებობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ძოძუაშვილს უთქვამს, ასე გაგდებულის სტატუსით და თანაც გარიგებით არავითარი პოსტი არ მჭირდება. რა გამოდის, თურმე „დელტას“ ვერ ვუვლიდი და გენინსპექციაში რამეს როგორღა გავაკეთებო.

კიდევ რა პრეტენზიები აქვს თინა ხიდაშელს? მას მიაჩნია, რომ „დელტა“ ცოტა გაუგებარ ურთიერთობაშია შესული სხვადასხვა კერძო კომპანიებთან:

„ჩემი აზრით, ის ისევე, როგორც კვების სახელმწიფო კომპანია, მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამიტომ გაუგებარია, რომ „დელტა“ 100%-ით ჩამოკიდებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტზე. აბსოლუტურად გაუგებარი ტექნიკა შეიქმნა, რომელსაც ფუნქცია არ აქვს. შესაძლებელია, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იქნას გამოყენებული, მაგრამ ამისთვის იგივე თანხაა საჭირო, რაც აქამდე დაიხარჯა“.

კი, ბატონო, შეიძლება ამ შემთხვევაში სიმართლეს ამბობს ქალბატონი მინისტრი, მაგრამ მაშინ ისიც თქვას, რა მოხდა 2016 წლის იანვარ-

»»» [illegible]!!!

ში? „დელტას“ საუდის არაბეთისთვის სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანების მიწოდებაზე ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა. სწორედ იმ პერიოდში მას სთხოვეს, ეს გადაწყვეტილება შეეფასებინა, მაგრამ პასუხი ასეთი იყო:

„მე ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ“!

რატომ, ქალბატონო თინა, „დელტამ“ ხომ საუდის არაბეთის მიერ გამოცხადებულ შესაბამის ტენდერში საუკეთესო შედეგი აჩვენა? აქედან ხომ ქვეყანაში 100 მილიონ ლარზე მეტი უნდა შემოსულიყო? მეტიც, „დელტაში“ აცხადებდნენ, რომ კონტრაქტის წარმატებით დასრულების შემდეგ კვლავ გააგრძელებენ თანამშრომლობას საუდის არაბეთის სამეფოს სახმელეთო ძალებთან და მიაწვდიდნენ სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ასეულ ჯავშანმანქანას. ჯავშანტექნიკის პირველი პარტია, 12 მანქანა საუდის არაბეთში 30 იანვარს უნდა გაგზავნილიყო. რას მალავთ, რა მოხდა, საერთოდ ჩაიშალა ეს ტენდერი? იქნებ კახელი გლეხები და „დელტას“ ხელშეკრულებები იმიტომ აღარ გაინტერესებთ, რომ უჩა ძოძუაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის დროს დანიშნული კადრია?! რამდენიმე თვის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ მოლდოვა „დელტას“ მიერ დამზადებული სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებით დაინტერესდა. შეთანხმება მოლდოვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თითქმის მიღწეული იყო – პირველ ეტაპზე უნდა შეესყიდათ 200 საცეცხლე წერტილი, რომლის ფასიც იქნებოდა 10 მილიონი დოლარი. გავიდა ცოტა ხანი და ამაზეც ყველა გაჩუმდა!

სხვათა შორის, დღეს უკვე ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები უნდა იყოს არა თავდაცვის სამინისტროს, არამედ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში – სად გაგონილა, ჯარი ღრუბლებს ებრძოდესო? ალბათ, დაგვეთანხმებით, ეს მართლაც სწორი მოსაზრებაა, დანადგარები შეიძლება იყოს გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშიც, სადაც არსებობს მეტეოროლოგიური სამსახური. არსებობს მოსაზრება, რომ „დელტა“, როგორც კომპლექსი, უნდა ექვემდებარებოდეს პრემიერ-მინისტრს, არ შეიძლება იარაღის დამკვეთი და შემსრულებელი იყოს ერთ სტრუქტურაში. ეს არა მხოლოდ კორუფციის საწინდარია, არამედ აფერხებს სამხედრო წარმოების განვითარებას.

დაბოლოს, როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“, ხიდაშელი მისმა მრჩევლებმა დაარწმუნეს, რომ ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი“ „ფორდის“ მარკის „გრუზავიკია“ და მეტი არაფერი. მისი ყველა ნაწილი შემოტანილია უცხოეთიდან და „დელტამ“, ფაქტობრივად, „ფორდი“ წარადგინა გამოცდაზე. ამის შემდეგ კი ნაწილების ექსპორტზე კეთდება. გარდა ამისა, აფინანსო მხოლოდ ასაწყობი საამქრო, რომელიც არაფერს გაძლევს, სრული უაზრობაა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ბოლოს და ბოლოს, სიტუაცია უნდა დალაგდეს, მაგრამ დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ფაქტია – ამ კინკლაობასა და საქმის გარჩევაში ისევ მოსახლეობა ზარალდება!

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

ჩიორა თაქთაქიშვილი (20 მაისი)

ეს კაცი გუშინ მოკლეს ოკუპანტებმა!!! ოკუპანტთან კოლაბორაციანისტები კი მთავრობაში გვყავს!!! ეს უნდა ხდებოდეს გიორგი ანწუხელიძის ქვეყანაში?!!! მონობა, ღალატი, კოლაბორაციონისტობა არავის შერჩება! მალე ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა!



# „ზიკას ვირუსის გავრცელების ძალიან დიდი რისკის ქვეშ ვართ!“

## „შედეგი აუცილებლად ძალიან მძიმე იქნება“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



ეპიდემია?!

**ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ევროპაში ზიკას ვირუსისა და მიკროცეფალიის გავრცელების ყველაზე მაღალი რისკის ქვეყნად საქართველოს ასახელებს.**

**„ანუ დასტურდება ის, რაზეც თვეების წინ ვსაუბრობდი ჩემს ტოქშოუში და რომლის სტუმარი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან აღნიშნულს დაჟინებით უარყოფდა“, — აღნიშნავს ლაშა ჩხარტიშვილი.**

**რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა, რატომ არ ტარდება ვირუსთან მიმართებაში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები და როგორ უნდა ებრძოლოს ვირუსს სახელმწიფო?**

**„ალიას“ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი, ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრა:**

– თავად ზიკას ვირუსი 1947 წელს აღმოაჩინეს, ანუ 60 წელზე მეტია გასული, მაგრამ ამ დაავადების აფეთქება ხდება ბოლო რამდენიმე წელია. მისი გავრცელება, პირველ რიგში დაიწყო სამხრეთ ამერიკიდან, ნელ-ნელა საფრთხე აშკარა გახდა ევროპისა და აზიისთვისაც, შემთხვევა დაფიქსირდა ჩინეთში, რუსეთში...

ვინაიდან ამ ტიპის კოღოები საქართველოშიც ცხოვრობს, ძალიან მარტივად იყო პროგნოზირებადი ის, რომ ეს ვირუსი ძალიან საფრთხისშემცველი გახდებოდა ჩვენთვისაც.

ამ ზამთარში, ამ საკითხზე, თავის დროზე ვესაუბრე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, ჩემი მხრიდან განგაშის ზარი შემოვკარი, თუმცა, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, არ აღიარა, რომ რაიმე სახის სერიოზული რისკი არსებობს საქართველოსთვის. ისინი დაბალ ალბათობაზე საუბრობდნენ. ფაქტობრივად, ეცადნენ, ამ დაავადების რისკის ანულირება წარმოეჩინათ.

მე სხვადასხვა ტიპის მოსაზრებები მოვისმინე, მათ შორის სხვადასხვა ოფიციალური პირების მიერ წარმოთქმული, ვგულისხმობ ადგილობრივ თვითმმართველობებს შავი ზღვისპირეთში და ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს. ყველა ეს განცხადება იყო არასერიოზული. დღეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ზიკას ვირუსზე, საქართველოსთან მიმართებაში საუბრობს ძალიან მძაფრად. ეს ორგანიზაცია ამბობს, რომ ყველაზე მაღალი რისკის მქონე ქვეყნებად ევროპაში დასახელებულია საქართველო და რუსეთი – განსაკუთრებით შავი ზღვისპირა რაიონები და რეგიონები.

**— რატომ ცდილობდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ამ დაავადების გავრცელების ანულირებას, რას აძლევდა მათ ეს?**

– ეს მიდგომა იყო ძალიან არასერიოზული. მოერიდნენ პანიკის გაჩენას. მართალია, არ უნდა იქნას დათესილი პანიკა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეალური პრევენციული ნაბიჯები არ უნდა გადადგმულიყო. პირიქით, ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, ამ მხრივ, გაზაფხულის დადგომასთან ერთად. ზამთარში უნდა დაწყებულიყო ამ პრობლემასთან ბრძოლა, მით უმეტეს, როდესაც ზამთარშივე არსებობდა ამ დაავადების პროგნოზი.

დღეს მივიღეთ რეალობა, რომლის მიხედვითაც, ზიკას ვირუსის გავრცელების ძალიან დიდი რისკის ქვეშ ვართ და სიმართლე გითხრათ, ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი, არა იმიტომ, რომ სამუშაოები დაგვიანებულია, ან არასრულფასოვნად ტარდება, არამედ იმიტომ რომ, მაგალითად, მაქვს ლეიშმანიოზი, რომელსაც მართალია, სხვა მწერი ავრცელებს, მაგრამ თბილისი ათეული წელია ამ დაავადების კერაა და კვლავ რჩება ლეიშმანიოზის გავრცელების არეალად. სამწუხაროა, რომ არც ამ დაავადების წინააღმდეგ არ მომხდარა რეალური პრეპარატების გამოყენება, რისგანაც არის გამოწვეული მაღალი ავადობა და მათ შორის სიკვდილიანობაც.

**— როგორ უნდა მოხდეს ამ დაავადებასთან ბრძოლა და ვისი პრეროგატივაა ეს?**

– ეს ყველაფერი არის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, ჯანდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის საზრუნავი თემა. ამ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს არ აქვს წამყვანი როლი, იმიტომ, რომ მას ვერ ექნება ამ დაავადებს სამკურნალო შესაბამისი თანხა. ეს, საკმარისი თანხა უნდა გამოყოს მთავრობამ და ამ საკითხისთვის თანხის გამოყოფა უფრო მნიშვნელოვანია, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ასევე ტურიზმისთვის, ვიდრე 29 მილიონის წყალში გადაყრა კონცერტების ორგანიზებისთვის, რასაც აკეთებდა წინა ხელისუფლება და სამწუხაროდ, იგივეს აგრძელებს ამჟამინდელი ხელისუფლებაც.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დაავადებების პრევენცია, მათ შორის მწერის საშუალებით გავრცელებადი დაავადებების პრევენცია, არ ან დაბალი დოზით ხდება და ამის დამადასტურებელია ლეიშმანიოზიც, რომლის გადამტან მწერებთან ბრძოლა, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს და ამას მეტყველებს სტატისტიკაც.

იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო შესაბამის ყურადღებას არ მიაქცევს ამ საკითხს, შედეგი აუცილებლად ძალიან მძიმე იქნება. მით უმეტეს, ახლა საუბარია ზიკას ვირუსზე, რომელიც ელვის სისწრაფით ვრცელდება.



● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

**არჩილ გამზარდია:**

**ბატონი ირაკლი ალასანია მიმართავს ბიძინა ივანიშვილს, როგორც მოგიყვანეთ ხელისუფლებაში, ისე გაგისტუმრებთო. დიდი ბოდიში, მაგრამ ხომ არ დაავიწყდა ბატონ ირაკლის, თავად რომ არასდროს არჩევითი ლიდერი არ ყოფილა, ყოველთვის დანიშნული იყო, ერთხელ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და ისიც წააგო, თან ვისთან, ახალაიასთან დამარცხდა.**

**ჰოდა, ბატონო ირაკლი, მეტი სიფაქიზე განცხადებებში, ბიძინა ივანიშვილს იმას უფრო აბრალებდეთ უნდა რომ მაგის ხათრით და ავტორიტეტით სამი არჩევნები მოიგეს სხვებმა, მათ შორის თქვენც.**



● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

facebook



**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

**გახსოვთ ალბათ სამების სარდაფი რომ დაიწვა. დიდი ოდენობის ოქრო დაიკარგაო. იმედია საქმე აღიძრა ამ ამბავზე და გამოძიება მიდის, მაგრამ ეს სხვა თემაა. ხელისუფლებამ 4 მილიონ ლარამდე გამოყო აღდგენითი სამუშაოებისთვის.**

**უცებ წარმოვიდგინე რამდენ სტატუსშეჩერებულ სტუდენტს გაახარებდა ეს თანხა. ერთი ვიცი, დედამ ძროხა გაყიდა და შვილის სწავლის ფული გადაიხადა. გასაყიდი აღარაფერი აქვს. კეთილი ადამიანების იმედადაა. ასეთი იცით რამდენია? ბავშვები მაღალმთიანი რეგიონებიდან. ყოჩაღები, ხუთოსნები, უბრალოდ ულაროები და უპატრონოები. ამიტომ ვერ სწავლობენ.**

**რამდენი ბავშვი წევს რეანიმაციულში ეს სხვა თემაა. ყოველ დღე ვიღებთ წერილს სათაურით "გადამირჩინე შვილი"**

**კარგით რა. რით ვერ მორჩა ეს პოპულიზმი ქვეყანაში და თუ გინდათ მილიონების ხარჯვა იმაზე, რასაც საკუთარი მილიონები აქვს , თქვენი ჯიბიდან გადაიხადეთ. თუ ჩვენიდან უნდა ამოიღოთ, გვირჩევნია ბავშვებს მიხედოთ! გვკითხეთ მაინც!**

**ია სანიკიძე - მართალი ხარ, მაგრამ ტექსტის შესავალში სამების ტაძრის ხსენება რა საჭირო იყო.**

**ნანუკა ჟორჟოლიანი – როგორ რა საჭირო იყო. თანხა მანდ გადაირიცხა და...**

**ია სანიკიძე – ნანუკა ჩემი კომენტარით არ მინდა უხეში ჩარევა გამომივიდეს შენს მოსაზრებაში. უბრალოდ ეკლესია იმდენად ფაქიზი თემაა არამგონია ამ გზით და ამ ფორმით ღირდეს განხილვა.**

**მალხაზ ანტინაცი ძიძიგური - შინაური და გარეშე მტრები გვიტევენ!**

**პასუხის გამცემი არავინაა! მმართველობა პარალიზებულია! ათმა პიდარასტმა საპატრიარქოს შენობა შებილწა! პასუხის გამცემი არავინაა! საპატრიარქო პარალიზებულია! რესპუბლიკელები მძლავრობენ ოცნებაზე. პასუხის გამცემი არავინაა! ოცნება პარალიზებულია! ფარული მამალ-ნაცები დამნაშავე ნაცების რეაბილიტაციას ითხოვენ! დაუკმაყოფილებენ! ნაცები ძალას იკრებენ!**

**საქართველო პარალიზებულია! ბიძო?**




გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



## კახა კუკავა — „დიდი ტერორისტი“



ზვიად ძიძიგურს „დიდი ტერორისტის“ სახელი აქვს, რითაც ამაყობს კიდეც და ყველას უმტკიცებს, მაგარი მსროლელი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვაჯენო.

ნოემბრის არჩევნების დროს იარაღს ვატარებდი, რეზინის ტყვიებს რომ ისვრის. დასავლეთ საქართველოში ვართ, ცოტა გართულებული სიტუაციაა და ზვიად ძიძიგური შემიჩნდა:

– ბიჭო, რად გინდა, სროლა მაინც არ იცი?

– შესაშინებლად.

– რომ არ შეეშინდეთ? მომეცი, მე მექნება, ხომ იცი, სნაიპერი ვარ და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, გამოვიყენებ.

– ამის ხმარებაც იცი?

– აბა! იარაღი არ არსებობს, თვალდახუჭულმა რომ ვერ დავშალო და ავაწყო.

რაღა მექნა, იარაღი უხალისოდ მივაწოდე. აიღო, ხელში შეათამაშა, ვა, რა მაგარია, რა მაგარიაო, შესძახა – „ბახ“ და თავისი პირადი დაცვის უფროსი ძირს არ გააგორა?! კიდევ კარგი, ფეხში მოხვდა და პატარა ზელვითა და კრუსუნით გადარჩა.

ძიძიგურს შევხედე, გაფითრებული დგას, ხმას ვერ იღებს.

– ყოჩაღ, – ვეუბნები, – ახლა კი მჯერა, რომ მართლა დასაჭერი იყავი.

– რატომ? – დაიბნა.



კაცო, რეზინის ტყვიით ლამის კაცი მოკალი და იმ თოხითა და ბარით, რისთვისაც დაგიჭირეს, ვახუშტის ხიდს ვერ ააფეთქებდი?.. ამ ამბის შემდეგ მისი დაცვა მე დამყვებოდა – მაგის ხელში აქეთ ვართ დასაცავებიო.

## ლევან ბერძენიშვილი — „ინციდენტი“ რიოში

რიო-დე-ჟანეიროში პლაჟზე მივსეირნობდით მე, ივლიანე ხაინდრავა და კიდევ ერთი რუსი მეგობარი. აზრზე მოსვლა ვერც მოვასწარით, რომ დანებით შეიარაღებული შვიდი-რვა ზანგის ბიჭი გვეძგერა და პირწმინდად გაგვფცქვნეს.

პოლიციამ მოახერხა, მძარცველები ეპოვა და განყოფილებაში ჩვენი ნივთები დაგვიბრუნეს. გამოვდივართ გარეთ და ხაინდრავა მეუბნება:

– ლევან, არ გეწყინოს და შენს გვერდით სეირნობა შარია.

– რატომ? – დავიბენი.

– სანამ 100 კილოს არ ჩამოსცდები, ბრაზილიაში აღარ წამოგყვები.

– ეგ რა შუაშია?

– პოლიციელმა მითხრა, ბრაზილიაში რაც უფრო მსუქანია ადამიანი, მით უფრო მდიდარი ჰგონიათო და ამ 170-კილოგრამიან კაცს რომ გდიო, ყელის გამოჭრა გარანტირებული მაქვს.

## ვალერი გელაშვილი — „პირველი „მერსედესი“



ლიტვაში პირველმა მე ვიყიდე ახალი „მერსედესი“. 1991 წელია, საქართველოდან მივდივარ, მიმაქვს საბჭოთა მანეთებით გაძეძგილი ტომარა და ძვირფასი თეთრი ლითონის ზოდი. 50 და 100-მანეთიანი ბანკნოტები იყო, რომელიც დღითი დღე უფასურდებოდა და მთელი ტომარა რომ გადამეცვალა, 10 ათასი დოლარიც არ გამოვიდოდა. ფული – არაფერი, მაგრამ ძვირფასი ლითონის შეტანა ქვეყანაში კანონით იკრძალებოდა.

ლიტვამდე მშვიდობიანად მივაღწიე და საზღვარზე გამაჩერეს. პოლიციელმა ტომარა შეათვალიერა და მერე ზოდს მიაჩერდა ეჭვით:

– შენია? – მეკითხება.

– ჩემია, – დავუდასტურე.

– ძვირფას ლითონს ჰგავს, – მოიფხანა კეფა, – მართალი ვარ?

– ვარიანტი არაა! – შევიცხადე.

მივიდა, კარგად შეამოწმა და გაბრაზებულმა გამომხედა.

– ძვირფასი ლითონია!

– აბა, ავშენებულვარ და ეგ არის, გადავეხვიე გაოცებულს, – შენ გაგახარა ღმერთმა ისე, როგორც მე გამახარე!

– რა, არ იცოდი? – გადაირია.

– საიდან, ძმაო, აქედან სამ კილომეტრში, ტყესთან რომ გამოვიარე, დავინახე, გზის პირას ეგდო რამდენიმე. ვიფიქრე, იქნებ რამეში გამომადგეს-მეთქი და მანქანაში ჩავაგდე.

– რაო, სად ეგდო? – ცქვიტა ყურები.

– სამი კილომეტრი არც იქნება, – დავუზუსტე, – ახლა დროს ნუ დამაკარგვინებ, გავქანდები, სახელმწიფოს ჩავაბარებ და კანონით, როგორც მპოვნელს, 25 პროცენტი მეკუთვნის!

უკვე აღარ მისმენს.

– ბიჭებო, ახლავე მოვალ, ეს კაცი გაატარეთ, – გასძახა თავისიანებს, მანქანაში ჩახტა და გავარდა.

სანამ ის სამ კილომეტრს გაივლიდა, მე ათი კილომეტრი მქონდა გავლილი...“

## Facebook ამბები



მანჩო გიორგობიანი

ე.ი... ყველაფერი საოცრება მე უნდა დამემართოს!!! დღეს, დილიდან ავიკრიფეთ მე და ჩემი მეგობარი და გაუყევით ქსანის "საპყრობილეს" გზას ჩვენი ახლობლის სანახავად... ჩავედიით... ზრდილობიანი დაცვა, ზრდილობიანი საინფორმაციო ცენტრი, ზრდილობიანი "ვახტა" , საყვარელი "დვარნიაშკა " დარბის ტერიტორიაზე -ეფერებიან ახალგაზრდა სამხედროები (ფორმები ეცვათ და მგონი სამხედროები არიან).... ყველა გესალმება... პატიმრების პატრონების მოსაცდელში სიწკრიალე, სიმშვიდე, სუფთად დაწყობილი "დაჩკები"... ვიკითხე რაღაც - ღიმილით გამცეს პასუხი ახალგაზრდა ლამაზმა გოგონებმა, საინფორმაციოში, ერთ-ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იყო , როგორც მივხვდი -ღიმილით, ცოტა მოცდა მოგიწევთო... უკვე მივხვდი , რომ ცოტა შოკში ვარ , აშკარად სხვაგან მოვხვდი მგონია., თან ნამეტანი სიწყნარეა და ჩიტები ჭიკჭიკებენ სიმწვანეში.. პატრონები იცდიან, ბავშვები დარბიან ეზოში, ვახტებიდან ულიმიან ბიჭები.. (მგონია მესიზმრება, არა კი ვიცოდი ლალი მოროშკინასსგან და რომ მაქსიმალურად ნორმალური პირობებია და კახი კახიშვილის ადამიანობაშიც ეჭვი არ შემპარვია (ზოგ-ზოგიერთებივით ცხვირი არ აუწევია, რაც გამინისტრდა) მაგრამ ასეთი სანატორიუმი?! და მაინც ვიეჭვიანე - ცოტა ხმამაღლა ვეკითხები გოგონებს, რა ხდებამეთქი გავიმეორე და თვალი თვალში გავუყარე საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ გოგონას (ასე დავასკვენი რატომღაც)- რატომ არის ასეთი სიწყნარე???!!!! პასუხი - ღონისძიება გვაქვს, პოეზიის საღამოა და ყველა იქ არის პატიმრებიც და ადმინისტრაციაცო (??!!!!))) "რესოციალიზაციის პროგრამააოო" ))))))))))) იქ მივხვდი, რომ გარეთ უნდა გამოვვარდე , სანამ გიჟი ვეგონები ვინმეს (ვითომ არ ვარ) ვიგუდები სიცილისგანნ... "პოეზიის -საღამო" ? !)))))))) -გამოვასკდი და ვიხრჩობი).... ))))))

მეც მინდა რესოციალიზაცია!!!!! 9 წელი ვეწამე ! ვახ! და ახლა კიდევ ნერვებს მიშლიან ნაც-რეჟიმის ნარჩენები!!!!

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ვაიმეეეე, რა დავაშავო ??? მეც მინდა სანატორიუმშიიიი ))))))) )))))) პროზას და პოეზიას თან წამოვიღებ, ტომეულები მაქვს )))))))))))) დამასვენეთ რაააა))))))))) დედაჩემი ნერვებს მიშლის, აღრიალებულ-აკივლებული ტელევიზორით, ყველა ჩხავის!!! რენტგენი და კარდიოგრამა მაქვს გადასაღები და სამკურნალო ვარ... ბარემ თქვენთან ჩავიტარებ ყველაფერს ერთად ))))) ))))))

პ.ს . ძაღლით რომ დამაკავოთ, შეიძლება? დოდიკასაც აღარ უვარგა ნერვები , პარლამენტის სხდომებმა მთლად გასტრესა... და უჩა ნანუაშვილი უარს ამბობს ჩვენი უფლებების დაცვაზე (პატიმარმა, გადასარევად ვართო, წამლებს არავინ ყლაპავს უაზროდ, ექიმების ყურადღება მაქსიმალურია, არც საძილეებს სვამენ, მით უმეტეს, სხვა სისულეეებს და ა.შ... მშვენიერ წონაზეა, არ მინდა არაფერიოო.. საჭმელი რა გენატრებამეთქი და არაფეროო... ფერი არ მომეწონა სახის და კომპიუტერის თამაშებს ვერ ვწყდებიო ))))) ჩემიანი კარგად არის... ამას არ შეეშლება... შევარდნაძის დროინდელი ციხეც ნანახი აქვს, სააკაშვილისაც და ახლანდელსაც უყურებს...

მშიშარაც არ არის, ერთი სისხლი გვაქვს, ციხის ადმინისტრაციის კი არა, მამალი მგლების ხროვის არ ეშინია... ვერც ნაც-რეჟიმის ციხეში შეაშინეს.. ამას რას წარმოვიდგენდი ხუთი წლის წინ? რომ მე ქსანთან ვიდგებოდი და სიცილისგან გავიგუდებოდი?! მადლობა უფალს, გადავრჩით! რა არის ცხოვრება?!

მამუკა მჭედლიშვილიი, შენ კი მიხვდები ვინც ვნახე , ჩვენი ძმა გადასარევად არის ... მოკითხვა ყველასოო ))))) ბოლთას ვცემ და ველოდები "პოეზიის 5 წუთის" დამთავრებასს !!1 კახი კახიშვილი!!! თუ გაპატიო როდესმე!!!! ))))))))) ))))))



მერაბ შათირიშვილი

ჩემო საყვარელო ხალხო, არ მინდოდა მწვავე გამომსვლელის იმიჯი მქონოდა და, არც მაქვს, სინამდვილეში, ასე, ისინი ფიქრობენ, რომლებსაც ქართული ღირებულებების სუსხი მწვავედ ხვდებათ ცხვირ-პირში, ჰოდა, რა მინდა, იცით, გითხრათ, ამიხსენით, რას ნიშნავს სახალხო დამცველი?.. კარგი, მე, ჩემეულ ინტერპრეტაციას მოგახსენებთ და, თქვენ თვითონ განსაჯეთ - სახალხო დამცველი, ჩემი აზრით, ხალხის ინტერესებს უნდა იცავდეს, ეს, მოკლედ, აღარ ჩავუღრმავდები დანარჩენს და, გეკითხებით, ეს შუბლში ძარღვგაწყვეტილი ნანუაშვილია თუ სანანობაშვილი, ხალხის, ე. ი. ჩვენი დამცველია?.. ისემც მაგის გამჩენისა რა ვთქვი და, სანამ უნდა ვიყოთ ყურუმსაღობის პოზაში, მოვიქნიოთ ეს დეგენერატი სახალხო დამცველი სახალხო ურნაში, რა დამცველი, რისი დამცველი - პედარესტების?.. ეს, რა უბედურება გვჭირს, ხალხო!... შენ, ნანუაშვილო, არ მჭირდები დამცველად და წადი, ბიძიკო, სახლში, ვიდრე დასაცავად არ გაგიხდა საქმე!..



დათო გოგიშვილი

ნუთუ იმისთვის დახვდნენ საბჭოთა არმიას უსინათლოები ფანდურით ხელში 1989 წლის 9 აპრილის ღამით, რომ ამ დონეზე დაცემულიყო ჩვენი ეროვნული ცნობიერება??

ნუთუ იმისათვის იბრძოდნენ და დაიღუპნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ჩვენი პირტიტველა ბიჭები, რომ შედეგი საბოლოო ეს მარაზმი ყოფილიყო??

ნუთუ იმისთვის არ დატოვა ალმოდებული სოხუმი და მსხვერპლად შეეწირა აფხაზეთს ჟიული შარტავა, რომ ასეთ საქართველოში ეცხოვრათ მომავალ თაობებს??

ნუთუ ასეთი საქართველოსათვის აწამეს ცხინვალში გიორგი ანწუხელიძე 2008 წელს??

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ცხოვრების ამ სტილის პროპაგანდა სრული მარაზმია და დიდი ეროვნული სირცხვილი!!!!

# „უმუშევრობაა ძაან... მე რომ არ მიჭირდეს, აქ არ ჩამოვიდოდი, ხო?“

## „დღეში შეიძლება 20-30 ლარი იშოვო, მაგრამ მერე სამი დღე ვეღარ იმუშაო“




ნინო ლაბარტყავა

571 99-92-33


**თუკი ვინმეს სხვადასხვა სახის ფიზიკურ სამუშაოზე დროებით დახმარება სჭირდება, მგონი, ყველა ელიავაზე მიდის, სადაც მუშები დგანან და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, კონკრეტულ სამუშაოს ასრულებენ. ზუსტად ასეთივე ადგილია ე.წ. „ვარკეთილის ხიდებთან“, სადაც რამდენიმე ათეული ადამიანი ანალოგიურ საქმიანობას ეწევა. ეს ხალხი თვითდასაქმებულები არიან და მუშებად მუშაობენ. დღევანდელი რუბრიკისთვის რესპონდენტის მოსაძებნად მათთან მივედი. ერთ-ერთი მუშა ძალიან სკეპტიკურად დამხვდა და ლამის დაკითხვა მომიწყო, საიდან ვიყავი, რატომ მივედი მათთან და მიგზავნილი ხომ არ ვიყავი? თუმცა ამ დრომდე ვერ მივხვდი, რაში უნდა გამოხატულიყო ჩემი „მიგზავნილობა“ და რა სპეციფიკური ინფორმაციები უნდა „დამეცანცლა“ მათთვის... არაერთგზის ახსნის შემდეგ, როგორც იქნა, ეს უსიამოვნო საუბარი ხუმრობაში გადავიდა და იქვე მყოფი ორი ახალგაზრდა მამაკაციც ჩავწერე.**







მალხაზი, 38 წლის:

– აქ რამდენიმე წელია, რაც ვდგავარ. ადრე კონტრაქტზე ვმუშაობდი, მაგრამ იმ მომენტში ოჯახური მდგომარეობა ისე ამეწყო, რომ სამსახურს ვეღარ გავაგრძელებდი. როცა დაბრუნებაზე ვიფიქრე, 35 წლის ზემოთ აღარ შეიძლებაო, მითხრეს და დავანებე თავი. ჩემი ახლობლები მუშაობენ აქ და მათ მითხრეს, თუ გინდა მოდიო. მეც მოვედი და ვმუშაობ, როგორც შემიძლია. ოჯახი მყავს სარჩენი.

— **რა ტიპის სამუშაოებს ასრულებთ ხოლმე?**

– მანქანიდან ტვირთებს ვცლი, რემონტებზეც დავდივარ ხოლმე, სამშენებლო მასალების, ნანგრევების ჩამოსატანად, სახლის შენებისას საძირკვლის ამოსაჭრელად და ასე შემდეგ. აქ რაიონებიდან ვართ ჩამოსულები და სოფელში ვსწავლობდით ხოლმე ცოტ-ცოტა ხელობას, რაც ახლა გვეხმარება. ახლაც ვსწავლობთ, ყველაფერი სწავლით არის, ხომ იცი? თან როცა გიჭირს და მუშაობა გინდა, მოინდომებ.

— **რა გაქვთ დამთავრებული? ანუ ოფიციალურად სხვა პროფესია თუ გაქვთ?**

– სკოლა რომ დავამთავრე, კი ვაგრძელებდი სწავლას, მარა არ დამიმთავრებია. თბილისში, ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში ვსწავლობდი. ფინანსური მდგომარეობა არ მიწყობდა ხელს, რომ დამემთავრებინა... რაიონიდან დავდიოდი, თბილისში არა ვცხოვრობდი. არც ახლა არ ვცხოვრობ თბილისში, მარა... ვერ შევძელი, რა. ისე, ჭიდაობაზე დავდიოდი ადრე, სერიოზულად ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ მერე მაგასაც გავანებე თავი.

— **ერთ დღეში თქვენი შემოსავალი როგორია?**

– არასტაბილურია, ვერ გაიგებ, რა. დღეში შეიძლება 20-30 ლარი იშოვო, მაგრამ მერე სამი დღე ვეღარ იმუშაო. შეიძლება ყოველდღე მოგიხდეს მუშაობა. 50 ლარიც არის ხოლმე, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად, რომ ვიღაცამ ამხელა თანხა გადაგიხადოს. თუ რამე არ შემძლებია, მითქვამს კლიენტისთვის, არ შემიძლია-თქო. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, მითქვამს, არ ვიცი-თქო, მაგრამ უთქვამთ, წამოდი და როგორც იცი, ისე გავაკეთოთო... ყველას უმაღლეს დონეზე ხომ არ უნდა რაღაცის გაკეთება, არა?

— **აქ როგორ ხდება: რიგი გაქვთ ხოლმე გაწერილი, ვინ ვის მერე უნდა გაჰყვეს მოსულ კლიენტს, თუ თავად კლიენტი გეძახით?**

– როგორ, იცი? სიტყვაზე, მოვიდა, ხო? რომელიც პირველი მივა და დაელაპარაკება, ვინც მორიგდება, იმის მიხედვით არის... ცხოვრებაში ყველაფერი დასწრებაზეა, ხო იცი? (იღიმის).

— **მერე მაგის გამო კამათი არ მოგდით ხოლმე? შეიძლება ვიღაცა ძალიან მოხერხებულია და ყველა კლიენტთან პირველი მიდის დასალაპარაკებლად.**

– აქ სულ ახლობლები ვართ, მაგრამ კამათი შეიძლება ძმასთანაც მოგდის ხოლმე ხანდახან. ცოტ-ცოტა პატარა რაღაცა ხდება ხოლმე, მაგრამ ისეთი არაფერი, სერიოზულში არ გადადის.

— **რას დაასახელებდი ქვეყნის მთავარ პრობლემად დღეს?**

– ჯერ ერთი, რო უმუშევრობაა ძაან, პირველ რიგში ამას ვიტყვი. მე რომ არ მიჭირდეს, აქ არ ჩამოვიდოდი, ხო? ნორმალური სამსახური რომ მქონდეს, მირჩევნია. დღეს რომ გავიდე, შეიძლება რაღაცა ვიშოვო, მაგრამ ისეთ სამსახურს აზრი არ აქვს, რომელიც რომ შენ, სიტყვაზე, გზაში არ გეყოფა. დილიდან საღამომდე რომ გამოდიხარ, ჭამა ხომ გინდა, სახლშიც ხომ უნდა მიიტანო რაღაც და ხომ უნდა გეყოს ის სამსახური, არა? აბა, არ არის წესიერი სამსახურები და... ამასაც ვიტყვი, რომ მშვიდობა მეტ-ნაკლებად არის.

**დათო ბექიტაშვილი, 26 წლის:**

– ერთი წელია, რაც აქ ვარ. აქაურების დიდი ნაწილი ყოველდღიურად გამოდის, ოჯახები ჰყავთ და მუშაობენ, მაგრამ ოფიციალური ხელფასი არ გვაქვს. რაიონიდან დადიან, მათ შორის მეც, სულ 3-4 კაცი იქნება, ვინც თბილისელია, დანარჩენები სოფლელები ვართ, რა (იღიმის).

— **სულ, დაახლოებით, რამდენი ადამიანი ხართ აქ?**

– ერთი 50 კაცი ვიქნებით, ალბათ. ახალი თუ ვინმე მოდის, არ ვუშვებთ, არც ვაყენებთ, რად გვინდა? ყველა ვიცით, ვინ ვინ არის აქ და უცხო ცოტა ისეთი ამბავია...

— **აქ მოსვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

– რაღაც პრობლემა მქონდა და წამოვედი სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ვმუშაობდი 600 ლარზე, ჯარი ასე გავიარე და მერე ვმუშაობდი. აქ მუშად არ ვმდგარვარ, აპარატი მაქვს, რა, კარებს, ფანჯრებს ვილებ...

— **ლურჯი ყუთი რომ გიდევთ ხოლმე ძირს, მაგაზე ამბობთ? რა ღირს ეგ აპარატი?**

– კი. ახლა ელიაზე ვიყავი და იქიდან მოვედი... ეს აპარატი 1800 ლარი ღირს. ზოგს განვადებით გამოაქვს, ერთბაშად რომ არ აქვს ყიდვის საშუალება. ამ საქმით ჩემს თავს ვინახავ, რა, სიმართლე გითხრა, არაფერი არ მიჭირს, დედმამა მყავს, დაოჯახებული დები... ცოლ-შვილი არ მყავს და კი მყოფნის, ასე თუ ისე, შემოსავალი.

— **ეს სამუშაო დროებითია, თუ გაქვთ სამომავლოდ სხვა გეგმები?**

– მაქვს რაღაც არჩევნები, ნავთლუღში „შვიდიანების“ დაცვაში და ვარკეთილში. შემიძლია ისევ სამთავრობოში დავბრუნდე, ახლა 800 ლარია იქა... ჯერ ზუსტად არ ვიცი, რას ვიზამ.

— **ოფიციალური განათლება თუ გაქვთ?**

– საშუალო განათლება მაქვს, არ გავყოლილვარ სწავლას, მაგრამ ჭადრაკის გარდა, მგონი, ყველა სპორტში ვიყავი (იღიმის). ვჭიდაობდი კიდეც... მერე ავარიაში მოვყევი, ერთი თვე ხელი ჩამოკიდებული მქონდა და შევეშვი... ამხანაგურ შეხვედრებზე პირველი ადგილიც ამიღია ხოლმე, მეორეც. პლეხანოვზე გურამ მოდებაძესთან ვიყავი, თუ გაგიგია. კრივზეც დავდიოდი ვერის ბაღში, მოყვარულის დონეზე...

— **აქ საკმაოდ ბევრი ყოფილი მოჭიდავე ყოფილხართ, როგორც ვხედავ... რამდენად რთულია თქვენი საქმიანობა და შემოსავალი რამდენი გაქვთ?**

– ძნელია, მაგრამ გააჩნია, ვისთვის როგორ. წელი თუ არ გაქვს მაგარი, ვერ იმუშავებ. ძალა გინდა, რა. ბევრს არ შეუძლია და ვერ მუშაობს. ყოფილა, ერთ-ორ საათში 100 ლარიც გამიკეთებია ხოლმე, ხან მთელი დღე მიმუშავია იმ 100 ლარად. შარშან უფრო მაგრად ვმუშაობდი.

— **როგორ ფიქრობთ, წელს რატომ აღარ არის შარშანდელივით კარგი მუშაობა?**

– არ ვიცი... ეტყობა, ყველას უკვე ჰყავს თავისი ხალხი, მუშები, ობიექტებზე. აი, შარშან, მაგალითად, მე და ჩემმა ბიძაშვილმა ორ საათში 700 ლარი გავაკეთეთ, დიღომში. რომ იძახიან, ხალხს ფული არა აქვსო, აქვს, უბრალოდ იმდენს არ აკეთებენ, რომ ყველამ დახარჯოს, ამას სიმართლეს ვიძახი. მაგრამ, რა თქმა უნდა, არის კატეგორია, პურის ფული რომ არა აქვთ და „სოციალურებზე“ არიან.

— **პოლიტიკაში რამდენად ხართ ჩახედული?**

– სიმართლე გითხრა, პოლიტიკით არ ვარ დაინტერესებული, არ მოგატყუებ. აქ ვინც მუშაობს, ამათაც არ აინტერესებთ, ყველასთვის მთავარია, იმუშაონ, რომ ოჯახები შეინახონ.

Facebook ამბები

facebook

**სერგი კაპანაძე**



ყველაზე უფრო მაბრაზებს, როდესაც ხელისუფლებაში მყოფებისგან ისმის - "აბა რა უნდა გაგვეკეთებინა, ომს ხომ არ დავიწყებთო?". ეს არის უპასუხისმგებლობის ზენიტი. რა უნდა გაგეკეთებინათ და:

- თავის დროზე არ უნდა მიგეცათ დავალება უსაფრთხოების სამსახურებისთვის, რომ საოკუპაციო ზოლთან აქტიურები არ ყოფილიყვნენ

- არ უნდა გადმოგეწიათ ბლოკპოსტები უკან

- უნდა გეჩვენებინათ სხვადასხვა აქტივობებით, მათ შორის, ფარული აქტივობებით რუსებისთვის, რომ აქეთა მხარეს "პატრონი ჰყავს"

- არ უნდა გაგეშვათ რუსი ჯაშუშები თავის დროზე

- ბოლომდე უნდა მიგეყვანათ ტერორისტი ბორისოვის საქმე

- ყველა ბორდერიზაციის ეპიზოდზე უნდა აგეტეხათ დიდი ამბავი და სადაც შესაძლებელი იყო მავთულხლართის გადმოწევა შეგეჩერებინათ, თუნდაც ღამე სპეც. სამსახურების მიერ მისი დემონტაჟით

- აქამდე უნდა ალგედგინათ იპრმ-ის შეხვედრები

- და ბოლოს: არ მოგეშალათ და გაგენადგურებინათ ჩვენი სპეც. სამსახურების ის დანაყოფები, რომლებიც ოკუპირებული ტერუტორიების მიმართულებით მუშაობდნენ. და არ მივიღებ იმ არგუმენტს, რომ ადამიანის უფლებებს არღვევდნენ. ვინც არღვევდა, გაგესამართლებინათ კონკრეტული საქმეების გამო, ხოლო მიმართულება დაგეტოვებინათ.

აი ეს რომ გაგეკეთებინათ ომი ნაღდად არ დაიწყებოდა, ხოლო ამხელა ტრაგედია შეიძლება არ დატრიალებულიყო ხურჩაში. თავს მაინც ნუღა იმართლებთ! სამარცხვინოები...

facebook



**გიორგი ფოფხაძე:**

ქერო ცხრა წელი ტუჩებდაწყობილი, "პრაფესორსკი სიფათით" და დაყენებული ხმით გვეუბნებოდნენ ხოლმე "მორიგე ფრაზას" - "იცით მე პოლიტიკა არ მაინტერესებს და არ ვერევი" ის დეიდაბიცოლეები და ძამიაბიძიები სუყველა პოლიტიკაში არ გადამხტარა "სამმაგი მალაყით"? .... რაია ბაღნებო, გეგეხსნათ პოლიტიკური "დიხანიაა"? ... მოსწრება სვიმოონ?

Facebook ამბები

facebook

**ლაშა ჩხარტიშვილი**



შემოვიერთდით ! 30 მაისს, 15:00 საათზე, კვლავ ვიკრიბებით სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა სოლიდაობის, მკვლელთა დასჯისა და მსხვერპლთა ნაცხროვისაგან დასაცავად ! რათა ავლვკვეთოთ ბუტა რობაქიძის ოჯახის დევნა და შეურაცხყოფა ნაცნაძირალათა მხრიდან და მოვითხოვოთ მკვლელობაში მონაწილე ყველა პირის, მათ შორის დამკვეთების დასჯა!

**მალხაზ თოფურია**



(დათო კოლუაშვილის განცხადებას მერაბიშვილის ჭკვიან კაცად მოხსენიებაზე ასე ეხმაურება)

ვანო ჭკვიანიაზე გამასხენდა)

ვიტყვი! თავიდან ბოლომდე ვიტყვი!!! სულ ვიტყვი!!!

გამოთქმით ვიტყვი!!!!!

ამაზრზენად გაისმა მატროსოვის ციხის ცოდვით სავსე ცივ კედლებში, სავსე მთვარიან ღამეს.... და იმ საკნის კარებზე ბრახა ბრუხი ატყდა, რომლის მიღმაც ვანო მერაბიშვილი იმყოფებოდა........ მორიგე ":ნაძორმა": ციხის უფროსს გადაურეკა და ენის ბორძიკით აცნობა....ის იტყვის... ყველაფერს იტყვის, მალე მინისტრმაც იცოდა, რომ ყველაფერს იტყოდა ის! პარლამენტარებმაც გამომძიებლებმაც პროკურორმაც სახალხო დამცველმაც, პრეზიდენტმაც, პრემიერმაც.......

საპარლამენტო უმცირესობამ სასწრაფოდ ბრიფინგი გამართა და გივი თარგამაძის, ბოკა გაბაშვილისა და ნუგზარ წიკლაურის გახმოვანებით გვამცნეს, რომ ვანო მერაბიშვილი არასდროს არ ყოფილა მათი გუნდის წევრი და საერთოდაც იგი უდედან კი არა ჭორვილადანაა წარმოშობით, კურიერის კითხვას ნაპრეზიდენტალ სააკაშვილმა ოდესიდან უპასუხა, რომ ვერ იხსენებს მერაბიშვილი ვინაა და ნანახი არ ჰყავს...... დადგა ის სანატრელი დღეც სადაც სახალხოდ უნდა თქვას მერაბიშვილმა ყველაფერი...... უდიდესი ინტერესისა და მოთხოვნილების გამო გადაწყდა დინამო არენაზე გამართულიყო ეს თქმა......, ჟურნალისტები, პარანორმალური მოვლენების სააგენტო, გაეროს მდივანი, ნასას მეცნიერები, რომის პაპი, ქეთა გაბიანი, მაიკლ ჯორდანი, ჯეიმს აპატურაი, ჩიორა, ჟან კლოდ ვანდამი, კონჩიტა, დეფი, იშტოიანის მამა, დალაი ლამა..... ვის არ ნახავდით გადაჭედილ ტრიბუნებზე, მსოფლიოს 157 ქვეყნის ტელევიზია პირდაპირი ჩართვის რეჟიმშია..... მოძრაობა გადაიკეტა ქალაქში აეროპოტი თვითმფრინავების მიღებას ვერ აუდის დიდ ეკრანებზე აჩვენებენ იმ სცენას სადაც უნდა სთქვას,!.... პეპსი კოლა, ადიდასი, ფილიპ მორისი მერსედესი, რადიო არ დაიდარდო, მიტსუბიში.... არიან ამ თქმის სპონსორები..... და აი ის სასწაულიც ახლოვდება, შუასაუკუნეების რაინდების ფორმაში გამოწყობილ ციხის ზედამხედველებს შემოჰყავთ ის....რომ უნდა სთქვას ყველაფერი! თეთრ მანტიაში გახვეულ იმას მხოლოდ მეტყველი და აზრიანი თვალები უჩანს მანტიიდან... მიუახლოვდა ისტორიულ სცენას რომელზეც უნდა თქვას სტადიონი გაიტრუნა...... ელვის სისწრაფით ახტა სცენაზე და მოიძრო მანტია, შიშველ კუნთოვან სხეულს მხოლოდ ":ნუპაგადის": ტიპის ყვავილებიანი საცვალი უფარავს სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა და სთქვა...

თეთრი თრითინა, თეთრ თრთვილზე თრთოდა!!!!!

სამარისებული სიჩუმე ჯოჯოხეთურ სიჩუმეში გადაიზარდა.... ისარგებლა სახალხო მთქმელმა და აქვე დაამატა

კაპიკი გაკაპიკებულა საკაპიკეში ჩაკაპიკებულა!!! ესაც უშეცდომოდ...

თითქოს დედამიწამაც შეწყვიტა ბრუნვაო სუნთქვა შეკროდა დამსწრე საზოგადოებას, კობა ხაბაზის უდროოო დაცხიკინება, რომ არა არავინ იცის რამდენი ხანი გაგძელდებოდა ეს მდუმარება...... ვაშაააა!!! იხუვლა სტადიონმა, ისეთი ხმით თითქოს ლივერპული კიდევ ერთხელ დაგვემარცხებინოს, ყველა ერთმანეთს ეხვეოდა და კოცნიდა სიხარულით.... მხოლოდ მთქმელი იდგა გაქვავებული ანტიკური ქნდაკებასავით და მისი აზრიანი თვალები უსასრულობაში ჩაძირულიყო....) მატროსოვის ციხის ლოგოპედი წლის ადამიანად და ნობელის პრემიის ერთადერთ კანდიდატად იქნა წარდგენილი!)



**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

„რესპუბლიკელების" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გიგა ბოკერიას ყოფილი (თუ ისევ) ძმაკაცი, „თავისუფლების ინსტიტუტის" დამფუძნებელი, თბილისის საკრებულოში ბიძინა ივანიშვილის ხათრით დანიშნული დეპუტატი, დავით ზურაბიშვილი წერას აუტანია. ნათქვამია, პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, მაგრამ ეგ მხოლოდ ნორმალურ ქვეყანაში. ვერ გეტყვით, რომ ზურაბიშვილი პოეტური მიგნებებით გამოირჩევა, უბრალოდ, როგორც ჩანს, პოლიტიკური იდეების ნაცვლად დაბალი დონის მუზა აწუხებს და ესეც „რეალიზდება". მოკლედ, ლექსს უძღვნის ლევან ვასაძის გამოსვლასა და ე.წ. კაბელების საქმის განაჩენს:

არ გამიგია. ესე იგი, თუ ვინმეზე ითქმის „დანაცქოცქუცმაცებული", მინაციონალებულ-მონაციონალებული და მიქოცულ-მოქოცული, ეს თავად ზურაბიშვილია. ხალხო, დავუშვათ, მე ერთხელ შევედი პარლამენტში „ნაცების" დამსახურებით, მეორედ საკრებულოში – „ქოცების" წყალობით, ვინ გამოვდივარ, დანაცქოცქუცმაცებული, ხომ?! ალბათ, თუ არ მინდა, რომ ასე გამოვიყურებოდე, მაშინ ზურაბიშვილივით შუბლის ძარღვი უნდა გავიწყვიტო და ლევან ვასაძეს, ან სხვებს ვეძახო იგივე, ხომ?! კაცო, ვასაძეს თავისი ისედაც ეყოფა...

მეორე პოეტური მიგნება: „გულთგონთთავტრაკი". ესე იგი, გული, გონი, თავი და ტრაკი. თუ ამ ყველაფერს ავურევთ ერთმანეთში, ერთი მხრივ, მივიღებთ „რესპუბლიკურ პარტიას", მეორე მხრივ – თავად დავით ზურაბიშვილს!

**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**



ნათლადაა (როგორც შენ გიყვარს ხოლმე თქმა, მკაფიოდაა) ნათქვამი, თუ კალმის წვერმა გიმტყუნოს, გთხოვ, გააგრძელო „ამითაო". იცი, სიტყვა „ამითა" რას ნიშნავს? ჩემი პენისითაო! ბიჯოს... ბიძინამ კი არა, ვინც გინდა, იმან შეგიყვანოს პარლამენტში თუ საკრებულოში, თუ ხალხის წინააღმდეგ

# გულთგონთთავტრაკი!

**დავით ზურაბიშვილი:**

**„ჩვენი ცხოვრება რა არი?**
**ლელობურთული ზმნა არი.**
**გაგორებული სამართლის**
**აგორებული ქვა არი..."**

**პასუხი ზურაბიშვილს:**

**„გეი-პარადის" მედროშევ,**
**გამა ხარ ცისარტყელასი,**
**ვინც კი შენსავით აზროვნებს,**
**მე დედა მოვტ...ან ყველასი"!**





„ჩვენი ცხოვრება რა არი?
ლელობურთული ზმნა არი.
გაგორებული სამართლის
აგორებული ქვა არი.
უდაბნოს შინა სიმართლის
მღაღადებლისა ხმა არი.
დანაცქოცქუცმაცებულთა
კბენა, ღრენა და სხმა არი.
პროქართველ პრორუსებისა
პროევროპული გზა არი.
ალესილ ტაბურეტკების
გულთგონთთავტრაკში რტყმა არი.
მიპოვეთ სადმე სადარი,
სხვა საქართველო სად არი"?

ნახეთ, როგორ წნავს ქართულ სიტყვებს ზურაბიშვილი: „დანაცქოცქუცმაცებულთა კბენა, ღრენა და სხმა არი", „ალესილ ტაბურეტკების გულთგონთთავტრაკში რტყმა არი". აი, ამხელა კაცი ვარ, რაღა არ მინახავს, რაღა არ მსმენია და ადამიანმა ასე ზუსტად დაუსვას საკუთარ თავს დიაგნოზი,

სხვათა შორის, მგოსან ზურაბიშვილს კარგად უპასუხეს „ფეისბუკში" (ეს ლექსი გაავრცელა მსახიობმა თემო გვალიამ):

„რესპელო" დაუდგრომელო,
ლექსების „მთლელო" კალმითა,
თუ კალმის წვერმა გიმტყუნოს,
გთხოვ გააგრძელო „ამითა".
რომელი შოთა შენ მყავხარ,
ან და რომელი ილია,
შენნაირ „პოეტს" ერთს ვიცნობ,
შენსავით ბოზისშვილია.
პროევროპელო „რესპელო",
და პრორუსულის მათრახო,
სხვა საქართველო ეს არის!
მსოფლიო დონის ჩათლახო!
„გეი-პარადის" მედროშევ,
გამა ხარ ცისარტყელასი,
ვინც კი შენსავით აზროვნებს,
მე დედა მოვტ...ან ყველასი"!

აჰა, ზურაბ კი არა და... დავით, დაგადო მიხომ მძიმე არტილერია? აქ ყველაფერი წახვალ, ეგრე დაგემართება, ეგრე დაგადებენ შავ ქვას! აი, შენნაირებს რომ ვხედავთ, ჩვენ კიდე მუხრან მაჭავარიანის ნათქვამი გვახსენდება:

„დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი და ხანაც კევრი,
ვხედავ — რეგვენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ
და მე შენ გეტყვი — უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.
კაცი თუ ქალი, ეჯიბრება იმაში ურთერთს,
სიტყვის და საქმის დაცილებას ვინ შესძლებს უკეთ,
გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი რეგვნის,
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ ლეღვნი...
დროდადრო მესმის უხერხული ხალხური ლექსი:
ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი!
ვაი, ჩვენს პატრონს! ჩვენი ყოფის თავი და ბოლო
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ"!

**Facebook ამბები**

**გოგი ლორთქიფანიძე**

სადაც არ უნდა გავიხედო ყველა იმ ხალხს აკრიტიკებს ვინც ეხლა შედის პოლიტიკაში - იქ არ შეხვიდე აქ არ შეხვიდეო ეგენი მანჯურიის აგენტები არიანო (( შეიძლება არიან კიდეც ზოგი, მეორენი უფრო გლახები არიანო და და ა.შ.

იგივე პატივცემულები თავიანთ მხარდაჭერილ პოლიტიკურ გუნდში თუ ვინმე ოდიოზური და ძველი პარტიული ცოდვა-მადლით დატვირთული პიროვნება გამოჩნდება "კაშკაშა კომეტასავით" იმას კი არაფრის დიდებით არ იმჩნევენ.

თან დარწმუნებული ვარ, ის გაკრიტიკებული პიროვნება მათ ლიდერს რომ მოეხმო თავის გუნდში, ეგრევე ცამდე აიყვანდნენ და ხოტბას შეასხამდენ...

ასეთია ქართული პოლიტიკური იდილია.

თუ ვინმეს სადმე წასვლის სურვილი გაქვთ, ჩუმად მითხარით ყურში პატივცემულებო... !!!!



## 23–29 მაისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** მიმდინარე ურთიერთობებში შეეცადეთ, სტაბილურობა შეინარჩუნოთ, ეცადეთ, რომ თქვენი განწყობის ცვალებადობამ (რაც ძალიან თვალშისაცემი იქნება) პარტნიორზე არ იმოქმედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალალო შედეგებს მიიღებთ. რაც შეეხება ყოფით საკითხებს, უმჯობესია, შეაკეთოთ, გადააკეთოთ, ვიდრე შეიძინოთ. საერთო ჯამში, მიმდინარე კვირა შესანიშნავი დროა საყოფაცხოვრებო საკითხების ერთობლივად მოგვარებისთვის.

**სამსახური –** შესაძლოა, ქირავნობის ან ახალი უძრავი ქონების საკითხებმა იმდენად დიდი დრო წაგართვათ, სამსახურისთვის დრო აღარ დაგრჩეთ.

**სასიკეთო დღეები:** 28, 29 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 მაისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** მიმდინარე კვირაში ოჯახური ცხოვრების მიმართულებით ისეთი არაფერი მოხდება. აქედან გამომდინარე, მოგიწევთ, იოცნებოთ, თვალი ადევნოთ მოვლენებს ფილმებსა და რომანებში, გაუზიაროთ შთაბეჭდილებები ახლობელ ადამიანებს. სხვათა შორის, თუ ნათესავებთან დიდი ხანია, აღარ ურთიერთობთ, ახლა სწორედ ამის დროა. თუ ურთიერთობები შეწყდა, აღდგენაზე უნდა იზრუნოთ – ძალიან საინტერესო ამბები გელით.

**სამსახური –** მშვენიერი დროა მივლინებებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 29 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 მაისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** არ აქვს მნიშვნელობა, ოჯახში საერთო ბიუჯეტი გაქვთ თუ არა – აუცილებელია, საკუთარი ფული გქონდეთ, რომელსაც ისე დახარჯავთ, როგორც მოგესურვებათ, თან არც მეუღლის ყურადღებას მიიქცევთ და დაძაბავთ. თუ პარტნიორს ჯერჯერობით მხოლოდ ხვდებით, თუმცა საქმე დაქორწინებამდე მიდის, კარგს იზამთ, თუ დაფიქრდებით, როგორ გააფორმებთ ქონებას, მსხვილ შენაძენებს.

**სამსახური –** დროა, შეიცვალოთ სამუშაო ადგილი ან ხელფასის მომატება მოითხოვოთ.

**სასიკეთო დღეები:** 25 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მაისი.





მაია იასეშვილი

599 94-64-58

# როგორ ავიცილოთ თავიდან ფსიქოლოგიური ტერორი?

**„ჩემთან დადიოდა ექიმი ქალბატონი, რომელსაც ფსიქიკა წესრიგში არ ჰქონდა, აიკვიატა, რომ მას გაუკეთეს ჯადო და იმიტომ დარჩა გაუთხოვარი. არც ქართველი და არც მუსლიმანი მჩხიბავი არ დაუტოვებია, რომ ბედჩაკეტილობა მოეხსნათ. როცა მის საინფორმაციო ველში შევედი, დავინახე, რომ მას არანაირი ჯადო არ ჰქონდა, მხოლოდ ხასიათი ჰქონდა რთული“**

**რუბრიკის სტუმარია პარაფსიქოლოგი ნინო ვარსიმაშვილი.**

**ქალბატონი ნინო გვესაუბრება, როგორ ავიცილოთ თავიდან ფსიქოლოგიური ტერორი და რისი გათვალისწინება გვმართებს ჩვენი კარმული მისიის სწორად მართვისთვის.**

**— ქალბატონო ნინო, ძირითადად რა პრობლემებით გაკითხავენ ადამიანები?**

– მინდა გითხრათ, რომ დალხენილი და ბედნიერი ადამიანები პარაფსიქოლოგებთან არ დადიან, მხოლოდ მაშინ გვაკითხავენ, როცა ექიმებთან მედიკამენტებით მკურნალობა უშედეგოა და ფსიქოლოგებთან ვიზიტსაც არ მოაქვს დადებითი შედეგები. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაზე მძიმე ავადმყოფები და ხელმოცარული ადამიანები მოდიან ჩვენთან პრობლემების მოსაგვარებლად. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა ადამიანს აინტერესებს ხვალინდელი დღის გაგება, რისი მომხრეც პირადად მე არ ვარ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს, დავინახო ადამიანის წარსული და მომავალი, მისი მდგომარეობა და შესაძლებლობები დროის სამივე განზომილებაში, არ ვთვლი რეკომენდებულად, ადამიანმა იცოდეს თავისი ხვალინდელი დღე, რადგანაც ამის გასაჯაროება რომ საჭირო ყოფილიყო, ყველა ადამიანს ეცოდინებოდა თავისი მომავალი. თუ ადამიანმა დაიჯერა, ნათელმხილველისგან რაიმე ცუდი ელოდება, რომც არ ელოდებოდეს, ნერვიულობა დაუჩქარებს მოსალოდნელი საფრთხის რისკს. ამიტომ არ ვარ მომხრე, ადამიანებს ვუთხრა, რა ელოდებათ მომავალში. ჩემი მიზანია, დავეხმარო მათ იმ პრობლემების მოგვარებაში, რაც მათ აწუხებთ. როცა კარმული დიაგნოსტიკით განისაზღვრება ამა თუ იმ ადამიანის კარმული მისია და ამ ადამიანმა ისწავლა თავისი კარმული არჩევანის სწორად მართვა, მაშინ მას ყოველგვარი სიძნელის დაძლევა გონივრულად და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მოუწევს. ზოგჯერ მეუბნებიან ადამიანები დანაკარგის შესახებ, რომ მე დავეხმარო პოვნაში და ვამხილო ის ადამიანი, ვისი ხელითაც მოხდა მათი გაქურდვა. ეს არ არის სწორი საქციელი, რადგან ამის მინიშნებით და გამხელით შესაძლოა, დიდი საფრთხის წინაშე დავაყენო დამკარგავიც და მომპარავიც. ჩემი მიზანია, ადამიანებს ვაპოვნინო მდგომარეობიდან გამოსვლის ოპტიმალური გზები და არ გავაღრმავო მათ შორის შუღლი და მტრობა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადამიანს დავეხმარე დანაკარგის პოვნაში, მათ ვთხოვე და ავუხსენი, რომ მორიდებოდნენ მდგომარეობის გამწვავებას.



პარაფსიქოლოგების ძირითადი საქმიანობა დღეს წარმოადგენს, ავაცილოთ ადამიანები ფსიქოლოგიურ ტერორის, რომელიც ძალიან არის გავრცელებული პარანორმალურ მოვლენათა შორის. ფსიქოლოგიური ტერორი სამ სახეობად იყოფა, პირველი გახლავთ გათვალვა, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს დამიზნებული, წინასწარგანზრახული აზრფორმით. ბოროტი ზრახვების მიზანმიმართული ზრახვები მსხვერპლისკენ ხანგრძლივი დროის მანძილზე. ფსიქოლოგიური ტერორის ასეთი სახეობა დამკვიდრებულია ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების პრაქტიკაში, პოლიტიკოსებში, ბიზნესმენებში, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა შემადგენლობაში, პედაგოგთა სფეროში და ყველგან, სადაც არსებობს არაჯანსაღი კონკურენცია.

**— რა სიმპტომები აქვს ფსიქოლოგიურ ტერორს?**

– ამ ტერორის სიმპტომებია – დაღლილობა, აგრესია, თავის ტკივილები, გულის არეში ტკივილები, დეპრესია, დათრგუნულობა, ავადმყოფური მდგომარეობა, წარუმატებლობა ფინანსურ გარიგებებში და ხელშეკრულებების დადების დროს. ყოველივე ამას უარყოფით შედეგებამდე მივყავართ, რომელთა ფონზე ადამიანმა შეიძლება დაკარგოს არა მარტო საკუთარი თავის კონტროლი, არამედ შრომის უნარი და პარალიზებულიც კი იქნას აქტიური ცხოვრებისგან. ასეთ შემთხვევებში თავი უნდა დავიცვათ მსგავსი ასტრალური შემთხვევებისგან, საჭიროა ვატაროთ და ვიკითხოთ საგანგებო ლოცვები და ფსალმუნები, რომელიც თავიდან აგვაცილებს მტრებისგან გამოწვეულ ბოროტებას და ალაგმავს ავისმოსურნეთა ზრახვებს ჩვენ მიმართ. თავდაცული ადამიანი მოგეხსენებათ, რომ შეიარაღებულია. შესაძლებელია, ადამიანი არ იყოს ჯადოს მსხვერპლი, ერთ-ერთი გავრცელებული პარანორმალური მოვლენა, რომელიც აზიანებს ადამიანის ფსიქიკას და ჯანმრთელობას ანადგურებს, ეს არის ენერგოვამპირიზმი. მოდით, შევთანხმდეთ და ერთმანეთისგან გავარჩიოთ ქრისტიანული მორალი და ადამიანური სისუსტე. ძალიან ბევრი ადამიანი თავისი ქრისტიანული მორალით ხსნის იმ ფაქტს, რომ ენერგოვამპირს ვერ იშორებს თავიდან. მინდა შეგახსენოთ, რომ ქრისტიანობას არა აქვს მიზნად დასახული, რომ ადამიანებმა თავი ცუდად იგრძნონ და შეწუხებულნი იყვნენ გარშემომყოფთაგან. თუ ადამიანები განუწყვეტლივ წუწუნებენ, ტირიან, უარყოფით ენერგიას აფრქვევენ თქვენს გარშემო, თქვენ კი იმიტომ არ იშორებთ, რომ ქრისტიანობა და კაცთმოყვარეობა უფლებას არ გაძლევთ, ძალიან ცდებით, არა ხართ ვალდებულნი, იმ ადამიანებს უმასპინძლოთ, ვინც თქვენი ენერგიით იკვებებიან და ამის სანაცვლოდ თქვენთან ტოვებენ ენერგეტიკულ ჭუჭყსა და ნაგავს, რომელიც თქვენგან დამოუკიდებლად გასნეულებთ. ამას წინათ ერთი ქალბატონი მოვიდა ჩემთან, რომელმაც მეზობელზე თქვა, რომ, როგორც კი სახლში შემოდის, ცუდად მხდის, მაგრამ ვერ ვიშორებ, რადგან მეცოდება, ფსიქიკური პრობლემები სჭირსო. ერთ მშვენიერ დღეს ამ ადამიანმა მას ქურდობა დააბრალა და უსიამოვნებებში გახვია. ამით აივსო კეთილი და ქრისტიანი მეზობლის მოთმინების ფიალა. ასე რომ, თუ თავს კარგად არ გრძნობთ, ხედავთ, რომ ის გართმევთ დროსა და ენერგიას, შეგიძლიათ, ზრდილობიანად უთხრათ, რომ ხელს გიშლით ამა თუ იმ საქმის კეთებაში. ამით თქვენ გადაარჩენთ დროს, ჯანმრთელობას და დაცულნი იქნებით, ხოლო თქვენდაუნებურად თუ გახდით ვინმეს შურის, მტრობის ან ბოლოს და ბოლოს, წყევლის სამიზნე და იგრძენით, რომ თქვენს ცხოვრებაში ცუდი პერიოდი დადგა, ეს აუცილებლად გამოვლინდება თქვენს საინფორმაციო ველში და არსებობს თავის დაცვის უამრავი გზა და საშუალება. ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ საკუთარი თავის მტერი თვითონ არის, თუ ადამიანმა დაიჯერა, რომ, რაც მის თავს ცუდი ხდება, მისი ბრალი არ არის და მხოლოდ სხვები არიან დამნაშავე, რომ მისი შურთ და ამიტომ მისდით საქმეები, რომ ჯადო გაუკეთეს, ან გათვალეს, ასეთ ადამიანთან ქვეყნის წარმატებულმა ექსტრასენსებმა დღე-ღამე რომ თავდაუზოგავად იმუშაონ, მაინც ვერ დაეხმარებიან, იმიტომ, რომ საკუთარ თავზე უკეთესი მკურნალი ან პირიქით, მტერი, არასდროს ყოლია. ჩემთან დადიოდა ექიმი ქალბატონი, რომელსაც ფსიქიკა წესრიგში არ ჰქონდა, აიკვიატა, რომ მას გაუკეთეს ჯადო და იმიტომ დარჩა გაუთხოვარი. არც ქართველი და არც მუსლიმანი მჩხიბავი არ დაუტოვებია, რომ ბედჩაკეტილობა მოეხსნათ. როცა მის საინფორმაციო ველში შევედი, დავინახე, რომ მას არანაირი ჯადო არ ჰქონდა, მხოლოდ ხასიათი ჰქონდა რთული, ამას ემატებოდა კლიმაქტერული პერიოდი. მას ვუთხარი, რომ არანაირი ჯადო არ ჰქონდა, ვურჩიე, საინტერესო სამუშაოზე, საქმეზე გადართულიყო, მივეცი მისთვის საჭირო ყველა რეცეპტი, მაგრამ რადგანაც აკვიატებული ჰქონდა, რომ ჯადო ჰქონდა გაკეთებული, მას არც მატერიალური კეთილდღეობა აკლდა და არც გვარიშვილობა, დღეს ფსიქიატრიულის საავადმყოფოში მკურნალობს. ეს მდგომარეობა ჯადოს ბრალი კი არა, საკუთარი აკვიატებული აზრის ბრალია. მას რომ უფლის რწმენა ჰქონოდა და ტაძარში ევლო, აუცილებლად განეიტრალდებოდა მისი ენერგოზემოქმედება, მაგრამ, თუ ადამიანმა თვითონ არ მოინდომა და სპეციალისტს არ დაუჯერა, თუნდაც ექიმებისა და პარაფსიქოლოგების ჩარევა ვერ მიიყვანს ადამიანებს სასურველ მდგომარეობამდე. ყველა ადამიანს ვურჩევ, რომ, თუ ის გახდა ფსიქოლოგიური ტერორისა და ენერგოზემოქმედების ან ნებისმიერი უსიამოვნების მსხვერპლი, ეცადეთ, იყოთ პოზიტიურად მოაზროვნე და პოზიტიური ადამიანები იყვნენ თქვენ გარშემო, რადგანაც პოზიტიური ენერგია გახდება თქვენი სასიცოცხლო ძალა. სამყაროსთან ჰარმონია შინაგანი ჰარმონიით იწყება. ძალიან ბევრ ადამიანს აქვს ძლიერი ენერგეტიკის ნიშნები, რასაც მის გვერდით მყოფი ადამიანებიც გრძნობენ. ასეთ ადამიანებს ახასიათებთ ქარიზმატულობა, მიზანსწრაფულობა, მაღალი სულიერება, რაც მათ მაღალ ენერგეტიკულ პოტენციალზე მიანიშნებს. თუ ასეთ ადამიანთა გარემოცვაში იქნებით ხშირად, ეს ენერგია თქვენთვისაც გადამდები იქნება და ცხოვრება ხალისიანი გახდება. ადამიანი უნდა გაერიდოს ნეგატიურს და პოზიტივით უნდა გაამდიდროს თავისი გონებისა და ფიქრის სამყარო. თუ შორს დადგებით შურისა და აგრესიისგან, ბედნიერება არ დააყოვნებს. პარაფსიქოლოგთან ურთიერთობა სხვა არაფერია, თუ არა პოზიტივის გაძლიერება ადამიანის ბიოველში.



## 23–29 მაისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** პირად ცხოვრებაში სიტუაცია არაორაზროვნად წარიმართება. ურთიერთობა შესაძლოა, განსაკუთრებული გრძნობების გარეშე დაიწყოთ, თუმცა პაემნების პირველ დღეებში კარდინალურად შეგეცვლებათ შთაბეჭდილება და პარტნიორი ბევრად ყურადღებით დაგაკვირდებათ. მოკლედ, შემთხვევით წამოწყებულ ურთიერთობას სავსებით შესაძლებელია, ბევრად სერიოზული გაგრძელება მოჰყვეს.

**სამსახური –** ბიზნესინიციატივები ბრწყინვალე შედეგებს მოგცემთ.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 მაისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** ინფორმაციას პირადი ცხოვრების შესახებ ნურავის გაუზიარებთ. მნიშვნელოვანია, რომ ხელი არავინ შეგიშალოთ, არ გამოთქვას საკუთარი აზრი იმის შესახებ, შეეფერებით თუ არა ერთმანეთს, სწორად იქცევით თუ შეცდომებს უშვებთ და ასე შემდეგ. გაითვალისწინეთ, რომ ეს ეხება არა მხოლოდ რომანებს, არამედ ცოლ-ქმარს შორის არსებულ ურთიერთობებსაც. მთავარია, რომ თქვენ ორნი გრძნობთ ერთად თავს კარგად და ნუ მისცემთ უფლებას და საშუალებას უცხოებს, ჭკუა დაგარიგონ. რაც შეეხება ახალ რომანს, შესაძლოა, მის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყოს.

**სამსახური –** ნუ მისცემთ ნურავის საშუალებას, რაიმე სახის ავანტიურაში გაგრიოთ - მცდელობა ბევრს ექნება!..

**სასიკეთო დღეები:** 25, 29 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 მაისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** მიმდინარე კვირა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შეტანისკენ გიბიძგებთ. მეუღლესთან ურთიერთობა „გადაიტვირთება“, ახალი გრძნობები გაჩნდება, რადგან მას სულ სხვა თვალით შეხედავთ. ერთი კია, „გადატვირთვამ“ შესაძლოა, არა მხოლოდ დაგაახლოოთ, არამედ უფრო დაგაშოროთ. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც თქვენთვის სასიკეთოა, ის გახლავთ, რომ პარტნიორი ვერაფერს მიხვდება, თუმცა თქვენ კი სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებთ და ისიც ყველაფერს დაემორჩილება.

**სამსახური –** შეეცადეთ, ხელმძღვანელობასთან არ იკამათოთ, უფროსს არ შეეწინააღმდეგოთ.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მაისი.

## 23-29 მაისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – დიდი ალბათობით, მომდევნო პერიოდში პარტნიორის სურვილებს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევთ. შესაძლოა, ეს ნორმალურადაც იყოს აღქმული, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ პერიოდულად მასთან ერთად სადმე გაივლით ხოლმე. ამის ხათრით ის მომავალ ერთობლივ ვოიაჟამდე მოითმენს, მანამდე კი გვერდიდან არ მოგცილდებათ.

**სამსახური** – ხელმძღვანელობის მხრიდან პრეტენზიებია მოსალოდნელი. ასევე, შესაძლოა, ახალი ვალდებულებები დაგეკისროთ.

**სასიკეთო დღეები:** 28, 29 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 მაისი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა იმისთვის გამოგადგებათ, რომ მეუღლეს შეურიგდეთ, ურთიერთობაში ბევრად მეტი ნდობა გაჩნდეს, ერთად ბევრად მყუდროდ იგრძნოთ თავი. მიიღებთ მორიგ დადასტურებას, რომ ერთად თავს მართლაც შესანიშნავად გრძნობთ. შეგიძლიათ, დასახოთ ახალი გეგმები და მათ რეალიზებაზე იზრუნოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გგონიათ, რომ ჯერ ამის დრო არ დამდგარა. უკან არაფრის გამო არ დაიხიოთ, მაქსიმალურად ეცადეთ, ურთიერთობა უფრო მრავალფეროვანი გახადოთ და საამისოდ რისკზე წასვლაც თამამად შეგიძლიათ.

**სამსახური** – მიმდინარე პერიოდი თქვენი ავტორიტეტის ამაღლებაზე დადებით გავლენას მოახდენს.

**სასიკეთო დღეები:** 23 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 მაისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – ურთიერთობებისთვის არც ისე მარტივი მომენტი დგება. იმისთვის, რათა ერთობლივი ცხოვრება საწუწუნოდ არ გექცეთ, მეტი ტაქტიანობის გამოვლენა მოგიწევთ. თუ მოახერხებთ და შეარჩევთ გამოთქმებს, იქნებით ფრთხილი და ნაჩქარევ დასკვნებს არ გამოიტანთ, ფაქტის წინაშე ვერავინ დაგაყენებთ. და მაინც, თუკი ვინმეს ამის სურვილი გაუჩნდება, მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა არ გაგიჭირდებათ, თანაც, ყოველგვარი საქმეების გარჩევისა და სკანდალების გარეშე.

**სამსახური** – ახალი პროექტების წამოწყებისთვის არც ისე კარგი დროა.

**სასიკეთო დღეები:** 26 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მაისი.

# რა ლექსი გამოუგზავნა „იმ ქვეყნიდან“ ვახუშტი კოტეტიშვილმა მზეო გოგოჭურს?





მაია იასეშვილი
599 94-64-58

**რუბრიკის სტუმარია მხატვარი მზეო გოგოჭური.**



**— ქალბატონო მზეო, ვინც თქვენ გიცნობთ, იცის, რომ მწყრალად არასდროს ყოფილხართ მისტიკასთან, მაგრამ მეუღლის გარდაცვალებამ ახალი სივრცეები გახადა თქვენთვის საცნაური და ხელშესახები. გვიამბეთ, როგორ გრძელდება თქვენი ურთიერთობა ვახუშტი კოტეტიშვილთან?**

– მე მაქვს ასეთი განცდა, რომ ვახუშტისთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, გარდაცვლილები ახლობლებს ესიზმრებიან. ამ ფორმით გრძელდება ჩვენ შორის კავშირი. ვახუშტი მესაუბრება, მაძლევს ნიშნებს, რჩევებს, ბევრჯერ მაპოვნინა გამოსავალი. იყო შემთხვევა, მის ნაწერს ვეძებდი, ერთ მნიშვნელოვან ფურცელს ვერ ვპოულობდი, რომელიც ვახუშტის გამზადებული ჰქონდა შენიშვნის სახით წიგნში ჩასამატებლად, მისი დაკარგვა კატასტროფა იყო, არ ვიცოდი, სად იდო. იმავე დღეებში დამირეკა ეთერ თათარაიძემ, რომელსაც ვახუშტი დასიზმრებოდა და ამ ფურცლის ადგილ-სამყოფელი გაგვაგებინა. ეს იყო სასწაული. იყო შემთხვევა, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს გამოგვეცხადა და მკაცრად გამაფრთხილა და მომმართა, რომ ჩემი საქმე მეკეთებინა – „დახატე მზეო, დახატე“, ექოსავით გაისმა მისი ხმა და მართლაც, დღემდე ჩემს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხატვა და ალბათ, ასე იქნება მომავალში. ემოციურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ერთი უაღრესად საინტერესო ფაქტი, კერძოდ ის, რომ ლექსი გამომიგზავნა „იმ ქვეყნიდან“.

**— როგორ?**

– თურმე ადვილი ყოფილა... ჩემს რძალს, ნათია დევდარიანს, რომელიც ვახუშტის ძალიან უყვარდა და მოფერებით „პეპელას“ ეძახდა, დაესიზმრა, რომ მისი სახელი დაუძახა და ქაღალდზე დაწერილი ლექსი გადასცა, მზეოს მიეციო. ნათიამ გაშალა ლექსი და მის თვალწინ წაიკითხა ხმამაღლა, გამაღვიძა და მითხრა, – ჩქარა გაიღვიძე, ვახუშტიმ ლექსი გამოგიგზავნა და წაგიკითხავ, სანამ დამავიწყდაო. ასეთი შთამბეჭდავი ამბავი როგორ დაავიწყდებოდა. დღეს ყველამ ზეპირად ვიცით ის ლექსი, რომელიც ვახუშტიმ გარდაცვალების შემდეგ მომიძღვნა. ჩემს ახლობლებს დაესიზმრათ და ახალი ლექსი წაუკითხა. ჩემთვისაც და ჩემი ახლობლებისთვისაც უცხო იყო მისი ეს პოეზია, ამავე დროს, მაღალმხატვრული. იმ სიზმრებიდან მიღებული შთაბეჭდილებები დღემდე მომყვება, გაოცებული ვარ, საიდან მოდის ეს ხმა, გინდაც სად თხზავს ამ საოცარ ლექსებს და თარგმანებს. ალბათ, განაგრძობს „იქ“ სადღაც თავის მოღვაწეობას. ფაქტია, არსებობს ის შემოქმედებითი სამყარო, სიცოცხლეზე აღარაფერს ვამბობ. არანაკლებ საინტერესოა ჩემი თანაცხოვრება ვახუშტისთან გარდაცვალების შემდეგაც.



**— მის დამსახურებად ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი პოეტური შემოქმედება ლირიკის ფარგლებს გასცდა?**

– ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი, თუმცა ეს არ იყო ჩემს შემოქმედებაში სერიოზული განაცხადი, რასაც დღევანდელ ლექსებზე ვერ ვიტყვი. ჩემგან გაუცნობიერებლად ახლობელი გახდა მანამდე უცნობი სამყარო, სადაც პოეზიის თემატიკაც სიკვდილ-სიცოცხლის გარშემო ტრიალებს. როცა ვახუშტის სიზმრებსა თუ ხილვებში, ვგრძნობ, რომ მეძლევა შემოქმედებითი იმპულსები. იმ დღეებში აუცილებლად ვწერ რამეს, რომელიც ზუსტად ვიცი, რომ ეს ვახუშტის მოეწონებოდა.

**— მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ქმართან მისტიკური კავშირი არ გაგიწყვეტიათ, მაინც გახდით ჭორების სამიზნე, გავრცელდა ხმები, რომ თქვენ გათხოვდით.**

– გადავწყვიტე, ერთ-ერთ უცოლშვილო, სხვათა შორის, ახალგაზრდა მამაკაცისთვის უარი არ მეთქვა სიყვარულზე. მილოცვებიც მივიღეთ, მაგრამ, როგორც კი გავაცნობიერე, რომ სხვა ადამიანთან ჩემი ბედის დაკავშირება ვახუშტის დაკარგვას ნიშნავდა, სასწრაფოდ შევცვალე გადაწყვეტილება. მადლობელი ვარ იმ ადამიანის, რომელიც გაგებით მოეკიდა ამ უცნაურ შემთხვევას და ძალიან კულტურულად დავშორდით. ეს ადამიანი ჩემი ოჯახის წევრებთან მეგობრობას განაგრძობს და ერთმანეთს პატივს ვცემთ.

**— რაკი ჩემი რუბრიკა ამოუცნობ მოვლენებსა და მისტიკას ეხება, მინდა გკითხოთ, — ვახუშტიმ რაიმე ხომ არ მიგანიშნათ თქვენი პირადი ცხოვრების ცვლილებაზე?**

– მიმანიშნა, გადაწყვეტილების მიღებამდე და შემდეგ... ჩემმა მულმა ნანა კოტეტიშვილმა არ იცოდა, რომ ჩემი გათხოვება ჩავშალე და დაესიზმრა, რომ ვახუშტი საკუთარ სახლში ილებდა სტუმრებს, რომლებიც ნანასათვის გაუგებარ ამბავს ულოცავდნენ. ვახუშტი ამ მილოცვებს ილებდა და იწვევდა იმ სუფრასთან, სადაც დიასახლისი მე ვიყავი. სასწაული ის არის, რომ როცა ნანამ სიზმარი მიამბო, იქვე აუცხადდა, რადგან გათხოვება, რომელსაც მილოცავდნენ, ჩავშალე. ასევე, დაესიზმრა ჩემს მეგობარს ვახუშტი, რომელმაც არ იცოდა ჩემი გადაფიქრებული ქორწინების ამბავი, დაესიზმრა ვახუშტი, რომელსაც ასაფლავებდნენ და ის კი მოულოდნელად წამოდგა და გაოცებულ ჭირისუფლებს უთხრა, მკვდარი აღარ ვარ, ახლა გავცოცხლდიო. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის სიმარტოვისთვის არ ვემეტებოდი, ალბათ, განიცდიდა ჩემს დაკარგვას. ამიტომ არასდროს ვინანებ მარტო დარჩენას და არც არასდროს ვთვლი თავს მარტოსულად, რადგან, გარდაცვალების მიუხედავად, ჩვენ კვლავ ერთად ვართ.

**— თქვენს ფერწერაში იმძლავრა მისტიკურ-რელიგიურმა თემებმა, ეს ზეძალის კარნახით ხდება, თუ თქვენი სურვილია.**

– მე არ ვიცი, როგორ განვასხვავო ზეძალის კარნახი ჩემი სურვილისგან, არ ვიცი, სად გადის ზღვარი, თუ რაიმე კარგად გამომდის და მას რაიმე ღირებულება აქვს, მაშინ დავარქვათ ზეძალის ჩარევა, რაც ვერ გამომდის, ის ხომ არც იქმნება. არ ვიცი, რა დავარქვა ამ მოვლენას, ხილვა თუ... ამას წინათ ვნახე, თითქოს მაღალი შენობიდან გადავცქეროდი იერუსალიმს, უხილავის ხელი მიმითითებდა იერუსალიმის მთავარი ტაძრის მოოქროვილ გუმბათზე, – ესენი ხატეო. ძალიან მინდა მალე შევასრულო ეს მითითება.

## 23-29 მაისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობის თვალსაზრისით მიმდინარე კვირა საკმაოდ პერსპექტიულია. შესაძლოა, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც ისე არ ცხოვრობს, როგორც თქვენ: სხვა წრე, სხვა ინტერესები. ამის მიუხედავად, ურთიერთობა აეწყობა, ოღონდაც, სიფრთხილე მაინც არ დაივიწყოთ, რათა საბოლოო ჯამში, გულნატკენი არ დარჩეთ.

**სამსახური** – ცოტა კიდევ მოითმინეთ, სულ მალე სიტუაცია თქვენთვის სასიკეთოდ შეიცვლება.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 მაისი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – არც ისე კარგი დროა საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისთვის. ხელისშემშლელ ფაქტორად წარსულში დაშვებული შეცდომები მოგევლინებათ. მაგალითად, შეცდომები კვლავ წამოტივტივდება, ან გამოჩნდებიან ამ შეცდომებთან კავშირში მყოფი ადამიანები. და რა უნდა გააკეთოთ? არ დაივიწყოთ ის, რაც იყო, თუმცა ნურც სასოწარკვეთას მიეცემით. რატომ უნდა უმტკიცოთ ვინმეს რამე, როცა ყველაფერი უკვე ჩავლილია?!

**სამსახური** – მოგიწევთ, ხელქვეითის როლს ცოტა ხნით კიდევ შეეგუოთ.

**სასიკეთო დღეები:** 25, 29 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 მაისი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – რაღაც დროის მანძილზე ოჯახური ცხოვრება ლამის ზღაპრად გადაიქცევა. დატკბით ყოველი წამით, რათა შემდგომში გასახსენებელი მაინც გქონდეთ. რაც მთავარია, ზღაპრული ელფერი ექნება არა მხოლოდ პირად ცხოვრებას – მომავალი ძალიან ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთ. ჭკვიანურად მოიქცევით, თუ მიღებულ გამოცდილებას გაითავისებთ.

**სამსახური** – შემოქმედებითი მუშაობისთვის ბრწყინვალე დროა, რაც შეეხება რუტინულ სამუშაოს და მოვალეობის შესრულებას, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ამბები გელით.

**სასიკეთო დღეები:** 27 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მაისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ნახშირმჟავას მარილი
2. მწნილი
3. თხევადი ფორმის წამალი
4. გამოკლების ნიშანი
5. მსახიობი დოდო ...
6. ხილი
7. იაპონური ჯუჯა ხე
8. მდინარე ზემო იმერეთში
9. „... ჯადოსნური ლამპარი“
10. მალარიის სამკურნალო პრეპარატი
11. წყლის ტრანსპორტი
12. იგავი „მგელი და ...“
13. არგენტინული ცეკვა
14. ანწლი, აშარი
15. დიეგო არმანდო ...
16. ნადირობის ქალღმერთი
17. ცუდი ამინდი
18. მომღერალი კრისტინა ...
19. სიყვარულის ქალღმერთი
20. ფარაონის სამარხი
21. ბაშკირეთის დედაქალაქი
22. მსახიობი ... ჰაიეკი
23. მსახიობი ... სარალიძე
24. ტყის მასივი ციმბირში
25. ტრანსპორტის სახეობა
26. მდინარე აღმ. საქართ.
27. მომღერალი ფილიპ ...
28. მხ/ფ „განგაში“ პერსონაჟი
29. მსახიობი ედრიან ...
30. წყლის ტრანსპორტი
31. მსახიობი ... ბელუჩი
32. იგავი „კატა“ და ...
33. პურის საცხობი კახეთში
34. პორტი საქართველოში
35. მსახიობი ედვარდ ...
36. მსახიობი ... კერტისი
37. 100 კაპიკი
38. მხატვარი კამილ ...
39. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
40. მსახიობი ... ჯიროტი
41. იტალიური ყველი
42. ქართ. საესტრადო ანსამბლი
43. პინოქიოს ავტორი
44. ქალაქი საფრანგეთში
45. ფურცელი წელიწადის დღეებით
46. მომღერალი ... მენაბდე
47. ზამბახი
48. ნიანგის სახეობა
49. აქილევსის ...
50. მსახიობი ... ბანა
51. მსახიობი ... ბესინჯერი
52. პიპინიას შვილიშვილი
53. თვალის ფერადი გარსის ანთება
54. ანწლი
55. ტროპიკული ნაყოფი
56. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
57. დრამატურგი ჰენრიკ ...
58. კონდახიანი მშვილდისარი
59. მსახიობი ჰოლი ...
60. რას ადგამენ ხარებს კისერზე
61. ტროპიკული ნაყოფი
62. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
63. მისი დედაქალაქია ოსლო
64. მოუხარშავი
65. ერეკლე მეორის ვაჟი
66. მსახიობი ... ასანტე
67. ... აღმართს ხნავს
68. ფარული დაცინვა
69. პოეტი ... გრიშაშვილი
70. იჩქარე ...
71. მსახიობი კიანუ ...
72. ქალაქი ანტიკ. საბერძ.
73. ხორცმეტი
74. ჭამის სურვილი
75. მსახიობი ია ...
76. შინაური ცხოველი
77. ცეცხლის ენა
78. თევზის წვნიანი
79. მომღერალი ... მატიე
80. სომეხი რევოლუციონერი
81. გიტარის მავთული
82. ქალაქი დახრილი კოშკით
83. მეცნიერება ადამიან. აგებულებაზე
84. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
85. მსახიობი ჯულიეტა ...
86. ქრისტიანთა წმინდა თასი
87. მომღერალი ... ჯონი
88. უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური
89. ქალაქი საფრანგეთში
90. რაჯ კაპური ფილმში
91. მშვილდით სასროლი ჯოხი
92. დოსტოევსკის რომანი
93. კომპოზიტორი ... პაულსი
94. გმირი ჯუზეპე ...
95. ოტო ... ბისმარკი
96. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
97. ნილოსის რეპტილია
98. ალბანეთის დედაქალაქი
99. მზის სისტემის პლანეტა
100. ფედერიკო გარსია ...
101. ბოშათა საბჭოთა თეატრი
102. კურორტი ბულგარეთში
103. ანტილოპას სახეობა
104. დიდი ქვა
105. სტადიონი რიოში
106. მხ/ფ „... წყნეთელი“
107. მწერალი ... იოსელიანი
108. მსახიობი კრისტიან ...
109. მხატვარი ... გრეკო
110. „სამგროშიანი ...“
111. იალქანი
112. კვანძი, ანუ ...
113. დაღესტნური სოფელი
114. მისი დედაქალაქია ტოკიო
115. პარკოსანი მცენარე
116. შვედური ხურდა ფული

პასუხები: 1. კარბონატი; 2. მარინადი; 3. მიქსტურა; 4. მინუსი; 5. აბაშიძე; 6. ქლიავი; 7. ბონსაი; 8. ძირულა; 9. ალადინის; 10. ქინაქინა; 11. ნავი; 12. კრავი; 13. ტანგო; 14. როკაპი; 15. მარადონა; 16. დიანა; 17. ავდარი; 18. აგილერა; 19. აფროდიტე; 20. პირამიდა; 21. უფა; 22. სალმა; 23. ტრისტან; 24. ტაიგა; 25. ველოსიპედი; 26. ქსანი; 27. კირკოროვი; 28. ფოთოლა; 29. ბროუდი; 30. ბორანი; 31. მონიკა; 32. ლომი; 33. თონე; 34. ფოთი; 35. ნორტონი; 36. ტონი; 37. მანეთი; 38. კორო; 39. ნანუკა; 40. მასიმო; 41. მოცარელა; 42. „ივერია“; 43. კოლოდი; 44. ავინიონი; 45. კალენდარი; 46. მანანა; 47. ირისი; 48. კაიმანი; 49. ქუსლი; 50. ერიკ; 51. კიმ; 52. აკიმი; 53. რქოვანა; 54. ავი; 55. ბანანი; 56. არამეული; 57. იბსენი; 58. არბალეტი; 59. ბერი; 60. უღელი; 61. ანანასი; 62. მირაჟი; 63. ნორვეგია; 64. უმი; 65. ფარნაოზი; 66. არმან; 67. ძალა; 68. ირონია; 69. იოსებ; 70. ნელა; 71. რივზი; 72. სპარტა; 73. პაპილომა; 74. მადა; 75. ნინიძე; 76. თხა; 77. ალი; 78. უხა; 79. მირეი; 80. კამო; 81. სიმი; 82. პიზა; 83. ანატომია; 84. ახალუხი; 85. მაზინა; 86. გრაალი; 87. ელტონ; 88. ხმიადი; 89. ლიონი; 90. „ავარა“; 91. ისარი; 92. იდიოტი; 93. რაიმონდ; 94. გარიბალდი; 95. ფონ; 97. ნიანგი; 98. ტირანა; 99. ვენერა; 100. ლორკა; 101. „რომენი“; 102. ვარნა; 103. კანა; 104. ლოდი; 105. „მარაკანა“; 106. მაია; 107. ოტია; 108. სლეიტერი; 109. ელ; 110. ოპერა; 111. აფრა; 112. ნასკვი; 113. აული; 114. იაპონია; 115. ბარდა; 116. ერე. იკითხება: ბრიუს უილისი. ჯეკ ნიკოლსონი. რობერტ რედფორდი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. შეია-რაღე-ბული დაცვა
2. დათვის ზამთრის ძილი
3. ალაოს შაქარი
4. სიტყვა სიტყვების პირველი ასოებით
5. გულის მთავარი სისხლ-ძარღვი
6. პოეტი ... კალანდაძე
7. ბრემ სტოკერის ნაწარ-მოები
8. რე-ჟისორი რობიკო ...
9. ბარდი ... ოკუჯავა
10. მო-ხეტიალე ცირკის შენობა
11. ხილი
12. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
13. მხ/ფ „101 ...“
14. მხ/ფ „... კაკალი“
15. რუს მეფეთა დინასტია
16. ხელის ერთფე-ლიანი საწიდარი
17. უძრავი ქონების შესყიდვ. ფორმა
18. მსახიობი ... რაიანი
19. იდეა
20. დი-ზაინერი ... ბერგერი
21. მსახიობი ... მუტი
22. ყვავილი
23. ეს-ტონეთის დედაქა-ლაქი
24. მსახიობი ... იოჰანსონი
25. მომ-ღერალი ... კაასი
26. მსახიობი ... ფერაძე
27. ნოტ-დოს ძველი სახელწ.
28. შტატი აშშ-ში
29. კბილის დამცავი ფენა
30. ღობე
31. მწერალი ჯერომ ... ჯერომი
32. კოვზი, დანა, ...
33. მსახიობი ელიზაბეტ ...
34. ორი ათეული
35. აერო-პორტი პარიზში
36. დიდი ჩაქუჩი
37. ტაილანდის ძველი სახელწ.
38. მოსა-პირკეთებელი ქვა
39. ძვირფასი ლითონი
40. სლავური ანბანი
41. უფლის სამოსი
42. ნავთობ-მზიდი გემი
44. ჯილდო: სამკერდე ნიშანი
45. დედამიწის გუმბათი
45. ფრანგი ქიმიკოსი ანტუან ...
46. კონტი-ნენტი
47. მსახიობი ჩაკ ...
48. რე-ჟისორი ალფონსო ...
49. სპორტ. გადაცემის წამყვანი
50. ვიტამი-ნების ნაკლებობა
51. იაპონური თეატრი
52. ტალახი
53. მწერალი ... იოსელიანი
54. რე-ჟისორი ... სკოტი
55. სომხური გვარის ნაწილაკი
56. ესპანელი დიდებული
57. „... ოკეანის საიდუმ-ლოება“
58. მსახ. ... ჯიგარ-ხანიანი
59. მგალობელი ფრინველი
60. გამაგ-რილებელი სასმელი
61. ძვირფასი ქვა
62. მარჯნის კუნძული
63. ზღვა. მდებარეობს კუნძული სახალინი
64. იალქანი
65. მხატვრის ფუნჯი
66. ტრანს-პორტის სახეობა
67. დღე ხვალის შემდეგ
68. ფედერიკო გარსია ...
69. ნიშნავს საშუალოს
70. მსახიობი ჯენიფერ ...
71. მსახიობი ... საკან-დელიძე
72. მკვეხარა
73. ... ხრენნი-კოვი
74. მდინარე პარიზში
75. შებოლილი ხორცი
76. მსახიობი სვეტლანა ...
77. უნი-ვერსი-ტეტი ... მატერი
78. იმრე კალმანის ჟანრი
79. წყალსა-ცავი აზერბაი-ჯანში
80. ... ანანიაშ-ვილი
81. მო-კრივე მაიკლ ...
82. ცისა-რტყელას ფერი
83. მსახიობი ... ნოლტი
84. მსახიობი ... შეპარდი
85. რაიმეზე წარდგე-ნილი ადამიანი
86. მორბე-ნალი ფრინველი
87. „ჯერ ..., მერე ხტომა“
88. სომეხი რევოლუ-ციონერი
89. ზლოტის მეასედი
90. იუველირი ჟან ...
91. მტაცებელი ფრინველი
92. ებრაული ენა
93. კომ-პოზიტორი ... პაულსი
94. მჭევრ-მეტყვე-ლება
95. მსახიობი ... გარსია
96. დასა-რტყამი საკრავი
97. დღის დასა-წყისი
98. ფარული დაცინვა
99. მუსიკალ. ტემპი
100. რე-ჟისორი ... ვან სენტი
101. ბრონტე. „ჯეინ ...“
102. ... გათეთრ-დების ყორანი
103. გრაფი „მონტე-...“
104. მსახ. ... ფრეინდ-ლიხი
105. ბოლოკის სახეობა
106. მდინარე შორეულ აღმოსავლ.
107. სიყვა-რულის ქალღ-მერთი
108. ...-დე-ჟანეირო
109. ... მურომეცი
110. გარეული ცხვარი
111. მსახიობი ჟან ...
112. ფირმა ...-პარი
113. რომის პაპის გვირ-გვინი
114. ქვა-ნახშირის აუზი გერმა-ნიაში
115. მხ/ფ „... კონგე-ნიალუ-რობა“
116. ... კუზანოვი
117. ნაბიჯი ბალეტში
118. საბ-ჭოთა თვითმფრ. მარკა
119. ეპოქა
120. მწვანი-ლების შეკვრა
121. სამკურ-ნალო მცენარე

პასუხები: 1. ბადრაგი; 2. ანაბიოზი; 3. მალტოზა; 4. აბრევიატურა; 5. აორტა; 6. ანა; 7. „დრაკულა“; 8. სტურუა; 9. ბულატ; 10. ბალაგანი; 11. გარგარი; 12. ომეგა; 13. დალმატინელი; 14. კერკეტი; 15. რიურიკი; 16. ურიკა; 17. გირაო; 22. ია; 23. ტალინი; 24. სკარლეტ; 25. პატრიცია; 26. გია; 27. უტ; 28. კენტუკი; 29. ემალი; 30. მესერი; 31. კლაპკა; 32. ჩანგალი; 33. მასტრანტონიო; 34. ოცი; 35. ორლი; 36. ურო; 37. სიამი; 38. მარმარილო; 39. ოქრო; 40. კირილიცა; 41. კვართი; 42. ტანკერი; 43. ცა; 44. მედალი; 45. ლავუაზიე; 46. ევროპა; 47. ნორისი; 48. არაუ; 49. კომეტა; 50. ავიტამინოზი; 51. ნო; 52. ტლაპო; 53. ოტია; 54. რიდლი; 55. ტერ; 56. იდალგო; 57. ორი; 58. არმენ; 59. იადონი; 60. ბურახი; 61. საფირონი; 62. ატოლი; 63. ოხოტი; 64. აფრა; 65. ყალამი; 66. მოპედი; 67. ზეგ; 68. ლორკა; 69. მეცო; 70. ენისტონი; 71. კარლო; 72. ბაქია; 73. ტიხონ; 74. სენა; 75. ბეკონი; 76. ტომა; 77. ალმა; 78. ოპერეტა; 79. მინგეჩაური; 80. ნინო; 81. ტაისონი; 82. იისფერი; 83. ნიკ; 84. სემ; 85. კანდიდატურა; 86. სირაქლემა; 87. შრომა; 88. კამო; 89. გროში; 90. შარდენი; 91. ქორი; 92. ივრითი; 93. რაიმონდ; 94. რიტორიკა; 95 ენდი; 96. დოლი; 97. დილა; 98. ირონია; 99. მოდერატო; 100. გას; 101. ეარი; 102. არ; 103. კრისტო; 104. ალისა; 105. თალგამი; 106. ამური; 107. აფროდიტე; 108. რიო; 109. ილია; 110. არხარი; 111. რენო; 112. ისი; 113. ტიარა; 114. რური; 115. მის; 116. ივა; 117. პა; 118. „ტუ“; 119. ერა; 120. კონა; 121. ალოე. იკითხება: რობერტ დე ნირო. კლინტ ისტვუდი. მეთ დეიმონი.

Facebook ამბები



ნესტან აბდუშელიშვილი, ექიმი

საქართველოში არჩევნებისთვის ვემზადებითო

ნწ! არაფრისთვისაც არ ეზადებიან.

თავის გადასარჩენად, კი, ფაცი ფუცობენ. კედლებს ეხეთქებიან და ტირიან. ტირილი საერთოდ ოლიგოფრენების საფირმო ბრენდია. მოთქმა და გოდება. ხო, და შიში. საქმე არჩევნებს არ ეხება. არანაირი კავშირი არჩევნებთან არა აქვს ბიძინას.

მისთვის მთავარია ხელშეუხებლობის მინიმალური გარანტია მაინც.

მისი უსაფრთხოების მთავარი გარანტი კი შესაწვავად ყავთ გამზდებული, აქვე 500 — 600 კილომეტრში. გარანტს გაზიც კი აღარ დარჩა მსოფლიოს გასაცურებლად,

ჰო, გარანტიები. ამ გამოშლეგებულმა ისეთი რამ ჩაიდინა, რაც აქანე, ჭორვილაში დიდ ჩაუქობად ჩაეთვლებოდა, მაგრამ...

აი პარიზის მეცამეტე რაიონში კი, მის მორიგ ცოლს, ეს ძალიან არ მოეწონა და პირდაპირ პროკურატურაში გაქანდა, შერყვნილი ქალწულობა აღმიდგინეთო. და თავის გამწარებულ ყმაწვილ ქალობაზეც იტირა.

ჩაიღიმებს ბრძენ კაცი და ევროპას ენას გამოუყოფს.

მაგრამ ეს მის შლეგ ფანტაზიებშია მხოლოდ ხელშეუხებელის სტატუსი.

ეგეთები დაუკითხიათ და უწამებიათ კრუასანებით და ყავით?

რამდენიც გინდა.

თან მწარედაც დაცინებენ და პავლოვასთან ოჯახის თავიდან შექმნას აიძულებენ. ასეთი პირსისხლიანები არიან ფრანგები. და დაუნდობლები. გამხეცებულ პავლავასთან კი ჩემი მტერი შევიდა სპალნაში. სწორედ ეს იცის ბრძენმა.

ამიტომ ეშინია.

არსად გარანტია, არსით ძახილი!




თამაზ ჭეიშვილი

მე, მაგალითად, მიყვარს ქალები, უუხ, ძალიან მიყვარს და არც ვმალავ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს ავდგე ეხლა და ეს ჩემი ინტიმური ემოციები გვირაბების და სახლის კედლებზე დავიტანო! აი მას, რასაც პიდარასტები აკეთებენ ერთი სახელწოდება აქვს -„პიდარასტული შანტაჟი!“

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რომელი მანქანა ფუჭდება შეძენიდან პირველ სამ თვეში?



ამერიკული საავტომობილო სააგენტო „ჯეი დი ფაუერის“ სპეციალისტების მტკიცებით, უპრობლემო ავტომობილი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. საშუალოდ, ყოველ ახლად გამოშვებულ მანქანას, ხშირად უმნიშვნელო, მაგრამ ერთი გაუმართაობა პირველ სამ თვეში აუცილებლად აღმოაჩნდება ხოლმე. უფრო რომ დავაზუსტოთ, ყოველ 100 ავტომობილზე 109 პრობლემა მოდის, თანაც, ეს მხოლოდ საშუალო მაჩვენებელია და რაღა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე მარკა, რომელთა პრობლემებიც გაცილებით მასშტაბურია.

საინტერესოა ამერიკელი სპეციალისტების კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც, შეხედულება: „იაპონური ხარისხი“, „გერმანული ხარისხი“ და ასე შემდეგ, უსაფუძვლოა. მაგალითად, „მიცუბიშის“ ყოველ 100 ავტომობილზე შეძენიდან პირველ სამ თვეში 146 პრობლემა მოდის, „ფოლკსვაგენის“ 100 მოდელზე კი – 135. ანუ ავტომობილის „ეროვნებას“ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და სავსებით შესაძლებელია, ყველაზე პოპულარულ მოდელს უამრავი პრობლემა აღმოაჩნდეს. მაგალითად, „იაგუარის“ 100 ავტომობილზე 130 პრობლემა მოდის, „ლენდ როვერის“ უარყოფითი მაჩვენებელი კი 170-მდე „ქაჩავს“.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ შემდეგ ავტომწარმოებლებს: „პორშე“ – 83 პრობლემა; „აკურა“ – 86 პრობლემა; „მერსედეს-ბენცი“ – 87; „ლექსუსი“ – 88; „ფორდი“ – 93; „ჰონდა“ – 95.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ადამიანის ორგანიზმში აღმოჩენილია... მარიხუანა



ფაქტობრივად, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე პერიოდი, როცა აკრძალული ხილის გასინჯვის სურვილის დაძლევა შეუძლებელია და ერთ-ერთი პირველი ასეთი „ხილი“ მარიხუანაა.

ბოლო აღმოჩენა, თანაც ძალიან სასარგებლო აღმოჩენა, რომელიც ამერიკელ და იტალიელ მეცნიერებს ეკუთვნით, ვფიქრობთ, ბევრისთვის უცნობი იქნება და ჩვენც ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ:

როგორც აღმოჩნდა, ნებისმიერი ადამიანის ტვინში გამომუშავდება ნივთიერება, სახელწოდებით – ანდანდამინი, რომელიც თავისი თვისებებით სწორედ მარიხუანას ჩამოჰგავს.

სპეციალისტების თქმით, ანდანდამინი ენდოგენური ნივთიერებაა, რომელსაც თავად ორგანიზმი გამოიმუშავებს და ანალგეტიკური, ანტიდეპრესიული და მღელვარების დასაცხრომი თვისებებით ხასიათდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, თავად ორგანიზმი განსაზღვრავს, როდის სჭირდება ადამიანს გაბრუება, მოდუნება და ასე შემდეგ და სულაც არ არის საჭირო ასეთი შედეგების მისაღებად საკუთარ თავს „ხელი წავაშველოთ“, მით უმეტეს, უკიდურესად სახიფათო ნივთიერებებით.

ექსპერიმენტის ფარგლებში, რომელიც ანდანდამინის სასარგებლო თვისებების დასამტკიცებლად ჩატარდა, მეცნიერებმა ნივთიერება აგრესიულ ლაბორატორიულ თაგვებს შეუყვანეს და სულ მალე დაადგინეს, რომ მათი აღგზნებადობა მოკლე ხანში მიინავლა.

– ყოველგვარი ზედმეტი ზემოქმედებების გარეშე, ადამიანის ორგანიზმი თავად განსაზღვრავს, როდის არის საჭირო მოსადუნებელი ნივთიერებების გამომუშავება. ამასთანავე, ანდანდამინს ავთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნების განვითარების პროცესის შეფერხებაც შეუძლია, – ამტკიცებენ ამერიკელი და იტალიელი მეცნიერები, დასკვნა კი თავად გამოიტანეთ – იქნებ, მარიხუანის, ამ საშიში მცენარისკენ გახედვაზეც უარი თქვათ?..

*mainfun.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## კოცნის სასარგებლო თვისებები



რთულია იმის ახსნა, რატომ არის, რომ ადამიანისთვის ბუნებისგან საკვების საყლაპავად მინიჭებულ ნაწილს ყველა ისეთ ექსტაზამდე მიჰყავს, რომ კოცნის გარეშე სიყვარულის არც ერთი ისტორია არ ვითარდება.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ძველი ხალხი მიიჩნევდა, რომ კოცნის დროს ადამიანი პარტნიორს საკუთარი სულის ნაწილს აძლევს. მაგალითად, სიყვარულის ინდურ წიგნებში კოცნა წარმოჩენილია როგორც ერთგვარი კოსმიური ფენომენი, როცა შეყვარებული წყვილი რაღაც უხილავისკენ და გამოუცდელისკენ მიილტვის.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა კულტურაში კოცნის აღქმა ერთმანეთისგან განსხვავებულად ხდებოდა. ასე მაგალითად, ვიქტორიანული ეპოქის ინგლისში კოცნა ყოველდღიური ცხოვრებიდან, მათ შორის, ინტიმურიდანაც, პრაქტიკულად, მთლიანად იყო ამოღებული. ცოლს სრული უფლება ჰქონდა, ქმრის ვნებიან კოცნაზე გაბრაზებულიყო, რადგან მორალის ნორმები მას ასწავლიდა, რომ ცოლქმრული სიახლოვე მხოლოდ მემკვიდრეების დასატოვებლად აეტანა. ყველაფერი მოდერნის ეპოქის დასაწყისიდან შეიცვალა.

ცნობილი ფაქტია, რომ კოცნა მხოლოდ ემოციებზე არ მეტყველებს. პირის ღრუს ლორწოვან გარსში მდებარე ეროგენული ზონების სტიმულირებით ის სექსუალურ სურვილებსაც აძლიერებს. მაგრამ ყურადღებით! ადამიანი, რომელსაც კოცნის ხელოვნება კარგად აქვს შესწავლილი, საწოლში ყოველთვის ვერ ამართლებს.

სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად: მეცნიერულად არის დამტკიცებული კოცნის სამკურნალო ეფექტი. კერძოდ, ჩიკაგოს სტომატოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ კოცნისას ნერწყვის გამოყოფის გაძლიერება, რასაც კალციუმისა და ფოსფორის დონის მატება მოსდევს, შესანიშნავი პროფილაქტიკაა კარიესის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სპეციალისტები კოცნას პროფილაქტიკური აცრის ვარიანტადაც ასახელებენ: ერთი ადამიანის პირიდან მეორეს პირის ღრუში მოხვედრილი ბაქტერიები ორგანიზმის წინააღმდეგობის დონეს ზრდის, ანუ ხდება ე.წ. „ჯვარედინი იმუნიზაცია“. გარდა ამისა, კოცნის დროს მუშაობს ტუჩისა და ენის 31 კუნთი. კოცნა 1 წუთის განმავლობაში იმდენსავე კალორიას წვავს, რამდენიც 500-მეტრიანი მანძილის სირბილით დაფარვისას იწვება. ამასთანავე, კოცნისას სახის კუნთების შეკუმშვა კანს სისხლით უკეთ ამარაგებს, რაც ნაოჭების ნაადრევი გაჩენის ალბათობას ამცირებს.

*woman.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იყო შემოქმედებითი ადამიანი... სახიფათოა?



– მუდმივი დაძაბულობა, ქრონიკული სტრესი, ნერვიულობა, – ეს იმ უსიამოვნებების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლითაც ფსიქოლოგები შემოქმედებითი ადამიანების ცხოვრებას ახასიათებენ.

რაღა თქმა უნდა, არავინ ივიწყებს მათ წარმატებებს, რასაც დადებითი ემოციებიც მოსდევს, მაგრამ, ვიდრე ადამიანი სასურველ შედეგს მიიღებდეს, ის მთელ ძალებს კარგავს, ფსიქოლოგიურად იფიტება და რეაბილიტაციისთვის რამდენიმე თვეც კია საჭირო.

– იმ ნიჭის გამო, რომლის წყალობითაც ადამიანი პოპულარული ხდება, „გადასახადი“ ძალიან დიდია: გაურკვევლობა ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან და ბოლოს – ფსიქოლოგიური აშლილობა, – ამტკიცებენ ფსიქოლოგები.

ასეთი დასკვნა სპეციალისტებმა გამოკითხვის ჩატარების შედეგად გამოიტანეს, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ შემოქმედებითი ადამიანები უდიდესი შინაგანი წნეხის ქვეშ ექცევიან. გარდა ამისა, გამოიკვეთა კიდევ ერთი ნეგატიური მომენტიც – ისინი, ვინც შემოქმედებით საქმიანობას სახლში ეწევიან, შეუთავსებლის შეთავსებას ცდილობენ – სამუშაოს და სახლის საქმეებს.

– ასეთი მოვლენის შედეგია კონფლიქტი ვალდებულებებსა და პირად ცხოვრებას შორის, რაც ხშირად, განქორწინებებითაც კი სრულდება ხოლმე, – განმარტავენ ფსიქოლოგები.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ისრაელში მოხუცების კანისგან ადამიანის... გულის შექმნას ცდილობენ




„გულის შექმნა“ კი ძალიან უცნაურად ჟღერს, მაგრამ გაცილებით უცნაური და სენსაციურია თავად ექსპერიმენტების შინაარსი.

საინტერესოა, რომ უკვე არსებობს ადამიანის უჯრედული მასალისგან მიღებული საკვების მომნელებელი ტრაქტის ქსოვილები, ახლა კი მეცნიერები გულსაც მიუახლოვდნენ.

პირველად მსოფლიოში, მედიკოსებმა გულის კუნთის ცოცხალი, ჯანმრთელი ქსოვილის მიღება შეძლეს, რისთვისაც მათ გულის უკმარისობის მქონე და მიოკარდის ინფარქტგადატანილი პაციენტების კანის უჯრედები გამოიყენეს. ექსპერიმენტები ისრაელში ჩატარდა და შედეგებით ყველა კმაყოფილია, თუმცა იმისთვის, რათა მეთოდი კლინიკურ პრაქტიკაში იქნეს გამოყენებული, კიდევ 10 წელია საჭირო.

კვლევებს კარდიოლოგიისა და ფიზიოლოგიის პროფესორი ლიორ გეპშტეინი ხელმძღვანელობს ქალაქ ჰაიფას ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრიდან.

მისი განმარტებით, გულის კუნთოვანი ქსოვილების მიღებაზე მუშაობა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს, მაგრამ ექსპერიმენტებისთვის ყველგან ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანების ქსოვილებს იყენებენ. შედეგები, სამწუხაროდ, არცთუ შთამბეჭდავია.

რაც შეეხება ებრაელი მეცნიერების შედეგს, ლაბორატორიულ თაგვებს ხელოვნურად შექმნილი ქსოვილები 24-48 საათში შეეზარდათ.

*kakmed.com*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## აშშ-ის ერთ-ერთ სკოლაში ტრანსსექსუალებისგან თავდასაცავად ბავშვებს გაზის ბალონებს დაურიგებენ



განგაშია! დაიცავით თავი ტრანსსექსუალებისგან! რითი, ეგ აღარ იკითხოთ, ან რატომ, არც ეგ.

ამერიკაში, ჩრდილოეთ კაროლინის ერთ-ერთ სკოლაში ახალი კანონი მიიღეს, რომლის თანახმადაც, მოსწავლეებს უფლება ექნებათ, სკოლაში გაზის ბალონები ატარონ, რათა ტრანსსექსუალებისგან თავი დაიცვან. უცნობია, რატომ გახდა ტრანსსექსუალებისგან თავის დაცვა საჭირო, ან რა საფრთხეს წარმოადგენენ ისინი ბავშვებისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ საწინააღმდეგო ზომების მიღება იგეგმება.

კანონი ძალაში შემდეგ სასწავლო წელს, ზაფხულის არდადეგების შემდეგ შევა.

კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ჩაკ ჰიუზის განცხადებით, ყველა ბავშვს ექნება გაზის ბალონი, რათა თავი დაიცვას. განსაკუთრებით გოგოებს გამოადგებათ, რომლებიც ტუალეტში შესვლისას „გაურკვეველი სქესის ადამიანს“ წააწყდებიან. ალაბამას შტატის ერთ-ერთი სკოლა კი სულაც კონსერვებით აპირებს ტრანსსექსუალებთან გამკლავებას. როდის, ვის, რა დაუშავეს, უცნობია.

მართალია, კომიტეტი დარწმუნებული არ არის, რომ ბავშვები ყოველთვის მიზნობრივად გამოიყენებენ იარაღს, მაგრამ რისკზე მიდიან. ის ბავშვი კი, რომელიც გაზის ბალონს არამიზნობრივად გამოიყენებს, სკოლის ადმინისტრაციის მიერ დაისჯება.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## გამოსაშვებ საღამოზე კატამ პარტნიორი გოგონა ჩაანაცვლა



ეგლა მაკლია სკოლის ბანკეტის დღე ჩავიშხამო და არ გავერთოო, ბრძანა მერილენდის შტატის ერთ-ერთმა მოსწავლემ და ბანკეტისთვის კატა მოამზადა.

ჩვენი გმირი თურმე, პარტნიორის გარეშე დარჩა. მთლად მარტოკინა კაკალა დარჩენაც არ უნდოდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იჭმუნა, ადგა და თავისი კატა ვარდისფერი კედებითა და კაბით მორთო, თავადაც ვარდისფერი ბაფთა დაიმაგრა და კამერის წინ იპოზიორა. ერთი ხანობა იმაზეც დაფიქრდა, ბარემ ჩემთან ერთად ხომ არ აღვანიშნინო სკოლის დამთავრებაო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ფისუნია მისი კლასელების გარემოცვაში თავს არაკომფორტულად იგრძნობდა და მხოლოდ ფოტოების გადაღებას დასჯერდა. პარტნიორთან ერთად გადაღებული ფოტო სოციალურ ქსელში განათავსა და ერთ საათში 800 ათასზე მეტი მოწონებაც დააგროვა.

მაშა, მაშა, აგრე ვიცის ჯაყომა!

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მანქანის მართვისას ქალი შესაძლოა, სატანად გარდაიქმნას — საუდის არაბეთის დიდი მუფტი



საუდის არაბეთის მთავარი სასულიერო პირის განცხადებით, მანქანის მართვა ქალებისთვის კვლავ აკრძალული დარჩება იმის გამო, „რომ ეს ქალებისთვის საშიშია და შესაძლოა, ამან ისინი ეშმაკებად გადააქციოს“.

ამის შესახებ დიდმა მუფტმა შეიხ აბდულ აზიზ ბინ-აბდულა ალ-შეიხმა ერთ-ერთ რელიგიურ ტელეარხზე გამოსვლისას განაცხადა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თუკი ქალებს მანქანის ტარების უფლება მიეცემათ, ხშირად ოჯახის წევრებს არ ეცოდინებათ, სად არიან ისინი.

ქალთა უფლებები ულტრაკონსერვატიულ ისლამურ ქვეყანაში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ მანქანის ტარება ქალებისთვის ტექნიკურად არაკანონიერი არ არის, საჭიროა მართვის მოწმობა, რომელსაც ქალბატონებისთვის არ გასცემენ.

საუდის არაბეთის დიდი მუფტი არა მხოლოდ ქალთა უფლებებთან, არამედ სხვა მრავალ საკითხთან მიმართებითაც ყოველთვის რადიკალიზმით გამოირჩევა. მაგალითად, მარტში მან საუდის არაბეთში მცხოვრებ მუსლიმანებს ჭადრაკის თამაში აუკრძალა, რადგან, მისი აზრით, ეს თამაში წარმოაჩენს „მტრობასა და შუღლს“.

2014 წელს მუფტმა „ტვიტერი“ „ყოველგვარი ბოროტებისა და განადგურების წყაროდ“ გამოაცხადა.

*daoiesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბოსტონის საავადმყოფოში აშშ-ში პირველად პენისის ტრანსპლანტაცია ჩატარდა



თომას მენინგი აშშ-ში პირველი პაციენტი გახდა, რომელსაც პენისის ტრანსპლანტაცია ჩაუტარეს. გადანერგვა ბოსტონის საავადმყოფოს ექიმებმა ჩაატარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, 64 წლის მენინგის ორგანოს ამპუტირება ონკოლოგიური დაავადების გამო მოხდა.

„მინდა კვლავ ვიყო ისეთი, როგორიც ადრე“, – განაცხადა პაციენტმა.

ორი დღის წინ ექიმებმა მას უკვე ადგომის უფლება მისცეს. ქირურგმა კერტის სეტრულომ, რომელიც მენინგის ექიმების ჯგუფს ხელმძღვანელობდა, განაცხადა:

„ჩვენთვის ეს შეუსწავლელი ნიადაგია“.

პროგნოზის თანახმად, შარდვის ნორმალური პროცესი რამდენიმე კვირაში აღდგება. სექსუალური ფუნქციის აღსადგენად კი რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდეა საჭირო. აღსანიშნავია, რომ ბოსტონის საავადმყოფოში მსგავს ოპერაციას კიდევ ერთი პაციენტი ელოდება. მას პენისი ავტოავარიის შედეგად მიღებული დამწვრობების გამო დაუზიანდა. ექიმების თქმით, ოპერაცია შედგება მაშინ, როდესაც მისაღები დონორი გამოჩნდება. გარდა ამისა, ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ექიმები ავღანეთში დაჭრილი ჯარისკაცისთვის მსგავსი ოპერაციის ჩასატარებლად ემზადებიან. ცნობისთვის, მსოფლიოში პენისის პირველი წარმატებული გადანერგვა სამხრეთ აფრიკაში 2014 წელს ჩატარდა. 2005 წელს მსგავსი ოპერაცია ჩინელმა ქირურგებმა ჩაატარეს, თუმცა მოგვიანებით პაციენტმა ექიმებს ორგანოს ამპუტირება სთხოვა, რადგან ის და მისი მეუღლე ფსიქოლოგიურ პრობლემებს შეეჯახნენ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „ჰარი პოტერის“ პატარა ფანი უნიტაზში თავის ჩარეცხვას ცდილობდა



რა ვიცი, ჩვენს ბავშვობაში რამე ჯადოქრობის მონაწილე რომ ყოფილიყავი, მაგალითად, გოგო ბიჭად გადაქცეულიყავი, ცისარტყელაში უნდა გაგევლო. რამდენად მიაღწევდი ცისარტყელამდე, ან რომც მიგეღწია, რა შედეგს მიიღებდი, ეს სხვა თემაა.

21-ე საუკუნის ბავშვებისთვის ჯადოქრობის სიმბოლოდ ჯოან როულინგის წიგნი, „ჰარი პოტერი“ იქცა. წიგნში კი იმდენი საოცრება წერია, თანაც თითქოს იმდენად ყველასთვის შესაძლებელი, რომ ამერიკელი ბავშვის საქციელი აღარავის გააკვირვებს.

ვიდეო „ფეისბუკის“ გვერდზე გამოქვეყნდა და 1.1 მილიონი მნახველიც მოიპოვა. კადრში ჩანს, როგორ შედის დედა ტუალეტში, სადაც მრგვალსათვალიანი, ხელში ჯოხიანი, უნიტაზზე ამხედრებული საკუთარი შვილი ხვდება, რომელიც თავის ჩარეცხვის მიზნით, დუცხრომლად ასხამს წყალს უნიტაზში.

წიგნის მიხედვით, ჯადოქართა სამინისტროს თანამშრომლები, თავიანთ განსხვავებულ სამყაროში ადამიანთა სამყაროდან უნიტაზში თავის ჩარეცხვით ხვდებოდნენ. ჰოდა, ეს პატარა პოტერიც სწორედ იქ მოხვედრას ლამობდა და ექსპერიმენტს პირდაპირ საკუთარი სახლის უნიტაზში ატარებდა, თანაც სპეციალურ შელოცვებს დასძახოდა, მაგრამ შედეგს რამდენად მიაღწევდა, თავადაც მიხვდებით.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინური IT-კომპანიების თანამშრომლები ზედმეტი სამუშაოს გამო ოფისებში ცხოვრობენ



ჩინეთში სამსახურში დარჩენა და ხშირად ცხოვრებაც კი კომპანიის ეფექტურობისთვის ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა.

40 წლის დაი სანი, რომელმაც კარიერა უბრალო ინჟინერიდან დაიწყო, კვირაში 72 საათი მუშაობდა. 15 წლის შემდეგ კი, მამაკაცმა საკუთარი ბიზნესის წარმოება დაიწყო. პირველი კი, რაც მან გააკეთა, დააარსა სტარტაპი – იყიდა 12 ცალი ორადგილიანი საწოლი თავისი ოფისის თანამშრომლებისთვის.

შესაბამისმა კვლევამ აჩვენა, რომ უმეტესობა ნორმად მიიჩნევს სამუშაო კვირის განმავლობაში ოფისში ცხოვრებას და სახლში მხოლოდ უქმეებზე წასვლას. აღსანიშნავია, რომ რიგითი ჩინელის სამუშაო დღე დილის რვაზე იწყება, ხოლო მეორე სმენის მუშაობის დრო ღამის 2-3 საათზე სრულდება.

*daijesti.pia.ge*

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

## facebook



**გია მაისაშვილი:**

საკუთარი განსაცდელით მატრაკვეცობა არ მსურდა და არ ვწერდი არაფერს, მაგრამ ამდენი სიყვარულისა და მოკითხვის ფონზე უმადურობა არ მსურს და გადავწყვიტე გაგიზიაროთ ის რასაც განვიცდი. 11 დღეღა დარჩა მძიმე შიმშილობის ბოლომდე მისაყვანად. გამარჯვების დღე 31 მაისია. რესურსი თითქმის სრულიად გამოიცალა, მხოლოდ სულიერი ენერგიის ამარაღა ვარ. სრული მობილიზება მჭირდება ამ პოსტის დასაწერად, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს გაზიარების.

გულის რევის ზღვარზე ვარ გამუდმებით, ენერგია აღარ მაქვს, თავი მისკდება, შინაგანი ბრძოლაა, გაუძლებს ორგანიზმი ამდენს? მეყოფა ძალა? შესაძლებელს დასძლევს სხეული და სული, მაგრამ განა შეუძლებელი შესაძლებელია?! მე კი სწორედ მას ვესწრაფვი, მისი სასოება მაქვს. მადლიერებისა და სიყვარულის განცდა მომიმძლავრდა ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანებისადმი. ბედის სასწორზე, ბეწვის ხიდზე გავდივარ, ყველაფერი შესაძლებელია, შემოქმედის ხელშია ყველაფერი. მეორე ადამიანი არ ვიცი ასე გაცემა, დაცლა და მსახურება რომ უნდოდეს და ამის იმედი მაქვს. ამ დროს არ წაგიყვანს იმ ქვეყნად ასე დაუცლელს. ეს რაც მე მაქვს ხომ ჩემი არ არის „მე არ მეკუთვნის, მისი მოცემულია და მის სადიდებლად მსურს მისი გაცემა, გაზიარება. მენანება მისი არ გამოყენება, არ დახარჯვა. შენ მომეცი და შენვე იმსახურე, არაფრის არ მეშინია, მზად ვარ ყველაფრისთვის. სავსე ვარ კვალავაც იმედითა და სასოებით, გეგმებით. 31 მაისია გამარჯვების დღე, სული უკან არ იხევს, ბოლომდე მიყვანა გადაუწყვეტია. ეგ არის მხოლოდ სხეული გაუძლებს თუ ვერა? როგორ ძალიან მსურს საზოგადოებას დავუბრუნდე, მჯერა სიყვარულმა უნდა გაიმარჯვოს. აბა 31 მაისამდე გამარჯვებით ჩემო კარგებო.

თქვენი გია მაისაშვილი.

**ინგა გრიგოლია** – ღმერთო... რა უსამართლობაა. ასეთი ენერგიული და სიცოცხლით სავსე კაცი(((((((((((( როგორ მინდა გაუძლოს და გამოჯანმრთელდეს.. ასეთ ისტორიებზე ცხოვრების უსამართლობის განცდა მაგიჟებს ხოლმე...

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქალღმერთის მშვილდი უდაბნოში
2. შებოლილი ხორცი
3. სტუდენტის ხელფასი
4. მომღერალი რაფაელა ...
5. ევროპორტი პარიზში
6. აკრძალვა ეპიდემიის დროს
7. იაპონელი თვითმკვლელი
8. ავგუსტინიანი შემადგენლობა
9. ეკვადორის დედაქალაქი
10. ყვავილი
11. თვალის გუგა
12. რეჟისორი ფრანკო ...
13. ძალიან იშვიათი ნივთი
14. ტყის ფრინველი
15. ფედერიკო გარსია ...
16. ინის საპარისპირო
17. მსახიობი ... ფაროუ
18. ავტოსაგზაო შემთხვევა
19. დიქტორი ლია ...
20. მთები ... შანი
21. ბალეტი „გედების ...
22. დათვის ნაშიერი
23. საოპერო პარტია
24. წერილის უცნობი ავტორი
25. უქონრო თუთიყუში
26. მარილიანის გემო
27. ღია მიმენება შენობაზე
28. სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის
29. თვალის გუგა
30. მსახიობი შირლი ...
31. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
32. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
33. გასახსნელი კულონი
34. თერმული წყლებითა და ტალახით მკურნალობის მეთოდები
35. ლამაზი პანტი ქსოვილზე
36. მხატვარი ... გოგენ
37. ზღვის ძუძუმწოვარი
38. ლეილა აბაშიძე ფილმში
39. დაბა ბორჯომის რაიონში
40. მსახ. კეტრინ ... ჯონსი
41. მდიდრული აგარაკი
42. დარტანიანის მტერი ქალი
43. დიუმა. „... წლის შემდეგ“
44. ფრანგი მხატვარი
45. ხერხემლის ძვალი
46. მსახიობი ჰარი ...
47. ქედი საქართველოში
48. ბრინჯაო
49. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
50. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
51. მსახ. ... დე ფიუნესი
52. მხ/ფ „... ხვიტია“
53. აკვიატება, ანუ ...
54. ... ფონ ბისმარკი
55. შექსპირის პიესა
56. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
57. უქონრო თუთიყუში
58. ბილიარდის ჯოხი
59. აბელის მკვლელი
60. ვენეციელი მენავეების სიმღერა
61. ხან. კუნძული მაკ. ზღვაში
62. დინამოს გამომგონებელი
63. სამხედრო წოდება
64. მწერალი ასტრიდ ...
65. ხორბლის შემამსხდი
66. თვითნასწავლი მხატვრობა
67. დიდი ხნის უწვიმო ამინდი
68. რეკორდების წიგნი
69. ბედი
70. ინერტული აირი
71. შოლოხოვი. „წყნარი ...“
72. გოგოლის მოთხრობა
73. მსახიობი ... რობერტსი
74. შინაური ბენაცებ. ცხოველი
75. მხ/ფ „ვერის უბნის ...“
76. მექსიკელის ქუდი
77. კედლის მანდილი
78. რომის პაპის გვარი
79. მხატვარი კაზიმ ...
80. ტარზანის როლში ჯონი ...
81. რეჟისორი ედგარ ...
82. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
83. რა ცხოველი იყო რიკიტიკი-ტავი კიპლინგის მოთხრობაში
84. შტატი აშშ-ში
85. მსახიობი ... დუროვი
86. „მატრიცა“ პერსონაჟი
87. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
88. ლოლა მინდი ფილმში
89. შენობა. ინახავენ ფულს
90. იაპონური თაიგული
91. მომღერალი ... ჩხეიძე
92. ქალაქი ავსტრიაში
93. იაპონური ჭადრაკი
94. ... კურდღლის მადეგვარი
95. ხვავი
96. კაკალ. ქალმის ნაყოფი
97. იტალიური ლეჩელი
98. მთიდან არეულები შმა
99. ვაქცინაცია
100. მონადირე ფოტოგრაფი
101. ჟური იქა ლინი ...
102. ქრისტიანთა წმინდა თასი
103. მსახიობი ჯენიფერ ...
104. ოპერა „კარმენი“, კომპოზიტორი
105. მდინარე ევროპაში
106. პატარა არია
107. ნიშნავს ცივს
108. დიდი სამაზავრო ჩანთა
109. ანიკოს პირველი ქმარი
110. ... არის ბედი შენი
111. უჯუგა ტირაჟი
112. „... და მშვიდობა“
113. „მაუგლი“ პითონი
114. შტატი აშშ-ში
115. გადამწყვარი კარაქი
116. ... შეგნიდან ტყდებიან
117. ქალაქი რაჭაში
118. მზის დმერთი ეგვიპტეში
119. მწერალი არტურ კონან ...
120. ამერიკელის მეშახელი
121. მსახიობი ... ჭირარდო
122. მეჭეჭების მოსაშორებელი სითხე





ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ვენესუელას დედაქალაქი
2. ექიმი. შეისწავლა ჩიყვი
3. რასელ კროუ ფილმში
4. მდინარე ორინოკოს ველი
5. ქალაქი ქვემო ქართლში
6. ვაჟა-ფშაველას გვარი
7. ჩილეში: ავგუსტო ...
8. წვიმისგან დამცავი აქსესუარი
9. ქიმიური ინდიკატორი
10. მიწის ფართობის ერთეული
11. იაპონური ფულის ერთეული
12. სამშენებლო მასალა
13. ფარაონთა დინასტია
14. „... გრეის პორტრეტი“
15. მოგებული პარტია ნარდში
16. ახალუხზე ჩასაცმელი
17. კურორტი ზუგდიდის რაიონში
18. ცისარტყელას ქალღმერთი
19. მუდმივი სიდიდე, ანუ ...
20. ს-ს ორბელიანის სოფელი
21. ტბა აფრიკაში
22. ტურ ჰეიერდალის ტივი
23. მთა კოჯორთან
24. სასამართლოში: ... მსაჯული
25. ენათმეცნიერების დარგი. შეისწავლის სამეტყველო ბგერებს
26. გიტარისტი ... ჰენდრიქსი
27. კუნძული იტალიაში
28. ქიმიური ელემენტი
29. ოცკაპიკიანი ძველად
30. „მაწოვარი დედა“ ... მატერი
31. მეცნიერება ადამიანის აგებულებაზე
32. ალა პუგაჩოვას საკულტო სიმღერა
33. ზღაპრული კაციჭამია
34. კილიტა
35. „20000 ... წყალქვეშ“
36. კათოლიკური საგალობელი
37. მსახიობი ... ბროსნანი
38. თერძის „იარაღი“
39. ისტორიული შუამდინარეთი
40. მორწყვის სისტემა
41. ნიშნავს სწავლებას
42. ლონდონის ცენტრი
43. ლუდის მასალა
44. ჩოგბურთელი ... სამპრასი
45. იაპონური ჭიდაობა
46. რუსი პოეტი
47. რუსი მხატვარი
48. ფეხბურთელი ანდრეს ...
49. გედის ყელის ბუმბული
50. კომპოზიტორი ფელიქს ...
51. ცალთვალა გოლიათი ბერძ.მით
52. მისი დედაქალაქია პარიზი
53. რეჟისორი ... პარკერი
54. ებრაული რიტუალ. ხმიადი
55. ქალაქი საფრანგეთში
56. სერიალი „... ქალაქში“
57. ცირკის მსახიობი
58. მონეტების შემგროვებელი
59. მოსამართლის მოსასხამი
60. საფრანგეთის ჰიმნი
61. მწერალი ფრანც ...
62. მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ პერსონაჟი
63. „ოსკარზე“ დასახელება
64. პოეტი ... რაინისი
65. სასულე ინსტრუმენტი
66. დაბა ახალციხესთან
67. მსახ. ... ბეგალიშვილი
68. აივენჰოს სატრფო
69. მსახიობი ... ჰარლი
70. საქონლის საკვები
71. ქრილო ბანიანი სახლის ჭერში
72. კვლევა თითის ანაბეჭდებით
73. ეშმაკი, ანუ ...
74. მეფედ კურთხევა
75. მდინარე იტალიაში
76. ძვირფასი წითელი ქვა
77. ქალაქი კლდეში სამხ. საქართ.
78. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
79. დღე ხვალის შემდეგ
80. ... მოგივა დავითაო
81. ცეცხლის ენა
82. ქმრის ძმა
83. ბულგარ. ფულის ერთეული
84. წვრილი წვიმა
85. ცხიმოვანი სიმსივნე
86. ... ფონ ბისმარკი
87. დრამატურგი კარლო ...
88. ტროას ბერძ. სახელწ.
89. პატრუქიანი თოფი
90. იგი წურბელებს აგროვებდა
91. ქალაქი ფლორიდაზე
92. მსახიობი ... პაჩინო
93. მსახიობი ... ჰეპბერნი
94. მარილიანი სითხე კანზე
95. ტენორი ... ლანცა
96. ... კოშკელიშვილი
97. ჩეხოვი. „... ვანია“
98. პოეტების საკრებული მთა
99. ღირებულება
100. რაგბიში დადებული გოლი
101. ბალახი
102. ახლომხედველი
103. ქალაქი ყირიმზე
104. მომღერალი ... რიდი
105. ინდიელების ნავი
106. მონღოლი დიდებული
107. მხატვარი ... გრეკო
108. ... სულაკაური
109. მდინარე რუსეთში
110. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
111. გეიშა მოწაფე
112. საქმეში ჩადებული წილი
113. რეგიონი იტალიაში
114. მწერი
115. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
116. გამის ნოტი
117. უბედურების სიგნალი
118. მევიოლინე ლიანა ...
119. სამიანი ნარდში
120. ვაჟიშვილი
121. მას ჰქონდა ჯადოსნ. ლამპარი

პასუხები: 1. კარაკასი; 2. ბაზედოვი; 3. „გლადიატორი“; 4. ლიანოსი; 5. ბოლნისი; 6. რაზიკაშვილი; 7. პინოჩეტი; 8. ქოლგა; 9. ლაკმუსი; 10. აკრი; 11. იენა; 12. აგური; 13. რამზესი; 14. დორიან; 15. ოინი; 16. ჩოხა; 17. ანაკლია; 18. ირიდა; 19. კონსტანტა; 20. ტანძია; 21. ნიასა; 22. „კონ-ტიკი“; 23. უძო; 24. ნაფიცი; 25. ფონეტიკა; 26. ჯიმი; 27. სიცილია; 28. აზოტი; 29. აბაზი; 30. ალმა; 31. ანატომია; 32. „არლეკინო“; 33. ოგრი; 34. ფოლგა; 35. ლიე; 36. მესა; 37. პირს; 38. ნემსი; 39. მესოპოტამია; 40. ირიგაცია; 41. ლოგია; 42. სიტი; 43. ალაო; 44. პიტ; 45. სუმო; 46. პუშკინი; 47. ლევიტანი; 48. ინიესტა; 49. გერმა; 50. მენდელსონი; 51. ციკლოპი; 52. საფრანგეთი; 53. ალან; 54. მაცა; 55. კანი; 56. შუა; 57. ჟონგლიორი; 58. ნუმიზმატი; 59. მანტია; 60. მარსელიეზა; 61. კაფკა; 62. მარტია; 63. ნომინაცია; 64. იანის; 65. კლარნეტი; 66. ასპინძა; 67. ბადრი; 68. როენა; 69. ლიზ; 70. სილოსი; 71. ერდო; 72. დაქტილოსკოპია; 73. ტარტაროზი; 74. კორონაცია; 75. პო; 76. ლალი; 77. ვარძია; 78. ომეგა; 79. ზეგ; 80. რაც; 81. ალი; 82. მაზლი; 83. ლევი; 84. თქორი; 85. თია; 86. ოტო; 87. გოცი; 88. ილიონი; 89. არკებუზი; 91. მაიამი; 92. ალ; 93. ოდრი; 94. ოფლი; 95. მარიო; 96. ნუკი; 97. ძია; 98. პარნასი; 99. ფასი; 100. ლელო; 101. იონჯა; 102. ბეცი; 103. იალტა; 104. დინ; 105. უმიაკი; 106. ნოინი; 107. ელ; 108. ზაალ; 109. ოკა; 110. სან; 111. მაიკო; 112. პაი; 113. ტოსკანა; 114. კალია; 115. სირ; 116. სი; 117. სოს; 118. ისაკაძე; 119. სე; 120. ძე; 121. ალადინი. იკითხება: ალენ დელონი. ჟან მარე. ჟერარ ფილიპი.

Facebook ამბები

facebook



ია მანიჟაშვილი ჯგუფ „ემის“ ყოფილი წევრი ამერიკიდან „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეზე, რუს მსახიობ სტანისლავ ბონდარენკოზე წერს:

რაც წლების განმავლობაში ქართველმა კაცებმააა რუს ქალებს უქნეს და ,,იგულავეს" თავის 37 მანეთიანი ბილეთებით წინ და უკან, ერთმა ბონდარენკომ აიღო რევანში...

შორენა ხორგუაშვილი - რაც სააკაშვილმა იქ იხმარა უკრაინელი ხალხი, ბონდარენკომ აქ აიღო რევანში. სასტუმროს ნომრის კარები ჩაკეტა ისეთ დღეში ჩააგდეს თავზე ტანგაჩამოცმულმა როსკიპებმა. ერთმანეთს ეჯიბრებიან კოლექციის დამშვენებაში.

facebook




თამაზ ჭეიშვილი:

მე 20 -ე საუკუნეში, მსოფლიოში ,,გლობალური გაპიდარასტების,, პროექტის ავტორი, ყველა დროის უპიდარასტესი პიდარასტი!

ალენ დალესი, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი 1953 - 1961 წლებში:

,, თქვენ თუ გაბედავთ და ჩვენ პედერასტებს დაგვიძახებთ, ჩვენ თქვენ გაგანადგურებთ!,,

----

პიდარასტი იყავი და პიდარასტად ჩაძაღლდი, შენი დედაც!

თამაზ ჭეიშვილი, პიდარასტთმოძულე!

facebook



იუნა შაფათავა:

ღმერთმა იცის, რატომ ტირის ქალი?
რად იღვრება მარგალიტი ცრემლად?
რატომ მისდევს ქარი
და თავშალად ხმარობს სევდას?
ღმერთმა იცის, რა ფასია ცრემლი?
ტკივილის და დარდის, სიყვარულის..?
ღმერთმა იცის, რომ ის არის ღმერთი
და ფასია ამ ცხოვრების -
სინანული...

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ყველაზე უჩვეულო ნაყინი მსოფლიოში



თუ კანადაში მოხვდებით, უთუოდ გასინჯეთ შემწვარი ბეკონის ნაჭრებიანი ნაყინი. ნათქვამია, რომ გემოვნებაზე არ დავობენ...

პარიზი ტყუილ-უბრალოდ როდი მიიჩნევა მსოფლიოს კულინარიულ დედაქალაქად. აქ შეგიძლიათ, გასინჯოთ ეგზოტიკური ნაყინი ფუა-გრათი. დელიკატესი ბატისა და იხვის ღვიძლისგან მზადდება.

დუბაი ყველაფერში პირველობის მოპოვებას ცდილობს, შესაბამისად, იქ შეგხვდებათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული „ოქროს“ ნაყინი.

ერთი ულუფის ფასი 817 დოლარია და შემკულია საკვებად ვარგისი ოქროს ფხვნილით.

კომპანია STOY მერლინ მონროს, ჩე გევარასა და მულტფილმის გმირების უჩვეულო დიზაინისა და განსაკუთრებული გემოს ნაყინს გვთავაზობს.

ნაზი ნაყინი „მერილინ მონრო“ რძისა და მარწყვის არომატით. ასეთი

შეხამება ჯონ კენედისთან ასოცირდება, ის ხომ ნაღებიან მარწყვზე გიჟდებოდა.

„ჩე გევარა“ ნაღების ნაყინია შოკოლადის გემოთი და რომით.

მსოფლიოში ყველაზე შავი ნაყინი (მოცვის) ფილმი „ვარსკვლავური ომების“ მთავარი პერსონაჟის დარტ ვეიდერის სახით.

მიკი მაუსი მანგოს გემოიანი იოგურტის ნაყინია.

მწარმოებლები ახალი გმირების სახეების შექმნასაც გეგმავენ, რომელთა შორისაც არიან საშინელებათა ფილმების პერსონაჟები: ფრედი კრიუგერი, ჩაკი, პინჰედი და სხვები.

***ambebi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## IBM-ის რობოტი ადვოკატი გახდა



საადვოკატო ბიურომ Baker & Hostetler სამსახურში რობოტი მიიღო, რომელიც კომპანია IBM-ის მიერ არის შექმნილი.

ხელოვნური ინტელექტი კომპანიების გაკოტრებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ციფრულ ადვოკატს შეუძლია, გაიგოს ადამიანის საუბარი, მოიძიოს ინფორმაცია, პასუხი გასცეს ჰიპოთეზებით და მოიყვანოს არგუმენტები პროფესიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. ხელოვნური თანაშემწე დიდი რაოდენობით ინფორმაციას ეცნობა და მეტ-ნაკლებად რელევანტურ პასუხებს ტოვებს.

რობოტი, სახელად ROSS, IBM-ის მიერ შექმნილი კოგნიტური სისტემა Watson-ის საფუძველზე მუშაობს. IBM-ის ინფორმაციით, ეს არის პირველი რობოტი-ადვოკატი მსოფლიოში.

საადვოკატო კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის ბობ კრეიტის განცხადებით, ახალ ტექნოლოგიებს შეუძლია, გაზარდოს მომსახურების ხარისხი, რომელსაც ბიურო საკუთარ კლიენტებს სთავაზობს.

***bpn.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინელმა წყვილმა ქორწილის ღამე კონსტიტუციის გადაწერას მიუძღვნა



ალბათ, აქამდე ფიქრობდით, რომ პასუხს კითხვაზე, რა შეიძლება აკეთო ქორწინების ღამეს, ალტერნატივა არ ექნებოდა, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ არსებობს. მაგალითად, კონსტიტუცია გადაწერო.

სწორედ კონსტიტუციის გადაწერაში გაატარა ერთ-ერთმა ჩინელმა წყვილმა ქორწინების ღამე. თანაც, ვერც წარმოუდგენიათ, თუ რაიმე უკეთესიც შეიძლებოდა მოეფიქრებინათ. ამ საქციელით წყვილმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინაშე ერთგულება გამოხატა. გარდა ამისა, სურდათ პირველ ღამესთან დაკავშირებით, ტკბილი მოგონებები ჰქონოდათ. შესაშური სიტკბოა პირდაპირ.

ჩინეთის კონსტიტუცია 15 ათასი იეროგლიფისგან შედგება. კამპანია ხელისუფლებამ წამოიწყო და ამ 15 ათასი იეროგლიფის სულ რონინ-რონინ, ხელით გადაწერას ითვალისწინებს. ყველა ვალდებულია, რომ თავისი სამუშაო დროის 2 საათი ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს დაუთმოს. მენეჯერები და ხელმძღვანელები კი, გადამოწმდებიან, რომ ე მანდ ხელქვეითებს არ დააწერინონ და საამაყო პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენა არ მოინდომონ.

***lenat.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დიდ ბრიტანეთში პატიმრები ციხეში სასჯელის მოსახდელად მხოლოდ უქმეებზე მივლენ



დიდი ბრიტანეთის რეფორმების გათვალისწინებით, მსჯავრდადებულებს ციხეში სასჯელის მოხდის მიზნით მისვლა, მხოლოდ უქმე დღეებში მოუწევთ.

დანარჩენი სამუშაო დღეების განმავლობაში შინ ყოფნა ან მუშაობა შეეძლებათ.

როგორც გამომცემლობა აღნიშნავს, ამ საკანონმდებლო ინიციატივას დედოფალი ელისაბედ I 18 მაისს სიტყვით გამოსვლისას გააჟღერებს.

გამომცემლობა, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ამ ინიციატივის მიხედვით, მსჯავრდადებულებზე კონტროლი თანამგზავრების მეშვეობით განხორციელდება. შესაბამისი ტექნოლოგიის გამოცდა სექტემბერში დაიწყება და ნელ-ნელა ქვეყნის ყველა რეგიონს მოედება.

როგორც მოსალოდნელია, აღნიშნული ნაბიჯი, დიდი ბრიტანეთის ციხის სისტემის რეფორმირებაში, ვიქტორიანული ეპოქის შემდეგ უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი იმედს გამოთქვამს, რომ სადამსჯელო სისტემაში რევოლუციის მოხდენას მოახერხებს, რომლის მეშვეობითაც მსჯავრდადებულებს სამუშაო დღეების განმავლობაში ჩვეულებრივი მუშაობის უფლება ექნებათ, რაც ქვეყანასაც წაადგება. თუმცა კონსერვატიული პარტიის ბევრი წარმომადგენელი აღნიშნულ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

***ipress.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## წყვილმა ქორწინების მოლოდინში 44 წელი გაატარა



ბევრი წყვილი დაქორწინებამდე ერთად ცხოვრობს, რადგან გაიგონ, მზად არიან თუ არა, რომ დარჩენილი ცხოვრება ერთად გაატარონ. თანაცხოვრების პერიოდი შესაძლოა, 1, 2, 3 ან ჰა ჰა 5 წელი გაგრძელდეს. ბოლოს და ბოლოს, წყვილი ხვდება, სურთ თუ არა ერთურთი. ინგლისის ქალაქ ლიდსის მცხოვრებლებს, 85 წლის კოლინ დანისა და 82 წლის სალი სმიტს 44 წელი დასჭირდათ იმის, მისახვედრად, რომ უერთმანეთოდ ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა.

წყვილმა ერთმანეთი 1972 წელს, კლუბ მიდლტონში გაიცნო. სალი ბარმენად მუშაობდა, კოლინი კი სატვირთოს მძღოლი იყო. ხშირად ისხდნენ ერთად და ბევრს ლაპარაკობდნენ. ბოლოს კოლინმა პაემანზე დაპატიჟა და მალევე ერთად ცხოვრებაც გადაწყვიტეს. სალი თავისი 4 შვილით კოლინს ეახლა და ტკბილი ცხოვრებაც დაიწყო.

როგორც წყვილი აცხადებს, ბევრი, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი და ქორწინებისთვის ვერაფრით მოიცალეს.

დღეს 13 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი ჰყავთ. ბოლოს და ბოლოს ერთმანეთისთვისაც მოიცალეს და დაქორწინდნენ.

„ლოდინი ამად ღირდა, საუკეთესო დღე იყო და ულამაზესი ტორტი გვქონდა“, – განაცხადა ბედნიერმა პატარძალმა.

***fishki.net***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იტალიელმა მზარეულებმა ,,ნიორი კოცნისთვის“ შექმნეს



მოგეხსენებათ, ნიორი რა გემრიელი და ამავე დროს რა ავი საკმაზია. საკმარისია, ერთი კბილი დააგემოვნოთ და მორჩა, იმ დღეს საყვარელი ადამიანის კოცნა დაივიწყეთ. ნივრის ჭარბი სიყვარულით იტალიური სამზარეულო გამოირჩევა და გასაკვირიც არ არის, რომ სწორედ იტალიელმა მზარეულებმა, ალესანდრო გუანიმ და ლორენცო ბიანკიმ იზრუნეს, რომ წყვილებს გემრიელი ვახშამი ბოლომდე შეერგოთ.

მზარეულებმა ნივრის 50 წლის წინათ მივიწყებული ჯიში აღადგინეს და თავიანთ მომზადებულ საკვებში უკვე აქტიურად იყენებენ. განსხვავება მხოლოდ ერთია – ჩვეულებრივ ნიორს გემოსა და არომატთან ერთად, სუნიც აქვს. ახალ ნიორს კი, მხოლოდ გემო და არომატი, არავითარი სუნი. ახალ ნიორს „ნიორი კოცნისთვის“ უწოდეს.

***rosbalt.ru***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ჰოლანდიის დაცარიელებული ციხეები დევნილების თავშესაფრებად გადაკეთდა



კრიმინალის შემცირების გამო, ჰოლანდიაში რამდენიმე ციხე დაიხურა. ქვეყნის ხელისუფლებამ შენობებს სხვა ფუნქცია მოუძებნა და დევნილების თავშესაფრად აქცია.

შარშან, ნიდერლანდების ტერიტორიაზე 50 ათასი მიგრანტი შევიდა. მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა ქვეყანამ ასე გადაწყვიტა.

ჰოლანდიაში თავშესაფრის მიღებამდე დევნილებს მუშაობის უფლება არ აქვთ. იურიდიული პროცედურისა და მათი განაცხადის განხილვის დასრულებამდე, ისინი ჰოლანდიურ ენას სწავლობენ, რათა საზოგადოებაში ინტეგრაცია მარტივად შეძლონ.

დამთრგუნველი გარემოს მიუხედავად, მიგრანტები ამბობენ, რომ კმაყოფილები არიან, რადგან აქვთ საცხოვრებელი ადგილი და თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. თავშესაფრის ოფიციალურად მიღებამდე, რომლის პროცესიც 6 თვემდე შეიძლება გაგრძელდეს, მიგრანტებს ციხეში მისვლა ან მისი დატოვება ნებისმიერ დროს შეუძლიათ.

ამ ბანაკებში მთელი მსოფლიოდან ჩამოსული, სხვადასხვა ეროვნების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობენ.

*on.ge*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ჩელიაბინსკელმა ბავშვმა კლასელებს 3 500 დოლარი ჩამოურიგა



მანქანას რომ გაყიდი, დაახლოებით 6 ათას დოლარს რომ აიღებ, ქვეყანა რომ შენი გგონია, ათას გეგმას რომ აწყობ და „მზრუნველი" შვილი ამ 6 ათასიდან 3 500 დოლარის ოდენობის ხელის ჭუჭყს რომ გაგინიავებს, რა რეაქცია შეიძლება გქონდეს?

მოკლედ, ჩელიაბინსკელმა ქალმა მანქანა აღნიშნულ თანხად გაყიდა და ფული კომოდის უჯრაში შეინახა. შვილიც ადგა და სანამ დედა სამსახურში იყო, თანხის ნაწილი მაღაზიაში წაიღო და მეგობრები კიბორჩხალას ჩხირებზე დაპატიჟა. მხოლოდ ეს ვერ იკმარა და წაიტრაბახა – ეს რაა, გაცილებით მეტის დახარჯვაც შემიძლიაო. მეგობრებმა რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს, თავმოყვარეობაშელახულმა ბავშვმა კონებად შეკრული ფული გამოაჩინა და მეტი დამაჯერებლობისთვის ურწმუნოებს ჩამოურიგა.

მერე გაიგო, რომ ფულზე თითის ანაბეჭდები დარჩებოდა და პოლიცია მოძებნიდა. ამიტომ მარტივი გამოსავალი იპოვა და დარჩენილი ფული ქაობში გადაუძახა.

სამსახურიდან დაბრუნებული დედა, როგორც კი სიტუაციაში გაერკვა, ქაობისკენ გაქანდა, საიდანაც თანხის მხოლოდ მცირე ნაწილის ამოღება მოხერხდა.

პოლიციამ ქალაქის ყველა მაღაზია გააფრთხილა, რომ სასწრაფოდ დარეკონ პოლიციაში, თუ რომელიმე ბავშვი მსხვილი კუპიურებით გადაწყვეტს რამის ყიდვას.

რა უნდა ფულს კომოდში?

*anekdot-dnya.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ამერიკელმა ბოლო 4 წლის მანძილზე 1 მილიონი დოლარი მეორედ მოიგო




ამერიკელმა ბრიუს მაგისტრომ 2012 წლიდან 1 მილიონი დოლარი მეორედ მოიგო. პირველად – 4 წლის წინათ აშშ-ის მოქალაქემ მომენტალური ლატარიის წყალობით 1 მილიონი დოლარი მოიგო. თანხის უდიდესი ნაწილი მაგისტრომ მეუღლის სამედიცინო ქვითრების გადახდაზე დახარჯა. 2014 წელს ამერიკელის მეუღლე კიბოსგან გარდაიცვალა.

რამდენიმე დღის წინ მაგისტრომ მომენტალური ლატარიის კიდევ 10 ბილეთი 20 დოლარად შეიძინა.

ერთ-ერთმა ბილეთმა მას 1 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა. მაგისტროს განცხადებით, ის ფულის გაყოფას 3 შვილთან და საცოლესთან ერთად გეგმავს. მამაკაცი ვერ იჯერებს, რომ იღბალმა მეორედ გაუღიმა. მაგისტროს ერთ-ერთი ვაჟი მიიჩნევს, რომ გარდაცვლილმა დედამ ქმარს ასე „მადლობა გადაუხადა".

*plus.kvira.ge*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## ქმრის მიმოწერის წაკითხვის გამო არაბთა საამიროებში ცოლი ქვეყნიდან გააძევეს



არაბეთის გაერთიანებული საამიროების სასამართლომ ერთ-ერთი ქალბატონი მეუღლე კონფიდენციალური უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა და მისი ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ ქალბატონს ჯარიმის სახით 40 ათასი დოლარის გადახდაც დააკისრა.

ადგილობრივი მედიის თანახმად, ქალი ეჭვობდა, რომ მეუღლე ღალატობდა, რის გამოც მან ქმრის ტელეფონში არსებული მიმოწერა წაიკითხა და ფოტოები გადაწერა. როდესაც მეუღლემ მისი საქციელის შესახებ შეიტყო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაიჩივლა. ქალი კიბერდანაშაულის კანონის დარღვევაში დაადანაშაულეს, რაც მოქალაქეთა კონფიდენციალური უფლებების დაცვას ისახავს მიზნად.

სავარაუდოდ, ქალი არაბეთის გაერთიანებული საამიროების მოქალაქე არ არის, მაგრამ მას ერთ-ერთი არაბული ქვეყნის პასპორტი აქვს.

არაბეთის გაერთიანებული საამიროები ბევრი სხვა არაბული ქვეყნისგან ქალთა უფრო თავისუფალი უფლებრივი მდგომარეობით გამოირჩევა. მაგალითად, ქალებს სამთავრობო სტრუქტურებში, მათ შორის პოლიციაში მუშაობის უფლება აქვთ, ასევე შეუძლიათ, რომ ავტომობილი მართონ, თუმცა, უცხო ქვეყანაში მცხოვრები ქალთა უფლებები ხშირად ირღვევა.

2013 წელს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა და ამ მაჩვენებელმა მე-10 ადგილიდან 22-ე ადგილზე გადმოინაცვლა. მსოფლიო ქვეყნებს შორის თანასწორობის კუთხით არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს 148 ქვეყანას შორის 109-ე ადგილი უკავია.

*ipress.ge*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## 5 მონაცემი, რომელიც „ფეისბუკიდან" სასწრაფოდ უნდა წაშალოთ




„ფეისბუკი", ისევე როგორც „გუგლი", მარტივ დიზაინზეა აგებული. ის მომხმარებლებს კონკრეტულ სერვისებზე ინფორმაციას უფასოდ სთავაზობს.

ცალკეული კომპანიები კი „ფეისბუკის" ფასიანი სერვისით სარგებლობენ. ამის მიზეზი კონკრეტული პიროვნების შესახებ ის მრავალფეროვანი ინფორმაცია და პირადი მონაცემები გახლავთ, რომელსაც სოციალური ქსელი ინახავს.

„ფეისბუკის" მომხმარებელი ნებას რთავს კომპანიებს, გამოიყენოს პირადი ინფორმაცია შემდგომში მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ე.წ. იუზერების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიმე გვერდის მოწონება მომხმარებლის შესახებ უფრო და უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა.

არსებობს 5 მონაცემი, რომელიც „ფეისბუკიდან" სასწრაფოდ უნდა წაშალოთ, თუ თქვენ შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება არ გინდათ.

1. საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელი ადგილი სოციალურ ქსელში არასოდეს მიუთითოთ. პირველ რიგში, ეს უსაფრთხოების გამო არ უნდა გააკეთოთ. მეორე მხრივ კი სწორედ საცხოვრებელი ადგილი თამაშობს დიდ როლს, იმისთვის რომ კომპანიამ თქვენთან მიმართებით გამიზნული სარეკლამო კამპანია აწარმოოს. თუ ქვეყანას და ქალაქს მიუთითებთ, სახლის მისამართი მაინც საიდუმლოდ დატოვეთ.

2. სამუშაო ადგილი

საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის გამოტოვების მიზეზი პერსონალურ მონაცემებში თითქმის იდენტურია, მაგრამ ამ მიზეზს კიდევ ის ემატება, რომ სამსახურის დასახელებით თქვენს ყოფილ თანამშრომლებს გაანაწყენებთ.

3. ტელეფონის ნომერი

თუ სოციალურ ქსელში ტელეფონის ნომერი გაქვთ მითითებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერს შეუძლია თქვენი პოვნა. ასეთ შემთხვევაში უცნობები თქვენ შესახებ მხოლოდ მეგობრებისთვის განკუთვნილ ინფორმაციასაც კი ხედავენ.

4. დაბადების დღე




ხშირ შემთხვევაში მომხმარებლის იდენტიფიცირება და ინტერესების განსაზღვრა დაბადების თარიღით ხდება. თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ყოველ დაბადების დღეზე მილოცვების შემდეგ ათასობით მადლობის გადახდა გიწევთ.

5. შეხედულებები და ინტერესები

გარდა გრძნობების გამომხატველი პოსტებისა, უმრავლესობა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების პოსტებსაც აქვეყნებს. მომხმარებლებს, ასევე, საშუალება აქვთ, რელიგიური მრწამსის შესახებ შეავსონ ველი. რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს სოციალურ ქსელს, თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი სარეკლამო განცხადება/ინფორმაცია გაჩვენოთ.

*daijesti.pia.ge*

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები



შორენა ბეგაშვილის შესახებ ერთ-ერთ ფორუმზე დაწერეს – ხალხი რატომ უნდა დაეხმაროს, გაყიდოს თავისი სახლი, მანქანა, ბრილიანტები, შუბები და შვილს მოახმაროსო. „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე თურქეთიდან ვრცელ კომენტარს აქვეყნებს მათ საპასუხოდ თავად შორენა ბეგაშვილი:

– ბინა კრედიტით მაქვს, გადაამოწმეთ, გეხერხებათ. რომც გავყიდო ბანკში უნდა ჩავრიცხო, მანქანა, შუბა და ყველაფერი იყიდება. მოდით და იყიდეთ. ესეთი ხალხის გამო ვიკავებდი თავს ძვირადღირებულ მკურნალობაზე და თვე და ორი კვირა ვუყურებდი სიცხიან ბავშვს, ტკივილები როგორ ტანჯავდა. ყოველთვის ისე ვცხოვრობდი, რომ არავის წამოსაძახებელი არ მქონოდა რამე.პირიქით, აქეთ ვეხმარებოდი როგორც შემეძლო. მე კიდევ დავიწყებ ცხოვრებას ნულიდან და უკეთესი ჯიპიც მეყოლება და შუბაც და ბევრი ის ნივთი, რომელიც უკვე გაიყიდა. ეხლა როცა გაქექეთ ჩემი ცხოვრება გეტყვით, რომ ევას პპირველი ოპერაციის ნახევარი დაფინანსდა და არ გეგონოთ მართო ჩემს შვილს აფინანსებენ, ბევრი ქართველი წევს აქ მათი დახმარებით.მადლობა ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც აქ ყურადღებას არ გვაკლებენ, წინ რთული დღეებია, მაგრამ კარგად იქნება ჩემი გოგო. უნდა გაიაროს და იცეკვოს ისევ, ისევ უნდა მომპაროს ფეხსაცმელი და გამიფუჭოს, მადლობა რომ მარტო არ დამტოვეთ.



არჩილ გამზარდია:

ჭორების ტოპ ხუთეული ჩემს შესახებ.

ჭორი 1: გამზარდია "ოცნების" ათეულშია.

ჭორი 2: გამზარდია "ოცნების" ათეულში არა, მაგრამ მეორე ათეულშია.

ჭორი 3: გამზარდიას შესთავაზეს "ოცნების" სიაში ჩასმა და უარი უთხრა.

ჭორი 4: გამზარდიას ჯერ შესთავაზეს "ოცნების" სიაში ჩასმა, შემდეგ გადაიფიქრეს და ამის გამო გამზარდია "ოცნებას" დაუპირისპირდა.

ჭორი 5: გამზარდია "გირჩებში" მიიწვიეს.

აირჩიეთ!

ერთადერთი ვერსია არაა მხოლოდ მათ შორის, ყველაზე რეალისტური.





## ტატა ბრეგვაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს!

იბედნიერე შენს საყვარელ ადამიანებთან და გიორგებთან ერთად! სიხარული და სიკეთე არ მოგაკლოს ღმერთმა!

ალიელები

## დალმატინელების 10-12 პროცენტი ყრუა



მართალია, ძაღლების ეს ჯიში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზია, მაგრამ სხვა მხრივ დადებითი თვისებების ჩამონათვალი არც ისე შთამბეჭდავია.

მაგალითად, დალმატინელებისთვის დამახასიათებელია სიყრუე. გარდა იმისა, რომ ლეკვების უმრავლესობა ყრუ იბადება, მათ შორისაც, რომელთაც ესმით, ბევრს (დაახლოებით 22 პროცენტი) „ცალმხრივი სმენა“ აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ყურიდან ესმით.

ბევრი სპეციალისტი დალმატინელის ყრუ ლეკვებს აძინებს, რადგან ფიქრობს, რომ ამით გენეტიკური დეფექტის გამოსწორება მოხერხდება, თუმცა საზოგადოებაში ეს სამართლიან პროტესტს იწვევს.

რაც მთავარია, ყრუ ძაღლები რთულად, მაგრამ მაინც იწვრთნებიან და მათ ჟესტების ენის ათვისებაც კი შეუძლიათ.

*znaeteli.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ბრიტანელ მძღოლებს ეტიკეტის გამოცდასაც ჩააბარებინებენ?



ვინც საჭესთან ზის, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ გინება და უწმაწური სიტყვების წამოსროლა მძღოლების მუდმივი თანამგზავრია, რასაც ავარიაზე ნაკლები უსიამოვნებები ნამდვილად არ მოჰყვება ხოლმე. მაგალითად, შეიძლება ვიღაცამ გინებას ყური მოჰკრას და მძღოლს თავ-ყბა გაუერთიანოს.

და თქვენ გგონიათ, ასეთი სიტუაცია მხოლოდ საქართველოშია? არა, ბატონო, ცდებით. მძღოლების უსაქციელობით ბრიტანელებიც არ ყოფილან მოხიბლულები და ყოველი ხუთი გამოკითხულიდან, ოთხი მიიჩნევს, რომ მართვის მოწმობის მსურველმა სხვა დანარჩენ გამოცდებთან ერთად, დამატებითი, ეტიკეტის გამოცდაც ჩააბარონ.

რამდენად გაითვალისწინებენ შესაბამისი უწყების წარმომადგენლები მოქალაქეების ამ მოთხოვნას, რთული სათქმელია, თუმცა, თუკი მძღოლებს ეტიკეტის გამოცდის ჩაბარებასაც დაავალდებულებენ, დიდი ეჭვი გვაქვს, მართვის მოწმობის აღებას ბევრი ველარ შეძლებს.

*auto.lenta.ru*

## რატომ აკრძალა ჩინეთმა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“?



1931 წელს გენერალმა ჰე ცზიანმა საყოველთაოდ ცნობილი საბავშვო წიგნი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ აკრძალა.

აკრძალვის მიზეზი ის გახლდათ, რომ ზღაპარში ცხოველები... ლაპარაკობდნენ.

– დაუშვებელია, ბავშვებს ჩავაგონოთ, რომ ცხოველებს ისეთივე ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ, როგორც ადამიანებს, – ასე ხსნიდა საკუთარ გადაწყვეტილებას აღშფოთებული გენერალი.

საბედნიეროდ, აბსურდული აკრძალვა დღეს უკვე მოხსნილია და დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, ამ შესანიშნავ წიგნს ჩინელი ბავშვებიც უპრობლემოდ კითხულობენ.

*bugaga.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## შეჭამე ტარაკანა და რიგში დგომა აღარ მოგიწევს



რატომ უნდა იდგე რიგში, როცა შეგიძლია, ეს არცთუ სასიამოვნო პროცესი, უბრალოდ... ტარაკნის შეჭმით მოიშორო? სწორედ ასეთი კითხვა დაუსვეს საკუთარ თავს ილინოისის შტატის ყველაზე ცნობილი გასართობი პარკის „სიქს ფლაგს გრეატ ამერიკას“ მესვეურებმა და დამსვენებელთა მომრავლებას ბევრისთვის შემზარავი აქცია მიუძღვნეს – ვინც ცოცხალ მადაგასკარულ ტარაკანს დაღეჭავს (გადაყლაპვა აკრძალულია), მას არც პარკის შესასვლელთან მოუწევს რიგში დგომა და ატრაქციონებზე დაჯდომასაც დიდი ფასდაკლებით შეძლებს.

პარკის ხელმძღვანელობის მტკიცებით, ცოცხალი ტარაკნების ჭამა სრულიად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, თუმცა ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები სიგრილეში დასვენების მსურველებს ურჩევენ, ამ ნაბიჯისგან თავი შეიკავონ, რადგან შესაძლოა, ამას კუჭ-ნაწლავის დაავადებების ან ალერგიის გაჩენა მოჰყვეს.

ასეა თუ ისე, პარკში ურიგოდ მოხვედრისა და ფასდაკლების მიღების მსურველთა რიცხვი მაინც დიდია და ისინი ახლა ტარაკნების შემჭმელთა რიგში იცდიან და გაუსაძლის სიცხეს მარაოს დანიავებით უმკლავდებიან.

*mainfun.ru*

## „ჭკვიანი“ ჩანგალი, რომელიც მარილის გემოს იმიტაციას ქმნის



ტოკიოს უნივერსიტეტის ინჟინრებმა შექმნეს „ჭკვიანი“ ჩანგალი, რომელიც მარილის გემოს იმიტაციას შეგიქმნით.

სიახლეს საფუძვლად უკვე არსებული გემოს ტესტის ტექნოლოგია დაედო. ჩანგლის ხელის მოსაკიდებელ ადგილზე აკუმულატორი და ელექტრონული სქემებია განთავსებული. როდესაც მომხმარებელს ის პირისკენ მიაქვს, აჭერს შესაბამის ღილაკს, რომელიც დენის მსუბუქ ძაბვას დონეების მიხედვით იწვევს. თითოეული ეს დონე საკვების მარილის სიმძაფრეს განსაზღვრავს.

სიახლის ავტორის თქმით, უახლოეს მომავალში მას ასევე მლაშე და მჟავე გემოების გამოცემაც შეეძლება. „ჭკვიანი“ ჩანგალი 17,7 დოლარი ღირს. მოელიან, რომ მისით უპირველესად დიეტის მომხრე ადამიანები დაინტერესდებიან.

*daijesti.pia.ge*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

იყიდება უსწრაფესი, 9-კაციანი კატერი YAMAHA AR210, 2006 წლის, კარგ მდგომარეობაში. 2 სტაციონარული „ვადამიოტნი“, 210 ცხენის ძალიანი ძრავით (ბენზინი). სიგანე – 2,5 მეტრი, სიგრძე – 6,4 მეტრი, წონა – 975 კგ. სპეც.ზღვის ნავიგაციით, სტაციონარული რაციით, გადასაყვანი ტრაილერით. მოძრაობს 40 სმ წყალშიც კი.

მდებარეობს ფოთში.

ფასი – 25 000 დოლარი

ტელეფონი: 599 50-39-97



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე (577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია 574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.22

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.